ყოველკვირეული ალია




სად და რატომ იყიდება უვარგისი ზეთი „ოლეინა“ და რა შეიძლება დაგვმართოს? 8

N20/748/ 16-22 მაისი 2016 წ ფასი 2 ლარი

ყოველკვირეული ალია | ოთხშაბათი ალია | ხუთშაბათი ალია | პარასკევი ალია

„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“
ლორდი ექტონი 1877 წელი

WWW.ALIA.GE
გამოდის 1995 წლიდან



„ეს არის ჩვენი გადარჩენის ერთადერთი გზა — არც „ოცნება“ და არც „ნაციონალები“ არ უნდა მოხვდნენ პარლამენტში“ 18



„ტარიელ ონიანის გუნდი ამ არჩევნებზე ძალიან სერიოზულად ემზადება პარლამენტში შესასვლელად!“ 20



სამი მიზეზი, რის გამოც გიორგი ბადაშვილი მაღალ თანამდებობაზე არ უნდა მუშაობდეს!!!

რატომ ეშინია „ოცნების“ ხელისუფლებას გიორგი ბადაშვილის ალაპარაკების? 14

## სოსო ჯაჭვლიანი: „დედა მოვტ...ან ამათი, სუყველასი... ახლა ქირქილებენ ამ ამბავზე და მაშინ ჩაჯმულები იყვნენ“ 16



21 „ნუშევგვეცეთი“

ვერაფერი გაიგეთ, ხომ? ვოლსკის მამაძაღლობა სწორედ მაგაშია, რომ მიუხედავად ამ აბდაუბდისა, ის მაინც რჩება პროდასავლურ პოლიტიკოსად

10 ეს არის კლასიკური მაგალითი ორპირობის, ძუკნობის, ღალატისა და მლიქვნელობის, ეს არის ჯვარედინი ტყუილის კლასიკა და ამ ბინძურ იდეოლოგებს ეწირება ხალხი!

## „ეს ყრილობა კი არა, ტაშ-ფანდური იყო!“ 6

რას აპირებენ „ლგბტ“-პირები 17 მაისს და რით დაუპირისპირდება საპატრიარქო?




12

კულტურის მინისტრი ახალ სკანდალში ეხვევა?!

„არც გოგი მარგველაშვილი მალავს რამეს, — ფეხებსაც ვერ მომჭამთ, ჩემ უკან მანანა ბერიკაშვილი დგასო“ 23



„ვაკესა და საბურთალოზე არის კორპუსები, სადაც ცხოვრება კი არა, მის ახლოს გავლაც კი საშიშია“ 22

# ევროკომისიამ საქართველოსთვის უვიზო მიმოსვლის „სწრაფი შეჩერების მექანიზმი“ ოფიციალურად წარადგინა



20 მაისს ევროკავშირის შინაგანი საქმეებისა და მართლმსაჯულების საბჭო, რომელშიც ევროკავშირის 28 ქვეყნის შინაგან საქმეთა და იუსტიციის მინისტრები შედიან, განიხილავს ევროკომისიის საკანონმდებლო წარდგინებას საქართველოს, უკრაინის, თურქეთისა და კოსოვოსათვის ახალი, უვიზო მიმოსვლის ე.წ. „სწრაფი შეჩერების მექანიზმის“ დაწესების თაობაზე.

– საქართველოს, უკრაინის, თურქეთისა და კოსოვოსათვის უვიზო რეჟიმის დაწესების თაობაზე ევროკომისიის მიერ ცოტა ხნის წინ წარდგენილი საკანონმდებლო წინადადების გათვალისწინებით, კომისიამ გადაწყვიტა შეიტანოს ცვლილებები 539-ე რეგულაციაში ამჟამად არსებულ შეჩერების მექანიზმის გადასინჯვის მიზნით, — ნათქვამია ევროკომისიის მიერ წარდგენილი ცვლილების პროექტის განმარტებით ბარათში, რომელიც **Euroline**-მა მოიპოვა.

– აღნიშნული ცვლილების მთავარ მიზანს წარმოადგენს წევრი ქვეყნებისათვის უვიზო მიმოსვლის შეჩერების მექანიზმის გამარტივებული პროცედურის დაწესება, რომლითაც ნებისმიერი წევრი ქვეყანა უფლებამოსილი იქნება ინდივიდუალურად მოახდინოს შეჩერების მექანიზმის ამოქმედება საკუთარი ინიციატივით. კერძოდ, ცვლილება ითვალისწინებს შეჩერებისათვის ამჟამად არსებული ვადების შემოკლებასა და შეჩერების საფუძვლების გაფართოებას, რომელიც ასევე უნდა მოიცავდეს რეადმისიის აპლიკაციების უარყოფის არსებით გაზრდას და უვიზო რეჟიმით მოსარგებლე ქვეყნის მხრიდან რეადმისიის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევას, - ნათქვამია განმარტებით ბარათში.

პროექტის მიხედვით, ევროკომისიას ასევე ეძლევა უფლება შეაჩეროს უვიზო მიმოსვლა ქვეყანასთან, რომელიც არ შეასრულებს რეადმისიით ნაკისრ ვალდებულებებს. კომისიას ასევე ენიჭება უფლება დადასტურებული „უცაბედი და არსებითი“ დარღვევების შემთხვევაში მთლიანად შეწყვიტოს უვიზო მიმოსვლა დამრღვევ ქვეყანასთან.

კომისიის მიერ წარდგენილი პროექტით, შეწყვეტის საფუვლად ასევე დასახელებულია უვიზო მიმოსვლით მოსარგებლე პირების მხრიდან 90 დღიანი რეჟიმის მასიური გადაცილება და მასიური არალეგალური დარჩენა შენგენის ზონაში უვიზო მიმოსვლის მქონე ქვეყნის მოქალაქეთა მხრიდან.

კომისიის მიერ წარდგენილი პროექტის მიხედვით, აღნიშნული ცვლილება ევროკავშირის რამდენიმე წევრი ქვეყნის მოთხოვნებს ემყარება.

ამჟამად არსებული მექანიზმი, უვიზო მიმოსვლის შეჩერების 6-დან 9 თვემდე დადგენილ პროცედურას ითვალისწინებს, რაც ინიციატორი ქვეყნების აზრით, არაგონივრულად ხანგრძლივი პერიოდია. პროექტის მიხედვით, შეჩერების მაქსიმალურ ვადად 12 თვე არის განსაზღვრული. (euroline.ge)

# ბობოხიძე „ნაციონალებისა“ და ბურჭულაძის პარტიის შესაძლო თანამშროლობაზე: ეს დამოკიდებულია მათ პოლიტიკურ ხედვაზე



– თანამშრომლობა შეიძლება ყველა იმ ადამიანთან, რომლისთვისაც საქართველოს განვითარების სტრატეგიული ხედვა დასავლურია, — ასე აკაკი ბობოხიძემ „ნაციონალური მოძრაობისა“ და პაატა ბურჭულაძის პარტიების შესაძლო ალიანსის თაობაზე დასმულ კითხვას.

ბობოხიძის განცხადებით, ეს დამოკიდებულია იმაზე, რა პოლიტიკური ორიენტაციის მქონე ადამინებით დაკომპლექტდება ბურჭულაძის გუნდი.

– ჩემი აზრით, თანამშრომლობა შეიძლება ყველა იმ ადამიანთან, რომლისთვისაც საქართველოს განვითარების სტრატეგიული ხედვა დასავლურია. ვნახოთ, ბურჭულაძის შემთხვევაში რა იქნება, რა ტიპის მაჟორიტარები ეყოლება. მაგალითად, „ქართული ოცნება" აცხადებს, რომ არის პროდასავლური ტიპის ძალა, მაგრამ კოალიცია სავსეა პრორუსი დეპუტატებით, ასე რომ მარტო განცხადება არ კმარა. თუ დავინახეთ, რომ პარტიაში არიან ადამიანები, რომლებიც ისევ საბჭოთა კავშირში არიან ჩარჩენილები, რა თქმა უნდა, გაგვიჭირდება თანამშრომლობა, მაგრამ თუ დავინახეთ, რომ პარტია დაკომპლექტდება საქართველოს მომავალზე ორიენტირებული ადამიანებით, ნებისმიერ ორგანიზაციასთან ვითანამშრომლებთ.

თითოეული ადამიანის რესურსს სჭირდება გაფრთხილება, გამოყენება, ეფექტური რესურსი უნდა იყოს ქვეყნის საკეთილდღეოდ გამოყენებული, იქნება ეს ადამიანი პაატა ბურჭულაძის თუ რომელიმე სხვა პარტიაში. თუ ღვთის ნებით, „ქართულ ოცნებასაც“ ეყოლება ჯანსაღი ადამიანები თავიანთ რიგებში, რომლებიც დადგებიან პარტიულ ინტერესებზე მაღლა ქვეყნის განვითარების გზაზე, კონკრეტულ ადამიანებთანაც არ გამოვრიცხავთ თანამშრომლობას, — განაცხადა აკაკი ბობოხიძემ.

პაატა ბურჭულაძე საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობისთვის ემზადება. „სახელმწიფო ხალხისთვის", — ასე ერქმევა მოძრაობას, რომელიც რამდენიმე დღის წინ დაფუძნდა. (kvira.ge)

## facebook




**იუნა შაფათავა:**

იბადები, დადიხარ ამ დებილ სკოლაში, გასწავლიან პატიოსნებას, ადამიანობას, საკაცობრიო თემებს, ისტორიას, გეოგრაფიას, ასტრონომიას, ნერვებს გიშლიან რაღაც უტვინო ლექტორები გამოცდებზე, ისწავლე კარგად! ლოზუნგები...

და მერე, როცა რჩები ცხოვრებასთან პირისპირ, ხვდები, რომ დაბადებიდან ყველა, ვინც გხვდებოდა, იყო აფერისტი ნაბიჭვარი და ამ მეცნიერების და სწავლის სიყვარულის შეტენვით შენში, გაბოლებდა და გწირავდა. იმიტომ რომ, თურმე, ყველაზე მთავარი ამ ცხოვრებაში საარსებოდ ყოფილა არა ის ყველაფერი, რასაც გასწავლიდნენ, არა ადამიანობა და ფასეულობები. არა. ყველაზე მთავარი ყოფილა ფული. ყველაფერს თურმე იყიდი გაყიდი მოიპოვებ, თუ გაქვს ფული. მეგობრობასაც და სიყვარულსაც. და არავინ ამ ნაბიჭვრებდან, არ გითხრა: სულ ერთია, როგორ მოიპოვებ ფულს, რადგან ფული, ყველაფერს ამართლებს. ნუ აბოლებთ ბავშვებს. სიკეთე არ აჭმევთ.გაზარდეთ ბოზები და ნაბიჭვრები, თუ გინდათ, რომ გადარჩნენ ამ ნაბოზარ ნაბოზარ ნაბოზარ მსოფლიოში.ცოტა გვიანია, გავბოზდე, მაგრამ მგონი, მაინც დასაფიქრებელია. მდიდარი ბოზი ლატაკ ფილოსოფოსზე ბედნიერია, მაინც.

**კონსტანტინე (კოკო) გამსახურდია** -სერ ბერნარდ შოუს ერთხელ წამოსცდა ფრაზა, რომ ყველა ქალი იყიდება. ამ სიტყვებმა მალევე მიაღწია ბრიტანეთის დედოფლის ყურამდე, რომელმაც პირველივე შეხვედრისას ჰკითხა მწერალს:

—სერ, თქვენ მართლაც ფიქრობთ, რომ ყველა იყიდება?

—დიახ, ჩემო დედოფალო.

—მეც?—გაიოცა დედოფალმა.

—თქვენც...—უპასუხა შოუმ.

—როგორ ფიქრობთ, მაინც რამდენი ვღირვარ?

—10 000 ფუნტი სტერლინგი—ჩვეული სიმტკიცით უპასუხა დრამატურგმა.

—ნუთუ ასე იაფი?—გაიოცა დედოფალმა.

—აი, ხომ ხედავთ, ჩემო დედოფალო, უკვე მევაჭრებით.—გაეღიმა შოუს.

## facebook



**ანი ნადარეიშვილი**

26 წთ 50 წამი, ე.წ. "პოლიტოლოგი" სანდრო თვალჭრელიძე ბაჩო ახალაიაზე: "კაცის მკვლელია, მოკლული ყავს პირადად".

აი, ამას ახლა არ უნდა აფურთხო მაგ ტელევიზიის ანძიდან?

პ.ს. სარჩელს ვამზადებ!

# „მანანა კობახიძე თავის ადგილზე არ არის... ვიტყვი, რომ ბრიჯიტ ბარდო ჯობია“



პარლამენტის ვიცესპიკერ მანანა კობახიძის განცხადებას იმასთან დაკავშირებით, რომ არჩევანის შემთხვევაში ის ბერძნიშვილს მეჭიაურს ამჯობინებს, თავად ლევან ბერძენიშვილი გამოეხმაურა.

ლევან ბერძენიშვილის თქმით, საკითხავია თავის ადგილზე არიან დეპუტატები, მათ შორის, მანანა კობახიძე თუ არა:

– ქართველ ხალხს ვკითხოთ, თავის ადგილზე არიან დეპუტატები, მათ შორის, მანანა კობახიძე ვიცესპიკერი უნდა ყოფილიყო თუ არა, ვინაიდან, მას არ ვუყვარვართ და მეჭიაური ურჩევნია, ამიტომ გავბედავ და ვიტყვი, რომ ის მის ადგილზე არ არის. ცუდი ქალი არ არის, თბილია, ზრდილობიანი, თავაზიანი, მაგრამ პარლამენტის ვიცესპიკერი რა დამსახურებისთვის უნდა იყოს. კობახიძე დაკავებული თანამდებობისთვის ერთ-ერთი შეუფერებელია. მას კვალიფიკაცია არ ჰყოფნის. ვიცესპიკერმა საკითხი ასე არ უნდა დასვას - მეჭიაური თუ ბერძენიშვილი. ვინაიდან დასვა, ე.ი. ჩემი ხელმძღვანელი აღარ არის და მეჭიაურის ხელმძღვანელია. უსუფაშვილი ამას არ იტყოდა, ის თავისიანებს და სხვისიანებს არ გაარჩევს. კობახიძისგან ეს მეტისმეტი იყო და ამან აჩვენა, რომ კლასი არ არის. ნაწყენი არ ვარ, თუმცა, კითხვაზე - კობახიძე თუ ვილაცა, ადრე თუ კობახიძეს ვუპასუხებდი, ახლა დავფიქრდები და ვიტყვი, რომ ბრიჯიტ ბარდო ჯობია, - განაცხადა ლევან ბერძენიშვილმა.

შეგახსენებთ, „რესპუბლიკელებსა“ და თამაზ მეჭიაურის დაპირისპირების საკითხზე საუბრისას, მანანა კობახიძემ განაცხადა, რომ ლევან ბერძენიშვილსა და მეჭიაურს შორის არჩევანს თამაზ მეჭიაურზე შეაჩერებს:

– თუ თქვენ კითხვას სვამთ ნატო თუ რუსეთი, მე გეტყვით, რომ ნატო, თუ კითხვას სვამთ ევროკავშირი თუ ესენგე, გეტყვით, რომ – ევროკავშირი, თუ ამბობთ ბერძენიშვილი თუ მეჭიაური – მეჭიაური, - განაცხადა კობახიძემ. (ნიუპოსტი)

# დავით დარჩიაშვილი: „გარკვეულწილად ბურთი არის ბურჭულაძის მოედანზე“



„ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერი დავით დარჩიაშვილი აცხადებს, რომ მათი და პაატა ბურჭულაძის მოსაზრებები ერთმანეთს ემთხვევა, თუმცა ამ ახალმა გუნდმა უფრო მკაფიო გზავნილები უნდა ჩამოაყალიბოს.

ის ამბობს, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ არჩევნებისთვის ემზადება და ალიანსში, საარჩევნო ბლოკში არავისთან ყოფნას არ აპირებს.

ქვეყანაში მიმდინარე პროცესების შეფასებასთან ან ერთობლივი წინადადების დაყენებასთან დაკავშირებით კი დარჩიაშვილი ამბობს, რომ პარტია ამ მხრივ თანამშრომლობის წინააღმდეგი არასდროს ყოფილა.

ამის მაგალითად მან საარჩევნო სისტემის ცვლილებასთან დაკავშირებით შექმნილ ინტერპარტიულ ჯგუფთან თანამშრომლობა მოიყავნა.

– გარკვეულწილად ბურთი არის ბურჭულაძის მოედანზე. მისი ზოგიერთი განცხადება საინტერესოა და ემთხვევა ჩვენს შეხედულებებს, მაგრამ მთლიანობაში მან და მისმა გუნდმა მკაფიო გზავნილები უნდა ჩამოაყალიბონ ქვეყნის საშინაო და საგარეო პრიორიტეტებზე. რაღაცები მსმენია, მაგრამ საერთო სურათი როგორია, არ ვიცით, რომ იყოს ჩვენი მხრიდან ახალი განცხადების სურვილი. ამ ახალმა გუნდმა და მისმა ლიდერმა უნდა გამოკვეთონ საით მიდიან, -აღნიშნა დარჩიაშვილმა. (pia.ge)

# საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალი გაიზარდა

საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალის 2016 წლის აპრილის მაჩვენებელი 2015 წლის ამავე პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით, გაზრდილია. ფინანსთა სამინისტროს ოფიციალურ გვერდზე გამოქვეყნებული მონაცემების მიხედვით, 2015 წლის აპრილში საქართველოს სახელმწიფო ვალი 9,329,690 ლარს შეადგენდა და 4,040,051 ამერიკულ დოლარს უდრიდა. 2016 წლის აპრილის მონაცემების მიხედვით კი, სახელმწიფო საგარეო ვალი ეროვნულ ვალუტაში 9,866,334-ია, ხოლო აშშ დოლარში - 4,422,580.

რაც შეეხება 2016 წლის მარტის მონაცემებს, სახელმწიფო საგარეო ვალის მაჩვენებლები ასე გამოიყურება: 10,408,044 ლარში და 4,395,474 - აშშ დოლარში.



ამავე მონაცემების მიხედვით, საქართველოს ეროვნული ბანკის საგარეო ვალმა 2016 წლის აპრილში 26,560 ლარი (11,906 აშშ დოლარი) შეადგინა მაშინ, როდესაც ამავე წლის მარტში ეს მაჩვენებელი 37,363 ლარს (15,779 აშშ დოლარი) უდრიდა. 2015 წლის აპრილში კი საქართველოს ეროვნული ბანკის საგარეო ვალი 68,205 ლარი (29,535 აშშ დოლარი) იყო. (bpn.ge)

facebook



**მალხაზ თოფურია:**

ვიყავი სპორტის სასახლეში განა არ ვიყავი......მანდ დავიბადე გავიზარდე ასიოდ მეტრის მოშორებით და რა საშვი მჭირდებოდა, ცსკა დინამოს ან ჟალგირის დინამოს თამაში არ გამიცდენია ისე რომ ბილეთი არსდროს ამიღია და ქართული ოცნების შეკრებაზე ვერ შევიდოდი? ბოლოს 4 წლის წინ ვიყავი ნაციონალების შეკრებაზე,,,,, რამე ცუდი არ იფიქროთ, მოგვიჯვა კამპოტშიო, რომ იტყვიან მაგ პონტში ვიყავი, სადაც 3 კაცზე მეტს დავინახავდი დამდგარს, მივაჭრიდი... ხომ ხართ მგლებივითო? ვიკითხავდი ის კაზიოლებიაც აბა რაო მეტყოდენ..... მერე მე ვიწყებდი...თქვენ კი ხართ მგლებივით მარა დედა გვაქ ნაციონალებს მოტყნული თქო.... ისენი კი ცდილობდენ ეთქვათ ეგრეც არაააო მარა ისე არგუმენტირებულად უსაბუთებდი დედის მოტყვნას ზოგი დარბაზში შესვლასაც აღარ ცდილობდა ე ბიჭო ვინმემ არ დამინახოს თორე........ დღეს კათილი გულით მივედი თან ისე რომ ვერავის ვეცნე, ხან სპაიდერმენის ზოლიანი ფორმა მოვიზომე ხან ბეტმენის შავებში გამოვეწყვე, ბოლოს გრენდაიზერის ფორმა მოვირგე 2 პლასტმასის რევოლვერით ხელში და ისე მივადექი სასახლეს.... ცნობით კი ვერავინ მიცნო მარა, შეშვებითაც არავინ მიმაკარა..... დარბაზი აგერიათ ბასტი ბუბუს ცენტრი იქითააო...... მოვტრიალდი სახლში, ვიფიქრე ვიფიქრე და მოვიფიქრე რა უნდა მექნა რომ თან შევსულიყავი და თან ვერავის ვეცნე.....ევრიკა,,,, შარვალ კასტუმ გალსტუკი! ატრიბუტები რომელშიც მართლა ვერავინ მიცნობს (სანამ ფეხებს არ გავფშიკავ) ევრიკა ევრიკად მარა კომბლეს ასფურცელას ან სპაიდერმენის ფორმებისგან განსხვავებით ეგეთი ატრიბუტები ჩემ მრავალფეროვან გარდირობში არ მოიპოვება.... არიქა ძმა ძმისთვისაო ოცნების მეოთხე ყრილობისთვისაო... კარის მეზობელ და თანაკლასელ ვასკას ვეცი....არიქა ჰალსტუხ კოსტუმი თქო!!! შიგ ხო არა გაქო? ვასკამ 3 კლაში პიეროს როლი რომ მქონდა ბურატინოს თავგადასავალში მას მერე კასტუმი არ მინახიაო.....ბევრიკა! შევძახე ისევ (ბევრიკა, ევრიკას მერე მოსული მეორე გენიალურ აზრს ნიშნავს) და მივაშურე " პრაკატს", ტოესტ როგორც ლევან ღვინჯილია იტყვის... განვადებას... კოსტუმი განვადებით ...ცოლი მოგყავთ? დამხვდა ვიღაცა... არა რას ბრძანებთ პირიქით,,,, პირიქით რა აქ კი არ ვიბარებთ....წამეიაზვა ჩაგაბარებ დაშლილებში ეხლა თუ ისეთი კასტუმი არ მომარგე ყრილობის დელეგატს რომ მოუხდება....იპოვა... გამომაწყო ჰალსტუხიც მომარგო,,, სარკეში ჩაიხედეო ჩამახედა... თავიდან მელოტი ტოპ მოდელის პლაკატი მეგონა ,,, თურმე მე ვარ.... გავარდი შევასწარი, წინა რიგებში დავიკავე ადგილი ვესალმები თბილად ნაცნობ მეგობრებს .... პასუხად ყალბი ღიმილი...აშკარად ვერავინ ვერ მცნობს გალსტუკიანს ბოლოს ჯაჭვლიანმა გატეხა ნავსი, მაგასაც მივესალმე ჩავეხუტე , რავა ხარ მუხბერ თქო? შენ ვილა ოხერი ხარო? საოცრად თბილად და გულწრფელად მკითხა.....მოკლედ ჩემი თავგადასავალი ნაკლებად საინტერესოა, მით უმეტეს ვალოდია ჯინჭარაძესავით ვიჯექი...... ერთს მინდა ხაზი გაუსვა, ძაან მომეწონა კვირიკაშვილის სიტყვა განსაკუთრებით მის მიერ აშკარად და გულწრფელად... ირაკლი ღარიბაშვილის მოკითხვა)

**მოქია გოჩა** - ნეფარიძე და ანრი ხომ არ გადაგიკოცნია მახო?

**მალხაზ თოფურია** -კიიი მარა ვერ მიცნეს...

# „კეზერაშვილზეა დამოკიდებული, იარაღით ვაჭრობის საქმეში ამოტივტივდება თუ არა სააკაშვილის სახელი“



ე.წ. „პანამური დოკუმენტების" შემდეგ, დავით კეზერაშვილის სახელი კიდევ ერთ გახმაურებულ საქმეში ფიგურირებს. კერძოდ, საქმე ეხება იარაღის უკანონი ვაჭრობის საქმეს. როგორც ირკვევა, დავით კეზერაშვილთან კორუფციული გარიგების საქმეზე ისრაელში ქვეყნის თავდაცვის ძალების ყოფილი ოფიცერი გალ ჰირში დაკითხეს.

გამოცემა „**Haaretz**"-ის ინფორმაციით, გალ ჰირში ეჭვმიტანილია კორუფციასა და ფულის გათეთრებაში საქართველოში მისი კომპანიის გარიგებებთან დაკავშირებით. გალ ჰირში ისარელის არმიის ბრიგადის გენერალი იყო. მოგვიანებით მან უსფართხოების სფეროში მომუშავე კერძო კომპანია **Defensive Shield** დაარსა და სწორედ ამ კომპანიის 4 თანამშრომელი და ჰირში რამდენიმე საათის განმავლობაში აძლევდნენ ჩვენებას მათი საქართველოში საქმიანობასთან დაკავშირებით, რომელიც ისრაელის პროკურატურის ვარაუდით, კორუფციის, ფულის გათეთრებისა და საგადასახადო დარღვევების დანაშაულის ნიშნებს შეიცვს.

გალ ჰირში პოლიციის უფროსობის კანდიდატი იყო, თუმცა კომპანია **Defensive Shield**-თან დაკავშირებული სკანდალისა და დავით კეზერაშვილის წინააღმდეგ მიმდინარე გამოძიების გამო, 2015 წლის სექტემბერში იძულებული გახდა, საკუთარი კანდიდატურა მოეხსნა. გამოძიება ვარაუდობს, რომ კომპანია **Defensive Shield** თაღლითობისა და კორუფციის გზით იღებდა ათობით მილიონი დოლარის ღირებულების კონტრაქტებს.

გამოძიების ვერსიით, კომპანიის წარმომადგენლები კოტრაქტების მოსაპოვებლად ქრთამს საქართველოს ყოფილ თავდაცვის მინისტრს დავით კეზერაშვილს აძლევდნენ. კორუფციული გარიგება დავით კეზერაშვილის მეგობრის შუამავლობით ხდებოდა, რომელიც ჰირშსაც იცნობს. ბრალდებებს კატეგორიულად უარყოფს კეზერაშვილის ადვოკატი. შოთა მინდელი აცხადებს, რომ იარაღის ვაჭრობის საქმეში თავდაცვის ყოფილი მინისტრი არ ფიგურირებს და ამ საქმეზე კეზერაშვილის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღძრული არ არის.

თუმცა, კეზერაშვილის უკანონო სქემაზე საუბრობს თავდაცვისა და უშიშროების საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე, რომლის განცხადებით, კეზერაშვილის მინისტრობის დროს შეიარაღებული ძალებიდან ასეულობით მილიონის იარაღი დაიკარგა.

„ვერ იძებნება მილიარდ ნახევრამდე ლარი, რომელიც თავდაცვის სამინისტრომ სხვადსხვა მიმართულებით სამხედრო ტექნიკის შესაძენად გადაიხადა და ეს ხდებოდა კეზერაშვილის მინისტრობის დროს", - აცხადებს ირაკლი სესიაშვილი.

იარაღის ბიზნესში დავით კეზერაშვილის სახელი 2008 წლიდან ჩნდება. კეზერაშვილმა სტარტი იმ წუთიდან აიღო, როგორც კი, თავდაცვის მინისტრი გახდა. არსებული ინფორმაციით, კეზერაშვილის საქმიანობა ამერიკულმა სპეცსამსახურებმა გაშიფრეს. შეგახსენებთ აშშ-ის ყოფილი ელჩის ჯონ ტეფტის გაგზავნილ წერილს, რომელიც „ვიკილიქსში" გამოქვეყნდა, სადაც ელჩი პირდაპირ ამბობს, რომ ქართული მხარე და მათ შორის, დავით კეზერაშვილი ეჭვმიტანილია იარაღით ვაჭრობაში.

„სტრატეგიული კვლევების კავკასიური ცენტრის" ხელმძღვანელი მამუკა არეშიძე **for.ge**-სთან საუბრისას აცხადებს, რომ ისრაელის ხელისუფლება კეზერაშვილს ადანაშაულებს იმაში, რომ 2008 წლის აგვისტოს ომის დროს მან რუსებს საშუალება მისცა, ხელში ჩაეგდოთ ის ელექტრონული ტექნოლოგიები, რომლებიც ისრაელმა საქართველოს გადასცა. კეზერაშვილმა ბევრ ადგილას მოახერხა ცუდი კვალის დატოვება და ბევრი ხალხია მასზე განაწყენებული — ებრაელები, ფრანგები, ამერიკელები.

მისივე თქმით, იარაღით ვაჭრობის გარდა, კეზერაშვილი მონაწილეობდა ალბანეთის ტერიტორიაზე შექმნილ სათამაშო ბიზნესის ქსელში და ამ ბიზნესის ერთ-ერთი სერიოზული მეწილე იყო. ალბანური სათამაშო ბიზნესი ევროპაში ცნობილია, როგორც ერთ-ერთი ყველაზე კრიმინალური ბიზნესი. ექსპერტი არ გამორიცხავს, რომ სააკაშვილის ხელისუფლების მიერ მოპარული ფული, კეზერაშვილის მეშვეობით, ევროპაში ყველაზე კრიმინალურად ცნობილ ალბანურ სათამაშო ბიზნესში ტრიალებდა.

„ასეთი სურათი იხატება — საქართველო ამერიკელების დახმარებით ყიდულობდა იარაღს, ხოლო კეზერაშვილის მეშვეობით, ეს იარაღი მიდიოდა ახლო აღმოსავლეთში. ამ ყველაფრის საქმის კურსში იყო მიხიელ სააკაშვილი და სხვადასხვა წყაროდან შემოსული ინფორმაციებით ჩანს, რომ კეზერაშვილი იარაღით ვაჭრობის ქსელში სააკაშვილის ბიძის თემურ ალასანიას მეშვეობით მოხვდა.

კეზერაშვილი იარაღით ვაჭრობის თემა ძალიან მაღალ ეშელონებშია გასვრილი. ამ საქმეში ჩართული აღმოჩნდა ევროპის ზოგიერთი მაღალჩინოსანი, ბულგარეთი, ასევე იარაღით ვაჭრობაში ჩართული აღმოჩნდა ფინანსურად ისეთი შეძლებული ცნობილი ადამიანი, როგორიც არის გაიდამაკი, ებრაელი მილიარდერი. ეს ადამიანები ცნობილნი არიან მყარი კავშირებით მსოფლიოში. კეზერაშვილიც ამ კრიმინალური უზამაზარი ბორბლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი იყო", - აცხადებს მამუკა არეშიძე.

მისივე თქმით, კეზერაშვილზეა დამოკიდებული, ამ საქმეში ამოტივტივდება თუ არა მიხეილ სააკაშვილის სახელი. სააკაშვილი რომც ასცდეს გამოძიებას, მისი ბიძაშვილი და ბიძა თემურ ალასანია გამოძიებას ვერ აცდებიან.

„გამოძიებას აქვს გარკვეული დოკუმენტაცია იარაღით ვაჭრობის საქმეში სააკაშვილის ჩართულობის შესახებ. იარაღით ვაჭრობა არის ერთი უბედურება, მაგრამ არის მეორე საკითხი, რომელიც კონკრეტული ფირმების შესაძლებლობებს სცილდება. არის იარაღის ზოგიერთი სახეობა, რომელიც საქართველოს ხელისუფლების გადაწყვეტილებით შეიძლება ყოფილიყო შეძენილი, მაგალითად, უკრაინაში, ბულგარეთში ან რუმინეთში ან ჩეხეთში. აქედან გამომდინარე, სულ მცირე, საჭირო იყო პრეზიდენტის განკარგულება, თუნდაც იმისთვის, რომ ამ საქმისთვის ფული გამოყოფილიყო.

უშიშროების საბჭოზე ეს საკითხი წყდებოდა, მაგრამ საბოლოოდ წერტილს უსვამდა პრეზიდენტი. რაც უნდა იმართლოს სააკაშვილმა თავი, მე მაინც მგონია, გარკვეული დოკუმენტაცია ამ საკითხში მისი ჩართულობის შესახებ, გამოძიებას აქვს. ამიტომ ცდილობდა სააკაშვილი, რომ კეზერაშვილი ძლიერი ადვოკატების მეშვეობით ყოფილიყო დაცული საფრანგეთის ციხეში", - აცხადებს მამუკა არეშიძე.

სამხედრო ანალიტიკოსი ვახტანგ მაისაიას თქმით, კეზერაშვილი რომ იარაღის უკანონო ბიზნესში მონაწილეობდა, ეს ფაქტებით დასტურება. მისივე თქმით, საქართველოს პროკურატურა ვალდებულია ექს-მინისტრის წინააღმდეგ გამოძიება დაიწყოს.

„ის, რომ კეზერაშვილი სკანდალური კორუფციული ფაქტის თანამონაწილეა, ეს ფაქტია. ისრაელის გამოძიება ადასტურებს, რომ კორუფციული ინტერესებიდან გამომდინარე კეზერაშვილმა ფული აიღო ისრაელის სამხედრო მაღალჩინოსნისგან. ვფიქრობ, რომ ეს არის ქართული მხარის გამოძიების პრეროგატივა, ვიდრე ისრაელის სპეცსამსახურების. დიახ, ეს არის ელიტარული კორუფცია. თუკი დაიწყება გამოძიება და სწორად წავა, აუცილებალდ აღმოჩნდება, რომ კეზერაშვილთან ერთად ამ საქმეში ფიგურირებენ სააკაშვილი და მამა-შვილი ალასანიები", - აცხადებს **for.ge**-სთან საუბრისას ვახტანგ მაისაია.

ექსპერტი გია ხუხაშვილი, რომელიც ხელისუფლებაში არსებულ ელიტარულ კორუფციაზე საუბრობდა, აცხადებს, რომ საქმე ეხება კეზერაშვილის მინისტრობის პერიოდს, როდესაც უწყება იარაღის შესყიდვებს აწარმოებდა და მათ შორის ისრაელისგან უპილოტო თვითმფრინავების შესყიდვას. ხუხაშვილი დარწუმენულია, რომ ისრაელის შესაბამისი სამსახურები ამ კორუფციულ სქემას კვალიფიციურად გამოიძიებენ და ჭეშმარიტებას დაადგენენ. მისი თქმით, ამ სისხლის სამართლის საქმეს ინტრიგას ისიც მატებს, რომ დღეს კეზერაშვილი ისრაელის მოქალაქეა.

„ქრთამს ჰყავს გადამხდელი და მიმღები მხარე, ორივე დამნაშავეა. ბუნებრივია, რომ კეზერაშვილის მიმართ იქნება კითხვები. ამ ტიპის ოპერაციების შესახებ მსმენია, იარაღის შესყიდვასთან დაკავშირებით ბევრი გახმაურებული თემები ვიცით ყველამ და ეს ის თემებია, რისი გამოძიება საქართველოშიც უნდა წარმოებულიყო. მაშინ იარაღის შესყიდვასთან დაკავშირებით ბევრი უცნაური რაღაცა ხდებოდა.

უნდა ვივარაუდოთ, რომ ამის საქმის კურსში იყო მაშინდელი პრეზიდენტი. სხვანაიარად არ ხდება ასეთი შესყიდვები. როგორც მახსოვს, ამ უკანონო ბიზნესში ჩართული იყვნენ სხვა ადამიანები, მათ შორის პრეზიდენტის ბიძა და ბიძაშვილი. თუკი ისრაელში მიმდინარე გამოძიება ლოგიკურ დასასრულამდე მივიდა, ეს გახდება საფუძველი იმისა, რომ საქართველოში დაიწყოს გამოძიება იმიტომ, რომ აქ საქმე ეხება საბიუჯეტო სახსრებს. კეზერაშვილიდან ვისზე გავლენ, ეს კიდევ ცალკე თემაა", - აცხადებს გია ხუხაშვილი. (for.ge)

facebook



**დოდონა კიზირია** 13 მაისი

წავიკითხე პაატა ბურჭულაძის „განცხადება.“ ესეც ირაკლი ალასანიას მსგავსად რომ რუსული პროექტია, ყოველი აბზაციდან გაჰკივის. მინდა რამდენიმე პუნქტი აღვნიშნო ამ განცხადებასთან დაკავშირებით. 1. თავს დავდებ, რომ განცხადება მისი დაწერილი არ არის. ამდენი ქართული ბურჭულაძემ არ იცის. არც რომელიმე სხვა ენა ისე, რომ რაიმე აზრი კვალიფიცირებულად ჩამოაყალიბოს. არც პოლიტიკურ „ნოუ-ჰაუ“-ზე აქვს წარმოდგენა, რათა საჭირო აქცენტები გააკეთოს. ვიღაცამ ზოგი სააკაშვილის, ზოგი სხვა პარტიის ლიდერების განცხადებებიდან შეუკოწიწა ეს ტექსტი, თან ისე ფრთხილად, რომ რუსეთის თემა საერთოდ არ არის ნახსენები. რუსი ბანისთვის, ეს ნამდვილად ფეთქებადი საკითხია. 2. ბრწყინვალეა შემდეგი ფრაზა - როცა ‘იავნანას’ ფონდი შევქმენი, გავხდი ნიჭიერი და გულწრფელი ადამიანების ერთად შეკრების, მათთან ერთ გუნდში ყოფნისა და მუშაობის სპეციალისტი.“ „იავნანას“ ფონდში ბატონ პაატას ერთი კაპიკი არ დაუდევს საკუთარი ჯიბიდან. ამ მხრივ ბორია ივანაშვილის ღვიძლი ძმაა. ის თავის ყოფილ მეუღლეს ისეთ წვრილმანებზე ედავებოდა სასამართლოში, რომ თავის თავის პატივისმცემელმი კაცი არ იკადრებდა. ფულის მნიშვნელოვანი ნაწილი მისმა ნაცნობკოლეგებმა დადეს და უმთავრესად რუსეთში მცხოვრებლებმა. დაფიქრდით ამაზე!!! გარდა ამისა, ამ ფონდის დიდი ნაწილი საკუთრივ ბატონ პაატას საჭიროებებისთვის იხარჯებოდა. მაგალითად, მისმა ნარკომანმა ვაჟიშვილმა თავისი მდიდრული, ორ სართულად გაფენილი ბინა ვალების გამო დააგირავა. ვალის გადაუხდელობისთვის ბინა 480, 000 ფასად გასაყიდ ნუსხაში შეიტანა მაკლერ.გე-მ, მაგრამ სანამ ვინმე მოასწრებდა ყიდვას, ბინა ამ სიიდან გაქრა. ბატონმა პაატამ ეს ვალი თვითონ გადაიხადა და თავის ინტერვიუებს ამ ბინიდან იძლევა ხოლმე. აბა თუ მიხვდებით, საიდან გადაიხადა მან ეს უზარმაზარი თანხა? სწორია! ფონდიდან „იავნანა“. ავადმყოფი ბავშვებისთვის და გაჭირვებულებისთვის ბატონი პაატა სიმბოლურ პატარ-პატარა საჩუქრებს იყიდის. აბა იმიტომ კი არ გახდა ამ ფონდის დაარსებით სპეციალისტი, რომ ფული მათ დაახარჯოს. ეჭვი ნუ გექნებათ, მისი პოლიტიკური კამპანიაც აქედან დაფინანსდება.

**მანანა შეროზია** – უკვე ქველმოქმედების მეშინია...არადა რა რუდუნებით ვრიცხავდი ფონდში, რამდენიც მიტირია....უკვე ქველმოქმედების მეშინია....ისე პაატას გამონათქვამებით კი უნდა შეგვპარვოდა ეჭვი, მარა რა ვიცი ზომბირდები ალბათ ადამიანი....

**ია განუგრავა** - ამერიკაში გავიგე მისი დაფინანსების წყარო რუსეთიდან რომ მოდის, მისი პირველი პირიდან.როგორც ჩანს პუტინმა ბიძინასგან ვერ მიიღო მისალები და ბანი შემოუშვა. ისე იავნანაში ერთი გარეწარი "ქველმოქმედი" კარგად ვიცი ვინც არის, შესაბამისად წესიერი კაცი ასეთებს არ და იყენებდა გვერდით..

## ისრაელი კორუფციულ სქემას იძიებს, რომელშიც კეზერაშვილი ფიგურირებს



ისრაელში ყოფილი გენერალი გალ ჰირში დაკითხეს, რომელსაც სხვა ბრალდებებთან ერთად, საქართველოს თავდაცვის ყოფილი მინისტრის დავით კეზერაშვილისთვის ქრთამის მიცემა ედება ბრალად. ინფორმაციას **Democracy & Freedom Watch**-ი ებრაულ გამოცემა **Haaretz**-ზე დაყრდნობით ავრცელებს.

როგორც გამოცემა წერს, ჰირში ებრაული არმიის ბრიგადის გენერალი იყო სანამ საკუთარ კომპანიას – **Defensive Sheild**-ს დააარსებდა.

ის და მისი კომპანიის კიდევ ოთხი მაღალჩინოსანი სამშაბათს რამდენიმე საათის განმავლობაში იკითხებოდნენ საქართველოში გაფორმებული კონტრაქტების თაობაზე, რომლებთან დაკავშირებითაც გამოძიებას ქრთამის, თაღლითობის, ფულის გათეთრებისა და გადასახადებიდან თავის აცილების ეჭვი აქვს.

2015 წლის სექტემბერში ჰირშმა ისრაელის პოლიციის უფროსის პოსტიდან თავისი კანდიდატურა მოხსნა იმ სკანდალის გამო, რომელშიც **Defensive Shield** და დავით კეზერაშვილი ფიგურირებდნენ.

**Haaretz**-ის ინფორმაციით, ისრაელის პოლიციას ეჭვი აქვს, რომ **Defensive Sheild**-მა თაღლითობისა და ქრთამის საშუალებით მოიპოვა ათობით მილიონი დოლარის ღირებულების კონტრაქტები. ხოლო პირი, რომელსაც სავარაუდოდ ქრთამი მისცეს, არის დავით კეზერაშვილი. პოლიციის ვერსიით, ქრთამის გადაცემა კეზერაშვილის მეგობრის საშუალებით ხორციელდებოდა, რომელიც ჰირშს იცნობს.

ასევე, პოლიციას აქვს ეჭვი, რომ ერთ-ერთი პროექტის ფარგლებში კომპანიის ხელმძღვანელებმა მიიღეს იმაზე მეტი თანხა, ვიდრე მათ ეკუთვნოდათ.

როგორც **Democracy & Freedom Watch**-ი წერს, დავით კეზერაშვილი ენმ-ს ხელისუფლების დროს თავდაცვის მინისტრი იყო და მას საქართველოს პროკურატურა სხვადასხვა დანაშაულისთვის ეძებს. მისი სახელი ფიგურირებს პანამის დოკუმენტებშიც, რომელიც ნათელს ჰფენს იმ გარემოებას, თუ როგორ გახდა ის ოლიგარქი. ამასთან დაკავშირებით **DFwatch**-მა სტატია მოამზადა.

ამჟამად კეზერაშვილი დიდ ბრიტანეთში იმყოფება. ლონდონის სასამართლომ უარი განაცხადა საქართველოსთვის მის გადაცემაზე. ლონდონის სასამართლოს აქვს ეჭვი, რომ მის წინააღმდეგ წაყენებული ბრალდებები პოლიტიკურად მოტივირებულია და „მიმდინარე პოლიტიკური გასამართლებების" ნაწილია. (news.ge)

## ლეონიდ ჩერნოვეცკი პოლიტიკურ საქმიანობას წყვეტს



პარტია „ბედნიერი საქართველოსთვის" ლიდერი ლეონიდ ჩერნოვეცკი პოლიტიკურ საქმიანობას წყვეტს. ამის შესახებ, პარტიის შტაბის უფროსმა გიორგი ქვრივიშვილმა „აჭარის ტელევიზიასთან" სატელეფონო კომენტარის დროს განაცხადა.

ქვრივიშვილის თქმით, ჩერნოვეცკის გადაწყვეტილება არ უკავშირდება ყოფილ პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილთან შეხვედრას.

– ვაჩერებთ საქმიანობას, ლეონიდ ჩერნოვეცკი პოლიტიკური ფიგურა აღარ იქნება დღეიდან. ჩერნოვეცკის გადაწყვეტილება ბიძინა ივანიშვილთან შეხვედრას არ უკავშირდება, - განაცხადა ქვრივიშვილმა. (news.ge)

## არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად ცესკოს 13-მა პოლიტიკურმა პარტიამ უკვე მიმართა




საქართველოს პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობის სურვილი 13-მა პოლიტიკურმა პარტიამ უკვე ოფიციალურად გამოხატა. როგორც ცენტრალური საარჩევნო კომისიაში ამბობენ, მათ რეგისტრაციის მიზნით, ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე შეიტანეს ცესკოში განაცხადები.

საარჩევნო ადმინისტრაციამ 15 მაისის მდგომარეობით ორი პოლიტიკური ორგანიზაცია დაარეგისტრირა: „სახალხო ხელისუფლება" და „სამართლიანობის აღდგენის კავშირი ხმა ერისა: უფალია ჩვენი სიმართლე"; დანარჩენი პარტიები ამ ეტაპზე რეგისტრაციისთვის საჭირო პროცედურებს გადიან, რაც მოიცავს მხარდამჭერთა ხელმოწერების შეგროვების, წარდგენისა და შესაბამისი დოკუმენტების შემოწმების ეტაპებს.

– აღსანიშნავია, რომ პოლიტიკურ ორგანიზაციებს, რომლებმაც ბოლო საპარლამენტო არჩევნებისას, პროპორციული სისტემით მოიპოვეს პირველი სამი ადგილი (ბლოკის შემთხვევაში, ჩამონათვალში რიგით პირველ პარტიას), უფლება აქვთ, დაიტოვონ წინა საპარლამენტო არჩევნებისთვის მიკუთვნებული რიგითი ნომერი ან აირჩიონ არჩევნებში დაკავებული ადგილის შესაბამისი რიგითი ნომერი, რის შესახებაც უნდა აღნიშნონ რეგისტრაციის მოთხოვნის შესახებ განაცხადში. ყველა სხვა პოლიტიკურ გაერთიანებას რიგითი ნომერი წილისყრით მიენიჭება, - ნათქვამია ცესკოს მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

ცენტრალური საარჩევნო კომისია პოლიტიკურ პარტიებს, რომლებსაც საქართველოს პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობა სურთ, მიმართავს, დროულად განახორციელონ აღნიშნული უფლების მოსაპოვებლად ყველა საჭირო პროცედურა. (ინტერპრესნიუსი)

აქ თქვენი რეკლამის ადგილია

577 44 44 42

იყიდება უსწრაფესი, 9-კაციანი კატერი **YAMAHA AR210**, 2006 წლის, კარგ მდგომარეობაში. 2 სტაციონარული „ვადამიოტნი", 210 ცხენის ძალიანი ძრავით (ბენზინი). სიგანე – 2,5 მეტრი, სიგრძე – 6,4 მეტრი, წონა – 975 კგ. სპეც.ზღვის ნავიგაციით, სტაციონარული რაციით, გადასაყვანი ტრაილერით. მოძრაობს 40 სმ წყალშიც კი.

მდებარეობს ფოთში.

ფასი – 27 000 დოლარი

ტელეფონი: 599 50-39-97



## გიორგი უდესიანს სასამართლომ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდა



ბიზნესმენ გიორგი უდესიანს თბილისის საქალაქო სასამართლომ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდა. აღნიშნული გადაწყვეტილებით მოსამართლემ ნაწილობრივ დააკმაყოფილა პროკურატურის შუამდგომლობა, რომელიც ასევე, პატიმრობის შეფარდებას ითხოვდა მეორე ბრალდებულისთვის, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №8 საპყრობილის ყოფილი დირექტორ ალექსანდრე მუხაძისთვის.

შეგახსენებთ, პროკურატურამ კუსტბის წილების იძულებით დათმობის მიზნით, ბიზნესმენ ბესარიონ ხარძიანის წამებისა და ქონების გამოძალვის ფაქტზე უდესიანისა და მუხაძის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყების შესახებ 5 მაისს განაცხადა.

– ბრალდების მხარე მივიჩნევდით, რომ არსებობდა საკმარისი საფუძველი იმისთვის, რომ ორივე ბრალდებულთან მიმართებაში გამოყენებული ყოფილიყო პატიმრობა. სასამართლომ ნაწილობრივ გაიზიარა ჩვენი პოზიცია. გიორგი უდესიანის მიმართ მის დაუსწრებლად გამოტანილი იქნა პატიმრობა. ხოლო იმის გათვალისწინებით, რომ ალექსანდრე მუხაძე არაერთ სხვა სისხლის სამართლის საქმეზე მიცემულია პასუხისგებაში, ასევე, არსებობს მის მიმართ გამოტანილი განაჩენი, სადაც მას მისჯილი აქვს 9 წლით თავისუფლების აღკვეთ, ამ გარემოებებზე დაყრდნობით სასამართლომ არ დააკმაყოფილა ალექსანდრე მუხაძის ნაწილში ბრალდების მხარის შუამდგომლობა, - განაცხადა პროკურორმა ამირან გულუაშვილმა. (news.ge)

## ნასას ექსპერტების მონაცემებით, მომავალი 12 თვის განმავლობაში ჰაერის ტემპერატურა უმაღლეს რეკორდს დაამყარებს




ნასას მიერ გამოქვეყნებული ანგარიშის მიხედვით, გასული თვე ყველაზე ცხელი აპრილი იყო. აერონავტიკისა და კოსმოსური სივრცის კვლევის ეროვნული სამმართველოს ინფორმაციით , აპრილი ერთ-ერთია იმ ექვს თვეს შორის, რომლის ტემპერატურის უმაღლესმა მაჩვენებელმაც 1951-1980 წელს დაწესებულ საშუალო მონაცემს, სულ მცირე, ერთი პროცენტით გადააჭარბა.

ექსპერტების განმარტებით, ანგარიში, რომელსაც ნასა მომავალ კვირასაც გამოაქვეყნებს აჩვენებს, რომ მომავალი 12 თვის უმაღლესი ტემპერატურა რეკორდს დაამყარებს და აქამდე არსებულ ყველა მონაცემს გადააჭარბებს.

– მონაცემები საშიშ ზღვარს უახლოვდება, აქედან გამომდინარე, მომავალი პროგნოზების გაკეთება მიჭირს. ვიცოდით, რომ ელ-ნინიო გარემო პირობებზე საგრძნობ გავლენას მოახდენდა, თუმცა მსგავს ნახტომს არავინ ელოდა, - განაცხადა მეტეოროლოგმა ერიკ ოლტაუსმა.

ერიკ ოლტაუსის თქმით, ტემპერატურის მატება გარემოზე უარყოფით ზეგავლენას მოახდენს, რაც თავის მხრივ ადამიანის ქმედების შედეგია. (ინტერპრესნიუსი)

## პოლიცია მოქალაქეებს მოუწოდებს არ გამოიყენონ „ფეისბუკის" ემოციები




ბელგიის პოლიცია საკუთარ მოქალაქეებს აფრთხილებს, პირადულობის დაცვის მიზნით, არ გამოიყენონ „ფეისბუკის" ახალი ემოციები.

თებერვალში სოციალურმა ქსელმა პოსტზე რეაქციის გამოსახატად, მოწონების ღილაკის გარდა, მომხმარებლებს ექვსი ემოცია შესთავაზა.

– გარდა იმისა, რომ ღილაკი საკუთარი გრძნობების გამოხატვის საშუალებას გაძლევთ, ამავე დროს ის ეხმარება „ფეისბუკს", განსაზღვროს თქვენს პროფილზე შემოთავაზებული რეკლამების ეფექტურობა, - წერია ბელგიის პოლიციის ვებგვერდზე.

„ფეისბუკის" ალგორითმი გაიგებს, როდისაა ესა თუ ის მომხმარებელი კარგ ხასიათზე და აარჩიოს საუკეთესო დრო, როდის და პროფილის რა ადგილას შესთავაზოს მას რეკლამა - აცხადებენ ბელგიის პოლიციაში.

ახალი ემოციების დამატების შემდეგ, „ფეისბუკმა" მართლაც დაადასტურა, რომ მაგალითად, თუ მომხმარებელი პოსტზე გაბრაზების ემოციას გამოხატავს, საიტი მას სხვა მსგავს პოსტებსაც შესთავაზებს. (1tv.ge)

## გველმა მამაკაცი საკუთარ მანქანაში დაკბინა



გურჯაანში გველმა მამაკაცი დაკბინა. თვითმხილველების თქმით, კოსტავას ქუჩიდან მომავალი ნაცრისფერი „ოპელი" საერთო საცხოვრებელთან გაჩერდა და იქიდან ორი შეშინებული მგზავრი გადმოხტა. როგორც ისინი ამტკიცებდნენ, მანქანაში ქვეწარმავალი დაინახეს. გველმა 45 წლის მამაკაცის დაკბენა მაინც მოასწრო. ის საავადმყოფოში საკუთარი ფეხით მივიდა.

ავტომობილი მთელი ღამის განმავლობაში ქუჩაში იყო გაჩერებული, რადგან მასში ჩასხდომა ველარ გაბედეს.

როგორც თვითმხილველები ამბობენ, დილით დაბრუნებულმა მძღოლმა მანქანაში „გოგირდი დააბოლა" და ტრანსპორტით სახლში ისე დაბრუნდა. (speqtri.ge)

## შსს - ბათუმში მომხდარ მკვლელობაში ეჭვმიტანილის ვინაობა დადგენილია



ბათუმში, 6 მაისის პარკში მომხდარი მკვლელობა ცხელ კვალზე გაიხსნა, - ამის შესახებ შინაგან საქმეთა სამინისტროში აცხადებენ. პრესსამსახურის ინფორმაციით, დადგენილია დანაშაულის ჩამდენი პირის ვინაობა და მის დასაკავებლად ოპერატიული სამძებრო ღონისძიებები მიმდინარეობს. მომხდართან დაკავშირებით გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე განზრახ მკვლელობის მუხლით მიმდინარეობს.

14 მაისს, 35 წლის მამაკაცი პარკის შესასვლელთან მანქანაში ჩაცხრილეს. მამაკაცმა მანქანით ცოლსა და შვილებს მიაკითხა, რა დროსაც ცეცხლი გაუხსნეს და რამდენჯერმე ესროლეს. დაჭრილი მისივე მანქანით საავადმყოფოში წაიყვანეს, თუმცა ის გზაში გარდაიცვალა. მამაკაცს ჭრილობები მუცლის, ორივე ბარძაყისა და დუნდულის არეში აღენიშნებლოდა. (ინტერპრესნიუსი)

## „ევროვიზიის" გამარჯვებული უკრაინელი ჯამალა გახდა

„ევროვიზიის" 61-ე კონკურსის გამარჯვებული უკრაინელი ჯამალა გახდა.

მეორე ადგილი ავსტრალიამ დაიკავა, ხოლო მესამე ადგილზე რუსეთი გავიდა. რაც შეეხება საქართველოს, ნიკა კოჩაროვი და ჯგუფი **Young Georgian Lolitaz** მე-20 ადგილზე გავიდნენ.

აღსანიშნავია, რომ ჟიურის ყველაზე მაღალი შეფასება — 12 ქულა მათ დიდი ბრიტანეთისგან მიიღეს.

ევროვიზიის სიმღერის რიგით კონკურს შვედეთი მასპინძლობდა. (kvira.ge)

## სახალხო დამცველი: საზოგადოებრივი თავშეყრის დახურულ ადგილებში თამბაქოს მოწევა სრულად უნდა აიკრძალოს



– მნიშვნელოვანია, რომ ხელისუფლებამ თამბაქოს კონტროლის პოლიტიკის გატარებისას პრიორიტეტად აღიაროს მოქალაქეთა ჯანმრთელობა და ადამიანის სიცოცხლის დაცვა, უზრუნველყოს ყველა პირის უფლება თამბაქოს კვამლისგან თავისუფალ ჰაერზე და პასიური წევის მავნე ეფექტებისგან დაცულობაზე, განამტკიცოს თამბაქოს მოხმარების გავრცელების ყოველწლიური შემცირების აუცილებლობა საზოგადოების ყველა სექტორში, - ამის შესახებ საქართველოს სახალხო დამცველის 2015 წლის საპარლამენტო ანგარიშშია ნათქვამი. – 2006 წლის 15 მაისს საქართველოსათვის ძალაში შევიდა ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის თამბაქოს კონტროლის ჩარჩო კონვენცია, რომელიც აღიარებს, რომ თამბაქოს ეპიდემია წარმოადგენს გლობალური მნიშვნელობის პრობლემას, რომელსაც სერიოზული მავნებლობა მოაქვს ჯანმრთელობისათვის და საჭიროებს ფართომასშტაბიანი საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებას და ყველა ქვეყნის მონაწილეობას საერთაშორისო დონეზე ეფექტური და ყოვლისმომცველი რეაგირების ზომების გატარებაში.

საზოგადოებრივი თავშეყრის ყველა დახურულ ადგილასა და საზოგადოებრივ ტრანსპორტში სრულად უნდა აიკრძალოს თამბაქოს მოწევა, რათა მაქსმალურად იქნეს უზრუნველყოფილი თამბაქოსგან თავისუფალი გარემოს შექმნა, - ნათქვამია სახალხო დამცველის ანგარიშში. (news.ge)

## ბორის ჯონსონი: ევროკავშირი ჰიტლერისა და ნაპოლეონის გზას განაგრძობს




ლონდონის ყოფილი მერი ბორის ჯონსონი ევროკავშირის კრიტიკას განაგრძობს. „კონსერვატიული პარტიის" წარმომადგენლისა და გაერთიანებული სამეფოს ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი პოლიტიკოსის განმარტებით, ევროკავშირი ჰიტლერისა და ნაპოლეონის გზას განაგრძობს და ევროპის გაერთიანებას ცდილობს.

– ჰიტლერმა და ნაპოლენმა ევროპის გაერთიანება ვერ შეძლეს თუმცა, შემიძლია ვთქვა, რომ ევროკავშირი იმავე მიზანს ემსახურება, რომლის განხორციელებასაც სხვა გზებით ცდილობს, - აღნიშნული განცხადება ბორის ჯონსონმა შუნდაყ თელეგრაპჰ-თან ინტერვიუში გააკეთა.

„ლეიბორისტული პარტიის" წევრმა ივეტ კუპერმა ჯონსონი „უსამართლო თამაშების" წარმოებაში დაადანაშაულა და აღნიშნა, რომ არ შეიძლება ორგანიზაცია, რომელიც მშვიდობის უზრუნველყოფას ცდილობს, შეადარო დიქტატორს, რომელიც მილიონობით ადამიანის გენოციდზეა პასუხისმგებელი.

გაერთიანებულ სამეფოში რეფერენდუმი 23 ივნისს ჩატარდება. მოსახლეობამ უნდა გადაწყვიტოს, დარჩება თუ არა დიდი ბრიტანეთი ევროკავშირის შემადგენლობაში. (ინტერპრესნიუსი)

## „შევხვდი ივანიშვილს და მე ვერ მოვისმინე არგუმენტები ნატოსთან დაკავშირებით - მეჭიაური



„ქართული ოცნების" ყრილობის შემდეგ თამაზ მეჭიაური პირველ განმარტებებს აკეთებს. პარტიის ერთ-ერთი სახე და საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე ბიძინა ივანიშვილთან შეხვედრის შედეგებზე საუბრობს.

– მეტისმეტად ოპტიმისტურია ბატონი პრემიერის და ყოფილი პრემიერის, ბატონი ბიძინა ივანიშვილის იმედები, რომ ჩვენ გავერთიანდებით და შევალთ ნატოში. არ ვიცი, რას ემყარება ეს ოპტიმიზმი. ამისათვის შევხვდი ბატონ ბიძინა ივანიშვილს ყრილობის დაწყებამდე. მისგან ვერ მოვისმინე არგუმენტები და დავრჩი ჩემს აზრზე. კიდევ შევხვდები ბატონ კვირიკაშვილს და არ შევუქმნი მათ დისკომფორტს იმ გადაწყვეტილებების მიღებაში, რაც უნდა მიიღოს პარლამენტმა მიუხედავად იმისა, რომ ბოლო პერიოდში მყიფე უმრავლესობა გვაქვს, - განაცხადა მეჭიაურმა. (ნიუპოსტი)

facebook



Facebook ამბები

სოსო მანჯავიძე

80-იანი წლები გემახსოვრებათ.

საბჭოთა აკრძალვა კერძო საკუთრებაზე და ბიზნესზე მოიხსნა,გამოუცდელობამ დ იდეალისტურმა მიდგომებმა სულელური იდეები წარმოშვეს,რომელთა ტყვეობაში თქვენი მონა-მორჩილიც არაერთგზის ყოფილა.

ერთი ასეთი სერპანტერიუმის მოწყობა გახლდათ,რისთვისაც ამ იდეის მთავარ გენერატორთან ერთად თბილისის უნივერსიტეტთან არსებულ სერპენტარიუმს ვეწვიეთ .გამოცდილების გასაზიარებლად.

იქ საქმის ნამდვილი ფანატიკოსები დაგვხვდნენ.ერთ-ერთს დისერტაცია გიურზის შხამის მოქმედებაზე ჰქონდა დაცული, აკბენინა და რეაქციები აღწერა. კინაღამ მოკვდა ,ძლივს მოასწრეს ანტიდოტის გაკეთება.

ჩვენი მისვლა მათი ერთ-ერთი საყვარელი გველის სადილს დაემთხვა,რომელსაც თეთრი თაგვი შეუგდეს გალიაში და სასოებით უყურებდნენ,რომ წარმატებით შეეჭამა,თან ნერვიულობდნენ,რომ კბილი არ მოეტეხა.

შევწუხდი ამის მნახველი ,მაგრამ მთავარი წინ იყო.

როგორც მომავალ კოლეგებს,სპეციალისტებმა საქმის სირთულეები გაგვაცნეს. კერძოდ, ხელოვნურ პირობებში რეპტილიების შენახვის მთავარი პრობლემა თურმე იმაშია,რომ ისინი ტყვეობაში საჭმელს ვერ ინელებენ და დახმარებაა საჭირო.

შემდეგ ეს დახმარებაც გვაჩვენეს და ყაბზობით დატანჯულ გიურზას ოყნა გაუკეთეს.

რა თქმა უნდა, თავი სპეციალური ორკაპით დაუფიქსირეს.

არასოდეს დამავიწყდება ამ მრისხანე უხსენებლისთვის ჩატარებული პროცედურა.

სრულ გაუგებრობაში იყო, ის რაც მის თავს ხდებოდა, ნამდვილად ცდებოდა ყველაფერს,რაც მას და მის სახეობის რომელიმე წარმომადგენელს შეიძლება მოსვლოდა.

ცხადია, თავს შეურაცხყოფილად გრძნობდა და ვერ ხვდებოდა,რომ ეს პროცედურა მისთვის სასიკეთო იყო.

ასევე ნიკა გვარამია და მისი თანამოაზრეებიც,ვერ ხვდებიან, რომ ის ბროწეულის ოყნები, რომელსაც უშხაპუნებენ, მათთვის სასიკეთოა.

რეაქციებიც იმ გიურზას უგავთ-სისინებენ, იკლაკნებიან, ცდილობენ ორკაპისგან თავი გაითავისუფლონ და მათზე მზრუნველ მკურნალს უკბინონ.

მთავარია, ორკაპით სწორად დაუფიქსირდეთ შხამიანი თავი.

მანიპულაცია შეიძლება მტკივნეულიც იყოს,თუმცა გადაიტანენ-უარესები გადაუტანიათ.

ისე,იმ მეცნიერის გამოცდილებაც არაა უცხო ჩვენთვის ამდენი წელია ამ უხსენებლებს ვაკბენინებთ თავს და რეაქციებს აღვწერთ.

სიფრთხილეა საჭირო, შეიძლება უხარისხო ანტიდოტი შემოგვაპარონ.

---



ნინო სამხარაძე
599 71-14-22

# „ეს ყრილობა კი არა,

## „ერთი სიტყვა არ უთქვამთ, რა უნდა ხალხს და რას მათ... ეს ყრილობა არ იყო ხალხზე ორიენტირებული,



„უნდა ჩანდეს, როგორ ზრუნავს მმართველი პარტია ადამიანებზე, ჩვენ უნდა ვხედავდეთ მათ ფიქრისგან დაღლილებს და არა, ახუნტრუცებულ-აჟიტირებულებს“






„კი არის „ქართული ოცნება“ პრეზიდენტით უკმაყოფილო, მაგრამ რომ არა მარგველაშვილი, ბევრ უკანონობას ექნებოდა მწვანე ანთებული“

14 მაისს „სპორტის სასახლეში“ „ქართული ოცნების“ კორდე-ბალეტი გაიმართა. ეს არ იყო პარტიული ყრილობა, ეს გახლდათ ზეიმი. ჩვენ ვერ მოვისმინეთ პარტიის ლიდერებისგან სიახლე, რა საარჩევნო პროგრამით აპირებენ, წარდგნენ ამომრჩეველთა წინაშე. ვერ მოვისმინეთ საუბარი იმ პრობლემებზე, რაც ხალხს აწუხებს, ვერ ვნახეთ პოზიცია, რითი აპირებენ ხალხის გულის მოგებას. სამაგიეროდ, ვნახეთ, უცვლელი შემადგენლობა ხელოვნების, სპორტის და ბიზნესელიტის წარმომადგენლებისა, ვინც მუდმივად ახლავს ყველა ხელისუფლებას — შევარდნაძის, სააკაშვილისა და ივანიშვილის. ერთადერთი სიახლე არის ის, რომ 21-კაციანი პოლიტსაბჭოს შემადგენლობა აირჩიეს. რაც მთავარია, სიაში გარანტირებული ადგილი ექნებათ — ეკა ბესელიას, მანანა კობახიძეს, გია ვოლსკის, ზვიად კვაჭანტირაძეს, ირაკლი ტრიპოლსკის, გოგი ჭიჭინაძეს. დავით საგანელიძე კვლავ ფავორშია, ასევე ნოდარ ხადური. რაც შეეხება ახალ სახეებს, ესენი გახლავთ — სახელმწიფო მინისტრი დავით ბაქრაძე, „ახალი მემარჯვენეების“ დამფუძნებელი დავით კოლუაშვილი, პარტია „ქართული ოცნების“ ოფიციალური თავმჯდომარე გიორგი კვირიკაშვილი, როგორც ჩანს, ყოფილ პარტიას ეყრდნობა და წევრებიც „ახალი მემარჯვენეებიდან“ მოჰყავს. შეგახსენებთ, რომ გიორგი კვირიკაშვილი კოლუაშვილთან ერთად პარტია „ახალი მემარჯვენეების“ დამფუძნებელია. პარტიისთვის ახალი სახეა ასევე იურისტი, სამართლის დოქტორი, ორგანიზაცია „ადვოკატთა“ ალიანსის თავმჯდომარე მამუკა მდინარაძე, თუმცა მასზე არსებობს კომპრომატი და ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისია იხილავს მისი გადაცდომების საკითხს. ინტელექტუალური კლუბის „რა? სად? როდის?“ წევრი ირინა ფრუიძე, ამჟამად ევროკავშირის პროგრამების დეპარტამენტის უფროსი რომან კაკულია, შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის პრორექტორი სოფიო კილაძე, სხვათა შორის მასთან ორჯერ მქონდა ინტერვიუ და ინტელექტუალური ქალბატონია, რომელიც არაერთი კანონპროექტის ავტორია. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის წამყვანი მკვლევარი — აკაკი ზოიძე, საქართველო საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე — ზვიად გონაძე, რომლის სახელი და გვარი თქვენთან ერთად მეც პირველად გავიგე, მიუხედავად მისი მაღალი პოსტისა.

იურისტი ვალერი გელბახიანი ჩვენთან ინტერვიუში ტრადიციას არ ღალატობს და საკმაოდ საინტერესო ექსკლუზიურ ინფორმაციებს გვიმხელს, რატომ არ მივიდა ამ შეხვედრაზე პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი, რომელსაც მოსაწვევი გაუგზავნეს. შეგახსენებთ, რომ დავით უსუფაშვილი ირაკლი ალასანიას პარტიის ყრილობაზე „რესპუბლიკური პარტიის“ სრული შემადგენლობით მივიდა და ხანგრძლივი სიტყვითაც გამოვიდა, ალასანიას დაუმტკიცა პოლიტიკური მეგობრობა, და ეს მაშინ, როცა ალასანია უკვე ოპოზიციაში იყო გადასული და ხელისუფლებას ბრალს სდებდა ევროპული კურსის ღალატში. მაშ, რა ხდება ახლა, ვინ ვის ღალატობს?

„ალია“ ვალერი გელბახიანს ესაუბრა:

**— ბატონო ვალერი, ყრილობაზე ბევრი ისეთი ადამიანი ვნახეთ, ვისაც ცალი ფეხი ოპოზიციაში აქვს, ასევე ვნახეთ უთავმოყვარეო ე.წ. „ინწილიგენცია“, რომელიც ყველა ხელისუფლებას ფასადად ამშვენებს. რა შთაბეჭდილება დაგრჩათ?**

– ეს ყრილობა კი არა, ტაშ-ფანდური იყო. ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება, ეს ტაში და ჟრიამული „კომკავშირიდანაც“ კარგად გვახსოვს, კომუნისტური პარტიის ყრილობებიდანაც გვახსოვს, კიდევ ერთხელ გაგვახსენეს, რომ მისავიწყებელი არ იყო ეს. მისავიწყებელი არ იყო პარტიული ყრილობები, რომელიც საბჭოთა კავშირის დროს იმართებოდა. ყრილობა ტარდება და პარტია არ აცხადებს თავის სტრატეგიულ გეგმებს, არ საუბრობს ეკონომიკური მიმართულებით, არ საუბრობს იმაზე, რატომ შეიქმნა ამ ოთხი წლის განმავლობაში მძიმე სოციალურ-ეკონომიკური ფონი, რატომ არ წავიდა წინ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, რატომ გარბიან საქართველოდან ადამიანები, ბიზნესი არ ვითარდება, ფული არ ბრუნავს, რატომ არის უკმაყოფილება საზოგადოებაში. პარტიის ლიდერები ხშირად ხმარობენ ტერმინს – „დემოკრატიული გამჭვირვალობა“, ეს იმას ნიშნავს, რომ დემოკრატიული პრულარიზმი ყრილობაზე უნდა იყოს წარმოჩენილი, უნდა ჩანდეს, როგორ ზრუნავს მმართველი პარტია ადამიანებზე, ჩვენ უნდა ვხედავდეთ მათ ფიქრისგან დაღლილებს და არა ახუნტრუცებულ-აჟიტირებულებს. მათ უნდა შემოგვთავაზონ პრობლემების დაძლევის გზები. ერთი სიტყვა არ უთქვამთ, რა უნდა ხალხს და რას სთავაზობენ, საუბარი იყო მხოლოდ იმაზე, რა უნდათ მათ. ჩვენ ვნახეთ 21-ე საუკუნეში საბჭოთა ევროპა და ტაშ-ფანდური. რა ვერ გავიგე, იცით?

ყველა მთავრობაში როგორ უნდა იჯდეს ერთი და იგივე ინტელიგენცია, ერთი და იგივე სახეები, როგორ შეიძლება ყველა ყრილობაზე მათ პატიჟებდნენ. შევარდნაძის დროსაც ისინი იყვნენ, მიშას დროსაც, ახლაც და ალბათ, მომდევნო ხელისუფლების დროსაც ანტურაჟად ეს ე.წ. „ინტელიგენცია“ იქნება წარმოდგენილი.

ჯერ ერთი, თუ ყრილობაა, რა უნდა იქ მსახიობს, სპორტსმენს, ბიზნესმენს, ბანკირს. ყრილობა ნიშნავს იმას, რომ პარტიას რა პრობლემები და საზრუნავიც აქვს, იქ უნდა განიხილოს. ამათ პრობლემებზე კი არ ისაუბრეს, ადგნენ და პირდაპირ დაამტკიცეს პარტიის თავმჯდომარე.

**— პარტია „ქართული ოცნების“ ყრილობაზე მიწვეული იყო ოპოზიციონერი, მათი პარტნიორი „რესპუბლიკური პარტია“, მაგრამ უსუფაშვილმა ზურგი აქცია, მაშინ, როცა ალასანიას პარტიულ ყრილობაზე მთავარი ფიგურანტი იყო. რატომ?**

– ეჭვი არ მეპარებოდა, რომ „რესპუბლიკური პარტიის“ ლიდერები ამ ყრილობაზე არ მივიდოდნენ, ეს იყო ჩვეულებრივი სამთავრობო ზეიმი, სადაც დაიხარჯა სახელისუფლებო რესურსი. „ქართული ოცნების“ ლიდერებმა საკუთარ თავებს დაუსვეს კითხვა, – რა სიახლე შესთავაზეს ამომრჩეველს.

**— სხვათა შორის, ყველა სფეროს წარმომადგენელი იყო მიწვეული, მათ შორის პოლიტიკური პარტიები, გარდა პრეზიდენტისა. პრემიერმა განაცხადა, — ჩვენ სხვა პოლიტიკურ კულტურას ვამკვიდრებთ და ამ ასპექტში პრეზიდენტის ადგილი არ იყოო...**



ექსპერტი

– არანაირ პოლიტიკურ კულტურას ეგენი არ ამკვიდრებენ, საბჭოთა სცენარს იმეორებენ ერთი-ერთში, ის, რაც დრომოჭმულია და ისტორიამ დაამტკიცა, რომ ეს იყო უაზრობა და სიყალბე, ზუსტად იგივე შემოგვთავაზა „ქართულმა ოცნებამ“. ამ ყრილობაზე მხოლოდ ის ვნახეთ, რომ ახალი სახეები დაემატათ, რაც შეეხება პრეზიდენტის მოწვევა-არმოწვევის საკითხს, თუ ეს უნდა ყოფილიყო პარტიული ყრილობა, სადაც იმსჯელებდნენ პრობლემებზე, იქ არც არავინ არ უნდა მიეწვიათ, მაგრამ თუ პომპეზურ სანახაობას სთავაზობ ხალხს, როგორც სამთავრობო ძალის დემონსტრირებისა და იწვევ მსახიობს, ბიზნესმენს, სპორტსმენს, პოლიტიკურ პარტნიორ პარტიას, მაშინ რატომ არ იწვევ პრეზიდენტს? მაგალითად, რატომ არ იყო მიწვეული დიპლომატიური კორპუსი, საკონსტიტუციო და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეები, ან რატომ არ იყო მიწვეული საზოგადოების ის ნაწილი, ვისაც კრიტიკული აზრი გამოუთქვამს მათზე... ისინი რა, საზოგადოების ღირსეული წევრები არ არიან?!. ეს ყრილობა არ იყო ხალხზე ორიენტირებული, არამედ ეს იყო თვითკმაყოფილების ზეიმი.

**— პოლიტსაბჭოს წევრებზე რას იტყვით, ახალი სახეები თქვენთვის ცნობილია და ნიშნავს თუ არა, რომ 21-კაციანი პოლიტსაბჭოს შემადგენლობა ავტომატურად მოხვდება პარტია „ქართული ოცნების“ საარჩევნო სიაში?**

– ვინც დასახელდა პოლიტსაბჭოს შემადგენლობაში, ყველა იქნება პარტიულ სიაში. ამ შემადგენლობის ნაწილს ვიცნობ, მაგალითად, დავით კოლუაშვილს, ის გახლავთ „ახალი მემარჯვენეების“ წევრი, იყო აქტიური პარლამენტარი, ასევე მეცნო ადვოკა-

ტი მამუკა მდინარაძე, რომელსაც სურდა, ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე გამხდარიყო და ამ პოსტზე კენჭს იყრიდა. მაშინ ამბობდნენ, რომ მამუკა მდინარაძეს ბიძინა ივანიშვილი ლობირებდა, მაგრამ არჩევნებში დამარცხდა, მიუხედავად იმისა, რომ „ოცნება“ მხარს უჭერდა. დღეს უკვე დადასტურებულად შეიძლება ითქვას, რომ მამუკა მდინარაძე იყო „ოცნების“ კანდიდატურა ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის პოსტზე.

**— სხვათა შორის, ყრილობაზე მიწვეული არ იყო თამაზ მეჭიაური, რომელსაც ნებით თუ უნებლიეთ პრემიერი და „რესპუბლიკური პარტია“ აქცევს ანგარიშგასაწევ პოლიტიკურ ფიგურად, „რესპუბლიკურმა პარტიამ“ პრემიერს ულტიმატუმი წაუყენა, მეჭიაური, ჯაჭვლიანი და მისთანები გაერიცხა „ოცნებიდან“, ხოლო პრემიერმა თავის მხრივ თქვა, რომ ვინც ევროატლანტიკურ კურსს ეწინააღმდეგებიან, ჩვენს პარტიაში მათი ადგილი არ არისო.**

**— სხვათა შორის, ამას წინათ ვუსმენდი, სოციოლოგიურ გამოკითხვასავით იყო და 10 ადამიანიდან 8 ამბობდა, რომ თამაზ მეჭიაური არის გულწრფელი, დანარჩენები არიან მატყუარები. მენიშნა, რომ ის უფრო გახდა ფიგურა და უფრო ჰყავს მხარდამჭერები, ვიდრე „რესპუბლიკურ პარტიას“ ან გიორგი კვირიკაშვილს, რომელიც ცდილობს, არც მწვადი დაწვას და არც შამფური. ის, რომ მეჭიაურს აქვს განსხვავებული აზრი, ამის გამო თავს ესხმი და აკრიტიკებ, ეს დემოკრატიისგან შორს დგას.**

აქ უფრო „რესპუბლიკური პარტიის“ გაღიზიანება იკითხებოდა, რასაც ამ შემთხვევაში აჰყვა „ქართული ოცნება“, წამოეგო და მინდა გითხრათ, რომ „ქართულმა ოცნებამ“ ბევრი რამ დაკარგა, ქართველ საზოგადოებაში დიდი ნაწილი ფიქრობდა, რომ „ქართულ ოცნებას“ აქვს რესურსი და რაც მთავარია, აქვს სურვილი, ბიძინა ივანიშვილის ფაქტორს გამოიყენებდნენ და რუსეთთან ურთიერთობას მეტ-ნაკლებად დაარეგულირებდნენ. დღეს უკვე იკითხება ერთი რამ ამ დაპირისპირების ფონზე, რომ „ქართულმა ოცნებამ“ თავის თავს გამოუტანა განაჩენი იმ ადამიანების თვალში, ვისაც ოდნავ მაინც ჰქონდა იმის იმედი, რომ საქართველოს ხელისუფლებას რუსეთთან ურთიერთობის დარეგულირებაში ჰქონდა კეთილი განზრახვები, დღეს ასეთი ამომრჩეველი „ქართულმა ოცნებამ“ უკვე დაკარგა და ეს ამომრჩეველი წავა მათკენ, ვისაც რეალურად სურს რუსეთთან ურთიერთობების აღდგენა. თუ პოლიტიკურად შევხედავთ, მეჭიაურის მიმართ თავდასხმა იყო სერიოზული შეცდომა.

**— პრემიერ-მინისტრი აცხადებს, რომ „რესპუბლიკელი“ მინისტრების შემცვლელები მოძებნილი ჰყავს, თუმცა სასურველი იქნება, ვარშავის სამიტზე ხიდაშელი წარდგეს. მაშ ასე, ელოდებით ცვლილებას და „რესპუბლიკელების“ გადაყენებას?**

– როგორც ჩანს, ეს უკვე აღარ მოხდება. სხვათა შორის, პარლამენტში ძალიან რეალურად, გადაჭარბების გარეშე იდგა საკითხი და იქმნებოდა თემატური უმრავლესობა. ახალი საარჩევნო სისტემის კანონის მიღებასთან დაკავშირებით. „რესპუბლიკელები“ გამოთქვამდნენ სურვილს, რომ ეს მოდელი ერთხელ და სამუდამოდ საქართველოში დაასრულებდა ძალაუფლების შენარჩუნების პოლიტიკური და სამართლებრივი გზით არსებობის საშუალებას. ხალხისთვის გასაგებ ენაზე რომ ვთქვათ, მაჟორიტარების ხარჯზე ვერასოდეს ვერც ერთი ხელისუფლება უმრავლესობით ვერ მოვიდოდა. ამით უკვე გარანტია ეძლეოდა ქვეყანას, ერთპიროვნული მმართველები ქვეყანას მომავალში არ ეყოლებოდა. მიუხედავად იმისა, რომ „რესპუბლიკელებმა“ ამის თაობაზე მოილაპარაკეს დანარჩენ პოლიტიკურ ძალებთან, შეხვდნენ პრეზიდენტს და მისცეს პირობამ მოხდებოდა ცვლილება და 76 ხმა უპრობლემოდ გროვდებოდა, უცბად, ერთ საათში „რესპუბლიკური პარტიის“ ერთ-ერთმა, ლიდერმა პარლამენტის თავმჯდომარემ ეს საკითხი პარტიაში შეატრიალა, რის გამოც „რესპუბლიკური პარტიის“ ლიდერებს შორის მოხდა დიდი განხეთქილება იმ დონეზე, რომ, ჩემი ვარაუდით, შეიძლება პარტია დაიშალოს. პატივცემულ უსუფაშვილს თუ ხიდაშელს დაუძახეს იქ, სადაც საჭირო იყო და უთხრეს, თქვენ მინისტრის პორტფელებს შეინარჩუნებთ მომავალ მთავრობაშიც და გერგებათ თავმჯდომარის პოზიციაც, ოღონდ ახლა ამ სქემაზე და ოპოზიციურ პარტიებთან მოლაპარაკებაზე თქვით უარიო. გარიგება მოხდა, თუ ვის ხარჯზე, მოისყიდეს, გარიგდნენ, დაიჯერეს ის, რაც მათ შესთავაზეს, თუ რა, ეს ბევრ კითხვას ბადებს, მაგრამ ფაქტია, რომ მათთვის თანამდებობები, პოლიტიკური სტატუს კვო უფრო მაღალი აღმოჩნდა, ვიდრე ოპოზიციური პოლიტიკური პარტიის ლიდერებისა და ქართველი ხალხის ინტერესები. ასეთ შემთხვევაში, როცა გარიგება უსუფაშვილ-ხიდაშელსა და ხელისუფლებას შორის მიღწეულია, ცხადია, „რესპუბლიკელების“ ამ ნაწილს გარანტია მიეცა, რომ ვარშავის სამიტსაც დაესწრებიან და მომავალი სამთავრობო სტრუქტურების წევრებიც იქნებიან. მაგრამ ხაზს ვუსვამ, „რესპუბლიკელების“ მხოლოდ ნაწილი აღმოჩნდება სამთავრობო კაბინეტში.

**— გამოდის, რომ ინფორმაცია დავით უსუფაშვილის „რესპუბლიკური პარტიიდან“ წასვლის შესახებ ნაწილობრივ მართალია, თავის დროზე ივანიშვილი მას სთხოვდა, რომ „ქართულ ოცნებას“ ჩასდგომოდა სათავეში. შესაძლოა, რომ ახლა უსუფაშვილი „ოცნების“ სიაში ვნახოთ?**

– ნაწილობრივ კი არა, სრულიად მართალია ინფორმაცია იმის თაობაზე, კონსენსუსი იყო მიღწეული, საქართველოში ხდებოდა ძალიან საინტერესო შეთანხმება, ქვეყნის სასიკეთოდ ორიენტირებული და ვიღაცამ პირადი ინტერესი ამჯობინა ქვეყნის უკეთეს მომავლისთვის გარანტიების მიცემას. უნდა ვივარაუდოთ, რომ საარჩევნო სისტემის ახალი კანონი არ იქნება მიღებული და სხვათა შორის, საკონსტიტუციო სასამართლოს კანონის მიღების შემდეგ უმრავლესობის ლიდერმა ზვიად კვაჭანტირაძემ ძალიან ხმამაღლა განაცხადა, ხომ დავამტკიცეთ, რომ არანაირ თემატური უმრავლესობის შექმნას პარლამენტში პერსპექტივა არ აქვს. აი, შედეგი სახეზეა, ეს იყო გამარჯვება ე.წ. თემატურ უმრავლესობაზე, „რესპუბლიკელების“ ღალატის ხარჯზე.

**— რაც შეეხება საკონსტიტუციო სასამართლოს კანონის შესახებ პოლიტიკური „ცხოველთა ფერმის“ ამბოხებას პარლამენტში და სრულ ბაკქანალიას, როგორ ხსნით ამას და დაადებს თუ არა პრეზიდენტი ამ კანონს ვეტოს?**

– არსად არ გამიგია, რომ უმცირესობის აზრი იმარჯვებდეს უმრავლესობაზე. ასე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმი ვერასდროს მიიღებს გადაწყვეტილებას, სადაც დომინანტი იქნება უმცირესობის აზრი. აცადეთ პრეზიდენტს, ის აუცილებლად გამოიყენებს ვეტოს უფლებას. ამ კანონის მიხედვით პრეზიდენტს ჩამოერთვა უფლება, წარადგინოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე. რაც ამ კანონში წერია, ეს არის მსოფლიოს კონსტიტუციური სამართლის უარყოფა.

**ზოგადად, ეკა ბესელია ძალიან ბევრი უცნაური კანონის ავტორია, მათ შორის, საკონსტიტუციო სასამართლოსი და ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე, ნაცვლად იმისა, ბიუროკრატიული მმართველობა გაამარტივოს, საპირისპირო მიმართულებით მიდის. ასეთი რამ, რაც ამ კანონში წერია, იდეის დონეზეც კი არ მომისმენია.**

გარანტირებულად დარწმუნებული ვარ, რომ პრეზიდენტი ამ კანონს ვეტოს დაადებს, რადგან შეუძლებელია, ამ კანონმა დღის სინათლე იხილოს პრეზიდენტის თანხმობით. კი არის „ქართული ოცნება“ პრეზიდენტით უკმაყოფილო, მაგრამ, რომ არა მარგველაშვილი, ბევრ უკანონობას ექნებოდა მწვანე ანთებული.

**— ბატონო ვალერი, თქვენ არ გამორიცხავდით საპარლამენტო გადატრიალებას და ნდობის ვოტუმის გამოცხადებას, რაც მინისტრთა კაბინეტის გადაყენებას გამოიწვევდა. თუკი მოხდა უსუფაშვილისა და ხიდაშელის გადმობირება, ავტომატურად ეს სცენარიც გამოირიცხება?**

– დიახ, რა თქმა უნდა... გადატრიალების სცენარი უკვე გამორიცხულია, რადგან ხელისუფლებამ უკვე მოასწრო და „რესპუბლიკელების“ ღალატის ხარჯზე მწვავე პროცესები გაანეიტრალა, ამიტომაც არის, რომ ჩვენ ვუყურებთ „რესპუბლიკელების“ დაპირისპირებას სხვადასხვა ფლანგზე, ბოლო იყო ირაკლი ალასანიასა და ხიდაშელის კონფლიქტი, რაც უკავშირდება ზუსტად „რესპუბლიკელების“ ღალატს და იმ თემის ჩაგდებას, რაზეც იყვნენ შეთანხმებულები.

### ექსპერტი



# ტაშ-ფანდური იყო!“

## სთავაზობენ, საუბარი იყო მხოლოდ იმაზე, რა უნდათ ეს იყო თვითკმაყოფილების ზეიმი!“



**„ყრილობა ტარდება და პარტია არ აცხადებს თავის სტრატეგიულ გეგმებს, არ საუბრობს ეკონომიკური მიმართულებით, არ საუბრობს იმაზე, რატომ შეიქმნა ამ ოთხი წლის განმავლობაში მძიმე სოციალურ-ეკონომიკური ფონი, რატომ არ წავიდა წინ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, რატომ გარბიან საქართველოდან ადამიანები, ბიზნესი არ ვითარდება, ფული არ ბრუნავს, რატომ არის უკმაყოფილება საზოგადოებაში“**



Facebook ამბები



**ირინა სარიშვილი:**

ეხლა აჭარასთან რო „დანიურია" იქ ვიყავი. რატო ფეხი არ მომტყდა ორსაწოლიანი რეზინიანი ზეწარი მინდათქო და ვიღაც ბინტაფარებულმა გოგომ მომაწოდა შეკვრა ესააო. ნამდვილად ესაათქო და კი კიიო. რაღაც უაზროდ აჭყეტდა თვალებს და მესამედ ვკითხე ხო ორსაწოლიანიათქო და კიიო ისეთი ხმით მითხრა შემრცხვა...

გამოვედი "დანიურიდან" ვალმოხდილი და რას ვხედავ, სპორტის სასახლიდან გამოფენილია ბედნიერი ერი. ყრილობა დამთავრებულა. აი ვინც გვერდით მედგა და რაც მოგაძახეს, ერთი არ აგცდეთ, იქ მისულო უთავმოყვარეო დელეგატებო! თან რამდენი იყვნენ ყველა ერთად გამოფენილი.

ისე ერთი ივანიშვილი რაცაა გასაგებია, მაგრამ ამდენი კვერცხი რა ამბავია??? ორი გამიგია მაგრამ ამდენი???

ამას რა უჭირს, შინ მოსულს კიდე ახალი უბედურება მელოდა: გავხსენი თეთრეულის პაკეტი და ზეწარი არც რეზინიანია და არც ორსაწოლიანი!!!

მე რო ბედი მქონოდა, ეს გამყიდველი ხო იქნებოდა ქოცყრილობის ერთით მეტი კვერცხი—დელეგატი და ხო ავცდებოდი ზარალს???

უნდა ყოფილიყო ყველა მონაცემით!

ეხლა ვზივარ და ვფიქრობ — რომელი უფრო მომხვდა გულზე: ამ ნაძირალა მთავრობის საზეიმო ყრილობაზე ამდენი გამოშტერებული თუ არაორსაწოლიანი და ურეზინო ზეწარი რეზინიანი ორსაწოლიანის ნაცვლად!

და რო ვთქვა ზეწარითქო ვერ გამიგებთ ხო?

სტატუსი გაბოროტებულია



**ნინო ჯღარკავა:** 14 მაისი

ამ წუთებში შემოვიდა დარბაზში ირაკლი ღარიბაშვილი, მთელი სპორტის სასახლე ფეხზე ამდგარი უკრავდა ტაშს, ემოციებისგან ხელები მიკანკალებს, ამეტირა:))

ნინო ლაბარტყავა
571 99-92-33



# სად და რატომ იყიდება უვარგისი ზეთი „ოლეინა“ და რა შეიძლება დაგვემართოს?

რამდენიმე დღის წინ ჩემი ოჯახის ახლობელმა მეტრო „სამგორის“ მიმდებარე ტერიტორიაზე ერთ-ერთ მაღაზიაში შეიძინა ზეთი „ოლეინა“. იმდენად გადაღლილი იყო, რომ ადგილზე არ დაკვირებია არც მის ეტიკეტს, არც ვადებს და მხოლოდ სახლში მისვლის შემდეგ აღმოაჩინა, რომ ზეთს ბოთლზე ეტიკეტირება სულ სხვა ადგილზე ჰქონდა, თან ნაწილობრივ მოხეული, წარწერა წესიერად არ იკითხებოდა. ამასთანავე, თავად ბოთლიც დეფორმირებული იყო და მოკლედ, ჩათვალა, რომ ფალსიფიკაციასთან ჰქონდა საქმე. მაინც გადაწყვიტა, გადაემოწმებინა და ზეთში კვერცხი შეწვა, რომელსაც არც გემო უვარგოდა და კარგა გვარიანადაც აქაფდა... რა თქმა უნდა, ეს „კულინარიული შედევრი“ ნაგავში გადაყარა, მაგრამ ეს ამბავი მე გამაგებინა. ამ ფაქტს იმ მომენტში რატომღაც სათანადო ყურადღება არ მივაქციე,





**„ჯობია, ქართული წარწერის მქონე ზეთები იყიდოთო, თუმცა არც ისინია ქართული, ყველა მათგანს უკრაინაში ასხამენ, უბრალოდ, აქ უკეთდება ეტიკეტირება“**



**მაგრამ, როდესაც ჩემმა ახლობელმა რამდენიმე დღეში, „სამგორის“ მიმდებარე ტერიტორიაზე (თუმცა უკვე სხვა მაღაზიაში) ისევ ზეთი „ოლეინა“ იყიდა და ისიც წინასავით შელახულ-დეფორმირებულ ბოთლში იყო, უკვე ეჭვი გამიჩნდა: ხომ არ გვქონდა საქმე ფალსიფიცირებული ზეთის მაღაზიათა ქსელში გაშვებასთან?**

**ზეთი ერთ-ერთი ყველაზე ხშირად მოხმარებადი პროდუქტია, მის გარეშე, ფაქტობრივად, არც ერთი კერძი არ კეთდება ოჯახში და რა თქმა უნდა, ამ კატეგორიის პროდუქტის ხარისხი დიდ ყურადღებას საჭიროებს. ვადაგასული, ფალსიფიცირებული ზეთი რომ რაღაც ზიანს მოუტანს ადამიანის ორგანიზმს, ეს ფაქტია.**

**ზოგადად, რა ზიანის მოტანა შეუძლია ფალსიფიცირებულ ზეთს ადამიანისთვის?**

**„ალია“ საქართველოს მომხმარებელთა ფედერაციის თავმჯდომარე მადონა კოიძეს ესაუბრა, რომელსაც ეს კონკრეტული ფაქტი დეტალურად მოვუყევით:**

– საქართველოსა და ზოგადად, ნებისმიერი ცივილიზებული ქვეყნის კანონმდებლობით, ფალსიფიცირებული პროდუქტის რეალიზაცია აკრძალულია, რადგან აქ შეიძლება მომხმარებელმა განიცადოს როგორც ეკონომიკური ზარალი, ასევე პროდუქტის შიგთავსში შეიძლება დარღვეული იყოს ტექნოლოგიური ციკლი, პროდუქტი არ იყოს უსაფრთხო და აქედან გამომდინარე, მომხმარებლის ჯანმრთელობაც დაზიანდეს. ამიტომ არის ეტიკეტირების შესახებ ასეთი მკაცრი მოთხოვნები, რომ მომხმარებელს ჰქონდეს საშუალება, აარჩიოს კეთილსინდისიერი მწარმოებლის ბრენდი, რომელსაც ის ენდობა, რომლის პროდუქტს იცნობს, უსაფრთხოებასა და უვნებლობაში დარწმუნებულია. უნდა წაიკითხოს ვადები და ამის შემდეგ შეიძინოს პროდუქტი, ანუ გააკეთოს თავისუფალი არჩევანი, მაგრამ როდესაც არსებობს ეჭვი, ამ შემთხვევაში უკვე უნდა მიმართოს ან სურსათის ეროვნულ სააგენტოს ან ჩვენ და ჩვენ ამას აუცილებლად გადავამოწმებთ. თუკი ფალსიფიცირების ეჭვი ჩვენ, ექსპერტებსაც, გაგვიჩნდა, ამ შემთხვევაში აქ უკვე უნდა ჩაერთოს შესაბამისი ორგანოები, რადგან ეს უკვე არის კანონდარღვევა და საკმაოდ მკაცრად ისჯება საქართველოში.

**— თვითონ ამ ზეთის ბოთლის ვიზუალური მდგომარეობა ძალიან ცუდია, ეტიკეტი სხვა ადგილას აქვს მიკრული, თან მოხეულია, წარწერა ცუდად იკითხება, ამასთანავე, ბოთლი დეფორმირებულია... ეს თუ შეიძლება ჩავთვალოთ ფალსიფიცირების ერთ-ერთ ნიშნად?**

– მარტო ვიზუალური მდგომარეობა ფალსიფიცირების დადგენაში ვერ დაგვეხმარება, აქ არის სათანადო ანალიზია ჩასატარებელი და შეგვიძლია, ჩავატაროთ, თუ აღნიშნულ პროდუქტს მომიტანთ. საჭიროა ლაბორატორიული კვლევა და ალბათ, შემომტანიც უნდა ჩაერთოს, ვინაიდან ის ყველაზე კარგად იცნობს თავის პროდუქტს.

**— თუკი გამოვლინდება, რომ აღნიშნული წარმოების ზეთი არის ფალსიფიცირებული და არაჯანსაღი კვების პროდუქტი, ალბათ, მისი მწარმოებელი დაჯარიმდება, ხომ?**

– არამარტო დაჯარიმდება, აღმკვეთი ღონისძიებაც კი არის გათვალისწინებული, გააჩნია, რა პროდუქტზეა საუბარი. ამის დადგენა ძალიან მარტივია, არსებობს ზედნადები, შემომტანი დოკუმენტაცია, სურსათის ეროვნული სააგენტო ამ ყველაფერს ამოწმებს, საკმაოდ კვალიფიციური კადრები ჰყავთ. აქედან გამომდინარე, ჩვენ, უბრალოდ, გვჭირდება პროდუქტი და ის მაღაზია, სადაც მისი შეძენა მოხდა. ამის შემდეგ უკვე შესაბამისი ორგანოები ჩაატარებენ მოკვლევას და მერწმუნეთ, თუკი ასეთი ფაქტი დაფიქსირდა, ფალსიფიკატორები აუცილებლად დაისჯებიან.

**— ფალსიფიკატორებთან ერთად რა სახის პასუხისმგებლობა დაეკისრება მაღაზიას, რომელმაც ფალსიფიცირებული პროდუქცია მიიღო გაყიდვაში?**

– ასეთ მაღაზიას აუცილებლად დაეკისრება გარკვეული პასუხისმგებლობა, რადგან ასეთ პროდუქტს, როგორც წესი, შესაბამისი თანმხლები დოკუმენტაცია არ ახლავს ხოლმე. აქედან გამომდინარე, შესაძლოა, შემოსავლების დამალვას ჰქონდეს ადგილი.

**— პიროვნებამ, რომელმაც აღნიშნული პროდუქტი შეიძინა, იგივე პროდუქტი მომდევნო დღეებში უკვე სხვა მაღაზიაში იყიდა - ისიც ზუსტად იგივე მდგომარეობაში იყო. ისე დაემთხვა, რომ ყიდვის მომენტში დისტრიბუტორი ბიჭი ყოფილა იქ და ეს ქალი მას გამოლაპარაკებია. იმ ბიჭს უთქვამს - საერთოდ, ჯობია, ქართული წარწერის მქონე ზეთები იყიდოთო, თუმცა არც ისინია ქართული, ყველა მათგანს უკრაინაში ასხამენ, უბრალოდ, აქ უკეთდება ეტიკეტირებაო. თქვენ რა იცით ამაზე, რამდენად სიმართლეა ეს?**

– ცალსახად ვერაფერს ვიტყვი, მაგრამ არის ზეთი, რომელსაც ქართული ეტიკეტი აქვს და უკრაინაშია ჩამოსხმული და მწარმოებელ ქვეყნად უკრაინა არის დასახელებული. თუმცა არის ზეთები, რომლებიც საქართველოში ისხმება. მე ვიცი რამდენიმე დიდი ქარხანა საქართველოში, ზოგს მზესუმზირა შემოაქვს, ზოგი კი ადგილობრივი მზესუმზირით ხდის ზეთს. ასე რომ, საქართველოშიც ხდება ზეთის ჩამოსხმა და არაა აუცილებელი, სხვა ქვეყანამ ჩამოასხას და შემდეგ აქ ქართული ეტიკეტი მიეკრას.

**— კონკრეტულად რა ზიანი შეიძლება მოუტანოს ადამიანს ფალსიფიცირებული ზეთის მოხმარებამ?**

## გაფრთხილება

– ნებისმიერი პროდუქტი, რომელსაც აწერია მოხმარების ვადები, იმას ნიშნავს, რომ პროდუქტი კონკრეტულ ვადამდე ინარჩუნებს ვარგისიანობას, მარგებელია და მისი გამოყენება მითითებულ ვადამდე უსაფრთხოა. იმის შემდეგ მისი მოხმარება რეკომენდებული არ არის. სურსათის ეროვნული სააგენტო ამ კუთხით საკმაოდ კარგად მუშაობს, ყოველდღიურად ხდება არაერთ მაღაზიაში ვადაგასული პროდუქტის დალუქვა, ამოღება და შემდეგ მისი მექანიკურად განადგურება და ვადაგასული პროდუქციის რეალიზატორი იხდის შესაბამის ჯარიმას. ის, თუ რა ზიანს მოუტანს ადამიანს კონკრეტული პროდუქტი, არის თვითონ შემადგენლობაზე დამოკიდებული და ბევრი ფაქტორი განაპირობებს მის გავლენას ადამიანის ორგანიზმზე.

აქედან გამომდინარე, ასე კონკრეტულად ვერ ვიტყვი, თუმცა, ვადაგასული პროდუქტის გამოყენება რეკომენდებული არ არის და შეიძლება, რისკის მატარებელი იყოს მომხმარებლის ჯანმრთელობისთვის. ამიტომ ნუ გავრისკავთ, ყურადღებით წავიკითხოთ ვადები, ხოლო თუ პროდუქტი ვადაგასულია, მივმართოთ ან მაღაზიის მენეჯერს, ან სურსათის ეროვნულ სააგენტოს, რათა ფაქტი დროულად იყოს აღმოფხვრილი.

**— თქვენ ჯარიმები ახსენეთ და შეგიძლიათ, კონკრეტულად მითხრათ, რა რაოდენობის ჯარიმებზეა საუბარი და აღმკვეთი ღონისძიება რამდენ წელს მოიცავს?**

– საჯარიმო სანქციები დაწესებულია ვადაგასული პროდუქტის რეალიზაციაზე, ასევე, ქართული ეტიკეტის არქონაზე, მომხმარებლისთვის არასრულყოფილი ინფორმაციის მიწოდებისთვის. დღეს საკმაოდ კარგი კანონმდებლობა გვაქვს, რომელიც იცავს მომხმარებელთა უფლებებს სურსათის სფეროში.

● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook



**ნიკა გვარამია:**

ოცნების ყრილობის ერთადერთი დასამახსოვრებელი და აღსანიშნავი დეტალი ჩემთვის:

რეაქციით და აპლოდისმენტებით თუ ვიმსჯელებთ, აშკარად ღარიბაშვილი უფრო მოსწონს ქოცმოსახლეობას, ვიდრე მოქმედი პრემიერი კვირიკაშვილი.

პირადად ჩემთვის აღმოჩენაა, თუმცა სრულიად რაციონალური და ბუნებრივი ფაქტი მგონია.

**თამარა ჩერგოლეიშვილი:** - "ღარიბაშვილი შედეგს ვერ დებდა, მაგრამ სიძულვილის ფრქვევით ახდენდა გარკვეულ კონსოლიდაციას - ტრადიციულ, სიძულვილის 20 პროცენტზეც დატოვა ოცნება. (იხ. NDI კვლევა, 18%.) ნიკა გვარამია.

**დავით ზურაბიშვილი:**



საბჭოთა პერიოდის არც-თუ გონებამახვილი ანკდოტია, მაგრამ ნიშანდობლივი.

ჩინგაჩგუკი, ბრეჟნევი და დათა თუთაშხია მოხვდნენ უკაცრიელ კუნძულზე. იარეს აქეთ-იქით, მოშივდათ და დათქვეს, ეტყობა ერთად რომ ვართ ვაფრთხობთ აქაურ ფაუნას, მოდი ცალ-ცალკე ვცადოთ ბედი და თუ რამე ვიშოვით ან მოვინადირებთ .აქ დავბრუნდეთო. წავიდა თუთაშხია, ბევრი იარა, ვერაფერი ნახა, მობრუნდა ხელცარიელი და ხედავს ჩინგაჩგუკს გაუჩაღებია კოცონი და მწვადებს წვავს. ბრეჟნევი არ ჩანს. დაჯდა თუთაშხია ინდიელების ბელადთან და დაიწყო მწვადის ჭამა. ჭამენ ასე უხმოდ, ბრეჟნევი კი არ ჩანს, არადა ღამდება უკვე. თუთშხიამ იეჭვა, ემანდ რამე არ გვიხიმანდროს, ამხელა ცეკას მდივანი კაცია ბოლო-ბოლოო და ჩინგაჩგუკს ეუბნება: "რაღაც არ მომწონს ეს ბრეჟნევი მე!" ბელადი კი პასუხობს: "თუ არ მოგწონს, ნუ ჭამ!.

ჰოდა, იმის თქმა მინდოდა: რაღაც არ მომწონს ეს პაატა ბურჭულაძე მე... პოლიტიკაში, რასაკვირველია.

**სანდრო ბრეგაძე**



რესპუბლიკელების ბოიკოტი ქართული ოცნების ყრილობას!!!! არ მიჯერებდით და აი შედეგიც!!! ბოიკოტს რომ გიცხადებთ იმ პარტიის ლიდერი თავდაცვის მინისტრად??? საოცრებაა!!!



**ირმა ინაშვილი**

ლევან სტუკაჩოვ- ბერძენიშვილს უთქვამს,- წესიერ ქვეყანაში, პროკურატურის დასკვნის მერე, ირმა ინაშვილს დაიჭერდნენო.

1. არაფერი დასკვნა პროკურატურას არ დაუდია საგარეჯოს არჩევნებზე. პროკურატურამ შეწყვიტა გამოძიება, რესპუბლიკელების ისტერიკისა და შანტაჟის გამო.

2. დრო მოვა, იგივე პროკურორები სულ სხვა, ობიექტურ დასკვნას დადებენ და დაადასტურებენ მუხროვანში და ზოგადად საგარეჯოში არჩევნების გაყალბებას.

3. წესიერ ქვეყანაში თავდაცვის მინისტრი ვერ გახდებოდა თინა ხიდაშელი.

4. წესიერ ქვეყანაში არჩევნების გამყალბებელი თავდაცვისა და გარემოს დაცვის მინისტრები ისხდებოდნენ ციხეში.

5. წესიერ ქვეყანაში რესპუბლიკური პარტია ვერ დაითრევდა ხელისუფლების დიდ ნაწილს.

6. წესიერ ქვეყანაში ლევან სტუკაჩოვი იქნებოდა პენსიაზე, რომელსაც მისი დიდი მოკავშირე- რუსეთის უშიშროება (ძველი კაგებე) გამოუგზავნიდა თვეში ერთხელ და იცხოვრებდა მოსკოვთან ახლოს.

7. წესიერ ქვეყენაზე ლაპარაკს თქვენ, უწესოებმა: სტუკაჩოვ- კომუნისტინ- გამყალბებლოვებმა დაანებეთ თავი. ნუ აწუხებთ ჩვენს სამშობლოს.

Facebook ამბები



**სანდრო ბრეგაძე**

იცით რომელი "პაროდის" "ინწილიგენცია" "მიყვარს"??? ერთ ოჯახში უფროსი თაობა,რომ ვითომ "ბიძინისტია" და იმავე ოჯახის შედარებით ახალი თაობა პირწავარდნილი "მიშისტი" .ამავე ოჯახების უფროსი თაობა ხვალ ოცნების ყრილობაზე წავა, ყველანაირად ეცდება ბიძინასთან ახლოს დაჯდეს,შემდეგ ეახლოს და მოწიწებით,მაგრამ სხვათაშორის თქვას თავის "მიშისტ" ახალგაზრდა ოჯახის წევრებზე--"კაცო ჯერ ბავშვებია და ვერ ხვდებიან ვინაა კარგი და ვინ ცუდი, თორემ თქვენ ბატონო ბიძინა ძაან უყვარხართო". საღამოს კი ამავე ოჯახის ახალგაზრდა წევრი ოდესაში დარეკავს მიშასთან და ასევე მოწიწებით აუხსნის---" ჩემო საყვარელო, ხომ იცი დაბერდნენ, ყველაფრის ეშინიათ და ჩვენ რომ დაცულები ვიყოთ შენს ჩამოსვლამდე, მანამ იძულებულები არიან ბიძინას თავი მოაჩვენონ, თორემ მიშიკო შენ ყველაზე მეტად უყვარხართო". მაგარი 'პაროდა" გამოიყვანა ედუარდ შევარდნაძემ ბაბუები, ბებიები, მამები, დედები, შვილები, შვილიშვილები........ გრძელდება და გრძელდება ამ პადხალიმი "ინწილიგენციის" თაობები და ყველა ტყუპებივით ერთმანეთს გავს.მე უბრალოდ ის ქვეყნის პირველი პირები მაოცებენ,რომლებიც ამ მედროვეებს გულში იხუტებენ და მერე როდესაც ხელისუფლებაში აღარ არიან წუხან -რატომ მიღალატა და მიმატოვაო!!!!!!!!! ეტყობა სიყვარული მართლა ბრმაა და ამა სოფლისა ძლიერთაც აბრმავებს!!!!!



**კობა სუბელიანი:**

ივანიშვილი დაგვილაგებს რუსეთთან ურთიერთობასო - გაჰყვირის ზოგიერთი დღესაც და ივანიშვილს კიდევ სულ ფეხებზე კიდია. ადარდე ბალი ათი შაური. ხე ხომ წააპორწიალა რაც მთავარია და გაისწორა თავისი მულამი.



**მერაბ შათირიშვილი:**

ბურჭულაძეს არ სურს, ჩვენს ქვეყანას არაფორმალური ბატონი ჰყავდეს (ეს, არც ჩვენ გვსურს), მაგრამ, მას, როგორც ირკვევა, ფორმალური ბატონობა მოუსურვებია!..

---

უკანასკნელი დღეების განმავლობაში აქტიური სახე შეიძინა სიტყვიერმა დაპირისპირებამ თავდაცვის ყოფილ და მოქმედ მინისტრებს შორის. ირაკლი ალასანია და თინათინ ხიდაშელი ურთიერთბრალდებების გაცვლით არიან დაკავებულნი, თუმცა, საზოგადოებისთვის გაურკვეველია ის საკითხი, რატომ დაიძაბა მათ შორის ურთიერთობა. ირაკლი ალასანია თინა ხიდაშელისთვის დაწესებულ პოლიტიკურ ჩარჩოებზე საუბრობს, რომელთა გამოც საქართველოს ამ დრომდე არ აქვს თანამედროვე ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვითი სისტემა. ალასანიას განცხადებას ხიდაშელმა უპასუხა და ალასანიას ე.წ კაბელების საქმეში ბრალდებულების სამსახურში აღდგენის ფაქტსაც ახსენებს, იმის საჩვენებლად, რომ მისთვის პოლიტიკური ჩარჩოები არავის დაუწესებია.

# ხიდაშელი–ალასანიას ბურუსით მოცული დაპირისპირება

## დიმიტრი შაშკინი დეტალებზე საუბრობს



რთულია, რომ მხოლოდ ურთიერთბრალდებების გაცვლის საფუძველზე მოახრეხოს საზოგადოებამ საკითხში გარკვევა. ამიტომ, კონკრეტული მიზეზის გასარკვევად, „ნიუპოსტი" ყოფილ თავდაცვის მინისტრს, დიმიტრი შაშკინს დაუკავშირდა. შაშკინმა ისაუბრა იმ მოლაპარაკებებზე, რომელსაც საქართველო 2012 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებთან აწარმოებდა. თავდაცვის ყოფილი მინისტრის განმარტებით, სააკაშვილსა და ობამას შორის მიღწეული შეთანხმების საფუძველზე, საქართველოს თავდაცვისუნარიანობის ასამაღლებლად სამპუნქტიანი გეგმა შეიქმნა, რომლის პირველი პუნქტიც ანტისაჰაერო თავდაცვით სისტემა „ჰოკების" განლაგებას მოიცავდა საქართველოს ტერიტორიაზე:

„ეს თემა, რომელზეც კამათი მოხდა ალასანიასა და ხიდაშელს შორის, მოდის 2012 წლიდან. მე ფაქტებს გეტყვით და მკითხველმა თავად განსაჯოს, ვინ არის მტყუანი და ვინ მართალი. 2012 წლის დასაწყისში, პრეზიდენტ სააკაშვილსა და პრეზიდენტ ობამას შორის მიღწეული იყო შეთანხმება, რომელიც კიდევ ერთხელ დაადასტურა საქართველოში ვიზიტის დროს ჰილარი კლინტონმა. ეს შეთანხმება ეხებოდა საქართველოს სამხედრო დახმარებას ამერიკის შეერთებული შტატების მხრიდან.

კონკრეტულად იყო სამი კომპონენტი: ანტისაჰაერო თავდაცვითი სისტემები, ვერტმფრენები და საზღვაო ძალების განვითარება. ამ სამი კომპონენტის შესახებ ყველა ექსპერტმა იცის და დიდი ხნის განმავლობაში ეს საკითხი განიხილებოდა.

2012 წლის სექტემბერში დაიწყო ამ პროექტის განხორციელება. საქართველოში ჩამოვიდნენ ამერიკელი ინჟინრები, აშშ-ს შეიარაღებული ძალების სამხედრო ინჟინრები, რომლებიც არკვევდნენ და გეგმავდნენ სად უნდა განლაგებულიყო ანტისაჰაერო თავდაცვის სისტემები. კონკრეტულად იყო საუბარი „ჰოკზე". არსებობს გაცილებით ძლიერი სისტემა, რომელსაც ჰქვია „პატრიოტი", მაგრამ ეს უკანასკნელი საქართველოსთვის არ იყო საჭირო იმ მომენტისთვის. ამიტომ, არჩევანი „ჰოკების" სისტემაზე გაკეთდა", – განაცხადა დიმიტრი შაშკინმა.

შეგახსენებთ აშშ-ს პრეზიდენტის, ბარაკ ობამას განცხადებას, სადაც მან აღნიშნა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები მხარს უჭერს საქართველოს გაძლიერებას და იღებს მონაწილეობას მისი თავდაცვისუნარიანობის ამაღლებაში.

დიმიტრი შაშკინი 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ აღნიშნული პროცესის გაყინვაზე საუბრობს და იხსენებს ირაკლი ალასანიას განცხადებას, რომლის მიხედვითაც „საფრანგეთის სამხედრო ტექნიკა აშშ-ს სამხედრო ტექნიკაზე უკეთესია" და საქართველომ საფრანგეთთან მოლაპარაკებების წარმოება დაიწყო:

„2012 წლის არჩევნების შემდეგ ეს პროცესი გაიყინა, გაჩერდა და 2013 წელს მაშინდელმა თავდაცვის მინისტრმა, ირაკლი ალასანიამ თქვა, რომ ამერიკულ სისტემებზე უკეთესზე არის ფრანგული და აქვთ სურვილი, რომ შეისყიდონ საფრანგეთისგან.

მაშინვე, მე დავსვი შეკითხვა. ამერიკის შეერთებული შტატები გვაძლევდა ამას უფასოდ, ეს იყო იმ შეთანხმების ფარგლებში, რასაც სააკაშვილმა და ობამამ მიაღწიეს და რომელიც ჰილარი კლინტონმა დაადასტურა. ანუ ისინი ამას დახმარების სახით გვაძლევდნენ. ახალმა მთავრობამ ამ დახმარებაზე უარი თქვა და მოლაპარაკება საფრანგეთთან დაიწყო. მოლაპარაკების პროცესში ალასანია გადადგა და დააბრალა მაშინდელ პრემიერ-მინისტრს, რომ აეკრძალა ამ შეთანხმებაზე ხელის მოწერა. როდესაც მინისტრად მოვიდა თინა ხიდაშელი, მან თქვა, რომ ამ პროცესს გააგრძელებდნენ საფრანგეთთან და ზარზეიმით საქართველოს მოსახლეობას მოახსენეს, რომ მოლაპარაკება დასრულდა და ხელი მოაწერეს. ანტისაჰაერო თავდაცვითი ფრანგული წარმოების სისტემები იქნება საქართველოში, შემდეგ ამ ყველაფერს გრიფი „საიდუმლო" დაედო და საზოგადოება დარჩა საინფორმაციო ვაკუუმში", – განმარტავს თავდაცვის ყოფილი მინისტრი.

რამდენიმე თვის შემდეგ კი ცნობილი ხდება, რომ საქართველომ საკმაოდ დიდ თანხად საფრანგეთისგან ანტისაჰაერო თავდაცვითი სისტემის სრული კომპლექტის შესყიდვის ნაცვლად შეიძინა მხოლოდ რადარები, რაც თავდაცვიუნარიანობის სრულფასოვნებას ვერ წარმოაჩენს: „გავიდა დრო და დაახლოებით ერთი თვის წინ საქართველოს მოსახლეობა აბსოლუტურად შემთხვევით იღებს ინფორმაციას. თავდაცვის სამინისტროს ერთ-ერთმა მაღალჩინოსანმა თქვა და ამის შემდეგ ინფორმაციამ გაჟონა, რომ თურმე საფრანგეთთან ასე ზარზეიმით მიღწეული შეთანხმება, რომელიც საქართველოს შიგნით „გაიყიდა", როგორც წინ გადადგმული ძალიან დიდი ნაბიჯი, იყო სინამდვილეში მხოლოდ რადარების შესყიდვის ხელშეკრულება.

ანტისაჰაერო თავდაცვითი სისტემის ორი უმნიშვნელოვანესი კომპონენტი, ეს არის რადარი, რომელიც ხედავს მოწინააღმდეგის სისტემას და მეორე კომპონენტი არის რაკეტა, რომლითაც ამ თვითმფრინავს ჩამოაგდებ.

ანუ ის, რაც ჩვენ, საზოგადოებას, „მოგვყიდეს" როგორც დიდი წარმატება თავდაცვისუნარიანობის ამაღლების თვალსაზრისით, გაირკვა, რომ არის მხოლოდ რადარების შეძენა, ანუ ჩვენი თავდაცვისუნარიანობა ახლა ასეთია: თუ მოწინააღმდეგის თვითმფრინავი შემოვა ჩვენს საჰაერო სივრცეში, მას დავინახავათ, მაგრამ ის, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია თავდაცვისთვის, რომ გქონდეს შესაძლებლობა, ეს მტრულად განწყობილი თვითმფრინავი ჩამოაგდო, თურმე არ გვაქვს", – აცხადებს შაშკინი.

შაშკინის განცხადებით, ახალმა ხელისუფლებამ არ გამოიყენა შესაძლებლობა საქართველოს თავდაცვისუნარიანობის ასამაღლებლად გამოეყენებინა აშშ-ს მიერ შემოთავაზებული დახმარება. საზოგადოებამ კი თავად უნდა განსაჯოს ამ საკითხში ვინ არის მტყუან-მართალი:

„ერთი მხრივ ჩვენ გვქონდა შესაძლებლობა ამერიკის შეერთებული შტატებისგან მიგველო უფასოდ სისტემები, რომელიც მოიცავდა რადარებსაც და რაკეტებსაც, მაგრამ საბოლოო ჯამში ვიყიდეთ რადარები საფრანგეთისგან ძალიან მაღალ თანხაში, მაგრამ არ ვიყიდეთ რაკეტები.

ის მოლაპარაკება, რომელიც მიდიოდა შეერთებულ შტატებთან, ვერტმფრენებთან დაკავშირებით, ეს მოლაპარაკებაც გაუქმდა. ეს არის ის ფაქტები, რომელიც ამ სიტყვიერ დაპირისპირებას ეხება. საზოგადოებამ თავად მიიღოს გადაწყვეტილება და დასკვნა", – დასძენს ყოფილი მინისტრი.

რა ხდებოდა 2012 წლის არჩევნების შემდეგ?

თავდაცვის უწყების სათავეში ჩადგომის შემდეგ, საფრანგეთში სამუშაო ვიზიტის ფარგლებში ირაკლი ალასანიამ აღნიშნულ საკითხთან მიმართებით ასეთი განცხადება გააკეთა: „საფრანგეთის სამხედრო ინდუსტრია ერთ-ერთი ყველაზე განვითარებულია მსოფლიოში. აქედან გამომდინარე, ჩვენთვის ძალიან საინტერესოა მათთან თანამშრომლობა, ერთობლივ პროექტებზე საუბარი. შევხვდით ჩვენთვის საინტერესო, პრაქტიკულად ყველა სამხედრო ინდუსტრიის წარმომადგენელს და დავსახეთ თანამშრომლობის გზები".

მოგვიანებით საუბარი დაიწყო ალასანიას „დამოუკიდებელ თამაშზე". ე.წ კაბელების საქმეზე თავდაცვის უწყების თანამშრომლების დაკავება ალასანიას საფრანგეთში ვიზიტს დაემთხვა, რის შემდეგაც ალასანიამ თანამდებობა დატოვა, მოგვიანებით კი, მან განაცხადა: „საჰაერო თავდაცვა, ანუ დაცული ცა არამხოლოდ უსაფრთხო ძილს ნიშნავს, არამედ ეს ნიშნავს იმას, რომ არის სტაბილური ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობა, არავინ, არც ერთი ინვესტორი არ ჩადებს დიდ ფულს ჩვენს ქვეყანაში, თუკი მან არ იცის, რომ ეს ინვესტიცია იქნება დაცული, და თუკი მეზობელ ქვეყანას ნებისმიერ დროს შეუძლია შემოვიდეს და ხელი აფათუროს შენს საშინაო საქმეებში."

ირაკლი ალასანიას თანამდებობა მინდია ჯანელიძემ დაიკავა. ანტისაჰაერო თავდაცვის სისტემებთან დაკავშირებით კი აღნიშნა, რომ საფრანგეთთან მოლაპარაკებები აღნიშნულ საკითხზე არ ჩაშლილა.

ჯანელიძის შემდგომ, თავდაცვის უწყების ხელმძღვანელად თინა ხიდაშელი დაინიშნა. ხიდაშელმაც არაერთი განცხადება გააკეთა ზემოთ მოყვანილ თემაზე, განცხადებების შინაარსი კი ასე ჟღერდა: „შემიძლია 100%-იანი დადასტურებით გითხრათ, რომ საფრანგეთთან კონტრაქტს ხელს მოვაწერ".

საკითხი, რომელიც 2012 წელს დაიწყო და ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო დახმარებას გულისხმობდა, რომლის ფარგლებშიც სრულებით უსასყიდლოდ შესაძლებელი იქნებოდა საქართველოს თავდაცვიუნარიანობის ამაღლება, თავდაცვის სამი მინისტრის პირობებშიც ბურუსით მოცული რჩება. შედეგად კი საქართველოს აქვს აშშ-სთან შეჩერებული მოლაპარაკებები და საფრანგეთისგან საკმაოდ დიდ თანხად შეძენილი მხოლოდ რადარები, რომელთა ფუნქციონირებაც რაკეტების გარეშე, ფაქტობრივად არაფრისმომცემია. (newpost.ge)

ნინო სამხარაძე
599 71-14-22



„ქართული ოცნების“ ყრილობამ ძალიან ბევრი პოლიტიკური ლიდერი გაალიზიანა, მათ შორის არის პარტია „ეროვნულების“ ლიდერი სანდრო ბრეგაძე, რომელიც სოციალურ ქსელში სკანდალურ განცხადებას ავრცელებს: „ჩემო მეგობრებო „ოცნებიდან“, ის ხალხი მომიკითხეთ, დღეს ყრილობაზე წინა რიგებში რომ გყავდათ და საღამოს სკაიპით ოდესაში რომ ატეხენ რეკვას და ანგარიშის ჩაბარებას მიშა სააკაშვილთან. საოცარი ფენომენია ჩვენი ე.წ. „ინწილიგენცია“ და ე.წ. ბიზნესმენები, როგორც გერმანული ნაგაზის ჯიში გამოიყვანეს ფაშისტებმა, ასევე გამოიყვანა „ინწილიგენციის“ ახალი „პაროდა“ შევარდნაძემ. ყველაზე მეტად ამ „პაროდის“ ის ძუკნები აღში? ააა, გამახსენდა, აქოური წესია. თუ ვინმე საშოვარზე დგას, აუცილებლად პარტიის ყრილობას უნდა ესწრებოდეს? სამაგიეროდ, საშოვარზე დგომის ნებართვა ექნება და ხალხი, რამდენიც გინდა გაატყავე, ძმაო, მთავარია, პარტიის ყრილობას დაესწრო და ხალხი და სახელმწიფო შეგიძლია, ისე გაატყავო, როგორც აქამდე ატყავებდი ჯერ შევარდნაძის, მერე სააკაშვილის დროს. ახლა ამათი დროა და შენც დროს უნდა მოერგო. დიახ, ასეა, თუ გინდა უფლება გქონდეს, ქვეყანა და ხალხი ძარცვო, მაშინ პარტიის ყრილობას უნდა დაესწრო, ნაქურდალი წილი სწორად და დროულად მიიტანო. შეიცვალა ის, რომ მიშას ნაცვლად ახლა ბიძინა იჯდა სათავეში, ახლა ბიძინას უძღვნიდნენ „პოლიხრონიონს“, დანარჩენი ხალხი იგივე იყო, მუსიკაც და სიტყვებიც...“

გადააჭარბებდა, იმ პიროვნებას აჯდებოდა სიკვდილის ბუზი. ასე პარსავდნენ ბიზნესმენებს, ხოლო ციხიდან გირაოს სანაცვლოდ რომ გამოსულიყვნენ პატიმრები, მათ უთითებდნენ ამა თუ იმ კონკრეტულ ბანკს, რომლებიც ადეიშვილის ფილიალს წარმოადგენდა. არც მეტი, არც ნაკლები, ეს ბანკირები იყვნენ სპეცსამსახურების ქვედანაყოფები და ამაზე ჩვენთან ინტერვიუში მაშინ ჯერ კიდევ ოპოზიციონერი ეკა ბესელია ხმაურიან განცხადებებს აკეთებდა. რაღა გასაკვირია, თუ ამ ყრილობაზე ჩვენ ვნახეთ სპორტსმენები, მაგალითად, ძმები არველაძეები, რომლებიც თავს ჯერ მიხეილ სააკაშვილის მეგობრად თვლიდნენ, ახლა ივანიშვილის გარემოცვას ერგებიან.

მავანს გაუკვირდა აჩიკო მეფარიძის ყრილობაზე დასწრება, მაგრამ ვისაც ახსოვს მიხეილ სააკაშ-

ზოგადოების დიდი ნაწილი. მოკლედ, ამ ქვეყნიდან ნაგავი კარგა ხანია გასატანია. ალბათ, დღევანდელი გადასახედიდან სწორი იყო სააკაშვილი როცა ასეთებს „ჩასარეცხებს“ უწოდებდა.

**„ალიასთან“ ინტერვიუში სანდრო ბრეგაძე აღშფოთების მიზეზებს სიღრმისეულად განმარტავს. კითხვაზე, ვინ იყო „ოცნების“ ყრილობაზე შეგდებული აგენტი, ვინც სააკაშვილს შემდეგ სკაიპით მოახსენებდა და ე.წ. „ინწილიგენციიდან“ ვინ გააღიზიანა იგი, აცხადებს:**

– ესენი არიან მეძროვეები, რომლებიც თავის დროზე მიხეილ სააკაშვილის მზეს ფიცულობდნენ და მათ აქვთ ერთი სახელი, ეს სახელია „კონფორმისტების ლეგიონი“, ყველა მთავრობასთან ურთიერთობის დამ-

# ეს არის კლასიკური მაგალითი ორპირობის, არის ჯვარედინი ტყუილის კლასიკა და ამ



**„ბევრად მეტ პატივს ვცემ „ნაცმოძრაობის“ ერთგულ მხარდამჭერებს, ვიდრე იმათ, ვინც მიშას ერთგულებას ეფიცებიან და „ოცნების“ ყრილობას ესწრებიან“**



**დღევანდელი გადასახედიდან სწორი იყო სააკაშვილი, როცა ასეთებს „ჩასარეცხებს“ უწოდებდა**

მაფრთოვანებენ, რომლებსაც ოჯახი ურთიერთშეთანხმებით ორად აქვთ გაყოფილი, უფროსები – ბიძინისტები, ახალგაზრდები – მიშისტები, თან ერთმანეთის საქციელს როგორ ოსტატურად ამართლებენ, უფროსები ბიძინასთან მიშას მხარდაჭერას ოჯახის უმცროსი წევრების ახალგაზრდობითა და გამოუცდელობით ხსნიან, ხოლო უმცროსები მიშას უფროსების ბიძინასადმი მხარდაჭერას – მათი სიბერითა და გამოთაყვანებით ხსნიან, საჭირო მომენტში კი ყველანი მიშისტებად იქცევიან და მერე ნახეთ კორდე-ბალეტი... პ.ს. მე ჩემი მეგობრების გამკვირვებია, რომლებიც აშკარად რაღაც უხილავ სიამოვნებას იღებენ ამ პოლიტიკური მაზოხიზმისგან“.

რაც შეეხება „ქართული დასის“ ლიდერს ჯონდი ბაღათურიას, არანაკლებ მწვავე იყო მისი რეაქცია: „მთავარია, პარტიის ყრილობას დაესწრო, ძმაო, და ხალხი და სახელმწიფო შეგიძლია, ისე გაატყავო, როგორც აქამდე ატყავებდი. ეს პარტიის ყრილობა იყო?.. მაშინ, რა ესაქმებოდათ იქ ბანკირებს, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მფლობელებს, სპორტული ფედერაციებისა და კლუბების პრეზიდენტებს, მედიამფლობელებს, სად ბანკირი და სად პარტია და პარტიის ყრილობა? ჩვენ რა, საბჭოთა კავშირში დავბრუნდით თუ კიდევ უფრო უკან, ფეოდალიზმ-

და მართლაც, ყრილობაზე ის ოდიოზური ფიგურები იყვნენ, ვისაც „ქართული ოცნება“ სააკაშვილის „გამპრავებლებს“, ხელისბიჭებს, ახეული ბიზნესების გამპრავებლებს ეძახდნენ. ვის წინააღმდეგაც სარჩელები განიხილებოდა, ვინც მოიაზრებოდა ნაქურდალის მითვისებაში, მათ შორის იყო, მაგალითად, ცეზარ ჩოჩელი. ყველას გვახსოვს გია ხუხაშვილი, რომელიც ჯერ კიდევ ბიძინა ივანიშვილის ნდობით აღჭურვილ პირად რჩებოდა, ცეზარ ჩოჩელის წინააღმდეგ ილაშქრებდა და მას ადანაშაულებდა ვანო მერაბიშვილის, დავით კეზერაშვილის ბიზნესინტერესების „გამპრავებლად“, რომელმაც მათი დახმარებით უკანონოდ ჩაიგდო ხელში არაერთი ობიექტი. ყველას გვახსოვს კადრები, „ნაცმოძრაობის“ დროს როგორ წირავდა ჩოჩელი ამ პარტიას სოლიდურ თანხებს, სააკაშვილმა მას თანამდებობაც არგუნა და მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორს შალვა ნათელაშვილმა გატყავებული ციკანი ჩამოუკიდა იმის ნიშნად, როგორ ატყავებდნენ მოსახლეობას ჩოჩელი და მისი ხელისუფლება. აღარაფერს ვამბობ იმ ბანკირებზე, ვინც ყველაზე მეტად იხეირა „ნაციონალური მოძრაობის“ დროს და ძალიან ბევრი ბიზნესმენი გააკოტრა. მათი ბანკები პირდაპირ მიერთებული იყო ადეიშვილის „ლეპტოპთან“ და თუკი ვინმე 100-ათასიან ბრუნვას

ვილისა და მამამისის დაპირისპირება, არ გაუკვირდებოდა „ოცნების“ ყრილობაზე მისი ყოფნა, რადგან მომღერალი მეფარიძე არასდროს ითვლებოდა სააკაშვილის მეხოტბედ. ყველაზე საოცარი, რაზეც სანდრო ბრეგაძე მიუთითებს, გახლავთ თაობების ტანდემური თამაში ხელისუფლებასთან, მაგალითად, არსებობს ასეთი ოჯახი, შვილიშვილი ნინი ბადურაშვილი და ბებია, შორენადყოფილი – ლალი ბადურაშვილი, ჩვენ გვახსოვს, რომ 2011 წლის 26 მაისს, როცა რუსთაველზე სისხლი არ იყო გადარეცხილი და იქაურობას ჯერ კიდევ ასდიოდა სისხლის სუნი, ნინი ბადურაშვილმა დამოუკიდებლობის დღეს მიხეილ სააკაშვილს უმღერა. ის არასდროს მალავდა, სააკაშვილის მხარდამჭერი რომ იყო და აღარ დავიწყებთ იმ ჭორ-მართლის გარჩევას, რა ხმებიც ბადურაშვილისა და სააკაშვილის ურთიერთობებზეც დადიოდა. რაც შეეხება მის ბებიას, ქალბატონ ლალის, შარაგზაზე გამოგდებული დედაკაცივით, 24 საათში 12 საათი სააკაშვილსა და მის რეჟიმს წყევლის და ძილი რომ არ უწევდეს, დიდი სიამოვნებით ამ დროსაც წყევლისთვის გამოიყენებდა. აი, ეს არის კლასიკური მაგალითი ორპირობის, ძუკნობის, ღალატისა და მლიქვნელობის, ეს არის ჯვარედინი ტყუილის კლასიკა და ამ ბინძურ იდეოლოგებს ეწირება სა-

ყარებას ცდილობს, მინდა ჩემი მეგობრები „ოცნებიდან“ მოვიკითხო, წინა რიგებში რომ ჰყავდათ, ის ბიზნესმენები და ე.წ. „ინწილიგენციის“ წარმომადგენლები, რატომ შეიცვალეს მათზე აზრი, განა მათ არ იციან, რომ აუცილებლად დაუკავშირდებიან სააკაშვილს სკაიპით ეს მედროვეები და დაუწყებენ ახსნას, რომ იძულებული გახდნენ, წასულიყვნენ „ოცნების“ ყრილობაზე. ეს ფენომენი თავის დროზე შევარდნაძემ შექმნა და მან ძალიან კარგად იცოდა ამ ე.წ. „ჩამპალი ინწილიგენციის“ ზნე და ჩვევა, ამიტომაც ჰყავდა ეს „ინწილიგენცია“ მიშვებული როგორც ძაღლი სალაფავზე. მიშა სააკაშვილმა ახალი „პაროდა“ გამოიყვანა ამ ე.წ. ბიზნესმენებისა და „ინწილიგენციის“ და ყველაზე აღმაშფოთებლები ის ძუკნები არიან, ვისაც ოჯახში ურთიერთშეთანხმება აქვთ, შენ მიშა ლანძღე, მე ბიძინაო. არაერთხელ მინახავს ერთი ოჯახიდან უფროსი თაობა როგორ უხსნის ბიძინა ივანიშვილს საკუთარი შვილიშვილის, ან შვილის კეთილგანწყობას მიშასადმი, – ბატონო ბიძინა, ესენი პატარები არიან, თავში ჭკუა არა აქვთ, ვერ არჩევენ, ვინ კარგია და ვინ ცუდი, მაგრამ გულის სიღრმეში არ იცით, როგორ უყვარხართო... ამასობაში ამ ოჯახების უმცროსი თაობა მიხეილ სააკაშვილთან არის კავშირში და ეუბნებიან, – ჩვენი ოჯახის უფროსი წევრები გამოთაყვანდნენ, რას ბჟუტურებენ,

facebook



**გიორგი კანდელაკი** (12 მაისი)

წარმოუდგენელი რაღაც ხდება. საკონსტიტუციო სასამართლოს განადგურების კანონი სტახანოვური ტემპით განხილვის შედეგად მაინც მიიღო ივანიშვილის ჯიბის უმრავლესობამ. მაგრამ სულთნისგან ბრძანება ყოფილა რომ მესამე მოსმენით ქართული ოცნების ყრილობამდე მომხდარიყო მკვდარი სასამართლოს ლანგარზე მირთმევა. ხონთქრის ბრძანების აღსასრულებლად, მისადმი საბოლოოდ დამონებულმა დავით უსუფაშვილმა იურიდიული კომიტეტის სხდომა დღეს ღამე დანიშნა იმისათვის რომ მესამე მოსმენა ხვალ შედგეს. ეს ცხადია, ბიძინა ივანიშვილს მაინც ვერ უშველის, მაგრამ უდიდეს ზიანს მოუტანს როგორც ქართულ ოცნებას მთლიანად, ასევე და განსაკუთრებით რესპუბლიკურ პარტიას რომელიც ისტორიას ჩაბარდება.

facebook



**ნანუკა ჟორჟოლიანი:**

ღამის ნოტარიუსებში ბიზნესებს ახევდნენ ადამიანებსო თქვა დავით უსუფაშვილმა და ღამის ბიურო დანიშნა. ქვეყანას რომ თავისუფალი მედია აახიონ.

პარლამენტის თავმჯდომარის პრინციპები (თუ არსებობდა ასეთი) ბიძინას უბრალოდ ჯიბეში უდევს.

**ინგა გრიგოლია** პარლამენტის თავმჯდომარე დიდი ხანია უცნაურ კაცად გარდაიქმნა, ჩემო ნანუკა(((((( სამწუხაროდ.

??

facebook



**გიორგი ფოფხაძე**

მე მგონი ერთად ერთი შანსი გვაქვს გადარჩენის... სასწრაფოდ საფრანგეთს ომი გამოვუცხადოთ და ომის დაწყებიდან მეხუთე წუთზე დავნებდეთ, თან სრული კაპიტულაციით.....

# ძუკნობის, ღალატისა და მლიქვნელობის, ეს ბინძურ იდეოლოგებს ეწირება ხალხი!

„ყველაზე აღმაშფოთებლები ის ძუკნები არიან, ვისაც ოჯახში ურთიერთშეთანხმება აქვთ, შენ მიშა ლანძღე, მე — ბიძინაო“





თვითონაც არ იციან, თორემ ჩვენ გელოდებით, შენ როდის დაბრუნდები ამ ქვეყნის გადასარჩენადო... ის ცნობილი სახეები, ვინც ყრილობაზე იყვნენ, მახსოვს, ვაზელინით და ზოგიც უვაზელინოდ, როგორ უძვრებოდნენ მიშას და დღეს კი, „ოცნების“ ყრილობაზე წინა რიგებში იყვნენ გამოჭიმულები. მარაზმატიკები არიან, სხვა სიტყვა როგორ შეიძლება მათ უწოდო. ბევრად მეტ პატივს ვცემ „ნაცმოძრაობის“ ერთგულ მხარდამჭერებს, ვიდრე იმათ, ვინც მიშას ერთგულებას ეფიცებიან და „ოცნების“ ყრილობას ესწრებიან.

— **რას ფიქრობთ პოლიტსაბჭოს ახალ წევრებზე?**

– მათ არ ვიცნობ, შესაბამისად, გამიჭირდება მათი დახასიათება, ჩვენ ისინი პოლიტიკაში არ გვინახავს, ძალიან გამიხარდება, თუკი ადამიანების მოლოდინს გაამართლებენ, თუმცა ერთი რამ არის აღსანიშნავი, ახალ სახეებზე აპელირება, ვფიქრობ, არის ღრმა შეცდომა. 45-50 წლის ადამიანი თუ ამდენი ხნის განმავლობაში საქართველოში ცხოვრების მანძილზე არ ჩაბმულა არანაირ პოლიტიკურ პროცესში, მონაწილეობა არ ჰქონია მიღებული 1989 წლის 9 აპრილს, არ ყოფილა ეროვნულ მოძრაობაში, არ წასულა აფხაზეთის ომში, არ უბრძოლია სამაჩაბლოში, არ მონაწილეობდა შევარდნაძის რეჟიმის წინააღმდეგ და რაც ყველაზე მთავარია, არ მონაწილეობდა მიხეილ სააკაშვილის რეჟიმის დამარცხებაში, ვფიქრობ, ასეთი ადამიანები არ იმსახურებენ ქართულ პოლიტიკაში წინა პლანზე ყოფნას, მით უმეტეს, თუ ეს ადამიანები ქართული მენტალობის მატარებლები არ არიან. ასეთი ტიპები ახალი სახეები კი არა, ჩემთვის ნაძირალები არიან, ვინც ამ ხნის მანძილზე ჩუმად იყო და ეგუებოდა ყველა იმ უბედურებას, რაც ჩვენს ქვეყანაში ხდებოდა. ყველაფერი გამოჩნდება უახლოეს ორ თვეში, ვინ არის ერთგული და ვინ – მოღალატე. დარწმუნებით შემიძლია გითხრათ, რომ არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე სერიოზულ ღალატებს ვიხილავთ მმართველ გუნდში. „ნაცმოძრაობას“ „აბოიმაში“ აქვს ტყვიები. ჯერ ერთი ტყვიაც არა აქვთ გასროლილი, გამოცდილები არიან და სწორად იქცევიან, მათ იციან, როდის უნდა გაისროლონ და ეს დრო დადგება არჩევნებამდე ორიოდე დღით ადრე, როცა „ნაციონალები“ თავიანთ პოლიტიკურ „აბოიმას“ დაცლიან. ამ დროს თქვენ ნახავთ იმ ადამიანების ღალატს, ვინც ამ წლების მანძილზე ჩანერგილი იყო „ქართულ ოცნებაში“, ისინი არჩევნების წინ გამოვლენ და ილაპარაკებენ იმ უმსგავსოებებზე, რაც ხელისუფლებაში ხდება და ისინი უგანებენ ხელისუფლებას. ამის მაგალითი თქვენ ნახეთ რამდენიმე დღის წინ, როცა მერიის თანამშრომელი გადადგა დაკავებული პოზიციიდან და შემდეგ გაირკვა, რომ ეს ადამიანი იყო „თავისუფალი ზონის“ წევრი და მერიაში ჩანერგილი. ამ წლების განმავლობაში მერია რომ ვერ დაადგენს, მერიის წამყვანი სპეციალისტი „თავისუფალი ზონიდანაა“ და ჩანერგილია, როგორ ფიქრობთ, სხვადასხვა უწყებები ამას დაადგენენ?! ახლა პირდაპირ გეტყვით ერთ ინფორმაციას, როცა მინისტრის მოადგილედ ვმუშაობდი დევნილთა და განსახლების სამინისტროში, ადგილობრივი არჩევნების დროს გვქონდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ სამინისტროს თანამშრომლების 70% მხარს უჭერდა „ნაციონალურ მოძრაობას“ და მხოლოდ 15% იყო „ქართული ოცნების“ მხარდამჭერი. თქვენ რა გგონიათ, მას შემდეგ სიტუაცია შეიცვალა? არა, ბატონო, უმაღლეს თანამდებობებზე არიან ადამიანები, რომლებიც დღეს „ნაცმოძრაობის“ ფარული მხარდამჭერები არიან.

— **სახელმწიფო მინისტრი გელა დუმბაძე „ნაცმოძრაობასთან“ კურკურშია შემჩნეული, მას ხომ არ გულისხმობთ?**

– ეს ადამიანი არის „ნაცების“ გაგრძელება, როცა მის მოადგილედ მივდიოდი, გუნდის შიგნით ყველამ მითხრა, იმიტომ მიდიხარ მის მოადგილედ, რომ ის „ნაციონალებთან“ ურთიერთობაშია შემჩნეული და ისეთი სისულელე არ ქნას, „ნაციონალების“ წისქვილზე რომ წყალი დაასხასო. შემდგომში უაზროდ ეტაკა კახი კალაძეს, ძლივს დავარეგულირე ეს ურთიერთობა და ახლა, არჩევნების წინ ემიგრანტებს მიაყენა შეურაცხყოფა, როცა მათ უთხრა, რომ, რასაც საზღვარგარეთ კადრულობთ, შეგიძლიათ, საქართველოში იგივე იკადროთ და დასაქმდეთო. ამ განცხადების შემდეგ მინისტრი უნდა გადამდგარიყო, მაგრამ რა უნდა ელაპარაკო ადამიანს, რომელიც თანამდებობას არის ჩაბღაუჭებული. ამ ადამიანმა მთელ ემიგრანტებს მიაყენა შეურაცხყოფა, დარწმუნებული იყავით, სანამ დუმბაძე იქნება მინისტრი დიასპორის საკითხებში, „ქართული ოცნება“ მათგან ერთ ხმასაც ვერ მიიღებს. თქვენ გეკითხებით, დუმბაძის ასეთი განცხადებები ვის წისქვილზე ასხამს წყალს? რა თქმა უნდა, „ნაცმოძრაობის“ წისქვილზე. არ მგონია, იმდენად გონებაშეზღუდულები იყვნენ ეს მინისტრები, ასეთი ტიპის განცხადებას აკეთებდნენ და არ იცოდნენ, რა შედეგი მოჰყვება ამას.

— **თუკი გუნდში ყველამ იცოდა, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ აგენტი და ფარული მხარდამჭერია, რატომ ინარჩუნებს მინისტრის პოზიციას, ვინ მფარველობს?**

– არ ვიცი, კონკრეტულად ვინ მფარველობს, მაგრამ მგონია, რომ მის პიროვნებას სერიოზულ ყურადღებას არ აქცევენ. უთავმოყვარეობის აპოგეაა, როცა მინისტრი იხვეწება, მინისტრობიდან არ გადამაყენოთო. ახლა

### ხარისხიანი

ნიანგის ცრემლებს ყრის დუმბაძე და ბოდიშებს უხდის ემიგრანტებს, ოღონდ თანამდებობა არ დატოვოს. ემიგრანტების სამართლიანი გაბრაზება არჩევნებზე აისახება და ეს იქნება დუმბაძის დანაშაული. მე მგონია, პრემიერ-მინისტრი დაფიქრდება და მიიღებს ჯანსაღ გადაწყვეტილებას და თუკი ასე არ მოიქცევა, ეს მათი პრობლემაა.

— **პრემიერმა საკადრო ცვლილება დააანონსა და ამბობს, რომ „რესპუბლიკელების“ შემცვლელი მინისტრები უკვე მოძებნილი ჰყავს. თქვენი ინფორმაციით, რას თამაშობენ „რესპუბლიკელები“ და რატომ არ მივიდა ყრილობაზე დავით უსუფაშვილი, რომელიც დაპატიჟებული იყო?**

– ჩემი ინფორმაციით, უნდა მისულიყო ყრილობაზე, დარწმუნებით გეტყვით, რომ „რესპუბლიკური პარტიიდან“ მხოლოდ უსუფაშვილი უნდა მისულიყო, მას მეუღლემ, თავდაცვის მინისტრმა თინა ხიდაშელმა აუკრძალა მმართველი პარტიის ყრილობაზე მისვლა. ახლა ეს ანეკდოტი არ არის? პარტიამ, რომელსაც სამი მინისტრი ჰყავს მთავრობაში, ბოიკოტი გამოუცხადა მმართველ გუნდს ყრილობაზე. ეს არის მარაზმი. ყველაზე გასაოცარი და სარკაზმი კი ის არის, რომ დღემდე თანამდებობებს ინარჩუნებენ, ამას უკვე სახელი ველარ მოვუფიქრე, ასეთი მარაზმი არც ერთ ქვეყანაში არ ხდება. საერთოდ, ამ უთავმოყვარეო პარტიის პოზიციები ვერ გავიგე, თან ოპოზიციაში არიან, ამავდროულად მინისტრის პორტფელებს ებღაუჭებიან, ვერც იმ მთავრობის გავიგე, რომლებიც მათ თანამდებობაზე ტოვებენ. ეს იმდენად სერიოზული პოლიტიკური აჯაფსანდალია, რომლის ახსნაც უდიდეს პოლიტოლოგსაც კი გაუჭირდებოდა.

● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook

facebook

**თამაზ ქეიშვილი:**

ეს არის მთიელი თამაზ მეჭიაური!არა მხოლოდ მთიელი... სიმართლის მთქმელი მთიელია! ჩვენ მხოლოდ სეხნიები ვართ,სხვა არაფერი გვაკავშირებს, არც პარტია, არც განვლილი წლები... თუმცა,როგორ არა, სამშობლოს და სიმართლის სიყვარული გვაკავშირებს! ამ დღეებში,როცა წამოიჭრა „ქართულ ოცნებაში„ მთიელის დარჩენა არ დარჩენის საკითხი, მე დავინახე მისდამი ხალხის უდიდესი ნდობა, პატივისცემა და სიყვარული! თამაზ მეჭიაური ხალხიდან წამოსული ერთი ჩვეულებრივი კაცი და ხალხის ნაწილია! რაც შეეხება მის დარჩენა არ დარჩენას „ქართულ ოცნებაში„ ეს უკვე არაფრისმთქმელი და არაფრისმომცემი დეტალია! დარწმუნებული ვარ ,ხვალ რომ საპრეზიდენტო არჩევნები დაინიშნოს და მეჭიაურმა კანდიდატურა წამოაყენოს,უეჭველად გაიმარჯვებს... თუ „ხელისუფლების რესურსი„ არ იქნა გამოყენებული!... ანუ, თუ არ გააყალბა თინა ბიცოლამ!




● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ●

facebook



**მეგი გოცირიძე:** ეკა ბესელიას და ჩიორა თაქთაქიშვილის დაპირისპირებაზე:

ბესელია მეძავო, ისინიც კი ვინ ცირკთან დგანან ბედის უკუღმართობის გამო, ყველა შენ გჯობია (დასაბუთებაც შემიძლია თუ ვინმეს გაინტერესებთ ) !

ყველა სექსმუშაკზე და "გოგონა გამოძახებით"-ზე ბანძი ხარ ეკა ბესელია, 15 წლის ასაკში უზნეობისთვის სოფელ ნოსირიდან გამოძევებული ხარ, დაჩი დარჩიას მკვლელის მფარველი ხარ, პედოფილების და ტერორისტების მოსყიდული ხარ, პოლიტიკური მეძავი ხარ, კოკაინის დედოფალი ხარ, შენზე ამორალურ ქალს არ ვიცნობ საქართველოში, გული ერევა შენზე ქოციან-ნაციანად ყველას, ქმრების ახევის დიდოსტატი ხარ, უსაზიზღრესი შვილის გამზრდელი დედა ხარ!

facebook



**მერაბ შათირიშვილი**

ჩვენ, ქართველები, უკრაინელებს გულთბილად ვმასპინძლობთ და ძმობას ვუცხადებთ - ამას ყველა მიმართულებით ვახორციელებთ: როგორც ეროვნული პატივისცემით, ასევე საქართველოს ხელისუფლების დამოკიდებულებით, მაგრამ, ჩვენ როგორ გვპასუხობს უკრაინელები და უკრაინის ხელისუფლება?.. - სიყვარულს გულგრილობა და უპატივცემულობა არ უნდა დაუპირისპირო, ელემენტარულ პატივისცემასა და დაფასებას რომ ავლენდეს უკრაინა ჩვენი ქვეყნის მიმართ, ქართული სახელმწიფოსგან დამნაშავედ გამოცხადებულ ექს-პრეზიდენს, მიხეილ სააკაშვილსა და, არა მარტო სააკაშვილს, არამედ სხვა დანარჩენ სახელმწიფო დამნააშავეებს არ შეიფარებდა და, უფრო მეტიც, მნიშვნელოვან თანამდებობებზე არ დანიშნავდა... ასეთი დაუნდობლობითა და ანგარიშგაუწევლობით, უკრაინამ საქართველოში სამართლიანობის აღდგენის ხანგრძლივი ბარიერი შექმნა და ქართული სახელმწიფოებრიობის ბალავარი შეარყია - მან გააკეთა ის, რასაც მოსისხლე მტერი გაგვიკეთებდა... უკრაინამ საქართველოს მიმართ მსოფლიოში უპრეცედენტო დიპლომატია განახორციელა და დღემდე მიკვირს, ასეთ ძირგამომთხრელ ქმედებას საქართველოს ხელისუფლება სათანადო შეფასებას რად არ უკეთებს?.. ასეთ შემთხვევაში სახელმწიფო პრინციპულობას პირმოთნეობა და დიპლომატიური ლაციცი ვერ ჩაანაცვლებს, პირიქით, არასრულყოფილ ქვეყნად ჩავითვლებით, რადგან სიყვარულზე ორი თითის კომბინაციით გვპასუხობენ და, მერწმუნეთ, სხვა ქვეყნებიც მუდმივად ასე მოგვექცევიან!..



**ნიკა გვარამია:**
შთაბეჭდილება მრჩება, რომ დავით უსუფაშვილი, საკუთარი გაურკვეველი პოზიციით და ხელისუფლებას ჩაბღაუჭებით, შესაძლოა, ბიძინა ივანიშვილის მიმართ შიშითაც, გაურკვეველ და მავნებლურ პოლიტიკურ აჯენდას მიყვება და ზიანს აყენებს რესპუბლიკურ პარტიას და ასუსტებს მედასავლეთე დემოკრატიული პოლიტიკური ძალების ფლანგს.
ამ დავიდარაბაში მე კი ვარ რესპუბლიკური პარტიის მხარეს, მაგრამ მისი ლიდერი - ეჭვი მეპარება.

**ინგა გრიგოლია:** -ღამის ბიუროს გარდა რა გაგახსენდებათ კიდევ მომავალში, პარლამენტის თავმჯდომარის ოთხწლიანი მოღვაწეობიდან??? ღამის ბიურომ მომცელა

**ზიზი ტატიშვილი:** - გამახსენდება ცოლის გამფარჩაკებელთან ჩახუტება ამ უთავმოყვარეო კარიერისტის წარსულიდან!! რაღაც საცოდავია..



**სანდრო ბრეგაძე** გელა დუმბაძის მიერ ემიგრანტებისთვის ბოდიშის მოხდას ასე გამოეხმაურა:
სამარცხვინო!!! უთავმოყვარეობის აპოგეა!!!ყველაფერს კადრულობენ სკამის შესანარჩუნებლად!!! გულწრფელი მონანიება გადადგომა იქნებოდა!!! ხალხს ისეთი შეურაცხყოფა მიაყენა,რომ ცრემლებს ვერ იკავებენ და ახლა ნიანგის ცრემლებს ღვრის და ბოდიშებს იხდის,რომ მაღალანაზღაურებადი სამსახური არ დაკარგოს. საშინელება ისაა, რომ კვლავ დაგვცინის და იგივეს ფიქრობს რაც თქვა!!!ჩვენი ულირსეულესი თანამემამულეები, ემიგრაცია სამართლიანად საშინლად გაბრაზდა და ეს გაბრაზება არჩევნებზე აისახება. ვისი საქმე გაკეთდა??? ნაცების!!!!!



**კობა სუბელიანი:**
კვირიკაშვილის ნაცვლად მეჭიაური დაენიშნა იძინას უკეთესი იქნებოდა. ბევრად საინტერესო და ბუნებრივი იქნებოდა პოლიტიკური ცხოვრება.

ნინო ლაბარტყავა
571 99-92-33



სამშაბათს 17 მაისია. ზოგისთვის „ოჯახის სიმტკიცის“, ზოგისთვის — „ჰომოფობიასთან და ტრანსფობიასთან ბრძოლის“ დღე. ალბათ, მესამე კატეგორიაც იქნება სადმე, ორივეს ერთად რომ აღნიშნავენ, „კაცია და ორიენტაცია“... ნებისმიერ შემთხვევაში, კარგი იქნება, თუ ეს დღე მშვიდობიანად ჩაივლის და ქუჩაში „მიშველეს“ ძახილით არავინ ირბენს, ხომ „გავპაზორდით“ ეგრევე ევროპა-ამერიკის ლიბერასტულ თვალში?!

ბოლო პერიოდში რასაც ვაკვირდები, ჩვენ პატრიოტი გეებიც გვყოლია, საქართველოზე რომ ვინმემ აუგი თქვას, ეგრევე რომ სახეს მიუნგრევენ კაცურად...

რა თქმა უნდა, ორივე ხელის აწევით, მთელი ჩემი შეგნებითა და ცხოვრებისეული მრწამსით ვეთანხმები იმას, რომ იჩუჩუნე შენს საწოლში, ვისთანაც გინდა იმასთან და ნუ მაიძულებ, ტაში დაგიკრა — მე ხომ არ გთხოვ, გამოდი და ტაში დამიკარი, რომ ჰეტეროსექსუალი ვარ-თქო?

მოკლედ, ჩემმა წყარომ მომაწოდა ასეთი ინფორმაცია, რომ 17 მაისს, იმის მიუხედავად, რომ თავად „ლგბტ“-თემის წარმომადგენლები ამას კატეგორიულად უარყოფენ — მაინც აპირებენ რაღაც აქციის გამართვას:

„საელჩოები, არასამთავრობოები, ეს პროვოკატორები აპირებენ თავისუფლებაზე, პუშკინის სკვერში დილით შეკრებას, იქ უნდა შეკრიბონ ეს ჰომოსექსუალები და რაღაც პროვოკაციის მოწყობა უნდათ. საელჩოს წარმომადგენლები იმიტომ იქნებიან, რომ ვითომ დაიცვან და მოკლედ, თემის გასკანდალება უნდათ. არ მგონია, ბევრნი იყვნენ, მაგრამ სადღაც 30-კაცზე მეტი კი იქნებიან, ალბათ. პუშკინის სკვერში უნდათ რაღაც აქციის მოწყობა და ვნახოთ, აბა, რა გამოუვათ?“

როგორც საქართველოს საპატრიარქოს განცხადებაშია ნათქვამი, ეს მსვლელობა არის საქართველოს ეკლესიის ახალგაზრდული ცენტრის „დავითიანის“ მიერ ორგანიზებული და მას აქვს მხოლოდ მშვიდობიანი და ლოცვითი დატვირთვა:

„სასურველია, რომ მრევლმა თან იქონიოს მაცხოვრის, ღვთისმშობლის და წმ. ანდრია პირველწოდებულის ხატები (ან რომელიმე მათგანი), რადგან წმ. ანდრია პირველწოდებული იესო ქრისტეს კურთხევით გამოგზავნა ყოვლადწმინდა ღვთისმშობელმა საქართველოში და გამოატანა აწყურის ღვთისმშობლის სახელწოდებით ცნობილი ხატი, რომელიც ფიცარზე ღვთისმშობლის სახის მიდებით გამოისახა. ეს ხატი საუკუნეების მანძილზე დაბრძანებული იყო აწყურში და მისი სასწაულმოქმედი ძალა და მადლი აქედან ეფინებოდა ჩვენს ქვეყანას“.

ერთი სიტყვით, ზუსტად 17 მაისს მრავალათასიანი მსვლელობა მოეწყობა

## პროვოკაცია?!

ჩოს წარმომადგენლები?

**— კი, იყვნენ, მაგრამ, თუ მაინც გამოვლენ ახლა და რაღაც აქციას ჩაატარებენ, რას ფიქრობთ, რა მოჰყვება მას? იგივე განმეორდება, რაც წინა წლებში?**

– არ ვიცი... ადრე ასე იყო გაცხადებული, რომ საპატრიარქო არ გეგმავდა რაიმეს ჩატარებას. მერე გადაწყდა, რომ 17-ში 12 საათზე ხალხი იკრიბება „ვარდების მოედანზე“ ორგანიზებულად და აწყურის ხატით, ღვთისმშობლის ხატით იქნება მსვლელობა რუსთაველზე, შემდეგ სამების საკათედრო ტაძარში დალოცავს უწმინდესი ხალხს. სანამ ამას გავიგებდი, მე რაღაც ორგანიზებას ვაკეთებდი, ახლობლებს, უბნის მაცხოვრებლებს გამოსვლა გვინდოდა და რახან ასეთი მსვლელობის შესახებ

# რას აპირებენ „ლგბტ“-პირები 17 მაისს და რით დაუპირისპირდება საპატრიარქო?



**მამა ანთიმოზი: „მე რაღაც ორგანიზებას ვაკეთებდი, ახლობლებს, უბნის მაცხოვრებლებს გამოსვლა გვინდოდა“**





**„საელჩოები, არასამთავრობოები, ეს პროვოკატორები აპირებენ თავისუფლებაზე, პუშკინის სკვერში დილით შეკრებას, იქ უნდა შეკრიბონ ეს ჰომოსექსუალები და რაღაც პროვოკაციის მოწყობა უნდათ“**

სახელმწიფოში თითოეული ადამიანის უფლება უნდა იყოს დაცული, რომ ნებისმიერ ადამიანზე განხორციელებული ძალადობა არის კატეგორიულად მიუღებელი და დასაგმობი ფაქტი, მაგრამ, თუკი თავად არ გასვენებთ „ალენ დალესი“, სხვებს რატომ სთხოვთ, თმენის ვალდებულება ჰქონდეს უზნეობაზე, აღვირახსნილობაზე და გეიპროპაგანდაზე? პირადი ცხოვრება იმისაა, რომ არავის აქვს უფლება, მას შეეხოს, ვინც არ უნდა იყოს ის! არავის საქმე არ არის, ვინ, სად და როგორ „ქუნქურებს“, ქალთან წევს, კაცთან თუ ორივესთან ერთად, მაგრამ არსებობს ასეთი ცნება — საზოგადოება, რომლის ნერვებზეც არ უნდა იხტუნაო და ძალისძალად არ უნდა მოახვიო თავს, კაცს კაცი მოგწონს, თუ ქალს — ქალი. იყავი შენთვის,

რა გამოუვათ არ ვიცი, მაგრამ რა ჩიტიც შეიძლება დაიჭირონ, ამას ბევრი ტვინის დაძაბვა არ სჭირდება, წინა „17 მაისებია“ ამის მაგალითი. მით უმეტეს, რომ საქართველოს საპატრიარქოს განცხადებით, 17 მაისს თბილისში აწყურის ღვთისმშობლის ხატით მსვლელობა გაიმართება. საპატრიარქოში დაანონსებულ მსვლელობას ილია მეორის მიერ დაწესებულ „ოჯახის სიმტკიცისა და მშობლების პატივისცემის დღეს“ უკავშირებენ.

„თბილისში ხატით მსვლელობა დაიწყება შუადღისას, 12:00 საათზე, რესპუბლიკის მოედნიდან სამების საკათედრო ტაძრისკენ, სადაც უწმინდესი და უნეტარესი ილია II გადაიხდის პარაკლისს და დალოცავს ერს“.

თბილისის ცენტრალურ ქუჩებში და პუშკინის სკვერში რომ ვინმემ ორი გეი მაინც დალანდოს პლაკატით ხელში, ამას ისეთი ამბავი შეიძლება მოჰყვეს, საელჩოები და არასამთავრობოები კი არა, მამაზეციერი ვერ უშველის ვერც ერთს...

„ალია“ **ანთიმოზ ივერიელს** (ბიჩინაშვილი) დაუკავშირდა და დაინტერესდა, იცის თუ არა მან რამე პუშკინის სკვერში შესაძლო ლგბტ-აქციის მოწყობის შესახებ?

– ეგ ინფორმაცია არ ვიცი, ჩემო კარგო. თან ეს დღეები ცუდად ვარ... როგორ უნდა გაბედონ ეგ, როდესაც 12 საათზე ამდენი მსვლელობაა და დაახლოებით, ასი ათასი კაცი იქნება, არ ვიცი...

**— ჩემმა წყარომ მითხრა, საელჩოს წარმომადგენლებიც იქნებიან იქ სპეციალურად, რომ, ასე ვთქვათ, დაიცვან ჰომოსექსუალები და ლგბტ-პირები ხალხის აგრესიისგანო.**

– და რა, ადრე არ იყვნენ საელგახდა ცნობილი, ჩვენ მას შევუერთდებით, რადგან უწმინდესის კურთხევის წინააღმდეგ მე ვერ წავალ.

**— თუკი მსვლელობისას მართლაც აღმოჩნდება, რომ პუშკინის სკვერში ზემოაღნიშნული აქცია იქნება პარალელურად, როგორ ფიქრობთ, შეიძლება ეს პროვოკაცია იყოს მათი მხრიდან, რომ დაპირისპირება მოხდეს?**

– რა თქმა უნდა. ისინი სულ ცდილობენ თავისას, ჭკუა ვერ ისწავლეს და... იცით, რა არის? ძალიან ცუდი სიტუაციაა, ხმამაღლა არავის უნდა ამის თქმა და აღიარება: ჩვენ სერიოზულად ვართ დაპყრობილები. 25 წელიწადი რუსების მხრიდან ვართ ოკუპირებულები, დღეს ჩვენი ტერიტორიის 20 პროცენტზე საერთოდ ვერ შევდივართ, დანარჩენს კი მეფისნაცვალი ამერიკის ელჩი აკონტროლებს. თითქოს, ერთი ურჩხული მეორე ურჩხულზე უფრო ლამაზია, მაგრამ ჩემთვის ორივე ურჩხულია.

• Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook



**ნიკა გვარამია** (13 მაისი)
მოკლედ, ასეთი მობილიზაცია პარლამენტს არ ახსოვს. დღეს შუაღამეზე მიიღეს საკონსტიტუციო სასამართლოს შემზღუდავი კანონი. და ხვალ, საკუთარი ყრილობის წინ, დილის ათ საათზე აპირებენ მესამე მოსმენით მიღებას.

მიზეზი ერთია: დღეს სააპელაციო სასამართლომ ვერ მოახერხა გადაწყვეტილების მიღება და ივანიშვილის რეჟიმი პირდაპირ დადგა იმ საშიშროების წინაშე, რომ საკონსტიტუციოს გადაწყვეტილებამ შეიძლება საერთოდ დაუკარგოს აზრი მისი მორჩილი სააპელაციო სასამართლოს ყველასთვის ისედაც გასაგებ გადაწყვეტილებას.

გამოსავალი მხოლოდ პრეზიდენტის ვეტო და საკონსტიტუციო სასამართლოს ეფექტურობაა. მხოლოდ ეს გადაარჩენს ქვეყანას და მის მომავალს. ქართულ დემოკრატიას მხოლოდ ეს შანსიღა დარჩა.

პს ყველა, ვინც ხმა მისცა სასამართლო სისტემის დასამარებას, სამუდამოდ უნდა ამოიშანთოს ქართული პოლიტიკიდან. აუცილებლად!

პპს კობა დავითაშვილიც კი მიიყვანეს ხმის მისაცემად და უმავლესობიდან "გასული" ეროვნული ფორუმი სრული შემადგენლობით. არც ერთი ხმა ნაციონალების, თავდემების, გირჩის და რესპებისგან

Facebook ამბები



კოკა ყანდიაშვილი

"ქართული ოცნების" ყრილობას ვუყურე.

1. ბოლოს და ბოლოს, ეგებ შევთანხმდეთ, დავაკანონოთ, დავაწესოთ, გადავწყვიტოთ - როდესაც ჟღერს საქართველოს სახელმწიფო ჰიმნი, ამ დროს გულზე ხელს ვიდებთ თუ არა? ვიმეორებთ ჰიმნის ტექსტს თუ არა? ფეხზე რომ ვდგებით ამაზე ხომ შეთანხმებულები ვართ - და ეს საკითხიც მოვაგვაროთ რა... ივანიშვილი ტექსტს იმეორებდა, ღარიბაშვილი არ იმეორებდა მაგრამ გულზე ხელი ედო, კვირიკაშვილი არც ტექსტს იმეორებდა და არც გულზე დაუდია ხელი. ყველგან და ყველაფერში, წესრიგია საჭირო მეგობებო - წესრიგი!!!

2. მომეწონა რომ სამი პრემიერი იყო ყრილობაზე და სამივეს დიდი ოვაციებით დახვდნენ დელეგატები და მოწვეული სტუმრები.

3. ხმის დეფექტების დიდმა რაოდენობამ და გამომსვლელების ცუდმა განათებამ შემაწუხა, თუმცა - მთლიანობაში დეკორაცია არ იყო უხეირო.

4. კახი კალაძის, როგორც პარტიის გენერალური მდივნის გამოსვლა - მეცოტავა.მგონია, რომ ბევრად მეტი უნდა ეთქვა, ამ წლების მანძილზე, პარტიის მიერ გაწეულს საქმიანობაზე და უფრო მეტი - მომავალ გეგმებზე.

5. კვირიკაშვილის კანდიდატურა, პარტიის თავმჯდომარის პოსტზე, ისე სწრაფად დაასახელეს, კენჭი უყარეს და აირჩიეს, რომ მიზანსცენაც კი ვერ შევაფასე **Смайлик** «სმილე»

6. არ ვიცი რას ნიშნავდა - კვირიკაშვილის ასე დაგვიანება ყრილობაზე? ყველა ალოდინა.... ეგებ თქვენ იცოდეთ - ასეთი ჩანაფიქრი იყო?

7. ერთი კვირის თავზე - ბიძინა ივანიშვილის წერილი გამოქვეყნდება, სადაც იგი მომავალ გეგმებზე ისაუბრებს და პასუხს გასცემს აქტუალურ კითხვებს. - ველი მომავალ შაბათს.

8. კვირიკაშვილი - დაგვპირდა რომ ბევრ ახალ სახეებს იხილავთ ჩვენს პარტიაშიო - კაია, ძალიან კაია!!! ზოგადად კაი სიტყვა ჰქონდა პრემიერ-მინისტრს, თეზისებათ სეიძლება დაშლა და გააზრება. სინამდვილეში - დიახ ამ სიტყვაში ითქვა ის, თუ რას აპირებს ეს პოლიტიკური ძალა.

9. როგორც პარტიის თავმჯდომარემ, პირველი დავალებაც გასცა - "ხვალიდანვე დაიწყეთ შეხვედრები მოსახლეობასთან და ადგილზე გამოავლინეთ პრობლემური საკითხებიო."

10. რა თქმა უნდა, მეც თვალში მომხვდა - პოლიციის გადამეტებული რაოდენობა, სპორტის სასახლის გარშემო.

11. ძალიან არასასიამოვნო სანახავი იყო გარეთ, ქუჩაში ტომრებით დაყრილი "ქართული ოცნების" მაისურები. ხომ შესაძლებელია - მსურველებს ეს მაისურები, ცივილურად დაურიგდეს?

12. პარტია "ქართული ოცნების" პოლიტსაბჭოს ახალი შემადგენლობა:

1. კახი კალაძე
2. გია ვოლსკი
3. მანანა კობახიძე
4. ეკა ბესელია
5. ირაკლი სესიაშვილი
6. ირაკლი ტრიპოლსკი
7. თემურ ჭკუასელი
8. დავით საგანელიძე
9. ნოდარ ხადური
10. ზვიად კვაჭანტირაძე
11. გედევან ფოფხაძე
12. ირაკლი კობახიძე
13. დავით ბაქრაძე
14. დავით კოღუაშვილი
15. მამუკა მდინარაძე
16. ირინე ფრუიძე
17. რომან კაკულია
18. სოფიო კილაძე
19. აკაკი ზოიძე
20. ზვიად გინაძე
21. გიორგი კვირიკაშვილი

13. ბავშვები ძაან მაგრად მღეროდნენ - მაგრამ სამწუხაროდ არავინ წარუდგინა ისინი მაყურებელს. რა გუნდი იყო, ვინ იყვნენ, ან საიდან?

14. ევროკავშირისა და ნატოსკენ გვაქვს აღებული გეზო და ამ გზას არ გადავუხვევთო - ბრძანა პრემიერ-მინისტრმა.

15. სამწუხაროა, რომ ყრუ და სმენა--დაქვეითებულთათვის არ ხდებოდა გადმოცემა, ჟესტურ ენაზე.

16. პირველად ვნახე ჩემს ცხოვრებაში პარტიის ყრილობა, სადაც მხოლოდ 2 გამომსვლელი იყო.

17. რა თქმა უნდა გამარჯვებას ვუსურვებ "ქართულ ოცნებას". გიორგი კვირიკაშვილს, რომელსაც განსაკუთრებული იმედით შესცქერის ჩვენი საზოგადოება. წარმატებებს - ჩვენი სამშობლოსა და ხალხის საკეთილდღეოდ! აღსანიშნავია, რომ დარბაზში იყო რაღაცნაირად ბევრი წესიერი ადამიანი, იცით როგორი? აი არანაირ მამაძაღლობას რომ არ ელი მათგან.

და ბოლოს, ამხელა პოლიტიკური მნიშვნელობის ამბავი, "ქართულმა ოცნებამ" - 1 საათში დაასრულა. მთელი საქართველოდან, 8000 (მემგონი ამდენი სავარძელია იმ დარბაზში) ადამიანი იყო მობილიზებული სპორტის სასახლეში.

სწაფია ეს ოცნება - ძაან სწრაფია.......

მთავარი რაც იგრძნობოდა - ეს სტაბილურობა, სიმშვიდე და იმედი იყო.



გიორგი გუგავა

ივანიშვილი ყოველთვიურად აფინანსებს

ბერიკაშვილი გივი-4000
დოლიძე ქეთი - 2000
შენგელაია ნიკუშა-1000
ბადურაშვილი ლალი - 1000

აესვე ამაყად დადიოდნენ კომუნისტების, მოქ კავშირის, ნაციონალების და ახლა ოცნების ყრილობებზე.

ფულზე გაყიდული, ოცნება ახდენილი ინტელიგენცია

# ვინ და რა დამსახურებისთვის აიღო ბიუჯეტიდან სააღდგომო პრემიები?

დიანა ლიპარტელიანი
571 80-40-80



**კოალიცია „საზოგადოებრივი ინიციატივა“ სახელმწიფო უწყებების მიერ სააღდგომოდ გაცემული პრემიების საკითხზე მუშაობას აგრძელებს. დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატისა და ენერგეტიკის სამინისტროს შემდეგ, ორგანიზაცია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში სადღესასწაულოდ გაცემული პრემიებით ინტერესდება.**

**„ალია“ კოალიცია „საზოგადოებრივი ინიციატივის“ ხელმძღვანელს, ლაშა ფარულავას ესაუბრა:**



„იმ დროს, როდესაც ამ უწყების თანამშრომელი ხელფასის ოდენობის პრემიას იღებს და სახლში მიდის ბედნიერი, ის სტუდენტი იჩაგრება, რომელსაც სწავლის ღირებულების გადაუხდელობის გამო სტატუსი შეუჩერდა, ან მალე შეუჩერდება“





„განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ნაცვლად იმისა, რომ იმ პრობლემების მოგვარებით დაინტერესდეს, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება თანხებს, დგას და პრემიებს არიგებს“

– საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით მივმართეთ ყველა უწყებას, რომ მოეწოდებინათ ინფორმაცია, გაცემულია თუ არა სააღდგომო პრემიები და გაცემის შემთხვევაში, ასევე, გვაინტერესებდა, რა ოდენობის პრემიები გაიცა.

როგორც უკვე გესაუბრეთ - დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატმა, დაახლოებით 20 ადამიანზე გასცა 42 ათას 340 ლარის ოდენობის პრემია, ხოლო ენერგეტიკის სამინისტრომ სააღდგომოდ პრემიებისთვის დახარჯა 23 ათას 600 ლარი, თუმცა პრემიები არ გაცემულა მინისტრისა და მისი მოადგილეების მისამართით, როგორც დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის შემთხვევაში მოხდა.

შემდეგი, ვისი პასუხიც მივიღეთ სააღდგომო პრემიებთან დაკავშირებით, არის განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. რამაც კიდევ ერთხელ დაგვიდასტურა, რომ სააღდგომო პრემიების გაცემას სახელმწიფო უწყებებში ჰქონდა სისტემური ხასიათი.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციით ირკვევა, რომ უწყებამ სააღდგომოდ გასცა 184 ათას 965 ლარის ოდენობის პრემია. ამათგან - დაახლოებით 138 ათასი ლარი, გაცემულია შტატგარეშე თანამშრომლებზე, რომელთა ვინაობასაც ვერასდროს ვერ გავიგებთ, ვინაიდან შტატგარეშეები არიან და არასამთავრობო სექტორს მათზე ინფორმაცია არ მოეპოვება.

**— რა დამსახურებისთვის გაიცა ამ ოდენობის პრემიები, თუ დაინტერესდით ამ საკითხით?**

– ეს სააღდგომო პრემიები არის ერთჯერადი სახის პრემია. ანუ ეს არ არის დამსახურებისთვის გაცემული პრემია და ამ შემთხვევაში პრემიები აღებული აქვთ, როგორც უწყების მაღალი თანამდებობის პირებს, ასევე, უშტატო თანამშრომლებს, აი, ეგენი ვინ არიან, ღმერთმა უწყის... ეს ფაქტორი ბევრად უფრო შემაშფოთებელია, ვიდრე ის, რომ ხელმძღვანელმა პირებმა აიღეს პრემიები.

ეს არის კატასტროფული თანხა, თუ გავითვალისწინებთ, რამდენი პრობლემა დგას განათლების სისტემაში, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ნაცვლად იმისა, რომ დაინტერესდეს ამ პრობლემების მოგვარებით, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება თანხებს, დგას და პრემიებს არიგებს.

## ჩვენი დასკვნები!

როდესაც რაიმე პრობლემის მოგვარების წინაშე დგება უწყება, ისინი ამბობენ, რომ საამისო თანხები არ არის ბიუჯეტში, მაგრამ, როგორც კი საკუთარ თავებთან რჩებიან, აუცილებლად პოულობენ სახელმწიფო ბიუჯეტში 200 ათას ლარამდე თანხას თავიანთი პრემიებისთვის. აი, ასე ნიავდება სახელმწიფო სახსრები და ამით ვერაფერს იღებს ამ ხელისუფლების ამომრჩეველი.

იმ დროს, როდესაც ამ უწყების თანამშრომელი ხელფასის ოდენობის პრემიას იღებს და სახლში მიდის ბედნიერი, ის სტუდენტი იჩაგრება, რომელსაც სწავლის ღირებულების გადაუხდელობის გამო სტატუსი შეუჩერდა, ან მალე შეუჩერდება.

**ამ ოდენობით თანხით, შესაძლებელი იყო რამდენიმე ათეული სტუდენტის სწავლის დაფინანსება, ასევე, გარკვეული რაოდენობის ლაბორატორიების, ბიბლიოთეკების, ლიტერატურის შეძენა. სავალალო მდგომარეობაშია სასწავლებლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზები.**

**იმხელა უფსკრულია გაჩენილი სახელმწიფო უწყებებსა და ამომრჩეველს შორის, რომელსაც, შემოდგომის არჩევნების გარდა, ვერაფერი ამოავსებს.**

ჩვენ ვაგრძელებთ მონიტორინგს, ყველა უწყების პასუხს ველოდებით და რა თქმა უნდა, ამ სააღდგომო პრემიების თაობაზე საზოგადოებას ინფორმაციას მივაწვდით თქვენი გაზეთის მეშვეობით.

Facebook



ჯონდი ბაღათურია:

მთავარია "პარტიის ყრილობას" დაესწრო "ძმაო" და ხალხი და სახელმწიფო შეგიძლია ისევ ისე გაატყავო როგორც აქამდე ატყავებდი ...

ეს პარტიის ყრილობა იყო?

მაშინ რა ესაქმებოდათ იქ ბანკირებს, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მფლობელებს?

სპორტული ფედერაციების და კლუბების პრეზიდენტებს ?

მედიამფლობელებს?

"კარის მომღერლებს, მსახიობებს, პოეტებს"

და სხვადასხვა ჯურის ტაკიმასხარებს ?

სად ბანკირი და სად პარტია და პარტიის ყრილობა ?

ჩვენ რა "საბჭოთა კავშირში" დავბრუნდით თუ კიდევ უფრო უკან, ფეოდალიზმში ?

ააა გამახსენდა "აქოური წესი", თუ ვინმე "საშოვარზე დგას" აუცილებლად "პარტიის ყრილობას" რომ უნდა ესწრებოდეს ?

სამაგიეროდ "საშოვარზე დგომის" ნებართვა ექნება ...

და ხალხი?

ხალხი რამდენიც გინდა გაატყავე "ძმაო" ...

მთავარია "პარტიის ყრილობას" დაესწრო და ხალხი და სახელმწიფო შეგიძლია ისევ ისე გაატყავო როგორც აქამდე ატყავებდი, ჯერ შევარდნაძის დროს, მერე სააკაშვილის დროს ...

ახლა ამათი დროა და შენც "ამ დროს უნდა მოერგო" ...

დიახ თუ გინდა რომ უფლება გქონდეს ქვეყანა და ხალხი დაუსჯელად ძარცვო, მაშინ "პარტიის ყრილობას" უნდა დაესწრო და ნაქურდალის წილი სწორად და დროულად მიიტანო ...

დიახ ასეა მეგობრებო და მე რომ აქ ზოგიერთის რეაქცია და კომენტარი ვნახე შეიძლება უარესიც გვეკუთვნოდეს მაგრამ ...

მაგრამ მე ეს მაინც უნდა მეთქვა, რომ არ მეთქვა გული გამისკდებოდა და საკუთარ თავში ეჭვი შემეპარებოდა ...

ჩემი ფუნქციაც ხომ ეს არი, მე უნდა ვთქვა ...

მე უნდა ვთქვა და სხვები ჩუმად გულში დამეთანხმებიან ...

გულში დამეთანხმებიან, მაგრამ საჯაროდ და ხმამაღლა რა თქმა გამკიცხავენ, იმიტომ რომ "პარტიამ" და "ყრილობამ" გაიგონოს,

სამაგიეროდ "საშოვარზე დგომის" უფლებას მოგცემენ ...

ასე იყო ადრეც, მიშას დროს, მე ვამბობდი და სხვები "პარტიის ყრილობას" ესწრებოდნენ ...

ეს ხალხი ესწრებოდა ახლაც ...

აქ ის შეიცვალა რომ მიშას ნაცვლად ახლა ბიძინა იჯდა სათავეში, ახლა ბიძინას უძღვნიდნენ "პოლიხრონიონს", დანარჩენი ხალხიც იგივე იყო, მუსიკაც და სიტყვებიც ...

Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები

ლევან ჯავახიშვილი
577 51-73-37



» თვალებში ნაცარს გვყრიან

# სამი მიზეზი, რის გამოც გიორგი ბადაშვილი

## რატომ ეშინია „ოცნების“ ხელისუფლებას





**გიორგი ბადაშვილი ვერ აღადგენდა ქვეყანაში სამართლიანობას, რადგან ის იმ სისტემის ნაწილი იყო, რომელმაც ქვეყანაში კანონი და სამართალი დაასამარა**

2014 წლის იანვარში, საქართველოს მთავარ პროკურორად გიორგი ბადაშვილი დაინიშნა. ამ ქვეყანაში ვისაც ჭკუა მოეკითხებოდა, ყველა იმთავითვე აცხადებდა, რომ ბადაშვილი პროკურატურის რეფორმირებას ვერ შეძლებდა, ვერც სამართლიანობის აღდგენის კუთხით გააკეთებდა რამეს და საერთოდ, ეს იყო სრულიად აბსურდული საკადრო გადაწყვეტილება. თუმცა, საზოგადოების დიდი ნაწილის – უფლებადამცველების, იურისტების, პოლიტიკოსების ამ მოსაზრებას არ ეთანხმებოდნენ საქართველოს დე იურე და დე ფაქტი პრემიერ-მინისტრები, ირაკლი ღარიბაშვილი და ბიძინა ივანიშვილი. ღარიბაშვილი კატეგორიულად აცხადებდა, ბადაშვილი წარმატებული პროკურორი იქნებაო. სხვა რა უნდა ეთქვა, გიორგი ბადაშვილი ხომ ივანიშვილის რჩეული იყო და მის წინააღმდეგ ღარიბაშვილი ვერ წავიდოდა. ბადაშვილი ქვეყანაში კლანური მმართველობის ნათელი ნიმუშია, საზოგადოებრივი აზრის საწინააღმდეგოდ, მხოლოდ იმიტომ გახდა მთავარი პროკურორი, რომ ივანიშვილის გუნდის წევრი იყო და მას ასე სურდა.

ვინც გიორგი ბადაშვილის წინააღმდეგ გამოდიოდა, ამ ხალხს მყარი არგუმენტები ჰქონდა. ისინი აცხადებდნენ, რომ ბადაშვილისთვის პროკურატურის სისტემა უცხო იყო, მან მთელი კარიერა ფინანსურ პოლიციაში გაატარა, მართალია, იქაც გამომძიებელი იყო, მაგრამ ფინანსური დანაშაულის გამომძიებლობა ერთია, სისხლის სამართლისა – მეორე და მით უფრო, ქვეყნის მთავარი პროკურორობაო. აქ უფრო სხვა, პროკურატურის სისტემაში ჩახედული და მენეჯერული თვისებებით გამორჩეული კაცია საჭირო, ბადაშვილს კი არც ერთი აქვს და არც მეორეო.

**გარდა ამისა, ბადაშვილს იმიტომაც იწუნებდნენ, რომ ის 2006 წლიდან 2012 წლამდე ფინანსურ პოლიციაში მუშაობდა, მათ შორის, მე-3 სამმართველოს უფროსის მოადგილისა და უფროსის თანამდებობებზე. ბადაშვილი ამ უწყებაში მუშაობდა მთელი იმ პერიოდის მანძილზე, როცა ფინანსური პოლიცია გადაქცეული იყო სახელმწიფო რეკეტის ორგანოდ,**

ათასობით ადამიანს ართმევდნენ ბიზნესს, შანტაჟისა და მუქარის ძალით სახელმწიფოს, ხელისუფლების ლიდერებთან დაახლოებული კერძო პირების, პარტია „ნაციონალური მოძრაობისა“ და მისი სატელიტი სხვა პარტიების სასარგებლოდ ახდევინებდნენ სოლიდურ თანხებს. ვინც ამას არ დასთანხმდებოდა, მათ უზარმაზარ ხელოვნურ დავალიანებას აწერდნენ და აკოტრებდნენ.

**მოკლედ, ფინანსური პოლიცია მიხეილ სააკაშვილის ხელში ბიზნესის დამორჩილების მექანიზმი იყო. აი, ამ პერიოდში, გიორგი ბადაშვილმა 6 წელზე მეტი გაატარა ფინანსურ პოლიციაში და ცხადია, საზოგადოებას მასთან კითხვები გაუჩნდა. ლოგიკურად, ორში ერთია — ან თავად გიორგი ბადაშვილიც მონაწილეობდა ამ ძარცვა-ყაჩაღობაში, ბიზნესმენებზე ზეწოლაში ანდა, ხედავდა, მის უწყებაში მისივე თანამშრომლები როგორ ატყავებდნენ უდანაშაულო ხალხს და ამაზე დუმდა, სამსახურის დაკარგვის შიშით ხმას არ იღებდა. ორივე შემთხვევაში ამ პოსტზე არ უნდა დანიშნულიყო. არსებობს მესამე ვარიანტიც — დავუშვათ, ბადაშვილმა არაფერი იცოდა, რა ხდებოდა მის უწყებაში. თუ ამას დავიჯერებთ, გამოდის, ბადაშვილი 6 წელი ჭურში იჯდა და აზრზე არ იყო, რა საშინელება ხდებოდა მის სამსახურში. ასეთი კაცი კი არათუ არ უნდა დააწინაურო, სამსახურიდან უნდა გაუშვა.**

საზოგადოების პოზიცია აბსოლუტურად მართალი იყო, გიორგი ბადაშვილი ვერ აღადგენდა ქვეყანაში სამართლიანობას, რადგან ის იმ სისტემის ნაწილი იყო, რომელმაც ქვეყანაში კანონი და სამართალი დაასამარა. არადა, ირაკლი ღარიბაშვილი გვპირდებოდა, გიორგი ბადაშვილი ის კაცია, რომელიც ქვეყანაში სამართლიანობას აღადგენს, „ნაციონალების“ დროს ჩადენილ დანაშაულებს პატიოსნად გამოიძიებს და ხალხს წართმეულ ღირსებასა და ქონებას დაუბრუნებსო.

გიორგი ბადაშვილი ფინანსურ პოლიციაში მუშაობისას მთლად სუფთა რომ არ იყო, ამას „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერი, დიმიტრი ლორთქიფანიძე ამბობდა და მაშინდელ პრემიერ ღარიბაშვილს მოუწოდებდა, გაესაჯაროებინა ფაქტი, არსებობს თუ არა პროკურატურაში გიორგი ბადაშვილს წინააღმდეგ შეტანილი საჩივარი მისი ფინანსური პოლიციაში მუშაობის პერიოდში ჩადენილ სავარაუდო დანაშაულზე. სამწუხაროდ, დღემდე პასუხგაუცემელია ეს კითხვა. ამის შესახებ არც ბადაშვილის მთავარი პროკურორობისას და არც შემდეგ, მთავარ პროკურატურას განცხადება არ გაუკეთებია. გავრცელებული ინფორმაციით კი, რამდენიმე ასეთი საჩივარი არსებობდა, მაგრამ ეს საქმეები ბადაშვილმა ჩაფარცხა.

გიორგი ბადაშვილამდე მთავარი პროკურორი მცირე ხნით, ასევე, ფინანსური პოლიციის კადრი, ოთარ ფარცხალაძე იყო, სწორედ მის დროს დაიწყო ფინანსური პოლიციის კადრების გადმოყვანა პროკურატურის სისტემაში, მანვე მოიყვანა გიორგი ბადაშვილი მთავარი პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსად. ბადაშვილმა შემდგომში, პროკურატურის თითქმის ყველა მნიშვნელოვან პოსტზე ფინანსურის ყოფილი თანამშრომლები დანიშნა, შესაბამისად, ამ ხალხმა საკუთარი დეპარტამენტები და სამმართველოები, ფინანსურის ყოფილი თანამშრომლებით შეავსეს.

**ახლა ნახეთ, რა ხდება. ფინასური პოლიციის თანამშრომლები ეჭვმიტანილნი არიან ბიზნესმენებისთვის ბიზნესის, ქონებისა და თანხების უკანონოდ წართმევაში, ეს საქმეები უნდა გამოიძიოს პროკურატურამ, გიორგი ბადაშვილმა კი პროკურორებად და გამომძიებლებად ის ხალხი დანიშნა, ვისაც ეს დანაშაულები უნდა გამოეძიებინა. გამოდის, რომ პოტენციური დამნაშავენი დანიშნა ბადაშვილმა პროკურატურაში და ცხადია, ეს ხალხი, არც საკუთარ, არც ყოფილი კოლეგებისა და მეგობრების დანაშაულს არ გამოიძიებდა. ამით გიორგი ბადაშვილმა საფუძველშივე ჩაკლა ხალხისთვის წართმეული ქონების დაბრუნების შანსი და ეს სრულიად შეგნებულად გააკეთა.**

გარდა ამისა, ბადაშვილმა პროკურატურიდან გაყარა ძველი კადრები, უმთავრესად ის ხალხი, ვინ „ნაცმოძრაობის“ დროს გაუშვეს პროკურატურიდან, 2012 წლის არჩევნების შემდეგ დაუბრუნდნენ ამ სისტემას და მოწადინებულნი იყვნენ, სამართლიანობა აღედგინათ ქვეყანაში და დამნაშავე „ნაციონალები“ დაესაჯათ. როცა გიორგი ბადაშვილი პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსად მუშაობდა, იმ დროიდან გამოავლინა თავისი ნეგატიური დამოკიდებულება ხალხის მთავარი დაკვეთის – სამართლიანობის აღდგენის პროცესის მიმართ და ყაჩაღობაში მსჯავრდადებული უფროსის, ოთარ ფარცხალაძის ბრძანებებს უსიტყვოდ ასრულებდა. ამ პოსტზე მუშაობისას, ბადაშვილმა სამსახურიდან გაუშვა მთავარი პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა ყოფილი უფროსი გამომძიებელი გიორგი ნოზაძე. მისი ერთადერთი „დანაშაული“ მხოლოდ ის იყო, რომ თანამშრომელს გაეხუმრა ფოტოშოპით და ეს ხუმრობა პროკურატურის მუშაკისთვის შეუფერებელ საქციელად ჩაუთვალეს. ნოზაძის მსგავსად, ამგვარო ხუმრობისთვის, კიდევ 3 პროფესიონალი გამომძიებელი გაათავისუფლა ბადაშვილმა. გიორგი ნოზაძეზე აქცენტი ერთი მიზეზის გამო გავაკეთე. ამ კაცმა არჩილ კბილაშვილის მთავარი პროკურორობისას გამოიძია ბაჩო ახალაიას, მეგის ქარდავას, დავით ჭაკუას, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თანამშრომლის ჩახვაძისა და აჭარის კუდ-ის ხელმძღვანელის თეიმურაზ პატარიძის საქმეები და სასამართლოში ყველა ბრალდებულის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი დადგა, ყველანი ციხეში ჩასვეს. სხვათა შორის, იმ პერიოდში, ბაჩო ახალაიას მიმართ გამოტანილი ეს ერთადერთი გამამტყუნებელი განაჩენი იყო, რომელიც „ციხის ბუნტს“ უკავშირდებოდა, დანარჩენ 13 ეპიზოდში კი ახალაია გამართლდა.

„ბადაშვილი ყველას ერთი ტექსტით მიმართავდა: შენი ნებით დაწერე განცხადება, თორემ გენერალური ინსპექციის დასკვნით გაგაგდებთო. მეც ზუსტად ასე დამემუქრა...“ – აცხადებდა გიორგი ნოზაძე.

გამომძიებელ გიორგი ნოზაძის ნათქვამი ადასტურებს, რომ გიორგი ბადაშვილი ჯერ საგამოძიებო ნაწი-

ლის უფროსის პოსტის რანგში ამუხრუჭებდა სამართლიანობის აღდგენას, სამსახურიდან დაუმსახურებლად უშვებდა ამის მოსურნე თანამშრომლებს, შემდეგ კი, უკვე მთავარი პროკურორის რანგში განაგრძო ამის კეთება. გიორგი ბადაშვილი პროკურატურაში მუშაობის პერიოდში წინ აღუდგა სამართლიანობის აღდგენის პროცესს და ეს არის დანაშაული ქართველი ხალხის წინაშე. მისდროინდელ სრულიად უუნარო მთავარ პროკურატურაში სპეციალური დეპარტამენტიც შეიქმნა, რომელსაც ხალხისთვის წართმეული ქონება უნდა დაებრუნებინა, მაგრამ რეალურად, ესეც ხალხის თვალის ასახვევად და სამართლიანობის აღდგენის პროცესის გასაწელად გაკეთდა. ...

გაშვილი ცოცხალი იქნებოდა. იური ვაზაგაშვილი შვილის საფლავზე, გავრცელებული ინფორმაციით, სწორედ „კორტების სპეცოპერაციაში“ მსჯავრდადებულმა პირებმა ააფეთქეს, შემკვეთები ისინი იყვნენ. იური ვაზაგაშვილი შვილის საფლავზე 2015 წლის 20 იანვარს ააფეთქეს, ხოლო „კორტების სპეცოპერაცია“ 2015 წლის 2 თებერვალს გამოცხადდა გახსნილად. იური ვაზაგაშვილი რომ მართალი იყო, ეს იმითაც დადასტურდა, რომ მისი სიკვდილის შემდეგ, შს მინისტრი, ალექსანდრე ჭიკაიძე გადადგა, მან მორალური პასუხისმგებლობა აიღო მის მკვლელობაზე და ამით აღიარა, რომ პოლიციაში მართლა მფარველობდნენ „კორტების სპეცოპერაციაში“ მონაწილე პოლიციელებს.

გურამ შარაძის პოლიტიკური მკვლელობის საქმე, რომლის გახსნასაც მხოლოდ ნება სჭირდება და სხვა არაფერი, იმდენად თეთრი ძაფით არის ეს საქმე შეკერილი და შარაძის მკვლელობის ბრალდებით, აშკარად უდანაშაულო გიორგი ბარათელი ზის ციხეში. დღემდე ისევ ბურუსით არის მოცული პრემიერ ზურაბ ჟვანიას მკვლელობის საქმეც, ბუტა რობაქიძის მკვლელობას ხომ ისევ მრავალი კითხვის ნიშანი ახლავს. მართალია, მისი მკვლელობისთვის პოლიციელმა ბაშალეიშვილმა სასჯელიც მოიხადა, მაგრამ ამ საქმეში მხოლოდ ბაშალეიშვილი რომ არ არის დამნაშავე, ეს ყველამ ვიცით, აქ გარეულნი არიან შსს-ს პრესცენტრის იმჟამინდელი უფროსი, გურამ დონაძე და სამინისტროს სხვა მაღალჩინოსნები, ეს იმ მკვლელობებისა და სხვა შემზარავი დანაშაულების მცირე ნაწილია, რომელთა გახსნასაც ეს ხელისუფლება ჰპირდებოდა ხალხს და მათ გახსნას სწორედ ბადაშვილის მთავარი პროკურორობისას ველოდით, თუმცა, როგორც აღმოჩნდა, ამაოდ.

## თვალებში ნაცარს გვაყრიან

ფრანგეთში. დღემდე კაცმა არ იცი, სად არიან კუდ-ის უფროსის მოადგილე სოსო თოფურიძე, შს მინისტრის ყოფილი მოადგილე და კუდ-ისა და სოდ-ის კურატორი ამირან მესხელი... გიორგი ბადაშვილმა „ნაციონალების“ ვერც ერთი მაღალჩინოსნის ჩამოყვანა ვერ მოახერხა საქართველოში, ბრალი ვერც ერთს ვერ დაუმტკიცა ჩვენმა პროკურატურამ. ეს კი ნაპროკურორალი ბადაშვილის უდიდესი მინუსია.

მოკლედ, გიორგი ბადაშვილმა თავი მთავარი პროკურორობისას არათუ ვერ გამოიჩინა, ის იყო ძალიან წარუმატებელი შეფი პროკურატურისა. ეს თავად ხელისუფლებამაც აღიარა, როცა იგი ირაკლი შოთაძით შეცვალა. ლოგიკურად, როცა ქვეყნის მთავარი პროკურორის პოსტს ტოვებს წარუმატებელი და ხელმოცარული ადამიანი, მას იმ პოლიტიკური გუნდიდანაც უშვებენ, რომელმაც ის ადრე აღაზევა, სახელისუფლებო სტრუქტურებში მისთვის ადგილი აღარ მოიძებნება, რადგან დამარცხებული კაცი არავის არსად სჭირდება და თუ მაინცდამაინც რაღაც კვალიფიკაცია და გამოცდილება აქვს, კერძო სტრუქტურაში განაგრძობს საქმიანობას. ასე ხდება ყველა ნორმალურ ქვეყანაში. ბადაშვილი კი ამ ხელისუფლებამ კვლავ ფინანსურ პოლიციაში დააბრუნა. ვიდრე მთავარი პროკურორი გახდებოდა ბადაშვილი, ამავე უწყებაში მე-3 სამმართველოს ხელმძღვანელობდა, ეს იყო ფინანსურში მისი კარიერული პიკი, ახლა კი უფრო მაღალ პოსტზე მუშაობს – ფინანსური პოლიციის საგამოძიებო ნაწილის უფროსია, კაცი დააწინაურეს. ვერ გავიგე, თუ გიორგი ბადაშვილმა პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსად და მთავარ პროკურორად ვერ ივარგა, ფინანსურის საგამოძიებო სამსახურის შეფად როგორღა ივარგებს? ამბობენ, რომ გიორგი ბადაშვილმა დღევანდელი ხელისუფლების სხვადასხვა ლიდერების დანაშაულებრივი საქმიანობის შესახებ, ძალიან ბევრი იცის, თუ თავზე ხელი აიღო, ბევრ მათგანს ციხეში გამოამწყვდევს, ამიტომ ეს ხალხი მფარველობს და ფინანსურში თბილ ადგილასაც იმიტომ დააბრუნესო.

# მაღალ თანამდებობაზე არ უნდა მუშაობდეს!!!

## გიორგი ბადაშვილის ალაპარაკების?





**თუ გიორგი ბადაშვილმა პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსად და მთავარ პროკურორად ვერ ივარგა, ფინანსურის საგამოძიებო სამსახურის შეფად როგორღა ივარგებს?**

ცესის გასაწელად გაკეთდა. ამ დეპარტამენტმა მხოლოდ რამდენიმე ნაკლებად მნიშვნელოვანი საქმე გამოიძია, რამდენიმე ადამიანს დაუბრუნა წართმეული ავტომობილები და მიწის ნაკვეთები, თუმცა, არ დასჯილან პროკურატურისა და ფინანსური პოლიციის ის თანამშრომლები, რომლებიც წლების მანძილზე ჩართულნი იყვნენ მოქალაქეთათვის ქონების წართმევაში. არც ერთი ამგვარი გახმაურებული საქმე მთავარ პროკურატურას გიორგი ბადაშვილის ზეობის პერიოდში არ გაუხსნია.

2006 წლის მაისში, „კორტების სპეცოპერაციისას“ ჩაცხრილული ზურა ვაზაგაშვილის მამამ, იური ვაზაგაშვილმა მედიით არაერთხელ გაავრცელა პოლიციისა და პროკურატურის იმ თანამშრომელთა სია, რომლთაც ეს დანაშაულებრივი სპეცოპერაცია დაგეგმეს, ჩაატარეს და მის გახსნას წლების მანძილზე ხელს უშლიდნენ.

**იური ვაზაგაშვილი ამბობდა, რომ დამნაშავე პოლიციელების შესახებ ინფორმაცია გადასცა შს მინისტრს, ალექსანდრე ჭიკაიძეს, ასევე, მან ბრალი დასდო ჭიკაიძეს, რომ თავად მფარველობდა დამნაშავეებს. შესაბამისად, იური ვაზაგაშვილმა პროკურატურის ხელმძღვანელობას გადასცა იმ პროკურორების სია, რომლებიც ამ სპეცოპერაციასთან დანაშაულებრივ კავშირში იყვნენ.**

ის მოითხოვდა, სასწრაფოდ დაესაჯათ ზურა ვაზაგაშვილისა და ალექსანდრე ხუბულოვის მკვლელები. პროკურატურას ეს რომ გაეკეთებინა და „კორტების სპეცოპერაციის“ საქმე დროულად გაეხსნა, დღეს იური ვაზა-

**ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ შს მინისტრს მთავარი პროკურორიც მიბაძავდა, მაგრამ გიორგი ბადაშვილს არც პოსტი დაუტოვებია და არც სამსახურიდან გაუთავისუფლებია ის გამომძიებლები და პროკურორები, ვინც ამ გახმაურებული საქმის გაყალბებასა და ჩაფარცხვაში მონაწილეობდნენ.**

მხოლოდ „კორტების სპეცოპერაციის“ პროკურორები, თენგიზ ხარებავა და შაქრო ზაალიშვილი გაუშვა სამსახურიდან იური ვაზაგაშვილის მკვლელობიდან მერვე დღეს. არადა, იური ვაზაგაშვილს სხვა გამომძიებლისა და პროკურორის დანაშაულის მტკიცებულებები ჰქონდა ხელთ და ისინი ბადაშვილსაც მიაწოდა. დღემდე ეს ხალხი ისევ პროკურატურაშია.

გიორგი ბადაშვილი ისე წავიდა მთავარი პროკურორის პოსტიდან, რომ ვერ გახსნაეროსი კიწმარიშვილის, ჩემი ღრმა რწმენით, შეკვეთილი მკვლელობის საქმე. მიუხედავად იმისა, რომ ჩატარდა ათეულობით ექსპერტიზა და აბსოლუტურად ყველა სახის საგამოძიებო მოქმედება (ზოგიერთი კი არაერთგზის), ჩვენი გამომძიებლები უძლურები აღმოჩნდნენ. სხვას, სიმართლე გითხრათ, არც მოველოდი, რადგან პროკურატურაში აშკარა, თვალშისაცემ დეკვალიფიკაციასთან გვაქვს საქმე, გამომძიებლებმა, უბრალოდ, არ იციან, საქმე როგორ გახსნან. ამის დასტური სწორედ კიწმარიშვილის მკვლელობის საქმეა.

გიორგი ბადაშვილმა ვერ გახსნა

გიორგი ბადაშვილისა და მისი პროკურატურის სისუსტეა, რომ მრავალ დანაშაულში მხილებული „ნაცმოძრაობის“ სხვადასხვა დონის ლიდერები დღეს დაუსჯელები დადიან ევროპის ქვეყნებში. თავად მიხეილ სააკაშვილის საქართველოსთვის გადმოცემაზე უკრაინის პროკურატურამ უარი ბადაშვილის პერიოდში განაცხადა და განმარტა, რომ მის მიმართ პოლიტიკური დევნის ნიშნები შეინიშნება და აქ უნდა დავტოვოთო. ყოფილმა გენერალურმა პროკურორმა, ზურაბ ადეიშვილმა იმავე პერიოდში მიიღო პოლიტიკური თავშესაფარი უნგრეთში და სასჯელს გაექცა, ევროკავშირის ერთ-ერთ ქვეყანაში აქვს პოლიტიკური თავშესაფარი მიღებული ერეკლე კოდუას, დათა ახალაია და დავით კეზერაშვილი კი, შესაბამისად, საბერძნეთისა და საფრანგეთის პოლიციამ დააკავა, მათ ექსტრადირებაზე სასამართლო პროცესებიც გაიმართა, მაგრამ იმდენად უსუსური, დაუსაბუთებელი, მტკიცებულებებით გაუმყარებელი იყო მათი ბრალდებები, არც ერთი არ გადმოსცეს ქართულ მხარეს, ორივე გაათავისუფლეს, ერთმა საბერძნეთში მიიღო თავშესაფარი, მეორემ – სა-

## Facebook ამბები



**სანდრო ბრეგაძე**

...ფიქრები ახალ სახეებზე!!!---30-35-40-45 წლის მამაკაცი--რომელიც 1989 წლის 9 აპრილს, სამაჩაბლოში ბრძოლის დროს, 1992 წლის პუტჩისას, მშვიდობიანი მიტინგების დახვრეტისას, სამეგრელოს აოხრების დროს, აფხაზეთის ომის დროს ( მთელი საქართველო რომ წავიდა სოხუმის დასაცავად), შევარდნაძის წინააღმდეგ აქციებისას, სააკაშვილის რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლისას,2007 წლის 7 ნოემბერს და 26 მაისის დარბევისას,2012 წლის 1 ოქტომბრის საარჩევნო ომის დროს----სახლში რომ იჯდა,ერთხელ პროტესტი არ ქონია,ფეხებზე რომ ეკიდა თავისი ქვეყნის ბედი,ხმა რომ არ ამოუღია, ვინც სისხლს ღვრიდა და ეწამებოდა სამშობლოსთვის მას რომ უტვინოდ თვლიდა,აი ესეთი ტიპები ახალი სახეები კი არა ნაძირლები არიან და დალუპავენ ჩვენს ქვეყანას!!!!!!!! ასეთები თუ მოაჯდნენ საქართველოს მაშინ მართლა უფრსკრულში აღმოვჩნდებით!!!!!!!!



**კოკა ყანდიაშვილი**

"აღარც ვღებულობ პოლიტიკურ პროცესში მონაწილეობას. ამ კანონპროექტის მხარდაჭერა ჩემი ძველი ვალია ჩემი სინდისის წინაშე",- განაცხადა დეპუტატმა კობა დავითაშვილმა. დავითაშვილის თქმით, ახალი კანონი "ნაცმოძრაობას" სასამართლოზე კონტროლს უკარგავს. "ეს საკითხი ოთხი წლის წინ დავსვი, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს რეფორმირება იყო საჭირო. ჩემი დასმული საკითხი ბევრია, მაგრამ დღის წესრიგში არცერთი აღარ არის. მოწინააღმდეგეები უკვე აკონტროლებენ საკონსტიტუციო სასამართლოს და ამ კონტროლის დაკარგვა არ სურდათ. ეს კანონი მათ ამ კონტროლის საშუალებას აღარ მისცემს", - განაცხადა დავითაშვილმა. შეგახსენებთ, რომ კობა დავითაშვლი დიდი ხანია პარლამენტში არ გამოჩენოლა, თუმცა ის "საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" კანონში ცვლილებების შესატანად საკანონმდებლო ორგანოში გამოცხადდა და კანონპროექტს მხარი დაუჭირა. პარლამენტმა საკონსტიტუციო სასმართლოს შესახებ კანონი 81 ხმით არცერთის წინააღმდეგ მიიღო

Facebook ამბები



**თამაზ ქეიშვილი:**

აბა ერთი წუთით დაფიქრდით... ქვეყანას ცოლქმარი მართავს!:))

ქვეყნის მმართველი ოჯახი! ოჯახი,რომელსაც შეუძლია შეცვალოს საქართველოს ისტორია!

ცოლი, ,,ჯარის მინისტრი,, ...,,პადკაბლუჩნიკი ქმარი,, კი ქვეყნის პარლამენტის ,,დირექტორი,,! თანაც,ორივე,რუსები რომ იტყვიან - ,,наглый фраер хуже танка!

ნეხვის ორმოდან ამოათრია ივანიშვილმა, ურეიტინგო და პოლიტიკური გვამი რესპუბლიკური პარტია! არა მარტო ამოათრია,ენდო!პარლმენტში და მის გარეთ თანამდებობები უბოძა...როგორ გავს ეს ისტორია ,,ბურატინოს თავგადასავალს,,! ,,პაპა კარლომ,, ერთი ჩვეულებრივი ჯირკისგან პატარა ხის ბიჭუნა შექმნა,რომელც არამარტო ალაპარაკდა ,,პრავის კაჩაობა დაუწყო,, თავის შემქნელს. ხის თავიანი კი იყო ბურატინო,მაგრამ ამბიციები გაუჩნდა ადამინური,მაგრამ იმ ხის ბიჭუნას გული არ ქონდა, ადამიანის გული და ამიტომ იქცეოდა არაადამინურად,უგულოდ! რამდენი ასეთი ხისთავიანი და უგულო ,,ბურატინო,, გამოთალა ,,სოლოლაკელმა პაპა კარლომ,, დგანან ეს უგულოები და საქმეებს ურჩევენ სემქმნელს... ,,ყარაბას ბარაბასს შეეკრენ,,! ან ,ეს არ გაგახსენდათ, ,,დათა თუთაშხია,, -

,,ვისაც ჩავაცვი იმან გამხადა,,! მოდგნენ ეხლა ეს გამძალარი ,,რესპები,, და ,,პრავის კაჩაობა არ დაუწყეს,, მათ გადამრჩენს და ,,გამჯეჯილებელს,,! ისაო...გამოდი და საჯაროდ დააფიქსირე შენი პოზიცია NATO - ს მიმართ,, გევასება და გისწორებს ნატო,, თუ ,,მაგარ გატეხილში ხარო,,?! ბიჯოოოო, რესპებოო,დაგავიწყდათ ქუჩის ოპოზიცია რომ იყავით და ,,მუსტაფასავით,, მტვერში ამოგანგლულებს კაცი თუ ქლი ყურადღებას არ გაქცევდათ?საერთოდ რომ არ არებობდა თქვენი რეიტინგი,დაგავიწყდათ? ეეჰ,ბიძო ბატონო ,,რაც მოგივა დავითაო ყველა შენი თავითაო,,!

როოგორ ,,გამაზე,, ბატონო ბიძო, როოგორ გამაზე?! გველი ჩაისვი უბეში კი არა პარლამენტში და შენი ხელით,სათუთად შექმნილ ჯარში!

რა ეშველება ეხლა ამ საქმეს, ბიძინა ბატონო? ესენი,ჩემო კეთილო, მოსპობას გიპირებენ! დავიჯერო ვერ ხვდები?მე თუ ვხვდები და ჩემი მეზობელი ,, საპოჟნიკი,, გამლეტა თუ ხვდება, ორმოს რომ გითხრიან (ზურგს უკან) კრასუსივით, შენ რატომ ვერ ხვდები ამას ,ადამინო?შეეკვრენ ,,ვილაცას,, შენ წინაარმდეგ! რა ვიცი მე ვის შეეკვრენ!მაგრამ, აშკარად მხარს უჭერს გარედან დიდი ძალა!

როგორ დაუშვით ასეთი საფრთხე, ბიძინა ბატონო?რა საფრთხე და ცოლი ,,ჯარის მინისტრად,, დასვით და, ,, პადკაბლუჩნიკ ქმარს,, რომელსაც დილა საღამოს ,,ატჟიმანიებს,, აკეთებინებს ცოლი,ქვეყნის ბედი ჩააბარეთ! კაი და ერთ მთვარიან,ან წვიმიან ღამეს, ტკბილ ჭუკჭუკში და ,,ლაბზანიებში, მეჟდუპროჩემ,პრევაროტი რომ დააპროექტონ,, გაასწრებ ვითომ სოლოლაკიდან?

# სოსო ჯაჭვლიანი: ,,დედა მოვტ...ან ამათი, სუყველასი...

## რა მოხდა რეალურად ყრილობაზე, ირაკლი ღარიბაშვილი

ნინო სამხარაძე
599 71-14-22



ვინ ვეღარ მოხვდება „ქართული ოცნების“ საპარლამენტო სიაში, დაახლოებით უკვე ცნობილია. ისიც ცნობილია, რომ პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი ანგარიშს უწევს პარტნიორ ოპოზიციურ პარტიას „რესპუბლიკელებს“ — ლევან ბერძენიშვილმა პრემიერი გააკრიტიკა და თქვა, რომ მეჭიაურს ვერ ერევა და როგორ მოერევა უფრო სერიოზულ საკითხებსო. შეგახსენებთ, მეჭიაური ქართულ-ამერიკულ წვრთნებთან დაკავშირებით აცხადებდა, ჩვენ ვერ შევალთ ნატოში და ეს წვრთნები კიდევ ერთი გამაღიზიანებელი ფაქტორი აღმოჩნდება რუსეთისთვისო. ამის გამო მეჭიაური როგორც აფთრებმა, ისე დაგლიჯეს „რესპუბლიკელებმა“, მისი დაცვა არ უცდიათ არც პარტიის სხვა ლიდერებს, კვირიკაშვილმა თქვა, რომ ვინც ხელისუფლების მიერ აღებული კურსის წინააღმდეგ განცხადებას გააკეთებს, მათი ადგილი „ქართულ ოცნებაში“ არ არის. დიდი ხანია ლევან ბერძენიშვილი აგდებულად მოიხსენიებს „მრეწველთა პარტიის“ ლიდერს გოგი თოფაძეს, პარტია „ქართული ოცნების“ წევრებს — თამაზ მეჭიაურსა და სოსო ჯაჭვლიანს, ამბობს, რომ მათი ადგილი არ არის მმართველ გუნდში და მოითხოვს დაუყოვნებლივ მათ გარიცხვას. ბერძენიშვილის სამიზნე იყო და რჩება ჯაჭვლიანი. შეგახსენებთ, რომ ბერძენიშვილმა სოსო ჯაჭვლიანს შეუთვალა, — შემიძლია ჩემი ნათარგმნი წიგნები დავაწყო და ყველა წიგნის ერთად აწევა სოსო ჯაჭვლიანის ძალის მქონე კაცსაც კი გაუჭირდებაო. ეს იყო პასუხი იმ განწყობაზე, რომ „რესპუბლიკელების“ ადგილი კოალიციაში არ არის. მეჭიაური-ხიდაშელის სკანდალურ დაპირისპირებაზე სოსო ჯაჭვლიანმა „რესპუბლიკელებს“ შეუთვალა, ყველამ თავის ბოზ მამიდას მოუაროსო.

„ალიას“ კითხვებს პასუხობს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის მოადგილე, უმრავლესობის წევრი **სოსო ჯაჭვლიანი**, რომელიც პარტიის ყრილობის დაწყებამდე „ცენტრ პოინტისგან“ დაზარალებულმა ქალბატონებმა ალყაში მოიქციეს და დახმარებას სთხოვდნენ. 14 მაისი ჯაჭვლიანისთვის მინიექსცესებით დაიწყო.

– არასდროს გავქცევივარ პრობლემებს, ჩემთან მოვიდნენ „ცენტრ პოინტისგან“ დაზარალებული ქალბატონები, როგორც „ოცნების“ დეპუტატთან, და მთხოვეს დახმარება, რა თქმა უნდა, მათ აუცილებლად შევხვდები.

**— მკითხველისთვის გასაგები რომ გახდეს, თქვენ თავდებში ჩაუდექით „ცენტრ პოინტის“ ხელმძღვანელებს, რომლებმაც დააზარალეს ადამიანები და სწორედ თქვენი და სხვა დეპუტატების წყალობით მათ სასჯელი არ მიუსაჯეს. რა ფორმატით აპირებთ მათ დახმარებას?**

– მზად ვარ, დედა ავუდუღო იმათ, ვინც დაზარალებულებს რამეს შეჰპირდა, ვინც მათ წინაშე დააშავა და თუ მე ან სხვებს დანაშაული მიგვიძღვის, პასუხი ვაგოთ. მე, სოსო ჯაჭვლიანი, ვერავის დავიცავ, დავიცავ მხოლოდ სიმართლეს. სიმართლე არის შემდეგში, თუ „ცენტრ პოინტმა“ ეს ადამიანები აზარალა, კეთილი ინებოს და გააკეთოს ის, რაც საჭიროა. ჰოდა, თუკი ხელი მოვაწერე თავდებობაზე, რომ ვიღაცა ციხეში არ ჩაჯდეს... ისე, იცით, რეალურად ხელი რას მოვაწერე? რომ გაირკვეს რეალურად სიტუაცია და მოხდეს დაზარალებულებისთვის კომპენსაციის გადახდა.

**— გადავიდეთ „ქართული ოცნების“ ყრილობაზე. ანეკდოტებს ჰყვებიან, ზოგმა ვერ გაიგო, რა მოხდა რეალურად ყრილობაზე, ირაკლი ღარიბაშვილი აირჩიეს პარტიის თავმჯდომარედ თუ გიორგი კვირიკაშვილი? რეალურ ამბავს გეტყვით. მაგალითად, სამტრედიის საკრებულოს წევრმა ილია მჟავიამ ყრილობიდან ის გაიგო, რომ „ოცნებამ“ თავმჯდომარედ ღარიბაშვილი აირჩია და კიდევ, ძალიან ბევრი „ნაციონალი“ გყოლიათ დარბაზში, ისეთები, ვისაც ცალი ფეხი პაატა ბურჭულაძის პარტიაში აქვს, რა ხდება? როგორ ფიქრობთ, თქვენი ადგილი განახლებულ „ქართულ ოცნებაში“ დარჩება?**

– პოლიტსაბჭოს ახალ შემადგენლობაში ვინც წარადგინეს, მათ მივესალმები. ჯარგია, როცა ხდება განახლება, მომწონს მათი განათლება, პროფესიონალიზმი და კომპეტენცია, ამას ნამდვილად მივესალმები. ჩვენი „ქართული ოცნების“ გუნდი, რომელიც შეიქმნა 2011 წელს, იქიდან მოყოლებული ჯერჯერობით, ჩვენ ვართ და ასე მინდა, რომ ვიყოთ, „ქართული ოცნების“ წევრები. თითოეული ჩვენგანი შეიძლება იყოს დაცვაში, თავდასხმაში, ზოგი შეიძლება იდგეს კარებში და ა.შ. სხვადასხვა პოზიციებზე დგომა მისაღებია, რაც, რა თქმა უნდა, გუნდის გადასაწყვეტია. აუცილებლად უნდა გადაწყვიტოს გუნდმა ვინ სად, რომელ პოზიციაზე იდგება იმისთვის, რომ დაიცვას და განავითაროს პარტია. კარგია, როცა პარტიის ლიდერები საკუთარი გუნდის წევრებთან საუბრობენ ამ თემებზე, თუ ვის სად მოიაზრებენ. საბოლოოდ, ხალხი იღებს გადაწყვეტილებას. ვინც პოლიტსაბჭოს წევრებად დაასახელეს ყრილობაზე, ჩემთვის მისაღებია. ამასობაში საჭიროა, შენმა გუნდმა დაგარწმუნოს, სად გხედავს და სად არის შენი ყოფნა აუცილებელი. ჯერჯერობით საპარლამენტო სია არ არის ჩამოწერილი, ვინ სად და როგორ უნდა იყოს, ყრილობაზე მხოლოდ პოლიტსაბჭოს შემადგენლობა წარმოადგინეს. 21-კაციანი საბჭოს წარდგენისას არ გამჩენია კითხვა, რატომ არის ესა თუ ის პიროვნება აქ და არა სხვა. ეს უკვე კარგია...

## პარტიიდან ნელი გზით...

**— წყალგამყოფი გავლებულია — თამაზ მეჭიაური, ლუკა კურტანიძე, სოსო ჯაჭვლიანი და სხვა თქვენი თანამოაზრეები „ქართული ოცნების“ სიაში აღარ იქნებიან. ეს დაადასტურა პრემიერმა. ადამიანების, ვინც ევროატლანტიკური კურსის წინააღმდეგ განცხადებებს აკეთებენ, ადგილი „ქართულ ოცნებაში“ აღარაა.**

– მინდა პრემიერს ვკითხო, ვის და რატომ ვეწინააღმდეგები, „ქართულ ოცნებას“ ევროპისკენ გეზი აქვს აღებული, მაგრამ სოსო ჯაჭვლიანი, თამაზ მეჭიაური, პეტრე და პავლე კი არ ეწინააღმდეგება ამ გეზს, აღებულ გეზს ეწინააღმდეგება და პრობლემებს ქმნიან ადამიანები, ვისაც ჩვენი ნატო-ში შეყვანა ხელეწიფება. მაგალითად, გამოვიდა ამერიკის პრეზიდენტი ბარაკ ობამა, გააკეთა ცნობილი განცხადება და ასევე გაიმეორა ნატო-ში ამერიკის ელჩმა, რომ ნატო არ აპირებს გაფართოებას და ამ ეტაპზე საქართველოს ადგილი იქ არ არის, იგივე თქვა საფრანგეთის პრეზიდენტმა, რომელიც არ აპირებს ნატო-ში საქართველოს გაწევრიანებას მხარი დაჭიროს, იგივე თქვა გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა, რომ ნატო-ს გაფართოება არ იგეგმება. ახლა ვსვამ კითხვას, სოსო ჯაჭვლიანი ეწინააღმდეგება საქართველოს ნატო-ში გაწევრიანებას თუ ისინი, ვინც ჩამოვთვალე? რა გინდა ერთია, მაგრამ რა შეგიძლია, სხვაა. მაგალითად, მინდა ავხტე ორ მეტრზე, მაგრამ ვიღაცა მეუბნება, – რომც ახტე, მაინც არაფერი გამოგივაო, დაახლოებით ასეთ ვითარებაში ვართ. ჩვენ კი გვინ-





**,,ბატონო ბიძინა, თქვენ ამ ბრძოლაში დაგვიძახეთ იმ ადამიანებს, ვისაც ერთი ნაბიჯი უკან არ გადაუდგამთ, აი, ამ ადამიანებს გაფრთხილება სჭირდება! დამარცხებულები, ნაგინები და თავზე ლაფდასხმულები არ გვინდა ამ ბრძოლიდან გავიდეთ“**

და ნატო-ში შესვლა, მაგრამ იქიდან გვეუბნებიან, ნატო ახალ წევრებს აღარ იმატებსო. მექიაური, ჯაჭვლიანი, თოფაძე, ვინც არ უნდა იყოს, ყველაზე მთავარი მაინც ის არის, რომ „ქართულ ოცნებაში" დემოკრატია კრატუნობს, დემოკრატიის კრატუნი გემრიელია და ყველა თავის აზრს გამოხატავს. ჩვენ ახლა აზრთა ჭიდილში ვართ, საბოლოოდ, რა პოზიციაზეც ჩამოყალიბდება უმრავლესობა, კეთილი უნდა ვინებოთ და ყველა პოზიციას დავეთანხმოთ, ეს არის დემოკრატიის ანი და ბანი. ისე კი არა, ვიღაცა რომ გამოვა და იტყვის – „ჰაილ, გიტლერ!" და ყველამ ჩესტი ავუღოთ. ეს დრო წარსულს ჩაბარდა, დემოკრატია აზრთა სხვადასხვაობაა, კეთილი ინებონ და შეეგუონ განსხვავებულ პოზიციებს, ხოლო როცა გუნდი შეჯერდება, ვინც საერთო პოზიციას არ დაეთანხმება, ოცნებებში ნუ ერევით... და თუ „რესპუბლიკელები" უფრო მნიშვნელოვანი არიან „ოცნების" დეპუტატებზე, მაშინ ღმერთმა მშვიდობაში მოახმაროს „ოცნებას" „რესპუბლიკელები".

**— მიუხედავად იმისა, რომ პარტიის თავმჯდომარე ანგარიშს უწევს „რესპუბლიკელებს" და სასწორის პინა მათ სასარგებლოდ იხრება, დავით უსუფაშვილი არ დაესწრო ყრილობა, დიდი ალბათობით, დაგიკიდათ. რატომ?**

– არ მოვიდნენ იმიტომ, რომ – იმიტომ... ამაზე მეტ პასუხს არ გავცემ. თუ იმ ულტიმატუმებს გაიზიარებს და გაითვალისწინებს „ქართული ოცნება", რასაც „რესპუბლიკელები" აყენებენ, ეს იქნება ჩემთვის აბსოლუტურად მიუღებელი. პოლიტიკა ისეთი რაღაც ყოფილა, თურმე ყველაფერი ისე არ ხდება, როგორც შენ წარმოგიდგენია. ყველაზე მთავარი, ალბათ, პოლიტიკაში ბრძოლაში უანგაროდ შემოვიდა. ამიტომ გთხოვთ, ჩემი მიმართვა ყურადღებით წაიკითხოთ, ჩვენ ბრძოლაში შემოვედით, ამ სამი წლის განმავლობაში ცუდად თუ კარგად, რაც შეგვეძლო, ყველაფერი ერთგულად გავაკეთეთ, მაგრამ ლაფს გვასხამენ. ლაფს გვასხამენ იმიტომ, რომ არ აღდგა სამართლიანობა ისე, როგორც საჭირო იყო. ძალიან ბევრი რამ გაკეთდა, მაგრამ არ გაკეთდა ძალიან მნიშვნელოვანი – ღირსების აღდგენა. ამიტომ, თითოეული ჩვენგანი, ვინც ამ ბრძოლაში მაშინ შემოვედით და დღეს „ქართული ოცნების" დეპუტატები ვართ, ახლა ვიმყოფებით დასისხლიანებული და კვლავ, ბრძოლაში. გთხოვთ, ყველას ანგარიში გაუწიოთ, ბატონო ბიძინა, მინდა იცოდეთ, რომ ჩვენ ბრძოლის ველიდან გასვლას არ ვაპირებთ. რაც არ უნდა მოხდეს, რაც არ უნდა

## პარტიიდან ნელი გაზით...

მაგრამ სიმართლე არის ერთი, როცა შენ შედიხარ ბრძოლაში და შემდეგ, სურთ თავლაფდასხმული გაგტყორცნონ, ეგ ამბავი არ გამოვა. ჩვენ ვართ „ქართული ოცნების" წევრები და წევრებად ვრჩებით მანამ, სანამ ამ ბრძოლას არ დავამთავრებთ. სამართლიანობაა აღსადგენი, ეს ნარჩენებია გასატანი და პროცესები, რაზეც პრეტენზია აქვს ამომრჩეველს, ბოლომდეა მისაყვანი.

**— თქვენი საკითხი გადაწყვეტილია, „ქართული ოცნების" სიაში ვეღარ მოხვდებით, გამოდის, რომ თამაზ მექიაურთან ერთად ახალ პარტიას ქმნით.**

– ჯერ სია არ არის დაწერილი, არავისთვის ცნობილი არ არის, ვინ მოხვდება სიაში და ვინ – არა, გეუბნებით იმას, რასაც ჩვენ ვფიქრობთ.

# ახლა ქირქილებენ ამ ამბავზე და მაშინ ჩაჯმულები იყვნენ"

## აირჩიეს პარტიის თავმჯდომარედ თუ გიორგი კვირიკაშვილი?





## „ქართულ ოცნებაში" დემოკრატია კრატუნობს"

ის პარტიიდან წავა ნელი გაზით.

**— პრემიერ-მინისტრმა მექიაურს კარისკენ მიუთითა, დროა, თავად მიიღო გადაწყვეტილებაო. სხვათა შორის, სავარაუდოდ, თქვენც გგულისხმობდათ, როგორც მექიაურის თანამოაზრეს. რას აპირებთ?**

– თითოეული ჩვენგანი თავად ვიღებთ გადაწყვეტილებას, როცა ჩემზე იტყვიან, პირადად გავცემ პასუხს ყველას... და თუკი პარლამენტში ვერ მოვხვდები, რომ გითხრათ, ამის გამო ამაღამ არ დამეძინება-მეთქი, დამიჯერებთ?!. როგორც წესი, ადამიანებს უნდა დაელაპარაკო, მოისმინო მისი პოზიცია და გუნდის ლიდერმა მერე მიიღო გადაწყვეტილება და თუ ვინმეს სურს, ვირტუალურად მიიღოს გადაწყვეტილება, ეს მისი პრობლემაა. როცა მოვისმინე „რესპუბლიკელების" მოთხოვნა პარტიიდან ჩვენი გარიცხვის შესახებ, ისე გავმხიარულდი, მეტი არ შეიძლება. ყველამ თავის მამიდას მოუაროს. მამიდაჩემს ჰქვია ძალიან მაგარი სახელი – დოლი ჯაჭვლიანი, უპატიოსნესი ქალია, ამიტომ ყველამ დაასახელოს თავისი მამიდის სახელი და მიხედონ მათ, ნუ ერევიან სხვის პარტიაში. ვის საქმეში ერევიან ბერძენიშვილები, წადით რა, „რესპუბლიკელებს" მიხედეთ და ჩვენს იცით, რა არის? შეასრულო ხალხის დაკვეთა...

**— რას მეუბნები, ვის ახსოვს ხალხი? როგორც წესი, ყველა ხელისუფლებას ხალხი ფეხებზე ჰკიდია...**

– მაგალითად, მე მახსოვს ხალხი, მათთან შეხვედრას არ გავურბივარ და ვცდილობ, შეძლებისდაგვარად დავაკმაყოფილო და გავითვალისწინო მათი მოთხოვნები.

**— და მაინც, რას გააკეთებთ იმ შემთხვევაში, თუკი „რესპუბლიკელების" ულტიმატუმს დააკმაყოფილებს „ქართული ოცნების" ელიტა?**

– მოდი, ასე გავაკეთოთ, ახლა მე ვისარგებლებ შემთხვევით და მივმართავ ბიძინა ივანიშვილს, რადგან ეს პიროვნება გახლავთ ადამიანი, ვინც ჩვენ ამ ბრძოლაში დაგვიძახა: ბატონო ბიძინა, თქვენ ამ ბრძოლაში დაგვიძახეთ იმ ადამიანებს, ვისაც ერთი ნაბიჯი უკან არ გადაგვიდგამს, აი, ამ ადამიანებს გაფრთხილება სჭირდება!. ჩვენ შემოვედით იმ ბრძოლაში, რასაც მაშინ ვერავინ ვერ წარმოიდგენდა, ახლა კი სასაცილოა ზოგიერთებისთვის, სასაცილოა ის, რომ მაშინ ძალიან ბევრმა ადამიანმა, ფაქტობრივად, თავი გაწირა, „ქართულ ოცნებას" რომ არჩევნებში წაეგო, თითოეული მათგანი, ფაქტობრივად, დაღუპული იყო, ვინც ამ ბერძენიშვილებმა შეცდომაში შეგვიყვანონ, როგორც მაშინ არ ვაპირებდით ბრძოლის ველიდან გასვლას, არც ახლა ვაპირებთ... და იცით, რატომ? დამარცხებულები, ნაგინები და თავზე ლაფდასხმულები არ გვინდა ამ ბრძოლიდან გავიდეთ... ჩვენ, ყველა, ბრძოლას გავაგრძელებთ, როცა ბატონი ბიძინა გამოჩნდა და თავი გადავდეთ, მაშინ არავინ ჩანდა, უკუნეთი იყო. ვიბრძოდით და მაგრად გვეკიდა ერთ ადგილას სააკაშვილის რეჟიმი და შენ ძალიან კარგად იცი, როგორ მეკიდა... და ზოგიერთებს იცით, ახლა რა მიაჩნიათ სასაცილოდ? მერაბ შათირიშვილი, ლუკა კურტანიძე და მე რომ წამოვედით ჯაჭვებით დასავლეთიდან სამებამდე ფეხით ბიძინა ივანიშვილის მოქალაქეობის აღდგენის მოთხოვნით, 260 კმ-ში ოთხი კაცი ვერ შევკრიბეთ, დედა მოვტ...ან ამათი, სუყველასი... ახლა ქირქილებენ ამ ამბავზე და მაშინ ჩაჯმულები იყვნენ. მე ჩემს თავზე არ ვლაპარაკობ, მივმართავ ბატონ ივანიშვილს, რომ ამ ადამიანებს ანგარიში გაუწიოს, ბერძენიშვილებს და მათ მსგავსებს ჩვენს თავმოყვარეობას ნუ გაასრესინებთ. მართალია, ვერავინ ვერავის გასრესს, ჩემს განცხადებაში გულწრფელი ვარ და ამიტომ მივმართავ პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილს და ბატონ ბიძინა ივანიშვილს, ყველამ ერთად დაფიქრებით უნდა გავიარ-გამოვიაროთ ყველა დეტალი, პირადად მე და დეპუტატების დიდი ნაწილი ვფიქრობთ, რომ ბრძოლა არ გვაქვს დამთავრებული. სხვა პარტიაში წასვლას არ ვაპირებ. მე მოვედი „ქართულ ოცნებაში" იმიტომ, რომ ფაშისტური რეჟიმი და დიქტატურა დაგვემარცხებინა. ეს იყო კოალიციის ძირითადი ამოცანა, რადგან ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი. არ მინდა ის აზრი განვითარდეს, კოალიცია „ქართული ოცნების" გარშემო, რითაც დაიწყო თავისი მოღვაწეობა. გახსოვთ, ალბათ, პირველი კანონი „ბუსუსებიან პრეზერვატივზე" მიიღეს, ეს ლევან ბერძენიშვილის იდეა იყო. ჰოდა, ქვეცნობიერში ხომ არ გულისხმობენ, რომ ვიღაც ამ „ბუსუსებიანი პრეზერვატივის" როლში გამოვიდეს. სიმართლეს ვერავინ დაამარცხებს და ამიტომ, ბატონებო, არ მინდა „რესპუბლიკელების" ეს იდეა თქვენ განავითაროთ, თორემ ნახმარები თავად აღმოჩნდებით.

Facebook ამბები

facebook



**გოგი ლორთქიფანიძე:**

ნამეტნავად არ გაერთოთ პატივცემულებო.... საერთოდ ხელისუფლებაში ყოფნის ციკლი 8 წლიანია და მმართველს განსაკუთრებით მე-6 წლის მიწურულში უჭირს ხოლმე... და მერე დიამეტრალურად იცვლებიან მომხრებიც და მათი შეფასებებიც....

ეგეთ იანუს/ქამელეონებს 25 წელიწადია რაც გიცნობთ და გიმახსოვრებთ.

facebook



**თამარ ჩერგოლეიშვილი:**

იმ დღეს ხელისუფლების მაღალჩინოსანთან მომიხდა გასაუბრება.

ვუხსნიდი, რომ შეუძლებელია შერჩეთ კულტურის მინისტრის მიერ საკუთარი კომპანიის მილიონებით დაფინანსება.

ტაბულაზე ვუყვებოდი, მთავრობასთან დაახლოებული რადგან ვიყავი, 200 დოლარიან რეკლამასაც არ ვიღებდი სახელმწიფოსგან, ერთადერთი გამონაკლისი დაცული ტერიტორიები იყო, ისიც იმიტომ, რომ სხვა, მთავრობასთან დაპირისპირებულ გამოცემებშიც დებდნენ რეკლამას და კორუფციის ეჭვი ვერ გაჩნდებოდა მეთქი.

მისმინა, მაგრამ რად გინდა?

facebook



**ნიკა გვარამია:**

Супер

თინა ხიდაშელის ბულინგი მექიაურის მხრიდან, ჩემთვის, როგორც თავისუფალი ადამიანისთვის და თავმოყვარე მამაკაცისთვის, სრულიად აუტანელი და მიუღებელია! არ დავმალავ, ეს გაცილებით მეტად ეხება ჩემს პერსონას, ვიდრე პრორუსული და ანტინატოური განცხადებები. ამაში ვერც გასაკვირს და ვერც ახალს ვერაფერს ვხედავ - ქართული ოცნება დასავლური ორიენტაციის პარტია არაა და

ბიძინა ივანიშვილი რუსი ოლიგარქია, რა ნატოზეა საერთოდ ლაპარაკი...

facebook



დავით ზურაბიშვილი

რაც უფრო მეტს ილაპარაკებთ მთავრობის და საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლები იმაზე, რომ კონგრესმენ რასელის განცხადება ივანიშვილზე არის არასერიოზული, მიშისტური, ჯობია მიხედოს თავის ქვეყანას და ა.შ. და ა.შ. ეს საზღვარგარეთ ცალსახად იქნება აღქმული იმის დასტურად, რომ ამ ქვეყანას ნამდვილად ჰყავს არაფორმალური ნაჩალნიკი. №რავაყველაფერიმეუნდაგასწავლოთ

facebook



მერაბ შათირიშვილი

კახა (ბ-ნ, კალაძე) ერთი პრინციპული მიდგომისთვის - მნიშვნელობა არ აქვს, რამდენად აფასებ ჩემს ღვაწლს და ხარ თუ არა ჩემი მოსაზრებების გამზიარებელი - პატივს გცემ თუ გცემდი, ასეთ შემთხვევაში, რა გითხრა, არ ვიცი, მაგრამ, ეს ხიზანიშვილი საიდან გამოჩხრიკე? ვინ დაგარწმუნა იმაში, რომ ის „ქართულ ოცნებას“ კასპის მუნიციპალიტეტში (რაიონში) გვირგვინს დაადგამდა?.. ჰოდა, პატივს გცემ, თუ გცემდი, ასეთი ორჭოპული დამოკიდებულება შენდამი, არა მარტო ხიზანიშვილის გამო გამიჩნდა, ეს სხვა თემაა, მაგრამ, როცა შენდამი ჩემი პატივისცემა, სწორედ ნაცებთან ასოცირებულებისა და „ოცნებისკენ“ გადმოპორტირებულების მიმართ გაგაჩნდა, ყოველთვის გიწონებდი და მხარს გიჭერდი, მახსოვს, სასტიკი წინააღმდეგი წახვედი ირაკლი შიხიაშვილის გაფეტიშებისა და მნიშვნელოვანი პოლიტიკური პოზიციის დაკავების მცდელობისადმი... ამაში მუდამ პრინციპული ჩანდი და, ამ ხიზანიშვილის მიმართ პოლიტიკურ ნისლში ვინ გაგხვია?! (ან რამ გაგხვია?!)

ვიდეო, მაყურებლისთვის გასაგები რომ გახდეს, ამ ხიზანიშვილს, - „ქართული ოცნების“ სახელით წარდგენილს, „ოცნების“ ნაცვლად, ნაციონალური მოძრაობა დასცდა, ეტყობოდა, მათ მიმართ მადლიერების გულღვიძლში დაბუდებულმა გრძნობამ გადასძალა: - მელას რაც ელანდებოდა, ის ესიზმრებოდა...ო!!!

Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები

ლევან ჯავახიშვილი
577 51-73-37



# „ეს არის ჩვენი გადარჩენის და არც „ნაციონალები“ არ უნდა

ბიძინა ივანიშვილი და „ქართული ოცნების“ ლიდერები ხელისუფლებაში მოსვლამდე ხალხს ათას რამეს ჰპირდებოდნენ, მაგრამ პირში ჩალაგამოვლებული დატოვეს. ამ დაპირებების უდიდესი ნაწილი არ შეასრულეს, მხოლოდ თავად აისრულეს ოცნებები. ამ 4 წლიწადში სახელმწიფოს ხარჯზე კომფორტული ცხოვრება არც თავად მოუკლიათ და არც მათი ოჯახის წევრებს. ივანიშვილისა და მისი აფერისტებით გატენილი გუნდის წინასაარჩევნო დაპირებები მართლმსაჯულებისა და ზოგადად, კანონის დაცვის კუთხით გასატარებელი რეფორმებიც იყო. რა და როგორ შეასრულა ამ მხრივ „ქართულმა ოცნებამ“, ამის შესახებ „ალიას“ ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე, ზაზა ხატიაშვილი ესაუბრება:





**„მე რომ ვამბობ, ივანიშვილი სააკაშვილზე დიდი აფერისტია-მეთქი, ბევრს სწყინს, ივანიშვილს სააკაშვილს, აბა, როგორ ადრი, ის ავტოკრატი იყოო. კაცო, ვინ იყო, ამას მე ნუ მასწავლით, მაგრამ, როცა სააკაშვილი ხელისუფლებაში მოვიდა, რაც დაჰპირდა ხალხს, პირველ ეტაპზე შეუსრულა“**

– მე ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე, უფლებადამცველი ვარ და ნაკლებად მაინტერესებს, ვინ იქნება ქვეყნის პრემიერი, პრეზიდენტი და სოფლის მეურნეობის თუ ფინანსთა მინისტრი, მე მაინტერესებს, ვინ იქნებიან უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე და იუსტიციის მინისტრი და მართლმსაჯულების სფეროში რა რეფორმებს განახორციელებენ. სამართლიანობის აღდგენა, მართლმსაჯულების განვითარება, რეფორმები სასამართლო სისტემასა და პროკურატურაში, პოლიციაში – ეს იყო „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო დაპირებები და ხელისუფლებამ არც ერთი მათგანი არ შეასრულა. პირიქით, ყველაფერი გააკეთა საიმისოდ, რომ სასამართლო სისტემა ლევან მურუსიძისთანა ოდიოზურ ფიგურას ჩაეგდო ხელში და სხვა სფეროებსაც „მურუსიძეები“ დაპატრონებოდნენ – პროკურატურაში, პოლიციაში... ამ ხელისუფლების უსამართლობის მწვერვალი იყო ერთი ის, რომ თავად ლევან მურუსიძე იუსტიციის საბჭომ საქალაქო სასამართლოს მოსამართლედ აირჩია, და მეორე, ადვოკატთა ასოციაცია ითხოვდა კონკრეტული მოსამართლის დაჭერას და ეს მოსამართლე მურუსიძემ საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარედ წარადგინა. ნინო გვენეტაძემ, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ კი, ეს ფაქტი სხდომაზე გაიგო, როცა მისთვის უკვე კენჭი უნდა ეყარათ.

**ეს ადასტურებს, რომ „ქართულმა ოცნებამ“ სამართლებრივი პოლიტიკა ჩიხში შეიყვანა. ბიძინა ივანიშვილმა იმდენი მოახერხა, რომ ლევან მურუსიძის ხელით მართვადი სასამართლო ჰყავს დღეს, რომელიც არაფრით განსხვავდება სააკაშვილისდროინდელი სასამართლო სისტემისგან და თუ შიგადაშიგ მოსამართლეებს გამოაქვთ სამართლიანი გადაწყვეტილებები, ეს კონკრეტული მოსამართლეების პატიოსნებისა და პროფესიონალიზმის დამსახურებაა და არა ხელისუფლებისა.**

**— მარტო ლევან მურუსიძე? რამდენი მოსამართლე დარჩა დაუსჯელი?**

– ძალიან ბევრი და ამ მოსამართლეებს ბიძინა ივანიშვილმა გადააფარა თავისი მწყალობელი კალთა.

**ძალიან სერიოზულ დანაშაულში ეჭვმიტანილ მოსამართლეებს ხელი არ ახლეს, არადა, მათ წინააღმდეგ სისხლის სამართლებრივი დევნა უნდა დაწყებულიყო, იმდენი სამხილი არსებობს. ლევან მურუსიძეზე რატომ ვამახვილებ იცით ყურადღებას? ბიძინა ივანიშვილმა ეს კაცი, ქართული სასამართლოს სირცხვილი, გამოაცხადა მიხეილ სააკაშვილის რეჟიმის მსხვერპლად. ეს კი სხვა, მასავით დანაშაულში ეჭვმიტანილი და ათას უბედურებაში გათხვრილი მოსამართლეებისთვის სიგნალი იყო — თუ მურუსიძე რეჟიმის მსხვერპლია, დაჭერის ნაცვლად ჯერ იუსტიციის საბჭოს მდივნად დანიშნეს, მერე მოსამართლედ და თან სასამართლო სისტემას სააპელაციო სასამართლოდან აკონტროლებს, ცხადია, სხვა მოსამართლეებს ბუზს ველარავინ აუფრენს, ამ ლოგიკით, აბა, ისინი გამოდიან რეჟიმის მსხვერპლნი, თუ გამოდიან.**

**ივანიშვილმა უსინდისოდ მოატყუა ხალხი. ის, რომ პატიოსანი კაცი ყოფილიყო, 2012 წლის არჩევნების წინ ხალხს ეტყოდა, ლევან მურუსიძეს დავტოვებ მოსამართლედ და სასამართლო ხელისუფლებას ის გააკონტროლებსო. ეს რომ ეთქვა, მისი „ქართული ოცნება“ არჩევნებზე ბარიერს ვერ გადალახავდა, ხალხი ზურგს შეაქცევდა. მურისიძეებთან ბრძოლას, მათ მოშორებას შეჰპირდა ხალხს ივანიშვილი და აღმოჩნდა მატყუარა! 3 თვის მოსული იყო ხელისუფლებაში, როცა მურუსიძესა და კოტე კუბლაშვილს დიდი მადლობა გამოუცხადა სასამართლო სისტემაში შეტანილი წვლილისთვის.**

ეს რომ გავაპროტესტე და პარლამენტთან აქციები გავმართე, მაშინ „ნაციონალს“ მეძახდნენ. არადა, ვიცოდი, რომ ივანიშვილს უფსკრულისკენ მიჰყავდა სასამართლო სისტემა და ამის გაჩერება მინდოდა. აჰა, ახდა თუ არა ჩემი ვარაუდები?! ჩვენ რომ ვებრძოდით სააკაშვილსა და „ნაცმოძრაობას“, ეგ მაშინ ჩვენს წინააღმდეგ გულმოდგინედ აფინანსებდა მათ. მიშას და მის გარემოცვას ყველა სურვილს უსრულებდა, იცოდა, რომ ძალადობრივ სისტემაზე იდგა სააკაშვილის რეჟიმი, დამნაშავე პოლიციელების, მოსამართლეებისა და პროკურორების კისერზე, რომლებიც მიშას ყურებით ჰყავდა დაჭერილი და ყველა ბინძურ დაკვეთას ასრულებინებდა. დღეს ეს დანაშაულში საფუძვლიანად ეჭვმიტანილი თუ მხილებული ხალხი ივანიშვილს ემსახურება, საკუთარი დანაშაულის ტყვეები არიან და ცხადია, თუ მის სამსახურზე, მის ბინძურ დაკვეთაზე უარს იტყვიან, მათ დაიჭერს. ჩემი აზრით, ხელისუფლებაში მოვიდა თუ არა, ეს მაშინვე დაგეგმა ივანიშვილმა. როცა ხელისუფლებაში მოვიდნენ, „ქართული ოცნების“ დეპუტატები აცხადებდნენ, მოწმის დაკითხვის წესი სასწრაფოდ უნდა ამოქმედდესო და 1 წლით გადმოიტანეს მისი ამოქმედების ვადა. მოწმის დაკითხვის ახალ წესს ყველაზე დემოკრატიულ მოვლენად მიიჩნევდნენ მაშინ. 3 თვეში, იგივე დეპუტატებმა, თითიდან გამოწოვილი მიზეზებით, 2 წლით გადაავადეს ამ კანონის ამოქმედება, მერე ჩაასწორეს, ბევრი რაღაც შეცვალეს და საბოლოოდ მოწმეთა დაკითხვის ისეთი კანონი მივიღეთ, გინდ გქონია და გინდა არა. ესეც ბლეფი და ტყუილი წინასაარჩევნო დაპირება იყო „ქართული ოცნებისა“. სს საპროცესო კოდექსში არის 136-ე მუხლის 1-ლი პუნქტი, სადაც მითითებულია, რომ ადვოკატს უფლება არ აქვს, პოლიციაში დაკავებული პირის შესახებ ჩანაწერი მოითხოვოს, პროკურორს კი ეს უფლება აქვს. გესმით, ადვოკატს თუ აქვს ინფორმაცია, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფი პოლიციაში აწამეს, უფლება არ აქვს, სასამართლოს მიმართოს და პოლიციის კამერების ჩანაწერები, მტკიცებულება გამოითხოვოს. პაპუასები ვართ თუ რა უბედურებაა, ველარ გავიგე! ესაა მხარეთა თანასწორობის პრინციპი? აი, ეს ხომ იციან „ქართული ოცნების“ დეპუტატებმა, რომ ასეა, ხომ იციან, რომ ეს არის ანტიდემოკრატიული და ბარბაროსული ნორმა, ცივილიზებულ ქვეყანაში მსგავსს ვერსად შეხვდები. ამდენი დეპუტატი ჰყავს მმართველ გუნდს და მაგათ ოდნავ ნამუსი რომ ჰქონდეთ, ამ მუხლს აქამდე ათჯერ შეცვლიდნენ. არა, ერთი კაცი არ აღმოჩნდა „ქართულ ოცნებაში“, რომელიც ამ ნორმის შეცვლას მოითხოვდა, პარლამენტში საკანონ-

### ჩვენ რას ვენდოთ, ჩვენ?!

მდებლო ინიციატივას დააყენებდა. ამის მერე რომელ თანასწორუფლებიან მართლმსაჯულებაზე შეიძლება ლაპარაკი ამ ქვეყანაში?

როდესაც სოლომონ ქიმერიძე ხაშურის პოლიციაში წამებით მოკლეს, ბიძინა ივანიშვილმა პირობა დადო, ხელისუფლებაში რომ მოვალ, ასეთი რამ აღარ განმეორდება, პოლიციაში ადამიანების წამებას ბოლო მოეღებაო.

**7 წელი ვიბრძოდი დვალიშვილის პოლიციაში წამების საქმეზე, 2012 წელს, საბოლოოდ, სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ კონკრეტული პოლიციელების მხრიდან, დვალიშვილის მიმართ ადგილი ჰქონდა წამებასა და არაადამიანურ მოპყრობას, მათ შორის იყო პოლიციელი რევაზ ქობულია. მეგონა, ამ კაცს დაიჭერდნენ. ივანიშვილის ფავორიტმა შს მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა კი ეს ქობულია წყალტუბოს პოლიციის სამმართველოს უფროსად დააწინაურა.**

ეს არ იყო სიგნალი პოლიციელებისთვის, რაც გინდათ, ის უქენით ხალხს, ყველაფერი შეგრჩებათო? როგორ, ევროპულმა სასამართლომ კაცი წამებაში დაადანაშაულა და იმას აწინაურებ? ამას მერე რა მოჰყვა? შარშან, პოლიციის შენობაში ხელბორკილდადებული ადვოკატი, გიორგი მდინარაძე სცემეს და აწამეს და ამ საქმეზე ერთადერთი ადამიანია ბრალდებული. ის მიშა სააკაშვილი სანდრო გირგვლიანის მკვლელებს, ბუტა რობაქიძის მკვლელს და სხვა გახმაურებული საქმეებში ბრალდებულებს იჭერდა, ციხეში სვამდა, რამდენად სამართლიანი იყო მათი სასჯელი, როგორ კომფორტულად აცხოვრებდა მათ ციხეებში, ეს სხვა საქმეა, მაგრამ ის ციხეში მაინც სვამდა ამნაირ დამნაშავეებს. ესენი კიდევ აწინაურებენ, თავზე ხელს უსვამენ, არც სტრასბურგის გადაწყვეტილება მიაჩნიათ რამედ და არც არაფერი. მე ვარ და ჩემი ნაბადიო, ეგრეა ბიძინა ივანიშვილის საქმე, კანონიც თავად არის და სამართალიც ამ ქვეყანაში. 2011 წლის 26 ოქტომბერს, ადვოკატი ირინა სალინაძე, ციხის თანამშრომლებმა დიმიტრი ჩხაიძემ, გიორგი ფარჯანაძემ და გოგა ნემსაძემ ჩაკეტეს ოთახში, 1 საათი სცემდნენ და გაუპატიურებით ემუქრებოდნენ. „ნაციონალების“ დროს ვერ მივაღწიე ამ ხალხის დასჯას. ხელისუფლება როცა შეიცვალა, გერმანიაში ადვოკატთა მსოფლიო ასოციაციის პრეზიდენტს, მარსელა რასელს შევხვდი და ვუთხარი, საქართველოში იუსტიციის ახალი მინისტრი დაინიშნა, სტრასბურგის

სასამართლოში ნამუშევარია და გთხოვთ, მისწერეთ, რომ ეს საქმე გამოიძიოს-მეთქი. რასელმა მართლაც მოსწერა თეა წულუკიანს, რომ ეს საქმე გამოეძიებინა. შენც არ მომიკვდე, ირინა სალინაძე საერთოდ დაკითხულიც არ არის. თეა წულუკიანის ამ უგულისყურობას ადვოკატთა მიმართ, მოჰყვა შეუქცევადი და ჯაჭვური პროცესი, ადვოკატთა სისტემური და მასობრივი ცემა-ტყეპა პოლიციისა და პროკურატურის შენობებში. რომელი ერთი გავიხსენო? სცემეს ადვოკატები გაბუნია, ონიანი, რომეო საჯაია... ამ უკანასკნელს რომ ვიცავდი, მლანძღავდნენ „ქართული ოცნების“ ლიდერები, „ნაციონალების“ ადვოკატს რატომ იცავო. გესმის, მთავარი პროკურორის არჩევის წესით, ადგა და ფაქტობრივად, ისევ იუსტიციის სამინისტროს, ანუ მთავრობას დაუქვემდებარა პროკურატურა. ეს რეფორმა კი არა, ბლეფი იყო. ბიძინა ივანიშვილი არის ქრონიკული მატყუარა, ეს კაცი ყოველი ფეხის ნაბიჯზე იტყუება, რაც შეჰპირდა ხალხს, არათუ ის არ შეუსრულა, პირიქით, ხალხს ყოფა გაუუარესა. პროკურატურა, სასამართლო და პოლიცია ჩაისვა ჯიბეში, ახლა როგორ არის, იცი? საქართველოში კანონი და სამართალი ორმხრივია, ორმაგი სტანდარტი არსებობს. ბიძინა ივანიშვილისა და მისი მომხრეებისთვის სხვაგვარია კანონი და ხალხისთვის – სხვაგვარი. კონკრეტულ მასასჯელი საკუთარ თავს თავადვე გამოუტანეთო. გინახავთ ადამიანი, რომელსაც საკუთარი თავი დაეჭიროს? მე არ შემხვედრია და არც გამიგია. ხალხი კიდევ მიამიტურად ელოდება, რომ სამართლიანობა აღდგება და ეს დამნაშავე პროკურორები, პოლიციელები და მოსამართლენი თავიანთ თავს დასჯიან. ან ის რა იყო, პროკურატურაში გამოძიების პროცესში ხარვეზების დამდგენი დეპარტამენტი რომ შექმნეს? კომედიაა, რა. კაცო, რად უნდა სამართლიანობის აღდგენას ახალი დეპარტამენტები და რაღაც სისულელეები? გაყარე ძველი, დანაშაულში ეჭვმიტანილი თუ მხილებული ხალხი სისტემიდან, მოიყვანე სუფთა

# ერთადერთი გზა — არც „ოცნება“ მოხვდნენ პარლამენტში“



„გინახავთ ადამიანი, რომელსაც საკუთარი თავი დაეჭიროს? მე არ შემხვედრია და არც გამიგია. ხალხი კიდევ მიამიტურად ელოდება, რომ სამართლიანობა აღდგება და ეს დამნაშავე პროკურორები, პოლიციელები და მოსამართლენი თავიანთ თავს დასჯიან“



**„საქართველოში კანონი და სამართალი ორმხრივია, ორმაგი სტანდარტი არსებობს. ბიძინა ივანიშვილისა და მისი მომხრეებისთვის სხვაგვარია კანონი და ხალხისთვის — სხვაგვარი“**

კაცო? თურმე, მე, ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარემ, პოლიტიკური ნიშნით უნდა დავყო ადვოკატები და იმის მიხედვით დავიცვა. ახლა, ამას რომ პოლიტიკოსი იტყვის, იმას რა უნდა საერთოდ პოლიტიკაში? ის სახლიდან გარეთ არ უნდა გამოუშვა. არადა, ნახევარზე მეტი ასეთები არიან ამ „მეოცნებეებში“. ნორმალურ ქვეყანაში ამის მთქმელი პოლიტიკოსი კარიერას იქვე დაასრულებდა. არა, ხელისუფლება გვიმტკიცებს, დემოკრატიას ვაშენებთ, წინ დიდი და ფართო ნაბიჯებით მოვდივართო. საუბედუროდ, ივანიშვილისა და მისი ლაქიების ამ ზღაპრებისა ვიღაცებს სჯერათ. ამათ ბევრი უბედურება დათესეს სამართლებრივი კუთხით ამ ქვეყანაში, ადვოკატების ცემა და სხვა საშინელებები დააკანონეს. ესენი არიან „ნაციონალებზე“ უარესები და კონკრეტული ფაქტებით ვლაპარაკობ ამის შესახებ.

**– პროკურატურის რეფორმასაც ჰპირდებოდა ხალხს „ქართული ოცნება“.**

– კი, ჰპირდებოდა და ესეც ტყუილი აღმოჩნდა. „ნაციონალების“ დროს, მგონი, პროკურორი არ დარჩა, რომელიც რაღაც დანაშაულში არ იყო გარეული, ამ პროკურორებმა გაავსეს ციხეები პოლიტპატიმრებითა და სხვა უკანონო პატიმრებით, მათ მიიღეს მონაწილეობა იმ საპროცესო გარიგებებში, რომელთა საფუძველზეც ხალხს ბიზნესსა და კერძო ქონებას ართმევდნენ. კიდევ ბევრი უკანონობაა მათ კისერზე. ამის გამო არც ერთი პროკურორი არ დაუსჯიათ, ადგნენ და ეს ხალხი დააწინაურეს, პრემიებს უწერენ, თავზე ევლებიან... არადა, პროკურატურაში ათასობით განცხადებაა შესული, ამ პროკურორების დასჯას ითხოვს ხალხი და მათი დანაშაულის არაერთი სამხილი არსებობს. პროკურატურის რეფორმა იმით დაასრულა თეა წულუკიანმა, რომ ჯერ გამოიყვანა ეს უწყება იუსტიციის სამინისტროდან, მერე კი, საპროკურორო საბჭოს მიერ გალითს მოვიყვან. რა ვქნა, ეს ლევან მურუსიძე ერთხელაც უნდა გავიხსენო, თუმცა დიდად არ მეხალისება. როცა მურუსიძე დანიშნეს მოსამართლედ, გამოვიდა იუსტიციის საბჭოს წევრი, ევა გოცირიძე და განაცხადა, ეს რომ არ გაგვეკეთებინა და მისთვის მხარი არ დაგვეჭირა მე და საბჭოს „ქართული ოცნების“ კვოტით დანიშნულ სხვა წევრებს, მაშინ მურუსიძის მომხრე საბჭოს მოსამართლე წევრები სხვა მოსამართლეებს დაბლოკავდნენ და სასამართლო სისტემის კოლაფსი მოხდებოდაო. ქალმა აღიარა, რომ ლევან მურუსიძესთან და მის მომხრეებთან გარიგებაში შევედით, ამ გარიგების საფუძველზე მურუსიძე მოსამართლედ დავნიშნეთო. ეს არის სისხლის სამართლის დანაშაული, მაგრამ ევა გოცირიძეს უბატონოდ ხმას ვერავინ სცემს, რადგან ბიძინა ივანიშვილის კადრია. ეს სხვას რომ გაეკეთებინა, აქამდე ათასჯერ დაიჭერდნენ.

**ამ განუკითხაობამ და დანაშაულებრივმა ქმედებებმა სამართლებრივ სფეროში მიგვიყვანა „ქართული ოცნების“ მთავარი დაპირების შეუსრულებლობამდე. ივანიშვილმა და მასავით მატყუარა პოლიტიკოსებმა სამართლიანობა არ აღადგინეს ქვეყანაში, როცა არჩევნებამდე ამას ყველაზე ხმამაღლა გაჰყვიროდნენ. სასამართლოში ის ხალხი ზის ისევ, ვინც „ნაციონალების“ დროს დანაშაულს სჩადიოდა, უდანაშაულო ადამიანებს ერეკებოდა ციხეებში, ხალხს კანონის სახელით ქონებას ართმევდა, თვალს ხუჭავდა წამებასა და სხვა საშინელ ფაქტებზე. პროკურატურაშიც ისევ ის ხალხია, რომლებიც ამ უბედურებებში თავად მონაწილეობდნენ, პოლიციაშიც ამ დანაშაულის თანამონაწილეები არიან და ახლა მითხარი, ვინღა უნდა აღადგინოს ეს სამართლიანობა?**

ვინც დამნაშავენი არიან, იმათ ვეუბნებით, თქვენივე დანაშაული გამოიძიეთ, საკუთარ თავს ბრალი წაუყენეთ და მერე, სასამართლოს გზით პროკურორები და გამომძიებლები და ისინი აღადგენენ სამართლიანობას. სააკაშვილის დროს წართმეული 10 თუ 15 მანქანა გადასცეს მოქალაქეებს და სამართლიანობა აღვადგინეთო, დაგვცინიან.

მე რომ ვამბობ, ივანიშვილი სააკაშვილზე დიდი აფერისტია-მეთქი, ბევრს სწყინს, ივანიშვილს სააკაშვილს, აბა, როგორ ადრი, ის ავტოკრატი იყოო. კაცო, ვინ იყო, ამას მე ნუ მასწავლით, მაგრამ, როცა სააკაშვილი ხელისუფლებაში მოვიდა, რაც დაჰპირდა ხალხს, პირველ ეტაპზე შეუსრულა. შევარდნაძის კორუმპირებულ ჩინოვნიკებს დავსჯიო, ხალხს ეუბნებოდა, შევარდნაძის გარემოცვის წევრების დანახვა აღარ უნდოდა ხალხს, მოვიდა სააკაშვილი და ბევრი დაიჭირა, ბევრს კიდევ, რაც ხალხის ფული ჰქონდა ბიუჯეტიდან მოპარული, უკან დააბრუნებინა. მოკლედ, ხალხის დაკვეთა რაც იყო, შეასრულა. არა, კარგი არ იყო, სააკაშვილი მცირე დანაშაულისთვის რომ ისტუმრებდა ხალხს ციხეებში, მაგრამ არ მალავდა, რომ ამას შეგნებულად აკეთებდა, გაჰყვიროდა, ნულოვანი ტოლერანტობაო, პოლიციას მოუწოდებდა, ხელი არ აგიკანკალდეთ, დამნაშავეებს ესროლეთო. რასაც აკეთებდა, ამბობდა და არ მალავდა. ის სააკაშვილი გიჟი იყო თუ რაც იყო, უფრო პატიოსანი იყო ივანიშვილთან შედარებით. ეს ხალხს უნამუსოდ ატყუებს. სააკაშვილის ჩინოვნიკებმა მილიარდები გაზიდეს ქვეყნიდან, ივანიშვილი გვპირდებოდა, ბოლო ცენტამდე უკან დავაბრუნებინებო, მაგრამ არავის არაფერი დაუბრუნებია, დამნაშავე „ნაციონალები“ ევროპის ქვეყნებში მეფურად ცხოვრობენ ბიუჯეტიდან მოპარული თუ ხალხისთვის წართმეული ფულით. კი, იმ სააკაშვილმა ბოლოს რომ გადაამლაშა, კი მიიღო, რაც ეკუთვნოდა, მაგრამ რაღაც ეტაპზე ხალხს დანაპირებს უსრულებდა. ამას, ივანიშვილს, არც 4 წელი რა გაუძლებს? ერთმანეთში კინკლაობას გადააყოლებენ ქვეყანას. ზემოთ რაც ჩამოვთვალე, ეს მონაგონი იქნება, იმდენ დანაშაულს ჩაიდენს „ქართული ოცნება“ და ვერც ვერაფერს მოჰკითხავ, რადგან ხელისუფლების ყველა შტოს ისევ ივანიშვილი გააკონტროლებს და მერე უფრო მოუჭერს მარწუხებს. სამწუხაროდ, რეგიონის მოსახლეობა იმდენად არ არის გათვითცნობიერებული პოლიტიკურ პროცესებში, როგორც თბილისის, რეგიონებში ინფორმაციის დეფიციტია, თორემ „ქართული ოცნება“ და „ნაციონალები“ 5-პროცენტიან ბარიერსაც ვერ გადალახავდნენ.

**თბილისში არჩევნებს, შევარდნაძის დროიდან, ყოველთვის აგებს ხელისუფლება, რადგან თბილისელებს აქვთ დეტალური ინფორმაცია მის მიერ ჩადენილ ყველა უმსგავსობაზე და ამას არჩევნებზე წინ უხვედრებენ. „ქართული ოცნება“ თბილისში წააგებს არჩევნებს, ამაში დარწმუნებული ვარ, მაგრამ რეგიონების ხარჯზე ცოტას მოითქვამს სულს. იქ კიდევ სჯერეთ ივანიშვილის სიცრუისა და ზღაპრების. ჩვენ თუ ნორმალური საზოგადოება ვართ, ამ საპარლამენტო არჩევნებში პირველ 3 ადგილზე სულ სხვა პოლიტიკური ძალები უნდა გავიდნენ, „ქართული ოცნება“ და „ნაციონალები“ კი ან საერთოდ ვერ უნდა მოხვდნენ პარლამენტში, ან იმდენად ცოტანი, რომ მათი იქ არსებობა არც დაეტყოს პარლამენტს. აი, ეს არის ჩვენი გადარჩენის ერთადერთი გზა, სხვა საშველი არ მესახება. „ქართულმა ოცნებამ“ დამოუკიდებლად ან კოალიციის რეჟიმში თუ შეინარჩუნა ხელისუფლება, ჩათვალეთ, რომ შემდეგ 4 წელიწადში ამ ქვეყანას ჯოჯოხეთად აქცევს, მერე აქ უკვე აღარ დაგვედგომება. ფეოდალურ ეპოქაში დავბრუნდებით და იქიდან გამოსვლას რამდენიმე ათეული წელიწადი დასჭირდება.**

## ჩვენ რას ვჭამთ, ჩვენ?!

ერთი თავისი დანაპირები არ ახსოვს. არ უნდა ამ კაცს ეს სამართლიანობის აღდენა, არ აქვს ამის სურვილი და მომკალი თუ გინდა.

მე უფლებადამცველი ვარ, არ ვარ პოლიტიკოსი, მაგრამ ამას მაინც ვიტყვი. ღმერთმა დაგვიფაროს, საპარლამენტო არჩევნებში ისევ „ქართული ოცნება“ და „ნაციონალები“ გავიდნენ პირველ-მეორე ადგილებზე, ხელისუფლება „ოცნებამ“ დააკომპლექტოს და მთავარი ოპოზიციური პარტია „ნაციონალები“ იყვნენ. მაშინ მთლად წასული და დაღუპულია ჩვენი საქმე. ამათ კიდევ

Facebook ამბები

facebook



**ალან ფაღავა**

ბიძინა ივანიშვილმა თავისი კაპიტალით (და არა მხოლოდ) გარისკა, შევიდა პოლიტიკურ პროცესებში და ჩამოაშორა ხელსუფლებას ნაცები.

ის ბიზნესმენები, რომლებსაც მიშამ ფულები წაართვა, არც ფიქრობდნენ პოლიტიკური ძალების დაფინანსებას, რომლებიც, როგორც შეეძლოთ, ეწინაალმდეგებოდნენ რეჟიმს მაგრამ, უსახსროდ, მოგეხსენებათ, ვერც ვერაფერს გააწყობდნენ.

ახლა ეს ფულწართმეულები ელოდებიან, ბიძინამ იზრუნოს მათ დაკარგულ ფულებზე.

არ იზრუნებს.

თუ არ გჯერათ, აგერ მე და აგერ პატივცემული ივანიშვილი.

facebook



**გერონტი აშორდია**, არასამთავრობო ორგანიზაცია "დემოკრატიული და სამართლიანი საქართველოს" თავმჯდომარე:

ისე, როგორც ვხედავ, სააკაშვილის და მისი ხელდასმული ნაძირლების მიერ უკანონოდ წართმეული ქონების დაბრუნებას და ამ ფორმატში სამართლიანობის აღდგენას მინიმუმ საუკუნე დასჭირდება ამ ხელისუფლების ხელში. ისიც, რა თქმა უნდა, თუ ბიზნესი/ქონება უკვე ახალი ხელისუფლების წარმომადგენლის ხელში არაა მოქცეული და არ დაბლოკავს პროცესებს. ამასთან, ისიც გასათვალისწინებელია, რომ არსებობს ხანდაზმულობის ვადები, რომლის განზრახ გაშვებაზეც მაჟორიტარ დეპუტატებთან და ადგილობრივ თვითმმართველობასთან ერთად მუხლჩაუხრელად „მუშაობენ“ პროკურატურა, ფინანსთა სამინისტრო, შსს და სხვა ორგანოები. ხანდაზმულობის კანონისმიერი ვადის ამოწურვის შემდეგ ქონების დაბრუნება შესაძლებელია მხოლოდ არაკანონიერი მეთოდებით, რაც ძალიან დიდ ზიანს მიაყენებს საზოგადოებრივ წესრიგს. არაფერს ვამბობ უკანონოდ დაპატიმრებული ადამიანების უფლებებზე, რომლებმაც ვერ მოახერხეს თავიანთი უდანაშაულობის დამტკიცება და ვერ გაარღვიეს ის ყრუ კედელი, რაც ხელისუფლებამ აღმართა დანაშაულში მონაწილე სადისტების სახელმწიფო სამსახურებში, მათ შორის, პროკურატურაში, შსს-ში, სასამართლოში და სხვა დაწესებულებებში დატოვების და დაწინაურებით.

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61



**მოძრაობა „თეთრების" ლიდერი, თემურ შაშიაშვილი აცხადებს, რომ მომავალი არჩევნებისთვის არა მხოლოდ პოლიტიკური შულერები ემზადებიან პარლამენტში შესასვლელად, არამედ ქურდების მიერ კურთხევამიღებული პოლიტიკური სუბიექტებიც. რას გულისხმობს და რასთან გვაქვს საქმე, ამაზე „ალიას" თავად თემურ შაშიაშვილი ესაუბრება:**

**— ბატონო თემურ, მოდით, ვისაუბროთ კონკრეტული ფაქტებით და ეს თემა ცოტა უფრო გავშალოთ.**

– დავიწყოთ იქიდან, რომ დღეს პოლიტიკაში აღარ არსებობს ელემენტარული წესიერება და მივიღეთ ზნეობის დეფიციტი. ამის გამო, რომ მის ვებგვერდზე დღეში შედის ათასი კაცი და არიქა, გაიმარჯვებს არჩევნებში. ყველაფერი ჩაწყობილია. ბიჭო, ქვეყნის გადარჩენაზე გაქვს პრეტენზია, ხელისუფლებაში მოსვლა გინდა და ყველაფერს ყიდულობ?!

ერთ ნაცნობს ვეკითხები, რომელი პარტიაც მოვიდა ხელისუფლებაში, ყველგან იყავი და დღესაც ხარ, სულ საარჩევნო ბატალიებში ხარ, არ დაიღალე-მეთქი? ეს ადამიანი მუდმივად საარჩევნო შტაბებშია. იცით, რა მიპასუხა? მე ერთ არჩევნებზე იმდენს ვშოულობ, წლიდან წლამდე მყოფნისო. ესე იგი, საქართველოში შეიქმნა გაპარლამენტარების ფაბრიკები, გაპრეზიდენტების ფაბრიკები და ასე შემდეგ. მეტსაც ვიტყვი, ვინც ბიძინა ივანიშვილმა შეიყვანა პარლამენტში, ყველა სხვის სკამზე

## ოფიციალური ქურდებიც გვყავდნენ!

სტაფონის ბაზაზე შექმნა სააკაშვილმა სისტემა, რომლითაც უსაზღვროდ გამდიდრდა მისი გარემოცვა. მოვიდა ახალი ხელისუფლება და ეს ბუდე ვერ მოშალა, პირიქით, შუალედური ფირმები შექმნა. ვინ არის ამ 3 ფირმის ხელმძღვანელი? პრემიერ-მინისტრი რომ იყო სააკაშვილის დროს ცოტა ხნით, გეგა მგალობლიშვილი – მისი ძმა. აიწყვეს ცხოვრება, გაინაწილეს. ზესტაფონი მერაბ სამადაშვილის ხელშია, დალუპა და დააქცია ეს რაიონი. სამი რაიონი დღეს მაფიის ხელშია. აბა, ეს რა არის, თუ არა ქურდობა? ვისი იყო თავის დროზე ფეროშენადნობი ქარხანა? იყო „მხედრიონის", იყო ტარიელ ონიანის. დღეს იქ არიან პოლიტიკური ქურდები, დარჩნენ „მხედრიონელებიც" და ონიანსაც აქვს ხელი ჩაყოფილი!

**— ტარიელ ონიანი ისევ ამ საქმეშია?**

– რა თქმა უნდა... ონიანი გინდა ციხეში ყოფილა, გინდა – გარეთ, რა მნიშვნელობა აქვს? სააკაშვილი მითებს გვიყვებოდა, ქურდების ეპოქა დავამთავრეო, რომელი ქურდების ეპოქა დაამთავრა? უბრალოდ, ყველას შეეკრა და ყველა გააჩუმა. მეტსაც გეტყვით, ამ არჩევნებზე ძალიან სერიოზული გუნდი ემზადება პარლამენტში შესასვლელად, რომელსაც ჰქვია ტარიელ ონიანის გუნდი. მეტს აღარ დავაკონკრეტებ.

**— რომელიმე კონკრეტული პარტიაა?**

– ეს ხალხი პარტიებშია გაბნეული... ონიანის დაბადების დღეებზე რომ თამადობდნენ, ასეთები დღეს პატრიოტობაზე ლაპარაკობენ!

**— ბატონო თემურ, ეს უკვე სასკანდალო თემაა და თანაც სერიოზული ბრალდება.**

– ეს რეალობაა და მე მგონი, ბევრი ხვდება უკვე. თუ ბიძინა ივანიშვილმა არ იცის, აგერ ვეუბნები. აგერ მამალ „ნაციონალებს", ე.წ. ბიზნესმენებს დასდევენ, მოდით, კენჭი იყარეთ რაიონებში მაჟორიტარებადო. თუ ახლა კიდევ დაასახელებენ რეგიონებში ისეთ პიროვნებებს, რომლებმაც ფული იშოვეს პოლიტიკით ხალხის ხარჯზე, ქვეყანაც დაიქცევა, ბიზნესიც და მოსახლეობაც. კიდევ ვიმეორებ, ასეთებს ეძახიან, სთავაზობენ. რამდენიმემ პირადად მითხრა, ბატონი ბიძინა შემხვდა და მითხრა, კენჭი იყარეო, მისმა ძმამ მითხრაო, მისი გარემოცვიდან მითხრესო. არ მინდა, რომ დავიჯერო. ბიზნეს-ინტერესების მქონე ადამიანი არ უნდა იყოს პარლამენტში, ეს არის ელემენტარული რამ. დეპუტატი უნდა გახდეს ისეთი ადამიანი, რომელიც ხელს შეუწყობს ბიზნესის განვითარებას... ყველა პარტიის განცხადება წვეთი წყალივით ჰგავს ერთმანეთს, ყველა იწყებს ახალ ეპოქას. თურმე დამთავრებულა ვიღაცის დრო, ახლა მისი მოსვლით უნდა დაიწყოს ახალი წელთაღრიცხვა. გაიხედგამოიხედოს თავისივე გარემოცვაში, დააკვირდეს და მიხვდება, რომ ის ახალ ეპოქას ვერ დაიწყებს. მოვლენ, გვპირდებიან მილიონ სამუშაო ადგილს, მილიონი ადამიანი მიდის საქართველოდან სამუშაოდ უცხოეთში, დაგვპირდებიან, ახლა სიღარიბიდან კეთილდღეობისკენ უნდა წავიდეთო და მივდივართ უარეს სიღარიბეში. ყველა პარტიას უნდა ჰქონდეს კონკრეტული გეგმა, ვინც გაიმარჯვებს, ორი წლის შემდეგ უნდა ჩავუტაროთ ნდობის რეფერენდუმი. თუ ვერ გაამართლა, გადავირჩევთ და მოვა სხვა. რა გამოდის, ერთხელ მომატყუე და მერე მთელი 4 წელიწადი უნდა გელოდო? თუ მაგრები არიან, ყველა პოლიტიკურმა ძალამ მიიღოს ეს წინადადება, შევთანხმდეთ, ვინც არ უნდა გაიმარჯვოს, ორი წლის შემდეგ ვიბარებთ ანგარიშს და ვატარებთ ნდობის რეფერენდუმს.

# „ტარიელ ონიანის გუნდი ამ არჩევნებზე ძალიან სერიოზულად ემზადება პარლამენტში შესასვლელად!"

**„ყველა პარტიას უნდა ჰქონდეს კონკრეტული გეგმა, ვინც გაიმარჯვებს, ორი წლის შემდეგ უნდა ჩავუტაროთ ნდობის რეფერენდუმი. თუ ვერ გაამართლა, გადავირჩევთ და მოვა სხვა. რა გამოდის, ერთხელ მომატყუე და მერე მთელი 4 წელიწადი უნდა გელოდო?"**





**„იცით, „ქართულ ოცნებაში" მაჟორიტარებად ვის ეძებენ? ვისაც დიდი ფული აქვს ნაშოვნი მოსახლეობის ხარჯზე. ალბათ, ნორმალური ადამიანი იკითხავს, თუკი ადამიანს ბევრი ფული აქვს, დეპუტატობა რაღაში სჭირდება?"**



ძალიან ბევრი განათლებული და პატიოსანი ადამიანი დაჯდა სახლში, ან საერთოდ წავიდა საქართველოდან. ვინც ქვეყანას არ სჭირდება, მათ აქვთ ძალაუფლება, ვინც სჭირდება, ისინი ჩრდილში არიან. მე ვთვლი, ვინც დღეს ზის სხვის სკამზე, არის პოლიტიკური ქურდი. შენ მოიპარე სკამი, შენ მოიპარე საარჩევნო ხმები და ასე შემდეგ. ბოლო დროს დიდი ომი და თაღლითობა მიდის ინტერნეტში. ხუთი-ექვსი პარტიაა, რომელთა ვებგვერდებზეც საერთოდ არავინ შედის, მაგრამ ხალხს ქირაობენ და ქმნიან შთაბეჭდილებას, თითქოს მთელი საქართველო მათზე ლოცულობს. ჩემთანაც მოვიდნენ ვიღაცები და მითხრეს, გადაიხადე ფული, ჩვენ შენს ვებგვერდზე ვაჩვენებთ, რომ ყოველდღიურად შემოვა 400-500 კაციო. ეს რაში მჭირდება-მეთქი? თუ საარჩევნოდ ფულის მოპოვება გინდათ, ვისთანაც საქმე გექნებათ, იმას აჩვენებთ, ნახე, ჩემს საიტზე რა ამბავია, ლამის ნახევარი საქართველო მხარს მე მიჭერსო. უარი ვუთხარი, ეს არის ბლეფი. მაგალითად, „ნაცმოძრაობა" აჩვენებს, ზის. ეს პროცესი დაიწყო შევარდნაძემ, განავითარა სააკაშვილმა და ახლა უფრო გაძლიერდა. იცით, „ქართულ ოცნებაში" მაჟორიტარებად ვის ეძებენ? ვისაც დიდი ფული აქვს ნაშოვნი მოსახლეობის ხარჯზე. ალბათ, ნორმალური ადამიანი იკითხავს, თუკი ადამიანს ბევრი ფული აქვს, დეპუტატობა რაღაში სჭირდება? სჭირდება იმაში, რომ უკონტროლო გახდეს და საკუთარ ბიზნესს გაუწიოს ლობირება, მეტი არაფერში. შედეგად ვიღებთ რას? მდიდარი უფრო გამდიდრდა, ღარიბი უფრო გაღარიბდა. ხალხს ეგონა, უკეთესად იცხოვრებდა და რაც დრო გადის, უფრო უარესად ცხოვრობს. ეს რეალობაა, ახალს არაფერს ვიგონებ. რაც მეტი ფული დაიხარჯება არჩევნებში, მით მეტი კორუფცია იქნება ქვეყანაში. მე გაოცებული ვარ, გამოდის ჩვენი პრემიერ-მინისტრი და იძახის, საქართველოში კორუფცია არ არისო. კვირიკაშვილის მიმართ პატივისცემით ვარ გამსჭვალული, მაგრამ უკვე ისეთ განცხადებებს აკეთებს, თითქოს აზრზე არ არის, რა ხდება ქვეყანაში. პრემიერს მივმართავ, ჯერ მარტო ჭიათურა-ზე-

● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook



**მერაბ შათირიშვილი:**

**ერთხელაც ვამბობ, ვიდრე საფუძვლიანად არ შეფასდება 90-იანი წლების სახელმწიფო გადატრიალება, არ შეფასდება აფხაზებსა და ქართველებს შორის სისხლიანი სამოქალაქო დაპირისპირება, არ გასამართლდება 2008 წლის აგვისტოს ე. წ. ომის „მსხვერპლი", უგუნური და ამავე დროს ამ ომით ხელმომთბარი ხელისუფლება - ყველაფერს თავისი სახელი არ დაერქმევა - ვერასოდეს გავიგებთ, რომელი საგარეო კურსია ჩვენთვის მისაღები, ან, საერთოდ, მისაღებია თუ არა აშშ-ს სამხედრო ალიანსში ჩვენი გაწევრიანება და ერთგვარი ბაქიბუქი: თავზე ბუზსაც არ გადავიფრენთ!..**

Facebook ამბები



**ცოტნე გამსახურდია:**

**სული და გული აგემღვრევა კაცს, ამდენი სულელის, წამხედურას და შეგნებული პროვოკატორის სმენით! მოისხამენ ერის გამაერთიანებელის, მშვიდობისმყოფელის მანტიას და იწყებენ დამოძღვრას პარიზიდან ან ლონდონიდან:**

**25 წელია გრძელდება ერის დაყოფა მოღალატეებად და პატრიოტებად! გამსახურდიამ ყველა კაგებეს აგენტებად შერაცხა! შევეშვათ აგენტომანიას და კუდიანების დევნას... და ა.შ.**

**კი, მაგრამ, განა ეს ის ქვეყანა არაა, რომლის ძალოვანი სტრუქტურების ხელმძღვანელობა და ოფიცრობა ფაქტობრივად უკლებლივ უცხო ქვეყანაზე მუშაობდა დამოუკიდებლობის პირველ პერიოდში?! განა ამ ქვეყნის ინტელიგენცია და სამეცნიერო წრეები თითქმის სრული შემადგენლობით გუნდრუკს არ უკმევდა ოკუპანტს და უმრავლესობა დღესაც იგივეს არ აგრძელებს?!**

**მარინა სულხანიშვილი - გამახსენდა ახლა, ამ ათიოდე წლის წინ, გურამ შარაძე ჯერ კიდევ ცოცხალი იყო და კანცელარიაში შევხვდე გიორგი გაჩეჩილაძეს. თავის პირით ყვებოდა მდნარის დინებისა და ალმამცურავი კალმახის ამბავს და ბოლოს ტავადვე დასძინა, სამშობლოს სამსახურს ტავის გაწირვა ჭირდებოდაო, და ზვიად გამსახურდია ერთი აღმოჩნდა ამ ამბავში ვერ ვივარგეთოო... საკუთარ თავსაც გულისხმობდა და ამ დროს მიხეილ სააკაშვილის მრჩეველი გახლდათ ,,საგანმანათლებლო" დარგში.. აქედან თავადვე გამონახეთ ვინ იყო ბატონი გაჩეჩილაძე ? ასეთებით იყო და არის სავსე ეს ქვეყანა.... ხოო, მართლა ეს დამავიწყდა, ეს გაჩეჩილაძე გიორგი, ჯერ ზვიად გამსახურდიას მთავრობაში მუშაობდა, მერე შევარდნაძემ ასევე დატოვა თავის მრჩევლად, ამის მერე სააკაშვილთან გადაინაცვლა, იქაც მრჩევლად... აბა, ახლა ვინ მარტავენ საქართველოს?? ეს შემთხვევითია???? ჰაა??**



**ასლან ფაღავა**

**მეორე მსოფლიო ომში გერმანიამ თავი დამარცხებულად 8 მაისს სცნო, ომი კი საბოლოოდ 2 სექტემბერს დასრულდა და იძახეთ ახლა 9 მაისი რამდენიც გინდათ!**

**რა უბედურება გვჭირს ეს კაცო?!**

Facebook ამბები



**ხათუნა ხოფერია:**

1. თუ სტივ რასელს, კონგრესმენს აქვს უფლება დააფიქსიროს თავისი მოსაზრება და ტყუილებით გაჯერებულ ამ მოსაზრებას სიტყვის თავისუფლება ქვია, თამაზ მჭიაურს, დეპუტატს რატომ არა აქვს იგივე უფლება და თავისუფლება????

2. ასეთივე გაცეცხლებით რატომ არ იცავდნენ რესპები რასელისგან შეურაცხყოფილ საქართველოს და მის მთავრობას????

3. ესენი არ წაიდნენ კოალიციიდან????

წადი, ძმაო, გზას ხეირი დააყარე რაააა..!!!!!



**ნიკა მემანიშვილი**

სამწუხაროდ ჩვენი საზოგადოება, ჯერ კიდევ ვერ ჩამოყალიბდა, ვერ შედგა და დღესაც ვეძებთ და ველოდებით მხსნელს. წარმოგვიდგენია თითქოს ვინმე მოვა და ფულს ჩაგვიდებს ჯიბეში. ნუთუ არ გვესმის ისე არავინ დახარჯავს მილიონებს რაიმე ორმაგი შედეგის მოლოდინი რომ არ ქონდეს. მითუმეტეს ადამიანი რომლისთვისაც ცოტა ხნის წინ საქართველო სულ ერთი იყო. (ასეთი გვყავს ივანიშვილი. არამარტო ივანიშვილი, რომელმაც უამრავი სიკეთე, მართლაც უანგაროდ გააკეთა და ლამის ჯვარს ვაცვათ.

ღიად ვაფიქსირებ ამ პოზიციას, ჩემი კრიტიკული დამოკიდებულების მიუხედავად ქართული ოცნების მიმართ.)

შეიძლება ეს ჩემი პრობლემაა, მაგრამ ვერავინ დამარწმუნებს იმაში, რომ ჩერნოვეცკი საქართველოს სიყვარულმა ჩამოიყვანა ჩემს ქვეყანაში. რეალური მიზეზი გაცილებით სხვა არის. ასე რომ ქართველებო ვიფიქროთ ამ ყველაფერზე. გვეყო ბელადების შექმნა და გაღმერთება. ხომ ხედავთ რა შედეგებიც მოაქვს ამას?

ასე რომ საზოგადოებაზე ბევრი რამეა დამოკიდებული, ქვეყნის განვითარების თვალსაზრისით!

პ.ს.. საუბარი მაქვს ზოგადად ჩერნოვეცკის საჯარო განცხადებებზე სოციალურ ქსელში და არა კონკრეტულად ამ მილოცვაზე, რომელიც არც წამიკითხავს!

# „ნუშეგვეცეთი"

## ვერაფერი გაიგეთ, ხომ? ვოლსკის მამაძაღლობა სწორედ მაგაშია, რომ მიუხედავად ამ აბდაუბდისა, ის მაინც რჩება პროდასავლურ პოლიტიკოსად









**ლევან ლომიძე**

გინდათ ისწავლოთ, როგორ არ უნდა დაწვათ არც მწვადი და არც შამფური პოლიტიკაში? ამ საქმის სპეციალისტები ბევრნი არიან პარლამენტში თუ სხვადასხვა თანამდებობებზე და მით უმეტეს, „ქართულ ოცნებაში". აი, მაგალითად, მწვადისა და შამფურის არდაწვის კლასიკური ნიმუში გახლავთ მანანა კობახიძის გამონათქვამი:

„თუ სვამთ კითხვას, ნატო თუ რუსეთი, გეტყვით, რომ ნატო. თუ სვამთ კითხვას, ბერძენიშვილი თუ მეჭიაური - მეჭიაური".

ხედავთ, როგორი ჯვარედინი მოსაზრებაა? მე მხარს ვუჭერ ნატო-ს, რათა პროდასავლური დეპუტატის იმიჯი შევინარჩუნო, მაგრამ ამავე დროს ვირჩევ მეჭიაურს, რათა არ ვაწყენინო რუსეთს. თუ მე მხარს ვუჭერ ნატო-ს, მაშასადამე ვარ ბერძენიშვილის მხარეს, თუ ვირჩევ მეჭიაურს – მაშასადამე კოჭს ვუგორებ რუსეთს. უკვე გითხარით, აქ საქმე გვაქვს ჯვარედინ „დამტვერვასთან" და არც მწვადი იწვება, არც შამფური, ანუ ბერძენიშვილ-ნატოსაც ვინარჩუნებთ და მეჭიაურ-რუსეთსაც. ამას დიპლომატიურ ენაზე ორმაგ სტანდარტს ეძახიან, ხოლო „ხალხოსნურ" ენაზე – ვირეშმაკობას. სხვათა შორის, შამფურ-მწვადის არდაწვის კარგი სპეციალისტია გია ვოლსკიც – აბა, ნახეთ, როგორ კარგად ახუჭუჭებს ნატო-ს თემაზე:

„ნატო ჩვენი მიზანია, მაგრამ ჩვენს მედია და პოლიტიკურ სინამდვილეში ამ თემით სპეკულირება უპირატესია პრაგმატულ პოლიტიკურ სტრატეგიაზე... არადა, ნატო-ს წარმომადგენლებმა არაერთხელ განაცხადეს, არავისთან ომის მიზანი არ გვამოძრავებსო, არაო! მეორე მხრივ, ვითომ გულწრფელობის დაჩემება – არ გვიღებენ და აღარც რო ვეშვებითო! მაშ, საითაო, აღარ ამბობენ, მინიშნებით – ჩვენი თავი ჩვენვე უნდა გვეყუდნოდესო და იქვე რუსეთისკენ იხედებიან. ამასაც ბოლომდე ვერ ამბობენ, ოკუპანტია მაინც! მესამე მხრივ „პრაგმატები" და მათთან ერთად თავად ნატო – ვთანამშრომლობთ უსაფრთხოებისთვის და სტანდარტების დაახლოებისთვის, უკეთესი გარემოების მოლოდინში, სტრატეგიულ რეჟიმში, ქვეყანაში სტაბილურობისთვის, მათაც ესმით რომ ტერიტორიები ოკუპირებულია, იქ რუსული ბაზებია, საომარი მოქმედებები დაუშვებელია, ნატოს წევრობა „დღეს და ახლავე" დამაზიანებელია, მოლაპარაკებები აუცილებელი და მიზანიც მიღწევადია, ფაციფუცის გარეშე"!

ვერაფერი გაიგეთ, ხომ? ვოლსკის მამაძაღლობა სწორედ მაგაშია, რომ მიუხედავად ამ აბდაუბდისა, ის მაინც რჩება პროდასავლურ პოლიტიკოსად. აქ მთავარი ის კი არაა, როგორ აურევ ერთმანეთში არსებით სახელსა და ზმნას, როგორ დააყენებ ყირაზე წინადადების წყობას, მთავარია, ჩაყარო სიტყვები: „პრაგმატიზმი", „სპეკულირება", „სტრატეგია", „რეჟიმი", „სტანდარტები", „პრაგმატები" და ასე შემდეგ. თუ ამ სიტყვებს გამოიყენებთ თქვენს საუბარში, გამოჩნდებით როგორც დიდი მოაზროვნე და დასავლეთში განათლებამიღებული პიროვნება. აუცილებელი არ არის, განათლება აუცილებლად დასავლეთში გქონდეთ მიღებული, უბრალოდ უნდა გამოჩნდეთ. თუ არა და... სერტიფიკატებს თბილისშიც ამზადებენ, ასიოდე დოლარი და მაგის ჯანი, რომელ უნივერსიტეტსაც ისურვებთ, იმას ჩაგიწერენ, ვინ გიმოწმებთ?!

„რესპუბლიკური პარტიის" ერთ-ერთი ლიდერი, ლევან ბერძენიშვილი პრემიერ-მინისტრს, გიორგი კვირიკაშვილს ახსენებს, რომ ის ციდან ჩამოფრენილი არ არის და მთავრობის მეთაურის პოსტზე „რესპუბლიკელების" ხმებითაც არის დამტკიცებული:

„პრემიერი დიდი თანამდებობის პირია, მაგრამ არ დაავიწყდეს, რომ ჩვენი დამტკიცებულია, მათ შორის „რესპუბლიკელების" ხმებით. ვინმეს არ ეგონოს, რომ ციდან ჩამოფრინდა ქვეყნის გადასარჩენად".

ესე იგი, ბერძენიშვილის დავთრების თანახმად, „რესპუბლიკელები" ჩამოფრინდნენ ციდან, დაამტკიცეს გიორგი კვირიკაშვილი და გაფრინდნენ კოალიციიდან. ახლა რომ ამას ვუთხრა, ბიძინა ივანიშვილმა შეგვაცდინა, მოგვატყუა და ისე დაგვამტკიცებინა „რესპუბლიკელები"-მეთქი, ძალიან ეწყინება და დაიწყებს, მე სოკრატეს ბიოგრაფია ვიცი კარგადო, ხომ? არც გაატრაკოთ, ბატონო ლევან, თუ თქვენ სოკრატეს ფილოსოფია იცით, ბიძინა ივანიშვილმა კიდევ ნიცშეს ფილოსოფიური ნაშრომები დაიზეპირა, ამით იცვლება რამე? შეიძლება სოკრატეც ისწავლო და ნიცშეც, მაგრამ კაცობას ვერ ისწავლი – აი, ამაშია საქმე!

ჰო, ლევან ბერძენიშვილს ისიც აინტერესებს, ეს თამაზ მეჭიაური რომ ლაპარაკობს ამდენს, თვითონ არის მეჭიაური, ვისაც ჩვენ ვიცნობთ, სახენაიარევი კაცი, თუ ეს არის ვილაცის გამახმოვანებელი ფიგურა? აი, ვერ გავიგე, ესეც მე უნდა ავუხსნა ამ ბერძენიშვილებს? ხალხო, ხომ გაიგეთ, რომ მეჭიაური არის ბიძინა ივანიშვილის კურსელი და მასთან დაახლოებული პირი? ჰოდა, ბიძინამ უთხრა თამაზს, ოღონდ ეს „რესპუბლიკელები" მომაშორე და მაღარიჩი ჩემზე იყოსო. ჯერ დაიწყო თოფაძემ, მერე აჰყვა მეჭიაური, ამის შემდეგ არენაზე გამოვა სხვა... ნუ, ახლა, ნათქვამია, ერთი კაცი ჭამაშიაც ცოდვააო. დაიღლება გოგი? გამოვა თამაზი, დაიღლება თამაზი? გამოვა ომარი. არის აქ რამე გაუგებარი? ნუ, ახლა, მანამდე რა მოხდა, ეგ ჩემზე უკეთესად იცით – 2012-ში ამერიკის მიმართულებით წასვლა, ლობისტების ძებნა, მილიონების წაღება, ნათესავებში გადანაწილება, ბიძოს მოტყუება, ირაკლი ღარიბაშვილის გინება, მერე მადის უფრო მეტად გახსნა და ასე შემდეგ. მოდით, ყველაფერს ნუ დამაკონკრეტებინებთ!

გასულ კვირას სუპერ-ფრაზა იყო: „ყველამ თავის ბოზ მამიდას მიხედოს, ჩემი მამიდა პატიოსანი ქალია"! აბა, თუ გამოიცნობთ, ეს ფრაზა ვის ეკუთვნის? ყოჩაღ, სწორად გამოიცანით, ასეთ რამეს ვინ იტყოდა სოსო ჯაჭვლიანის გარდა? მას შემდეგ, რაც თამაზ მეჭიაურმა ხმაურიანი განცხადებებით კაი გვარიანი პიარი გაიკეთა, სოსომაც სცადა, მაგრამ ჯერჯერობით მაინც ჩრდილში დარჩა. არადა, მას ძალიან უნდა, რომ კენჭი ისევ გლდანის რაიონში იყაროს. არა მგონია, „ქართულმა ოცნებამ" თავის კანდიდატად წარადგინოს, მაგრამ რამეს მოიფიქრებს. სხვათა შორის, სოსოს ერთი გლდანელი კაცი დღემდე დასდევს, 2012-ში 5-5 ლარი რომ დაარიგე, მე არ შემხვდაო. ამან უთხრა, ამ ჩემს ფეხებს, თუ არ შეგხვდა, 5 ლარის კაცი ხარო? იმან უთხრა, მეტი მომეცი და უარი გითხარიო? ჰოდა, ახლა იმ კაცის დრო დგება, თუ მოითხოვს, მიეცემა. რატომ თქვა ჯაჭვლიანმა, ყველამ თავის ბოზ მამიდას მიხედოსო? იმიტომ, რომ დავით ბერძენიშვილმა გიორგი კვირიკაშვილს მიმართა, თოფაძე, მეჭიაური და ჯაჭვლიანი პარტიიდან გარიცხეო... „უსაქმურობის" მინისტრმა, პაატა ზაქარეიშვილმა იბოდიალა, მე ამათი არ მიკვირს, ნატოს რომ ეწინააღმდეგებიან, უბრალოდ მთავრობის დუმილი მაოცებსო. გიორგი კვირიკაშვილმა უპასუხა, მე კიდევ შენი ამჩატება და არაობიექტურობა მაკვირვებს, ბოლოს და ბოლოს, რამდენჯერ უნდა გამოგიცხადოთ, რომ ჩვენი საგარეო კურსი პროდასავლურიაო?! ისე, მარტო პრემიერი კი არა, ამ ქვეყანაში ყველა დაიღალა „ნატო-ნატოს" ძახილით... გავიგეთ, ხალხო, რომ ჩვენი ხსნა სხვის ბუდეშია, სხვისი ხელისშემყურეობაშია, მათხოვრობაშია, მაგრამ როცა არ გვიღებენ და საამისოდ შორეული პერსპექტივაც კი არ არსებობს, რა ვქნათ? მე-19 საუკუნეში „ფრანციცული" იყო მოდაში, ვინც ორიოდე ღერ უცხო ენას ისწავლიდა, იმას გაჰქონდა ბუზივით ბზუილი და ფუტკრები კიდევ ჩაწიხლულები იყვნენ. მე-20 საუკუნიდან რუსულმა იდეოლოგიამ მოგვიტ...ნა კეთილები და ამოგვძირკვა საერთოდ. ახლა კიდევ ესა, ეს ინგლისური, ნატო და ევროკავშირი. ამას დაამატეთ პიდარასტობა, ჩათლახობა და ბოზობა. ნეტა სადმე არსებობდეს ქვეყანა, ორგანიზაცია, ან რაიმე სახის გაერთიანება, რომელსაც ერქმეოდა: „ნუშეგვეცეთი". მე პირადად დიდი სიამოვნებით დავუჭერდი მხარს ასეთ გაერთიანებაში შესვლას. ნუ, მეჭიაურიც – თავისთავად!

**»» მისტერიები**

**სოსო ჯაჭვლიანი: „ყველამ თავის ბოზ მამიდას მიხედოს, ჩემი მამიდა პატიოსანი ქალია"!**

მეჭიაურს უკვე გადაწყვეტილი აქვს, რომ „ქართული ოცნება" დატოვოს და კენჭი დამოუკიდებლად იყაროს, ან თავად შექმნას პარტია. ამაზე ლევან ბერძენიშვილმა ტაში დასცხო, „ოცნებისა" და მაგ კაცის გზები გაიყარა, თემა დახურულიაო. მეჭიაური ასეთ რაღაცას ამბობს:

„ჩემი საახლობლოდან მარტო ერთი კაცი ვიცი, რომელიც თავგადაკლული მომხრეა ევროატლანტიკური ალიანსის – ბატონი ნიშნიანიძე. მას თავისი პორტი აქვს, გემი ჰყავს და გაცურავს ატლანტის ოკეანეში. დანარჩენები ხმელეთზე ვართ და გვიჭირს ევროატლანტიკურში გასვლა".

ბატონ თამაზს იუმორში არ უჭირს, ომარ ნიშნიანიძეს მართლა აქვს საკუთარი პორტი ქუთაისში და ამას წინებზე გემიც იყიდა, ოღონდ ეს არის ხან სიზმარში, ხან კიდევ მხოლოდ ქაღალდზე. დანარჩენები, სიზმარშიც და ქაღალდზეც, ვრჩებით ხმელეთზე და მომავალში რა იქნება, არ ვიცით. თუმცა, აი, „ნაციონალების" ყოფილი დეპუტატი, მეგი გოცირიძე გვამშვიდებს, ცოტაც მოვითმინოთ, მიშა ჩამოვა და გვეშველებაო:

**ცოტაც მოვითმინოთ, მიშა ჩამოვა და გვეშველება**

„პარტიაში არ არის მარტივად საქმე. მიხეილ სააკაშვილი შორს არის და ყველაფრის კონტროლი უჭირს. არც ის ამბები დაგავიწყდეთ, რაც უკრაინაში ხდება. მას ძალიან ბევრი საქმე და საზრუნავი გამოუჩნდა. აქტიურად მიდის კონსულტაციები მიშასთან. კარგი იქნებოდა, აქ ყოფილიყო, მაგრამ ცოტასაც მოვითმენთ და ჩამოვა".

ოცნებას კაცი არ მოუკლავს და არც მეგი გოცირიძეს მოკლავს, დღესაც არიან საქართველოში ადამიანები, რომლებიც მარტო მიშას ჩამოსვლაზე კი არ ოცნებობენ, დარწმუნებულნი არიან, რომ სტალინი ცოცხალია, უბრალოდ, სძინავს და მალე გამოიღვიძებს.

მაკა დეკანოსიძე
551 99-18-19



## „ვაკესა და საბურთალოზე არის კორპუსები, სადაც ცხოვრება კი არა, მის ახლოს გავლაც კი საშიშია“

### მკვლელი კორპუსები

**სულ ახლახან თბილისში ერთ-ერთ ახალაშენებულ კორპუსზე ფასადი ჩამოინგრა, რასაც სოციალურ ქსელში დიდი გამოხმაურება მოჰყვა. კონკრეტული მიზეზის ძებნაში კი „ალია“ ერთ ძალიან საინტერესო რესპონდენტს გადააწყდა, რომელიც სამშენებლო სფეროში ერთ-ერთი გავლენიანი სპეციალისტია და სამშენებლო მასალების მწარმოებელ უცხოურ კომპანიაში წლებია, მუშაობს. გარკვეული მიზეზების გამო, მან ვინაობის გამხელისგან თავი შეიკავა, თუმცა ინფორმაცია, რომელიც ჩვენ დეტალებში მივიღეთ, ძალიან საჭირო და საინტერესოა, მით უფრო, რომ ამაზე დღეს ღიად არავინ საუბრობს.**

**როგორც ჩვენი რესპონდენტი ყვება, საქართველოში დეველოპერები და სამშენებლო კომპანიები ასაღებენ ამა თუ იმ სახლს დათბუნებულად, ენერგოეფექტურად, მაგრამ, მისი თქმით, ეს არის დიდი აფიორა, რასაც ხშირად სავალალო შედეგი მოჰყვება, ისევე როგორც ფასადის ჩამოშლის შემთხვევაში:**

„ათბუნებენ ისე, რომ არღვევენ ყველა კანონს. რომ წარმოვიდგინოთ მარტივი შედარება, მაცივარი ხომ გვაქვს სახლში, რომელსაც კარსა და ძირითად ნაწილს შორის აქვს რეზინა, ეს რეზინა რომ მოხსნა, მაცივარი გააცივებს? ანუ სისტემურად თუ ყველაფერი მწყობრში არაა, დათბუნებაც ვერ იქნება ეფექტური. წესით, დათბუნება ხდება შემდეგნაირად, პენოპლასტის შიგნით უნდა გაუშვა სპეციალური ფენები და ეს ყველაფერი ჰერმეტულად ჩახურო, სიცივე არ უნდა შევიდეს, არ უნდა გამოვიდეს. ესაა სტანდარტი, აქ მხოლოდ პენოპლასტს მიაკრავენ და ჰგონიათ. ეგრევე დათბუნებულია. ყველაზე მარტივი, წუწურაქი სტანდარტი ამ კუთხით გერმანელებს აქვთ, მაგრამ ეფექტურობა მიღწეულია. სულ ახლახან მიიღო სწორედ ერთ-ერთმა სამშენებლო კომპანიამ (ემ-2) „ხალტურისა“ და აფიორის შედეგად სავალალო შედეგი, როცა გარე ფასადი ჩამოიფშვნა და დიდი ალბათობა იყო, ვინმე დაღუპულიყო ან დაშავებულიყო, მიზეზი კი შემდეგში გახლავთ: დეკორატიული აგურის ფაქტურა მიაკრეს პენოპლასტზე, თან გაურკვეველი წებოთი, ყველაფერი ეს იყო ჩინური, უხარისხო მასალა. ზოგადად, ყველა მასალას აქვს დაშვებები და სერტიფიცირება, ანუ რა სისტემის ნაწილია, როგორ უნდა დამონტაჟდეს და ა.შ. ე.წ. ინსტრუქცია. საქართველოში კი ამ ინსტრუქციით არავინ მუშაობს. ამათ აიღეს და ინტერიერში გამოსაყენებელი ფილები, რომელიც გაუგებარია, რა ხარისხისაა, გამოიყენეს ვითომ ფასადის დასათბუნებლად. მე თავად ვიყავი მისული, ვნახე და გადავიღე და ამ ფილებს შორის იმხელა „დირკებია“, რომ იქ ენერგოეფექტურობაზე საუბარი ზედმეტია.

ზოგადად, დათბუნებაში თუ აგური გამოიყენება, უნდა გაითვალისწინონ, რომ ის არის მძიმე და აქ კიდევ წებო-ცემენტით დაიწყეს მიკვრა, რომელიც არის ინტერიერის და ამით გარე ფასადზე რაიმეს მიმაგრება დაუშვებელია. ბევრი ჩამოცვივდება კიდევ, ჯერ სად ვართ. რამდენიმე სახლი არის ვაკეში და საბურთალოზე, რომლის ქვეშ გავლაც არ შეიძლება, არავინ იცის, რა მომენტში ჩამოვარდება რამე და ვინმეს იმსხვერპლავს.





**„ყიფშიძეზე რომ ჩადიხართ, ბენზინგასამართი სადგურის მხრიდან, დიდი ლურჯი კორპუსი რომ არის, მაგას უნდა შეხედოთ, რამდენი ბზარი აქვს გარე ფასადზე... ანუ შიგნით შევიდა წყალი, გაიყინა, გაფართოვდა და ერთი წლის მანძილზე ძალიან დიდი შანსია, რომ ჩამოინგრეს“**

**„ხესა და რკინას ერთ-ერთი რუსული საღებავით ღებავენ, რომელიც არის შხამი, ერთი წელი ამ საღებავით რომ იმუშაოს მღებავმა, შესაძლოა, დაიღუპოს“**

**— წესით, დათბუნებული შენობის გარანტია რამდენი ხანია და თუ არ აკეთებენ ნორმალურად, მიზანი რა არის ამ კომპანიების??**

– მიზანი ამ უხარისხო დათბუნებაში არის ერთადერთი, ნაკლები ფული დახარჯონ და ყიდიან თან ძვირად, ამბობენ დათბუნებულიაო და ეგრევე წევენ ფასს. გერმანელების მოგონილია დათბუნების ტექნოლოგია და ეს ინვესტიცია მხოლოდ მაშინაა გამართლებული, როდესაც 25-30 წლის ვადით არის გარანტია, რადგან, როგორც წესი, ხარისხიანად დათბუნებულ სახლში 40%-ით ნაკლებს იხდი დათბუნება-გაგრილებაში. კარგად დათბუნებული შენობის პლუსი არის ასევე ის, რომ შენობის ძირითად ნაგებობაზე არ მოდის არც სეტყვა, არც ყინვა, არც გარეგანი მოვლენები, ანუ, ფაქტობრივად, 30 წელი, კარგად გაკეთებული დათბუნების პირობებში, ეს შენობა ისვენებს.

დღეს კი ახალი კორპუსების უმეტესობა, რომელზეც გვეუბნებიან, რომ დათბუნებულია, არის 90% ტყუილი და მომხმარებლის გაცურება, ამიტომ გიყვებით, რომ არ უნდა ენდოთ ბრმად სამშენებლო კომპანიებს, კიდევ ბევრი პრობლემა შეექმნებათ ემ2-ებსაც და სხვა ბევრ შენობასაც.

აკეთებენ თურქული ტექნოლოგიით. რაც თურქეთში არ გასდით, შემოაქვთ აქ და ასაღებენ. ერთმა გააკეთა ჯერ კიდევ ხუთი წლის წინათ და მერე წამხედურობით გაიმეორეს. ასევე, რამდენიმე ძალიან დიდი, მაღალი შენობა გააკეთეს სრულიად გაუგებარი, შეუმოწმებელი მასალით. ვიღაც ქართველმა ითითხნავა წებო-ცემენტებით და გამოიგონა „სიახლე“ და არავის შეუმოწმებია მისი ხარისხიანობა.

ყიფშიძეზე რომ ჩადიხართ, ბენზინგასამართი სადგურის მხრიდან, დიდი ლურჯი კორპუსი რომ არის, მაგას უნდა შეხედოთ, რამდენი ბზარი აქვს გარე ფასადზე. თითო ბზარი რას ნიშნავს, ამასაც აგიხსნით, შიგნით შევიდა წყალი, გაიყინა, გაფართოვდა და ერთი წლის მანძილზე ძალიან დიდი შანსია, რომ ჩამოინგრეს. თუ არ ჩამოინგრა, შეიძლება უარესი მოხდეს. შიგნით დიდი რაოდენობით ნესტი თუ მოხვდა, ხავსს უყვარს ნესტი და სიბნელე, იმ მხარეს, სადაც მზე არ უდგება კორპუსს, თუ შიგნით მოედო, ძალიან სავალალო შედეგებს გამოიწვევს. არც მინდა გაფიქრება!

**— სახელმწიფო სამსახურები, თბილისის მერია არ აკონტროლებენ არაფერს, ხარისხს ან უსაფრთხოებას?**

**— სახელმწიფოს მხრიდან არანაირი კონტროლი არაა, ელემენტარულად იმის კონტროლიც კი, ბეტონის მარკიანობა რომ შეამოწმონ, ან საერთოდ აქვთ თუ არა ნახმარი ცემენტი შენობაში. მერიიდან მხოლოდ მიდიან შენობასთან, შეხედავენ, შეადარებენ ფოტოს, ჰგავს? ჰგავს და ეგაა მთელი კონტროლი. ზოგჯერ მაგასაც არ აკეთებენ. რით შენდება, სად რას იყენებენ, უსაფრთხოა თუ არა, არაფერი არ მოწმდება დეტალურად.**

**— რაც შეეხება საღებავებს? უსაფრთხოების თვალსაზრისით, ამ კუთხით რა ხდება? ამას მაინც ამოწმებს ვინმე?**

– რაც შეეხება მომწამლავი ნივთიერებების გამოყენებას მშენებლობაში, ეს, ზოგადად, სამშენებლო ინდუსტრიის პრობლემაა. წარმოუდგენელ რამეს აკეთებენ ხშირ შემთხვევაში, ფასადის საღებავს იყენებენ ინტერიერში, რომელიც არის აქროლადი, რომელსაც აქვს უფრო ძლიერი ფუნქცია, წყალი არ უნდა შეუშვას კედელში, მისი გამოყენება ინტერიერში ძალიან საშიშია ჯანმრთელობისთვის, ტოქსიკურია. ზოგადად, საღებავები არის ორი ტიპის, ერთი ზეთოვანი საღებავები და ერთი ემულსია, წყალგაზავებადი და ნავთგაზავებადი, წყალგაზავებადი საღებავები, როგორც წესი, შეიცავს გარკვეული დოზით მავნე ნივთიერებებს. ხეს და რკინას ღებავენ ერთ-ერთი რუსული საღებავით, რომელიც არის შხამი, ერთი წელი ამ საღებავით რომ იმუშაოს მღებავმა, შესაძლოა, დაიღუპოს, ტოქსიკურია.

უსაფრთხოების ნომრებზე ხომ საერთოდ საუბარი არ არის, ფასადს რომ აკეთებ, წესით და რიგით, მთელი ფასადი უნდა დაფარო დამცავი ბადით. პირველ რიგში, იმიტომ, რომ მტვერი არ გამოვიდეს გარეთ, მეორე იმიტომ, რომ საღებავს რომ უსვამ, თავისით უნდა გაშრეს, მზემ და ქარმა კი არ უნდა ამოახმოს, ქიმიური პროცესი თავისით უნდა დასრულდეს.

**— რაში ხედავთ გამოსავალს?**

– გამოსავალი არის, პირველ რიგში, მომხმარებლების დაცვაში, რომ არ ვენდოთ ბრმად, რასაც გვატენიან. ვიღაცა არეკლამებს. მოგატყუეს რა, დაიშალა ფასადი და სად მიდიხარ? რომ აბარებენ ფასადს, ერთი წელი აქვთ პასუხისმგებლობა, არაფერზე არ აგებენ პასუხს, შეიძლება ქონებაც არ ჰქონდეს და ყველაფერს ქირაობდეს შპს.

**ასევე, პირველ რიგში, ხარისხის კონტროლშია გამოსავალი, საქართველოში ძირითადად შემოდის რუსეთიდან, თურქეთიდან, ჩინეთიდან ისეთი პროდუქცია, რომელიც იმ ქვეყნებში აკრძალულია, საღებავების დიდი ნაწილი შეიცავს ტყვიას და სხვათა შორის, ამ პრობლემას დღემდე ებრძვიან ამერიკაში, სადაც ტყვიით დაავადებულთა რიცხი გასულ ათწლეულებში საკმაოდ დიდი იყო. აქ რა შემოდის, როგორ შემოდის, არავინ არ ამოწმებს.**

ვინც უნდა შეამოწმოს, ერთადერთი ყველაზე ანგარიშგასაწევი, წესით, ხომ არის სამხარაულის ექსპერტიზა, მაგრამ თვითონაც არ იციან ნორმალურად, არ ჰყავთ არანაირი ექსპერტი, სპეციალისტი, ან დებენ დადებით დასკვნას ან არა, მაგრამ რამე შემოწმების სტანდარტი არ გააჩნიათ. გარდა შემოსული მასალებისა. დიდი ნაწილი აქაც მზადდება და ვინ რა სტანდარტით და რით ამზადებს, ეს კიდევ ცალკე დიდი პრობლემაა. სურსათს თუ ამოწმებენ რა, ვინმე დასჯილი გინახავთ? ან პროდუქცია განადგურებული? ასეა სამშენებლო სფეროშიც, სრული განუკითხაობაა.

**„ალია“ კომენტარისთვის ირაკლი ლექვინაძეს, თბილისის ვიცე-მერს დაუკავშირდა:**

„მერიის ზედამხედველობის სამსახური ამოწმებს შენობის არქიტექტურის შესაბამისობას და ექსპლუატაციაში მიღებას. რაც შეეხება მასალის ხარისხს, ან მდგრადობას, ამის შემოწმება არ ხდება მერიის მხრიდან და ხარისხის კონტროლი არ ხდება, მგონი, ქვეყანაში, როგორც ვიცი“.

**ჩამონგრეულ ფასადთან დაკავშირებით კი ემ$^2$-მა მხოლოდ მცირე კომენტარი გააკეთა: „ის, რაც სურათზე ჩანს, მთლიანად არ ჩამოვარდნილა. ჩამოვარდა მხოლოდ ორი ფილა. შემდეგ კი კომპანიამ სასწრაფოდ ჩამოხსნა მთელი კედე-**

## Facebook ამბები



**კახა კუკავა:**

ტელეფონით ვესაუბრე მმართველი პარტიის წარმომადგენლებს. იმედი მაქვს უახლოეს პერიოდში განახლდება ოპოზიციის და ხელისუფლების დიალოგი საარჩევნო გარემოს შესახებ და მიღებული იქნება კომპრომისული, სახელმწიფოებრივად სწორი გადაწყვეტილებები. პრემიერის მიერ არაერთხელ იქნა გაჟღერებული ეს დაპირება საქართველოშიც და საქართველოს გარეთაც და ჩვენც - როგორც "თავისუფალი საქართველო", ისე მთლიანად არასაპარლამენტო ოპოზიცია მზად ვართ ხელი შევუწყოთ ამ პროცესს ჩვენი კონსტრუქციული მიდგომებით: ყოველთვის შეიძლება გონივრული კომპრომისის მიგნება თუ 2-ვე მხარე ამითი დაინტერესებულია. რაც მთავარია ეს კომპრომისი დღეს ჭირდება არა პრემიერს ან ოპოზიციას, არამედ ქართული სახელმწიფოს მდგრად, სტაბილურ განვითარებას.



**გია გაბრიჭიძე,** ჟურნალისტი:

ისეთი ფორსირებული პროპაგანდისტული შეტევა, რასაც ნაციონალური მოძრაობა რუსთავი 2-ის საშუალებით ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ ახორციელებს, გებელსსაც არ დაესიზმრებოდა. "ნანუკა" ჟორჟოლიანის "უწყინარ", სოციალურ "შოუში" პირველ სიუჟეტად ე.წ. სატანისტი ბავშვების შესახებ გაკეთებული სიუჟეტი აჩვენეს. პირველი სიუჟეტისგან დაძაბულ მაყურებელს, მეორე ბლოკში სიცილ-სიცილით ე.წ. "ფენ-შუის" "სპეციალისტმა" "აუხსნა", რომ იმ "ცნობლი ხის" გადარგვა წინასწარგანზრახული, 40 საუკუნოვანი ჩინური რიტუალია და მხოლოდ მის პირად კეთილდღეობას ემსახურება (ცხადია "ნანუკა" ჟორჟოლიანის არაადეკვატური ხარხარის, თვალები ტრიალის და კომენტარების თანხლებით). ამით მათ ნეიროლინგვისტური ზემოქმედებით მაყურებლის ქვეცნობიერში პირველი სიუჟეტიდან წამოსული უარყოფითი მუხტი, გადაიტანეს ბიძინა ივანიშვილზე (სატანიზმი, ცხოველების სისხლი, არამართლმადიდებლური ფენ-შუი, ხის გადარგვა). შემდეგ მიადგნენ ბოტანიკურ ბაღს. ახსენეს ტეტჩერი, ფრანგი პრინცესა, ნიკო კეცხოველი, გალაქტიონი და გადავიდნენ სოციალურად დაუცველ, ჯანმრთელობა შერყეულ ადამიანზე, რომელიც ვარჯიშის დროს შორიდან ხედავს "ნაუშნიკებიან", უამრავი დაცვის თანხლებით მოსეირნე ბიძინა ივანიშვილს . . .

**სანდრო ბრეგაძე**

ნიშნისმოგებად არ ჩამითვალოთ,ეს უფრო მეგობრული ხუმრობაა---მინისტრთა კაბინეტში ყოფნის დროს რესპუბლიკელებს და თავდაცვის მინისტრს რომ ვუპირისპირდებოდი, გახსოვთ მუდამ მარტო ვრჩებოდი და მე მამტყუნებდით(კოალიციას შლიო).ხოდა თუ არ გავაგდეთ მთავრობიდან ეს მოღალატეები ყველას კარზე დაიჩოქებს ის აქლემი-თქო რომ გეუბნებოდით ხომ გახსოვთ???ხოდა დაიჩოქა,დაიჩოქა კი არა ბერძენიშვილებმა საარტილერიო ცეცხლი გაგიხსნეს!!!!!ეგრეა -ვისაც ჩავაცვი იმან გამხადით!!!!! ჯერ სად ხართ???ეს ბერძენიშვილების ჟურნალია,კინო აწი იწყება!!!!



facebook



ნიკოლოზ მჟავანაძე:

მე არავის გვარებს არ დავასახელებ ამ ეტაპზე. ყველაფერი მაშინ გაირკვევა, როცა სია დაიდება. მაშინ აღმოვაჩენთ კიდევ ერთ სამწუხარო ფაქტს - სიაში ვიხილავთ ისეთ ადამიანებს, რომლებსაც იმ 9 წლის მანძილზე ნაციონალების ფაშისტური რეჟიმი არც ერთხელ არ დაუგმიათ. სამწუხარო ფაქტია, რომ ასეთი ადამიანები „ქართული ოცნების“ სიის ფორმირებაში რაღაც დოზით მონაწილეობენ. მართლა მაინტერესებს, სად იყვნენ იმ 9 წლის მანძილზე, ეძინათ და ახლა გამოიღვიძეს?! სამარცხვინოდ და გაუმართლებლად მიმაჩნია იმაზე საუბარიც, თუ როგორ ხდება სიის ფორმირება. რატომ უნდა ვიცოდეთ ჩვენ, ამომრჩევლებმა, სიაში ჩასასმელ ხალხს ფსიქოლოგები ამოწმებენ თუ სექსოპათოლოგები? ბარემ ვიზაჟისტებიც მიიწვიონ, შესარჩევი ხალხი პოდიუმზე გაატარონ და შეამოწმონ, როგორი სიარულის მანერა აქვთ. სიის ფორმირებისას კიდევ ერთ სამწუხარო ტენდენციას ვხედავ. ხელისუფლება ამ მიმართულებითაც ძალიან დაემსგავსა ნაციონალურ მოძრაობას.

ვერ იტანენ იმ ადამიანებს, რომლებიც განსხვავებული აზრის გამოხატვას გაბედავენ. ამის ნათელი მაგალითია თამაზ მეჭიაური, რომელიც ანათემაზე გადასცეს მხოლოდ იმიტომ, რომ საკუთარი აზრი დააფიქსირა. მისი პოზიცია მართალიც რომ არ ყოფილიყო, განსხვავებული მოსაზრების გამო ადამიანის გოლგოთას გზაზე გაშვება ვის გაუგია? თამაზ მეჭიაურმა სრული სიმართლე თქვა. ის აცხადებს, რომ ის სამხედრო სწავლება, რომელიც საქართველოში ამ დღეებში გაიმართება, ჩვენს ქვეყანას საფრთხეს უქმნის. თუ ვინმეს ჰგონია, რომ რამდენიმე ამერიკული ტანკი დაგვიცავს რუსული აგრესიისგან, ძალიან შემცდარა. 2008 წლისთვის საქართველოს ამ ამერიკულ ტანკებზე მაგარი სამხედრო ტექნიკა ჰქონდა შეძენილი სხვადასხვა ქვეყნებიდან. ეს ტექნიკა რუსებს ფაქტიურად „შევტენეთ“. იმას, რაც მოხდა 2008 წელს, სხვა სახელი არა აქვს. დავტოვეთ ეს ტექნიკა კოდორში, გორში და სენაკის სამხედრო ბაზაზე, რუსებიც ადგნენ და საბრძოლო ნადავლის სახით წაიღეს. რამე რომ მოხდეს, ამერიკული ტანკები დაგვიცავს? ამასთან, მაინტერესებს, ვის როგორ ესმის სტრატეგიული მოკავშირეობა. ჩემი აზრით, ეს ნიშნავს იმას, რომ როცა გიჭირს, სტრატეგიული მოკავშირე დაგეხმარება.

Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები

# კულტურის მინისტრი ახალ სკანდალში ეხვევა?!

**„არც გოგი მარგველაშვილი მალავს რამეს, — ფეხებსაც ვერ მომჭამთ, ჩემ უკან მანანა ბერიკაშვილი დგასო“**

**„გამომძიებელმა მიპასუხა, — რა ქნა, ქალბატონო მარინა, გააჩერეთ კულტურის სამინისტროში მანანა ბერიკაშვილი და ნახავთ, გამოძიების დაწყება და დასრულება თუ არ შეგვიძლიაო“**

დიანა ლიპარტელიანი
571 80-40-80

**კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი, მიხეილ გიორგაძე მორიგი ბრალდების სამიზნე ხდება. პროფესორ-მასწავლებელთა საინიციატივო ჯგუფი აცხადებს, რომ თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორ გოგი მარგველაშვილსა და კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრ მიხეილ გიორგაძეს შორის გარიგება შედგა.**

**რა ხდება თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში? ვინ ლობირებს „დიპლომების საქმეს“, რას მალავენ როგორ ცდილობენ უნივერსიტეტი და სამინისტრო ერთობლივად „დიპლომების საქმის“ „ჩაფარცხვას“?**

**„ალიას“ პროფესორ-მასწავლებელთა საინიციატივო ჯგუფის ხელმძღვანელი, ხელოვნებათმცოდნეობის მეცნიერებათა დოქტორი, მარინა მიქაუტაძე ესაუბრა:**





– სამწუხაროა, რომ ისევ და ისევ თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პრობლემებზე საუბარი მიწევს და ამასთანავე, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროზე.

უკვე ვესაუბრე „ალიას“ თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორ გოგი მარგველაშვილსა და მის კრიმინალურ კასტაზე, რომელთა მიერაცაა განხორციელებული კორუფციული დანაშაულები, რომლებზეც სამჯერ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე, რომელსაც ნომერი აქვს მინიჭებული – საქმე ეხება უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას, სახელმწიფო თანხების მითვისებას, ასევე საუბარია დიდი ოდენობის თანხებზე, საბიუჯეტო თანხების არამიზნობრივ ხარჯვასა და დოკუმენტაციების გაყალბებაზე – საუბარია დიპლომებზე.

**წლების მანძილზე, თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, გოგი მარგველაშვილი და მისი ადმინისტრაციული აპარატი გასცემდა გაყალბებულ დიპლომებს და მათი რაოდენობა, საერთო ჯამში, არის 5 ათასი. ეს ხდება 2007 წლიდან დღემდე. ბოლო დიპლომები 2014 წლითაა დათარიღებული. ყიდდნენ რეალურ დიპლომებს, ხოლო კურსდამთავრებულებს აძლევდნენ განათლების დამადასტურებელ ყალბ დოკუმენტს.**

**— თუ სამჯერ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე, რა ხდება, რატომ არ ისჯებიან დამნაშავეები, ვინ აფარებთ ხელს?**

– გოგი მარგველაშვილს ჰყავს გავლენიანი ლობისტები, რომლებიც კარგად ბლოკავენ და ყინავენ ამ საქმეს პროკურატურაში. მოგეხსენებათ, დღეს პროკურატურაში საქმის გაჩერებაზე ადვილი არაფერი არ არის. ხელზე გვაქვს ფაქტები, ყველა მოცემულობა, მაგრამ მაინც გაჩერებულია ყველაფერი. როდესაც ვკითხე საქმის გამომძიებელს – რა იყო მიზეზი, რის გამოც ასეთი მნიშვნელოვანი საქმის გამოძიება ასე უსასრულოდ იწელებოდა, მიპასუხა, – რა ქნა, ქალბატონო მარინა, გააჩერეთ კულტურის სამინისტროში მანანა ბერიკაშვილი და ნახავთ, გამოძიების დაწყება და დასრულება თუ არ შეგვიძლიაო. არც გოგი მარგველაშვილი მალავს რამეს, – ფეხებსაც ვერ მომჭამთ, ჩემ უკან მანანა ბერიკაშვილი დგასო. ბერიკაშვილი კიდევ, თურმე „ძალიან ზემოთ“ რომ ადამიანი ზის, იმას უყვარს ძალიან და ეს კიდევ ძალიან ბოროტად იყენებს მის ნდობას. ქუსლქვეშ ჰყავს მანანა ბერიკაშვილს ამოდებული მთელი სამინისტრო და პროკურატურა.

ასევე, კულტურის მინისტრის ერთ-ერთი მოადგილე, ლევან ხარატიშვილია მისი ლობისტი, რომელიც მანანა ბერიკაშვილმა მოიყვანა და თავის მხრივ, ამ ხარატიშვილის დედაცაა გარეული ამ დიპლომების საქმეში, რომელიც არის ამავე უნივერსიტეტის ხარისხის მართვის უფროსი, რომელიც უშუალოდაა პასუხისმგებელი დიპლომების ხარისხზე. ამ ლევან ხარატიშვილსა და მინისტრ გიორგაძეს კი ნათელმირონობა აკავშირებთ.

### იმისთანა მოვწველი ჭოლოის...

ვინაიდან დავრწმუნდით, რომ პროკურატურა ბრმის, ყრუსა და მუნჯის როლშია, 2015 წლის 1-ელ სექტემბერს, პროფესორ-მასწავლებელთა საინიციატივო ჯგუფმა, მოვაგროვეთ გაყალბებული და ნამდვილი დიპლომები, დავურთეთ განცხადება და შევიტანეთ ექსპრემიერ ირაკლი ღარიბაშვილის სახელზე. ცოტა ხანში მივიღეთ პასუხი, რომ ჩვენი განცხადება გადაეცა კულტურის სამინისტროს, ვინაიდან თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი მის დაქვემდებარებაშია. პასუხად,

**იმის ნაცვლად, რომ კულტურის მინისტრი, მიხეილ გიორგაძე დაინტერესებულიყო ამ საქმით და დაეცვა საკუთარი და სამინისტროს იმიჯი, კულტურის სამინისტრო, მინისტრ გოგი მარგველაშვილის კრიმინალურ კასტასთან ერთად, შევიდა გარიგებაში და აი, ამ გაყალბებულ დიპლომებს ცვლიან ფარულად. იბარებენ იმ კურსდამთავრებულებს, რომლებსაც აქვთ გაყალბებული დიპლომები და ცვლიან.**



**— რით ადასტურებთ იმას, რომ გარიგებაში შევიდნენ და ამის საფუძველზე ცვლიან დიპლომებს?**

– ამას ვადასტურებთ დოკუმენტურად. პასუხი კი მას მერე მოგვცა მთავრობის კანცელარიამ, რაც კარი ავუტალახეთ, ვინაიდან კულტურის სამინისტრო არ გვპასუხობდა მთელი ნახევარი წლის განმავლობაში. სწორედ მთავრობის კანცელარიამ მოგვაწოდა ეს სკანდალური განცხადება, სადაც ნათქვამია, რომ დაწყებულია დიპლომების გამოცვლა. აი, ამ ფაქტს მალავს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო.

**— იქნებ, არცაა მინისტრი საქმის კურსში?..**

– ჩვენ ეს შესაძლებლობაც დავუშვით, იქნებ ეს მინისტრის ზურგსუკან ხდებოდა. მივწერეთ დაახლოებით 8-10 წერილი, მაგრამ პასუხს არ გვცემს. მოგვიანებით, 8 თვის მერე, მიგვილო სამინისტროს „ოდეერმა“, ღრმად პატივცემულმა კახა სულუაშვილმა, რომელმაც მომახსენა რიხიანად, – ქალბატონო მარინა, ჩვენ ყველაფერი ვიცით. ყველაფერი ვიცით მანანა ბერიკაშვილთან დაკავშირებით, ლევან ხარატიშვილთან დაკავშირებით... საერთოდ ყველაფერი ვიცით და სწორედ ამიტომაც არ შეგხვდებათო.

ვეკითხები ახლა მინისტრ გიორგაძეს – ასე აპირებს ამ საქმის ჩაფარცხვას ამ გაყალბებული დიპლომების ჩუმ-ჩუმად გამოცვლით?

**— რას ითხოვთ?**

– ვითხოვთ, სასწრაფოდ შეგვხვდეს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი, ასევე, სასწრაფოდ მოხსნას გოგი მარგველაშვილი მინიმუმ მანამ, სანამ გამოძიება არ მივა ბოლომდე. მისი თანამდებობაზე ყოფნის ყოველი დღე დანაშაულისა და საფრთხის მატარებელია.

**„არც გოგი მარგველაშვილი მალავს რამეს, — ფეხებსაც ვერ მომჭამთ, ჩემს უკან მანანა ბერიკაშვილი დგასო. ბერიკაშვილი კიდევ თურმე „ძალიან ზემოთ“ რომ ადამიანი ზის, იმას უყვარს ძალიან და ეს კიდევ ძალიან ბოროტად იყენებს მის ნდობას“**

**„ალია“ ეცადა კულტურის სამინისტროსგან კომენტარის მოპოვებას, მაგრამ უშედეგოდ.**

Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook

facebook



ნესტან აბდუშელიშვილი, ექიმი:

ივანიშვილს პანამის ქეისი გაუხსნეს და შიგნით შეახედეს, მერე სენატორმა რასელმა ღია ტექსტით დასდო ბრალი.
გუშინ უკვე მეორე კონგრესმენი გამოვიდა და იგივე დანაშაულში დასდო ბრალი მთელს ბიძინას შაპიტოს.
დღეს კი ბრიტებმა ანტიკორუფციულ კონფერენციაზე დაიბარეს კვირიკაშვილი აღმზრდელობითი შეგონებების სათქმელად. პარალელურად საქართველოში სამხედრო ქვედანაყოფები შემოვიდნენ.
ამასობაში, საქართველოში მკვეთრად იმატა რუსი, მწვანე კაცუნების რაოდენობამ. საქართველო გაიძეძგა ამ ტიპებით.
სხვა მხრიდან შეტევაზე არიან გადმოსულები შავკაბიანთა ბრბო გაბედავას მეთაურობით.
პარალელურად ლევან ვასაძე ატარებს რუსთა ყრილობას ოჯახის სიმტკიცის თემაზე.
ყველა ფსბ-ს აგენტი ტელევიზიებიდან არ გამოდიან. იქ სძინავთ და იქ ათენებენ.
მოკლედ, ეცდებიან 26 მაისს არაფრით არ დაუშვან ნატოს ქვედანაყოფების აღლუმი რუსთაველზე.
ეს და მომავალი კვირა უმძიმესი იქნება ყოველი ჩვენთაგანისთვის და ჩვენი სამშობლოსთვის.
საქართველო სამოქალაქო ომის პირას დგას, ბრიყვი ღიმილით და შიშისგან ჩასვრილი.

ეთერ ბალაძე
593 15-64-47



# „ვინც ჩემი მიწის დასასაკუთრებლად მოვა, იქიდან ცოცხალს არ გავუშვებ“

## „საჯარო რეესტრი მოქალაქეებს ფულს სძალავს“



**„ყველაფერი ტყუილია, რა განცხადებებსაც პარლამენტში აკეთებენ“**

**მიწის ლეგალიზაცია თითქოსდა დღევანდელი ხელისუფლებისთვის ერთ-ერთი პრიორიტეტია, თუმცა, ეს არც ისე მარტივი პროცესია, როგორც ამას მაღალჩინოსნები მაღალი ტრიბუნებიდან აცხადებენ. მიწის ნაკვეთებით მოსარგებლეებს მიწის აღიარების კომისია გარკვეულ მოთხოვნებს უყენებს და თუ კრიტერიუმებს ვერ დააკმაყოფილებენ, უარს ეუბნებიან მათ მიწების დაკანონებაზე.**

**„ალია“ ე.წ. მიწის ნაკვეთების მართლზომიერ მოსარგებლეებს ესაუბრა:**

**გუგა ფანჯარაძე:**

– 90-იანი წლებიდან თბილისში, ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე მიწის ნაკვეთს ვფლობ, ოჯახისთვის საკვები პროდუქტები მომყავს, ოჯახის 4 წევრიდან არცერთი არ ვმუშაობთ. ძალიან გვიჭირს, უმწეოთა დახმარებაც შეგვიჩერდა. ახლახან მერიაში მივედი, მიწის ნაკვეთის დასარეგისტრირებლად საჭირო დოკუმენტაცია მივიტანე, მაგრამ საკრებულოში საბუთების დატოვებაზე უარი მითხრეს. არ მინდა, რომ მიწის ნაკვეთი დავკარგო. ეს ნაკვეთი ჩემი ოჯახის გადარჩენაა და სხვა არაფერი. ტელევიზიით აცხადებენ, რომ მიწების დარეგისტრირება უპრობლემოდ მოხდებაო. თუ ასეა, მე რატომ მეუბნებიან უარს?

**გოგა ჯანდიერი:**

– ჯერ კიდევ 1989 წელს საბურთალოზე მდინარე ვერის მიმდებარე ტერიტორიაზე გავაკეთე ნაკვეთი, სადაც მომყავდა სოფლის მეურნეობის პროდუქტები. აქვე ავაშენე პატარა სახლი, რომელიც მერიის ზედამხედველობის სამსახურმა დამინგრია. რამდენჯერმე მიწის ლეგალიზაციისთვის საჭირო დოკუმენტაცია შევიტანე, მაგრამ უარს აცხადებენ. იქნებ თქვენ გამარკვიოთ, ვის მივმართო და როგორ მოხდება ჩემი ნაკვეთის დარეგისტრირება? ყველაფერი ტყუილია, რა განცხადებებსაც პარლამენტში აკეთებენ. მიწის ნაკვეთს ცოცხალი თავით არ დავთმობ, ვინც ჩემი მიწის დასასაკუთრებლად მოვა, იქიდან ცოცხალს არ გავუშვებ. შეიძლება ვამეტებ, მაგრამ ეს ნაკვთი ჩემთვის თავის გადარჩენაა, სხვა არაფერი არ გამაჩნია.

**„ალიას“ საკრებულოს აღიარების კომისიის თავმჯდომარე ბექა ნაცვლიშვილი ესაუბრა:**

– მიწის ლეგალიზაციის შესახებ კანონი 2007 წელს არის მიღებული. 2008 წელს ამ კანონში ცვლილება მოხდა, მაშინ არ იყო საჭირო შენობა-ნაგებობის არსებობა მიწის ნაკვეთზე, უბრალოდ, მიწის სარგებლობა უნდა ყოფილიყო დადასტურებული. 2008 წლიდან მიწის ნაკვეთზე შენობა-ნაგებობის აუცილებლობის საჭიროება გაჩნდა. პრიორიტეტი არც მაშინ ენიჭებოდა და არც დღეს ენიჭება ვინმეს. ან რას ნიშნავს პრიორიტეტი? ადამიანი აკეთებს განაცხადს და აბარებს მოთხოვნილ დოკუმენტაციას. თუ დოკუმენტაცია და მოთხოვნები აკმაყოფილებს დაკანონების პირობებს, მაშინ უკანონდება და თუ არ აკმაყოფილებს, არ უკანონდება.

— **კონკრეტულად რა მოთხოვნები აქვს კომისიას და რა არ აკმაყოფილებს ამ მოთხოვნებს?**

– პირველ რიგში, ფლობა-სარგებლობა უნდა დგინდებოდეს მიწის ნაკვეთზე, მასზე უნდა იდგეს კაპიტალური ნაგებობა, რომელიც მიწაზე დამაგრებული იქნება არა საკუთარი წონით, არამედ მყარად, საძირკველი და ა.შ. გარდა ამისა, მიწით მოსარგებლემ უნდა წარმოადგინოს ორთოფოტო, რომლის მიხედვითაც დადგინდება, რომელი წლიდან არის მიწაზე შენობა-ნაგებობა განთავსებული.

— **ასევე, ექსპერტიზაც?**

– ექსპერტიზა იმ შემთხვევაშია საჭირო, როდესაც ამ შენობა-ნაგებობაზე შეკითხვები გაგვიჩნდება. ასევე, საჭიროა სიტუაციური გეგმა და აზომვითი ნახაზი, ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, თუ ვისია ამ მოცემულ მომენტში ესა თუ ის მიწის ნაკვეთი.

— **მოწმეებიც სჭირდება?**

– მოწმეები საჭიროა, ასევე, მისი მომიჯნავე ნაკვეთის. მეზობლების, ან სხვა მიწით მოსარგებლეების დასტური.

— **თქვენი კომისია ერთ-ერთ აუცილებელ პირობად შენობა-ნაგებობის აუცილებლობას ასახელებს, ადამიანებმა ააშენეს სახლი, რომელიც მერიის ზედამხედველობის სამსახურმა დაუნგრიათ. როგორ უნდა მოიქცეს ამ შემთხვევაში მიწით მოსარგებლე?**

– დანგრეული ხომ არის? თუ მიწით მოსარგებლე დასტურს მოიტანს, რომ დაუნგრიეს, ამას გაითვალისწინებს კომისია.

— **თუკი შენობა-ნაგებობის აშენებაზე უარს ეუბნებოდნენ და მერიის ზედამხედველობის სამსახური აშენებულ სახლებს უნგრევდათ, როგორ შეძლებდნენ კაპიტალური შენობის, ისიც 2- ან 3-სართულიანი შენობის აგებას?**

– არ არის სწორი, შენობის არც კვადრატულობა და არც ტიპი არ არის განსაზღვრული, უბრალოდ, მთავარია, სახლი იყოს აშენებული.

— **თუ მიწით მოსარგებლეს კაპიტალური შენობის აშენება არ შეუძლია?**

– სოციალურად დაუცველებს ამ შემთხვევაში შეღავათები აქვთ.

— **ალბათ, გახსოვთ, მერიის ზედამხედველობის სამსახური როგორ დასდევდა და უნგრევდა ადამიანებს აშენებულ სახლებს, მდინარე ვერის მიმდებარე ტერიტორიიდან რამდენიმე ოჯახს სახლები დაუნგრიეს და აყარეს, იმ მიზეზით, რომ უკანონო მშენებლობა იყო, ახლა კი თქვენი კომისია აშენებულ სახლებს და ისიც კაპიტალურ შენობას ითხოვს, ცოტა პარადოქსული ხომ არ არის?**

– თუ იმ ადამიანებს დანგრეული სახლების ფოტომასალა აქვთ, მათ დოკუმენტაციას კომისია განიხილავს.

— **როგორც მიწით მოსარგებლეები აცხადებენ, მიწის აღიარების კომისიაში საჭირო დოკუმენტაციის შემოტანის დროს ყველა საჭირო საბუთის დამატება გარკვეულ თანხებთან არის დაკავშირებული. ჩემი ინფორმაციით, ყოველი ახალი საბუთის დამატებისას მიწით მოსარგებლე 50 ლარს იხდის?**

– ჩვენთან საბუთების მიღება უფასოა და არავინ არაფერს არ იხდის, სხვაგან რა ხდება, ვერ გეტყვით.

— **რა თანხა უნდა გადაიხადონ მიწით მოსარგებლეებმა მიწის აღიარების შემდეგ?**

– რაც შეეხება გადასახადს, 1 კვ.მ მიწა 1 თეთრია. რაც შეხება სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთებს, აქ ცოტა ძვირია და დაახლოებით 1 კვ.მ 5 ლარია.

**„ალია“ უფლებადამცველ მამუკა ტუსკაძეს ესაუბრა:**

– მიწის ლეგალიზაცია ჯერჯერობით რეალურად არ დაწყებულია, მაგრამ საჭირო დოკუმენტაციის შეტანა საჯარო რეესტრში გარკვეულ ბარიერებთან არის დაკავშირებული, ადამიანები მთელ რიგ პრობლემებს აწყდებიან, ათასობით მოქალაქეა, რომელსაც სხვადასხვა მიზეზის გამო დოკუმენტაციის მიღებაზე უარი უთხრეს. მიწის მართლზომიერი მოსარგებლეების ნაწილმა დოკუმენტაცია უკვე წარადგინა, რაშიც 50 ლარს იხდიან, თუ მიწის მოსარგებლემ თანხა არ გადაიხადა თავიდან, შემდეგ მას სხვადასხვა მიზეზით ყოველი ახალი საჭირო დოკუმენტის დამატებისას 50 ლარს ახდევინებენ. ეს გახლავთ ფულის გამოძალვა და მეტი არაფერი.

— **ამ თანხას მოქალაქეები სად იხდიან?**

– საჯარო რეესტრში იხდიან ყველა საჭირო დოკუმენტის დამატებისას 50 ლარს, საჯარო რეესტრი მოქალაქეებს ფულს სძალავს. ეს არათუ თაღლითური, არამედ ფულის გამომძალველი ორგანიზაციაც არის, თავიდან ჰპირდებიან, რომ მოქალაქეებს რეგისტრაციაში გაატარებენ და ყოველ ჯერზე 50 ლარს ახდევინებენ, იცით, 50 ლარი რამდენჯერ აქვს გადახდილი? 5-6-ჯერ! მოიტანა ახალი საბუთი და დაამატა, გადაიხადა 50 ლარი, მერე ისევ მოიტანა, ისევ გადაიხადა, საბოლოოდ კი, რაღაც მიზეზის გამო, უარს ეუბნება საჯარო რეესტრი დოკუმენტაციის გაფორმებაზე.

— **რაც შეხება საკრებულოს მიწის აღიარების კომისიას, იქ რა ხდება?**

– საკრებულოს აღიარების კომისია მიტაცებული მიწების აღიარებას ახდენს. თუმცა, აქაც პრობლემებია. მე ამ კომისიას ვეძახი მიწის არაღიარების კომისიას, რადგანაც 1000 განცხადებიდან მხოლოდ 20 ფიზიკური პირის მიწის აღიარება ხდება. საკრებულოს მიწის აღიარების კომისიის თავმჯდომარე ბექა ნაცვლიშვილმა შეიმუშავა კანონი, რომელიც ამ კანონის გაუმჯობესებასა და გაჭირვებულ ადამიანებზე იქნებოდა ორიენტირებული, მაგრამ ამ კანონის მიღებაზე უარი უთხრეს, ადამიანს, რომელსაც ნაკვეთი აქვს, შრომობს, ქოხი აქვს ჩადგმული, არ უკანონებენ. მაინცდამაინც ვილა უნდა გქონდეს აშენებული, რომ დაგიკანონონ? მინდა პარლამენტს მოვუწოდო, რომ გაითვალისწინონ და მიიღონ ბექა ნაცვლიშვილის კანონი, რომელიც ხალხზე იქნება ორიენტირებული. სამწუხაროდ, ამ კანონის მიღება არ სურთ. მისი კანონი თაროზე შემოდეს.

— **მაშინ რომელი კანონით სარგებლობს საკრებულო?**

– სააკაშვილის ხელისუფლების დროინდელი კანონპროექტით.

— **რა სხვაობაა ამ ორ კანონს შორის?**

– სააკაშვილის დროინდელი კანონი მიზნად ისახავდა მდიდრისთვის „რაც შენია შენია“, კიდევ მიიმატეო, ხოლო ღარიბ ადამიანს რაც მისი იყო, იმასაცართმევდნენ. თქვენ ვერ მეტყვით, თუნდაც ერთ ადამიანს, რომელსაც მიწის ნაკვეთი დაუკანონეს, მხოლოდ თითზე ჩამოსათვლელი ადამიანებისთვის იყო ეს კანონი, ისიც „ჩაწყობით“. ვერ გავიგე, თუ ეს კანონი გამოვიდა, მარტო ბობოლებისთვის გამოვიდა? მიტაცებულ მიწებში იმხელა ვილები უდგათ, კეთილი ინებონ და და ფული გადაახდევინონ. ხოლო გაჭირვებულს უფასოდ მისცენ.

**რა ხდება საჯარო რეესტრში, რატომ ახდევინებენ მიწით მოსარგებლეებს ყველა საჭირო დოკუმენტაციის ჩაბარებისას დამატებით თანხებს? ამის შესახებ „ალია“ საჯარო რეესტრის პრესსამსახურს დაუკავშირდა, თუმცა მათ ამ თემაზე კომენტარის გაკეთება არ ისურვეს.**

» რაც შენია, შენი არ ყოფილა!

Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook



**ჩიორა თაქთაქიშვილი**
(10 მაისი)

დღეს ბესელიამ განაცხადა, რომ 2 საათზე კომიტეტი საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ ცვლილებებზე იმსჯელებს და რომ ტექსტი მნიშვნელოვნად შეცვლილია.

გახსოვთ, რომ ჯაფარიძეც ამაზე აპელირებდა, ჩვენ "გირჩებმა" 1-ლი მოსმენით იმიტომ დავუჭირეთ მხარი, რომ ტექსტი შეცლილი იყოო. სიმართლე კი არის ეს:

1. პარლამენტის საიტზე დევს მხოლოდ 1-ლი მოსმენით მიღებული ტექსტი, რომელშიც არაფერი არ არის შეცვლილი და ყველა ის პრობლემაა, რომლის გამოც ეს კანონპროექტი დამღუპველი იქნება ჩვენ ქვეყანაში კანონის უზენაესობის და დემოკრატიისთვის.

2. შეცვლილი ტექსტი სხდომამდე 10 წუთით ადრეც კი არსად არ არის ხელმისაწვდომი, არც პარლამენტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, სადაც უნდა იყოს წესით და არც კომიტეტის წევრებისთვის დაუგზავნიათ მეილზე.

ჩნდება კითხვები: რატომ დაუჭირეს მხარი გირჩებმა იმ ტექსტს, რომელიც ცუდი იყო? რატომ იცოდნენ ზუსტად რა ტექსტს წარადგენდა ბესელია კომიტეტზე 2 კვირის შემდეგ მაშინ, როდესაც დღესაც კი არავინ იცის, რა ტექსტზეა საუბარი? რატომ ქონდათ გარანტია, რომ ეს ტექსტი მისაღები იქნებოდა?

ბუნებრივია, ახალ ტექსტს როცა ვნახავ, ჩემს აზრსაც მაშინ მოგახსენებთ, მაგრამ ჩვენი მოთხოვნა ძალაში რჩება: ვენეციის კომისიის დასკვნის გარეშე ასეთი მნიშვნელოვანი ცვლილებები არ უნდა მივიღოთ და კანონპროექტი ექსპერტიზისთვის სასწრაფოდ უნდა გავაგზავნოთ ვენეციის კომისიაში. თუ ტექსტი შეცლილია და კარგია, მაშინ მით უმეტეს, რატომ არიან წინააღმდეგი ვენეციის კომისიაში გადაგზავნის?



**ხათუნა ხოფერია:**

კატეგორიულად მოვითხოვ, "რესპუბლიკური პარტიიდან" გაირიცხონ ძმები ბერძენიშვილები და კორძაია (სახელი არ მახსოვს).... ამ ადამიანების განცხადებები რეიტინგს უგდებს მშობლიურ პარტიას და ზიანს აყენებს ჩემი ქვეყნის თავდაცვის მინისტრს!!!! იწვევს დაპირისპირებას პარტიის შიგნით და მინისტრთა კაბინეტის წევრებს შორის!!!!

ასევე, მოვითხოვ, გადადგეს უსუფაშვილი "რესპუბლიკური პარტიის" თავმჯდომარის პოსტიდან და მიხედოს პარლამენტის რესპუბლიკელ წევრებს!!!!

ასევე, არ მომწონს "რესპუბლიკური პარტიის" ლოგო! მოვითხოვ შეიცვალოს!

პატივისცემით "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" პარტიის მხარდამჭერი.



**შალვა ნათელაშვილი:**

კოალიციის დაშლის პროცესი დიდი ხნის წინ დაიწყო და დღესაც გრძელდება. როდესაც ეს განცხადება გავაკეთე, 4 თვის მოსული იყო ქართული ოცნება ხელისუფლების სათავეში და არავის ეგონა, რომ დაიშლებოდა.

დოლარზე აგებულ ერთობას ყოველთვის აქვს დასასრული, ხოლო ლეიბორისტული პარტია არსებობს და იარსებებს მარად. იმიტომ, რომ ჩვენ იდეისა და სიმართლის გარშემო ვართ გაერთიანებულები.



**კოკა ყანდიაშვილი:**

ისე, როგორი საინტერესო ქვეყანა დადგა ეს ჩვენი საქართველო - ა?

ვერც კი წარმოვიდგენდი, რაღაც 4-5, ან 10-15 წლის წინ ხომ საერთოდ, რომ 2016 წლის საქართველოში, ერთ მშვენიერ დღეს; (მხოლოდ ყველაზე მნიშვნელოვან ამბებზე მოგახსენებთ - არ დავწვრილმანდები)

1) 1000-დე ამერიკელი და ინგლისელი ჯარისკაცი, ვაზიანის სამხედრო აეროდრომზე ქართულ-ამერიკულ სწავლებას „ღირსეული პარტნიორი 2016“ გადიან ქართულ ჯართან ერთად.

2) ჩვენი პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი, მსოფლიო ლიდერებთან ანტიკორუფციულ პოლიტიკასა და კორუფციის აღმოფხვრის მექანიზმებზე მსჯელობს - ლონდონში 2016 წლის ანტიკორუფციულ სამიტზე და მთელი მსოფლიოს პირველ პირებს ხვდება.

3) ამერიკელი კონგრესმენი ტედ პო, სენატში გამოსვლისას საქართველოს ყველაზე თავისუფალ ქვეყანად იხსენიებს რეგიონში და კიდევ ბევრ სიკეთეებს ამბობს ჩვენზე.

4) EBRD-ი საქართველოს 2016 წლის ეკონომიკური ზრდის პროგნოზს 2,6 %-დან 3.4%-მდე ზრდის.

5) ისრაელში ქვეყნის თავდაცვის ძალების ყოფილი ოფიცერი გალ ჰირში საქართველოს თავდაცვის ყოფილ მინისტრ დავით კეზერაშვილთან კორუფციული გარიგების საქმეზე დაკითხეს.

6) საქართველო წმიდა ანდრია პირველწოდებულის ხსენების დღეს აღნიშნავს.

7) ეს ყველაფერი ხდება უქმე დღეს - მაგრამ, სრულიად ქართული მედია, - ჩიორას ვერ გასცდა, ჩიორას...... (ეკა ბესელიას მით) - ხალხო!!!!!!!!!!!!!!!!!!!!!!!!!!!!!!!!!!

ეს ლექსიც ნეცებს......
პტიცა, პტიცა პტიციცაო....
რაო? გასპადინ ლისიცაო?
ერთი ბარტყი გადმომიგდე,
თორემ კანეც ბლიზიტსაო.....



**ნანუკა ჟორჟოლიანი:**

არაა მეჭიაური უჭკუო კაცი. ზუსტად იცის რა უნდა თქვას, რომ მასზე ბევრი ილაპარაკონ:) და ამასობაში ყველაზე პოპულარული ქოცი გახდა

**ნანა სულავა**
599 07-01-89



14 მაისს, „სპორტის სასახლესთან“, სანამ „ოცნების“ პარტიის მე-4 ყრილობა დაიწყებოდა, „ცენტრ პოინტ ჯგუფისგან“ დაზარალებულებმა აქცია გამართეს. წინა დღეს კი მთავარ პროკურატურასთან, ერთ მხარეს სამართლიანობის აღდგენის მოთხოვნის შეკრებილები აანონსებდნენ თავიანთ პროტესტს და მეორე მხარეს პლაკატებით „ცენტრ პოინტ ჯგუფისგან“ დაზარალებულები მართავდნენ აქციას. ერთი სიტყვით, პროკურატურის მიმდებარე ტერიტორია და მოქალაქეთა მისაღები სამართლის ძიებაში ქანცგაწყვეტილი ადამიანებისგან იყო ბლოკირებული.

„ალიას“ „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ დაზარალებულ-მენაშენეთა საბჭოს ტყვით, მათ ახალი თაღლითური სქემა შეიმუშავეს და გვემუქრებიან ფართების გასხვისებით. ამ ფორმით ახდენენ შანტაჟსა და ფსიქოლოგიურ ზეწოლას დაზარალებულებზე. გასული სამი წლის მანძილზე არც ერთი ობიექტი არ არის დასრულებული, ყველა მშენებლობა შეჩერებულია და არც შპს „ცენტრ პოინტ ინვესტის“ დაზარალებულები არ დაკმაყოფილებულან. ჩვენ ამ დრომდე ვერ დავამყარეთ ვერანაირი კავშირი მთავარ პროკურატურასთან, ვინ იცის მათ მიერ ჩადენილი დანაშაულის რამდენი ეპიზოდი განიხილება სასამართლოში და რამდენი ეპიზოდია გამოძიების მიღმა. ჩვენ ამ დრომდე ვერ მოვიპოვეთ სასამართლო პროცესის მიმდინარეობის სტატისტიკური მონაცემებიც კი, რაც იწვევს აღშფოთებას და უნდობლობას ზრდის პროკურატურის, სასამართლო ორგანოებისა და ხელისუფლების მიმართ. გვექმნება შთაბეჭდილება, რომ სახელმწიფო მფარველობს თაღლითებს და მიზანმიმართულად აჭიანურებენ გამოძიების მსვლელობას. ჩვენს ქვეყანაში არის ისეთი სამართალი, რომელიც თაღლითებს იცავს.

# „რჩეულიშვილებმა ახალი თაღლითური სქემა შეიმუშავეს!“

## რატომ შერჩათ 310 მილიონი დოლარი?!



**ციხეებში თაღლითობაზე მჯდომ ქალებს, ერთად აღებულს, იმდენი ადამიანი არ ეყოლებათ გადაგდებული, რაც მაია და რუსუდან კერვალიშვილებს, მაგრამ მათ დღემდე ხელს არავინ ჰკიდებს!**



**წევრი ეკატერინე შაფათავა ესაუბრა:**

– 2013 წლის 10 ივლისს დეველოპერული კომპანია შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ დამფუძნებლები რუსუდან კერვალიშვილი, მაია რჩეულიშვილი და ივანე ცაგურია ცნობილი არიან ბრალდებულებად, საქმე განსახილველად გადაეცა თბილისის საქალაქო სასამართლოს, მაგრამ საქმის განხილვა არა და არ ხდება, რითაც სარგებლობს მაია რჩეულიშვილი და აგრძელებს დანაშაულებრივ საქმიანობას. ახლა მის მეუღლესთან ვახტანგ რჩეულიშვილთან და ქეთი ჟორდანიასთან ერთად. ისინი დღესაც განაგრძობენ კომპანიის ხელმძღვანელობას და თაღლითურ საქმიანობას. არ ახდენენ ფართების გამიჯვნას და მათ რეგისტრაციას საჯარო რეესტრში. ეტყობა, ფული შემოაკლდათ და ჩვენგან ისევ ითხოვენ დამატებითი თანხების გადახდას, მათ შორის დღგ-ს კომუნიკაციებისა და ლიფტებისთვის. თანაც ვალდებულებას ნოტარიული აღიარებით მეანაბრეების მხრიდან. ხსნიან ახალ საბანკო ანგარიშებს და მათ ქვეანგარიშებს, რომლებზეც ასობით-ათასობით ლარი ბრუნავს და არავინაა ამის გამკითხავი. ერთი სიტყვით, მათ ახალი თაღლითური სქემა შეიმუშავეს და გვემუქრებიან ფართების გასხვისებით.

— **დღევანდელი აქციის ფონზე ვინმეს თუ შეხვდით მთავარ პროკურატურაში?**

– შევხვდით გენერალური ინსპექციის უფროსს, პროკურორ ზურაბ ბენდელიანს, რომელმაც გულთან მიიტანა ჩვენი გასაჭირი. დაზარალებულთა ხელმოწერით საჩივარი პირად კონტროლზე აიყვანა. ვნახოთ, რა იქნება, თუკი შედეგს არ მივიღებთ, ჩვენ აქციებს არ შევწყვეტთ. რჩეულიშვილები მასხრად გვიგდებენ, გამოდიან შოუებში და სამარცხვინოდ იქცევიან, ხალხს დაგვცინიან. მოვითხოვთ, განახლდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში საქმის არსებითი განხილვა შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ დამფუძნებელთა და შპს „დექსუსის“ წარმომადგენლების მიმართ. 2016 წლის 8 აგვისტომდე გასამართლდნენ საქმეში ბრალდებულის სახით მიცემული პირები – მაია რჩეულიშვილი, რუსუდან კერვალიშვილი და ივანე ცაგურია. მათ ხალხისგან 310 მილიონი დოლარი აქვთ წაღებული, მარტო სააკაძის მოედანზე 420 ოჯახი ჰყავთ დაზარალებული, მთავარმა პროკურატურამ 2016 წლის ივლისამდე დაასრულოს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ საქმე და განსახილველად გადასცეს სასამართლოს. სირცხვილია, რომ ასეთ თაღლითებს, როგორიც „ცენტრ პოინტ ჯგუფია“, მხარდაჭერა გამოუთქვეს დეპუტატებმა: ზაქარია ქუცნაშვილი, გოგი თოფაძე, ზურაბ ტყემალაძე, სოსო ჯაჭვლიანი, ერეკლე ტრიპოლსკი, მურმან დუმბაძე, გოდერძი ბუკია, ანი მიროტაძე, ვიქტორ ჯაფარიძე, გურამ მისაბიშვილი, როსტომ ხალვაში, სერგო ხაბულიანი, რევაზ შავლუხაშვილი, პაატა ბარათაშვილი და თამაზ ყაჭეიშვილი. ეს დეპუტატები მათ თავდებში უდგებიან.

### ჰმ, ფულიანი ციხეშიო?!

დაზარალებული წყევლა-კრულვით გაკითხავს ხან პარლამენტის და ხან პროკურატურის შენობის წინ და თაღლითურად წართმეულს გთხოვს, შე კაი კაცო, რა გეგლახავება?!. ეს ხომ იმ ხალხის მასხრად აგდებაა?!.

ისიც კარგად მახსოვს, როცა ყოფილი პრეზიდენტი ყბადაღებულ მოწოდებებს აკეთებდა, არავითარი პირობითი სასჯელი, ყველანი ციხეშიო, ამ ფაშისტურ მოწოდებას სხვებთან ერთად მქუხარე ტაშით უმრავლესობის დეპუტატი რუსუდან კერვალიშვილიც მხარს უჭერდა. არადა, სტატისტიკას რომ გადახედონ, სააკაშვილის ხელისუფლების პერიოდში ათასობით დაპატიმრებულ ქალს ერთად იმდენი გადაგდებული ადამიანი არ ეყოლება, რამდენიც ამ ერთ ქალბატონს — რუსუდან კერვალიშვილს...

**„გვემუქრებიან ფართების გასხვისებით და ამ ფორმით ახდენენ შანტაჟსა და ფსიქოლოგიურ ზეწოლას დაზარალებულებზე“**

ჯერ სად იყო ან „ცენტრ პოინტ ჯგუფი“, ან სამშენებლო კომპანია „დექსუსი“, როცა რჩეულიშვილებმა შევარდნაძის მმართველობის წლებში ხელში ჩაიგდეს გამომცემლობა „სამშობლოს“ ქონება ხოშარაულის №29-ში, როგორც საგაზეთო კორპუსი, ასევე გამომცემლობის თანამშრომლებისთვის აშენებული თეთრი კარკასი, თავისი მიწის ნაკვეთით, რა თქმა უნდა, ჩალის ფასად. მას მერე რჩეულიშვილებმა იმდენი ხალხი დააზარალეს, ამას ვინ მოთვლის. ახლა რჩეულიშვილების „ბედნიერი ოჯახის“ წევრები შოუებში გამოდიან. ამას წინათ, თავად რომ არ მომესმინა და საკუთარი თვალით რომ არ მენახა, სხვის მონაყოლს არ დავიჯერებდი. ერთ დროს პლეხანოველი ძველი ბიჭი, ვახტანგ რჩეულიშვილი, მეტსახელად „ტუი“, რომელიც ამაყობს იმით, რომ „ქუჩის სკოლა გაიარა“, მაყურებელს ართობს და უყვება, როგორ შეუჭყიტინა თავის ცოლს აბაზანაში, „ტრაკუცუნებზე“ ხელი ამოჰკრა და... ამ დროს, ხელში სიდედრის ერთი ადგილი შერჩა... არ ვიცი, ასეთ რამეებს ქუჩის სკოლაგავლილი ძველი ბიჭები თუ ყვებიან, მაგრამ, როცა ამდენი

მაგრამ ქართული სამართალი თაღლითებს იცავს. არ ვიცი, „ნაცებისა“ და „ოცნების“ პროკურორები და მოსამართლეები იმ დეპუტატებთან ერთად თავდებად როდემდე დაუდგებიან რჩეულიშვილებსა და კერვალიშვილებს, ან რა იმუნიტეტი იცავს მათ, წინა ხელისუფლების დროს არაერთი მშენებელი იყო დაპატიმრებული, რომლებმაც ხელშეკრულებებიც გაუფორმეს კლიენტებს, სამუშაოებიც აწარმოეს, მაგრამ თანხის რაღაც ნაწილის არამიზნობრივად გახარჯვისა და ვადების დარღვევის გამო წლობით ისხდნენ ციხეებში.

მახსოვს, თინა ხიდაშელმა გამინისტრებამდე ასეთი განაცხადი გააკეთა: ციხე არ გვსურს ჩინოვნიკებით და კვალიფიციური პატიმრებით შევავსოთო. ალბათ, რჩეულიშვილების მსგავსი თაღლითები ჰყავდა მხედველობაში. ეს არის კანონის უზენაესობა?!. ეს არის ევროპული ღირებულებები?!. რა შუაშია მეჭიაური, ასეთ ქვეყანას ნატო-სკენ არავინ მიახედებს!..

**Facebook ამბები**



**მალხაზ თოფურია**

ბიზნეს იდეა მაქ.... შეიძლება დიდი ბიზნეს მოგებას არ იძლევა, მაგრამ ერთი კვირიანი, ქეიფი ბუნწიაღში თავის ჩაქაფულებითა მწვადებითა გიტარითა და ჩქარი ტაშით გარანტირებულად გვაქ გამოწერილი...... 17 მაისი ახლოვდება, აგერ წინა 17 მაისობას 32 ათასი ევრო გამოიმუშავა ლგბტ საზოგადოებამ, ეშმაკმა იცის მაგ ფულს რაში დახარჯავენ ეგ ეშმაკის ნასხლეტები, მარა საქეიფოდ და ბუნებაში გასასვლელად რომ არ დაიხარჯებიან წინასწარ შემიძლია გითხრათ.....მოკლედ შევიკრიბოთ 17 რიცხვში. ლოტოტრონის წესით გავიყოთ შუაზე, ერთი მხარე ტაბურეტკა იქნება მეორე ლგბტ, პატარა წაუთაქოთ ერთმანეთს(პირველი ხომ არ იქნება) და მერე დაველოდოთ ევროსასამართლოს....დამიჯერეთ არ დაგვიგვიანებს განაჩენს...ხო შეილება ვაჭარაძეს ნაირმა პიდარასტმა გაჭედოს ჭეშმარიტი პიდარასტი მე ვარ ეგენი იბრალებენო,.....მე გამიშვით დებატებში ისეთებს ვიტყვი....მტრისას(ოღონდ არ დაიჯერეოთ)
ხო ლოტოტრონი რატოო არ მკითხოთ...თქვენი ამბავი, რომ ვიცი ყველას ტაბურეტკას როლი გენდომებათ))

# რითია ცუდი, თუ სკოლები ერთ კონკრეტულ დღეს დაიწყებენ სწავლას?

დიანა ლიპარტელიანი
571 80-40-80



2017 წლიდან საქართველოს ყველა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებისთვის სასწავლო წლის დაწყების ერთი თარიღი განისაზღვრება. საკანონმდებლო ინიციატივის ავტორი საქართველოს პარლამენტის უმრავლესობის წევრი ალექსანდრე ქანთარიაა.

ალექსანდრე ქანთარია განმარტავს, რომ ყველა სკოლისთვის სწავლის დაწყების ერთიანი თარიღის განსაზღვრა მოსწავლეთა თანაბარ უფლებრივ მდგომარეობას უზრუნველყოფს და საშუალებას მისცემს მშობლებს, უკეთ მოამზადონ ბავშვები სასწავლო წლის დასაწყებად.

აღნიშნულს განათლების ექსპერტი, მარიამ რამინაშვილი ასე ეხმაურება: „ძალიან სასაცილოა, მინისტრის 2010 წლის 84/ნ ბრძანება 2014 წლის 88/ნ ბრძანებით შეცვალეს, არადა ეს „პრინციპული“ ცვლილება სიტყვასიტყვით იმეორებს 2010 წლის ჩანაწერს. განსხვავება ისაა, რომ კანონში ჩაიწერა — რაც შეიძლება ნაკლები თავისუფალი არჩევანი — პრინციპით! მოკლედ, რაც მოსვლიდან გააფუჭეს, ცდილობენ, საწყის პოზიციას დაუბრუნონ, საკუთარი ინიციატივის სახელით“.

„ალიას“ ა/ო „საგანმანათლებლო ალიანსის“ ხელმძღვანელი, **მარიამ რამინაშვილი** ესაუბრა:

– საქმე ეხება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სწავლის დაწყების თარიღის განსაზღვრას. როგორც კანონპროექტშია ახსნილი, სასწავლო პროცესის დაწყება, ერთიანად უნდა მოხდეს ყველა სკოლაში.

**— და რაში დასჭირდათ ამ თარიღის ასე მკაცრად განსაზღვრა, რამე პრობლემა იქმნებოდა?**

– აბსოლუტურად გაურკვეველია, რაში სჭირდებოდათ კანონის ამგვარი უნიფიცირება, როცა ზოგადი განათლების შესახებ კანონში, ისედაც იყო ფორმულირება, რომ კანონმდებლობით ეს რეგულირდებოდა – კერძოდ კი, მინისტრის ბრძანება განსაზღვრავდა ამას. ანუ საკითხი არანაირად არ იყო ქაოსური და არ ქმნიდა რაიმე სახის პრობლემას. უფრო მეტიც, მეტ თავისუფლებას გულისხმობდა.

აქ ერთი დეტალია მნიშვნელოვანი – არსებობს 2010 წლის 84-ე ბრძანება, რომლის მიხედვითაც სწავლის დაწყების თარიღი განსაზღვრული იყო 15 სექტემბრით, ხოლო იმ შემთხვევაში, თუკი 15 რიცხვი იქნებოდა უქმე, დაიწყებოდა მომდევნო დღეს.

2014 წლის ივლისში, თამარ სანიკიძემ 88-ე ბრძანებით შეცვალა ეს საკითხი და სასწავლო პროცესის დაწყების თარიღად გამოაცხადა – 1-ლი სექტემბრიდან პირველი ორშაბათი. ამ ინიციატივას თუ კარგად ჩავხედავთ, სიტყვასიტყვით იმეორებს 2010 წლის ბრძანებას, რაც გვაძლევს იმის თქმის საფუძველს, რომ 2014 წელს „ქართული ოცნების“ მიერ მიღებული გადაწყვეტილება იყო მხოლოდ და მხოლოდ ახირება, რომ ამ სეგმენტშიც შეეტანათ ცვლილება, მაგრამ აღმოჩნდა რომ ეს იყო არაგონივრული გადაწყვეტილება და 2016 წელს, 2010 წლის ჩანაწერი გამოიტანეს ისე, როგორც მათი ინიციატივა, იმ განსხვავებით, რომ ეს აღარ განისაზღვრება მინისტრის ბრძანებით და პირდაპირ კანონში ჩაიწერება, რაც არის აბსოლუტურად არასწორი გადაწყვეტილება, ვინაიდან ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისთვის ეს ბრძანება სავალდებულო იყო, ხოლო კერძო სკოლები, ამ მხრივ, გამონაკლისი იყო – შეეძლოთ, პირადი გადაწყვეტილებით სწავლა დაეწყოთ ან ადრე, ან გვიან. ისე, როგორც ამას მათი სილაბუსი (სასწავლო კურსის პროგრამა) ითხოვდა. ახლა, უკვე, კერძო სკოლებს ეზღუდებათ თარიღის ცვლილება და საამისოდ სჭირდებათ განსაკუთრებული მიზეზი. ეს ფაქტორი კი აქვეითებს კერძო სკოლების ავტონომიურობას.

აქ ყველაზე მნიშვნელოვანი რა არის იცით? – კანონი უნდა ამოქმედდეს 2017 წლის იანვრიდან, რაც ნიშნავს იმას, რომ, რა თქმა უნდა, ეს ხომ ვერ მოესწრება 2016 წელს და თუკი ეს საკანონმდებლო ცვლილება მხოლოდ და მხოლოდ სასწავლო პროცესის დაწყებას უკავშირდებოდა, რა საჭირო იყო მისი ასე დაჩქარებული წესით განხილვა? მით უმეტეს, როცა თავადვე ამბობენ, რომ პარლამენტს ძალიან ცოტა დრო დარჩა სამუშაოდ და ყველა საკითხის განხილვას ვერ ასწრებენ.



„რაც ამ ხელისუფლებამ მოსვლიდან გააფუჭა, ახლა ცდილობენ, საწყის პოზიციას დაუბრუნონ, ოღონდ საკუთარი ინიციატივის სახელით“



„ამათ იციან, რომ ისინი ძალიან მალე ვერ იქნებიან ამ პოზიციაზე და ცდილობენ, რაც შეიძლება მეტი რამ შეცვალონ“



### » [illegible]

**— რაზე მიანიშნებთ?**

– შესაბამისად, მაქვს გონივრული ეჭვი, რომ ეს ყველაფერი უკავშირდება სკოლამდელი აღზრდის კანონს, კერძოდ, ავტორიზაციის საკითხს, რომ მაქსიმალურად შეზღუდონ კერძო სკოლები განსხვავებული თარიღით სასწავლო პროცესის დაწყებაში და იძულებული გახადონ მშობლები, რომ მიუხედავად სურვილისა და ფინანსური უზრუნველყოფისა, მათ გადაწყვეტილება მიიღონ, საკუთარი შვილები სკოლამდელი აღზრდის პროექტში ჩაერთონ და არა სკოლაში მიიყვანონ. საერთო ჯამში, მათი ეს აქტივობა საერთოდ არაფერს არ ემსახურება და ეს არის საზოგადოების ყურადღების გადატანის მცდელობა ერთი საკითხიდან მეორეზე და ძალიან საქმიანი პარლამენტის იმიჯის შექმნის მცდელობა. კარგად აცნობიერებენ, რომ ისინი ძალიან მალე ვერ იქნებიან ამ პოზიციაზე და ცდილობენ, რაც შეიძლება მეტი რამ შეცვალონ.

• Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook

facebook



ლადო სადღობელაშვილი

. მე პარტია ქართულ ოცნებას დღეს აღარ გავაკრიტიკებ - **стыдно издеваться над больными людьми?** ))))))))) პს დღეს დილით ანგელა მერკელს სახლის კარებთან ღორის თავი დახვდა... ვშიშობ კალაძეს შავი არმანის ბიკინები არ დაახვედრონ... ))))

ლიკა ჭიპაშვილი -თუ ღარიბაშვილი არ უნდა ყოფილიყო პოლიტიკაში იმ გარკვეული მიზეზების გამო, მაშინ მასეთივე წარმატებით, არც სხვა უნდა იყოსს.... ისევ და ისევ ვაწყდებით ორმაგ და უსამართლო სტანდარტებსს(((

facebook



ინგა გრიგოლია

შევეცდები ვიყო ძალიან დელიკატური და ისე ვთქვა-ღამის საათებში ჩატარებული პარლამენტის ბიურო არის ყველაზე ცუდი რამ,რაც ჩაიწერება საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ისტორიაში..((((ძალიან ვწუხვარ,რომ ამის დაწერა მომიხდა და გამიცრუვდა მთელი ის მოლოდინი,რაც უსუფაშვილის მიმართ მქონდა,როცა ის პარლამენტის სპიკერად დაინიშნა---

facebook



სანდრო ბრეგაძე

თავდაცვის მინისტრმა თავის მეუღლეს (პარლამენტის თავმჯდომარე) აუკრძალა მმართველი პარტიის ყრილობაზე მისვლა----ანეგდოტია აბა რა!!!!!!ხოლო იმ პარტიამ რომელსაც მინისტრთა კაბინეტში 3 მინისტრი ყავს ბოიკოტი გამოუცხადა მმართველი პარტიის ყრილობას!!!!--ეს უკვე ანეგდოტი აღარაა,ეს პოლიტიკური მარაზმია!!!!!!!!!!ყველაზე გასაოცარი კი ისაა,რომ თავდაცვის მინისტრიც,დანარჩენი რესპი მინისტრებიც და პარლამენტის თავმჯდომარეც თანამდებობებზე რჩებიან!!!!ამას უკვე სახელი არ აქვს!!!!!!!!

facebook



ირმა ინაშვილი

ვინმეს თუ გახსოვთ თინათინ გამყალბებლოვა- ხიდაშელის, ძმები სტუკაჩოვ- ბერძენიშვილების, თუ დავით კომუნისტინ- უსუფაშვილის გაკეთებული თუნდაც ერთი, ქვეყნისთვის სასარგებლო საქმე? არა!!! ამათი საქმეა ტყუილი, ცილისწამება, ინტრიგანობა, შანტაჟისტობა, იარლიყების მიწებება, ლანძღვა, გინება, ყველასთან ჩხუბი. ახლაც ყველას "გაუხსნეს ცეცხლი", ვითომ ლომები იყვნენ, ეს ქოფაკი კურდღლები.

Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები




*ქართველები, მათ შორის პოლიტიკოსები, თავისებური წეს-ჩვეულებების მატარებელი ხალხი ვართ. დღევანდელ წერილში საუბარი ამ პროფესიის ადამიანებზე გვექნება და ქართველი საზოგადოებისთვის რამდენიმე ნაკლებად ცნობილ ისტორიას გაგაცნობთ.*

*გიორგი გაჩეჩილაძე*
*593-30-28-70*



**დავით უსუფაშვილი — „დაძაბული სიტუაცია“**



„1990 წლის შემოდგომაა. წინასაარჩევნო პერიოდია. ცესკოს წევრი ვარ. საკმაოდ დაძაბული სიტუაციაა. იურიდიულ საკითხებს ვკურირებ და ყველა სამართლებრივი დავა ჩემს ხელში გადის. ერთ დღესაც სამსახურში მივდივარ და დაცვაში მაფრთხილებენ:

– ბატონო დავით, სჯობს, არ შეხვიდეთ, ქალბატონი მანანა არჩვაძეა მოსული სერიოზული პრეტენზიებით და ხალხიც მოიყვანა.

მაინც შევედი. დერეფანშივე მომესმა მისი ხმა, რომელიც ჩემი ოთახიდან გამოდიოდა:

– სასწრაფოდ მომიყვანეთ აქ ის იურისტი უსუფაშვილი!

– გამარჯობათ, – მივესალმე, – მე გახლავართ იურისტი უსუფაშვილი. დაწყნარდით და ისე ვისაუბროთ, – შევეცადე, დამემშვიდებინა.

– მაგას ვერ ელირსებით! – მიყვირა.

ჩხუბით დაწყებული კამათი საშიშ ფაზაში შევიდა. ვგრძნობ, ხეირს არ დამაყრიან. „მრგვალ მაგიდას“ ეჭვი გასჩენოდა, რომ არჩევნებზე მოსაწვევი ბარათები მარტო კომუნისტური პარტიის მხარდამჭერებს დაურიგდებოდათ და ამაზე ცხარობდნენ.

მე ჩემსას ვამტკიცებ, ქალბატონი მანანა არჩვაძე – თავისას, და სიბრაზის ბოლო საფეხურზეა. უცებ, მზერა ჩემს უკან გადაიტანა და სახე დაუმშვიდდა. გამიხარდა, მეთანხმება-მეთქი და ლაპარაკის ტემპს მოვუმატე. ცოტაც და სრულიად დაწყნარებულმა ნაზად შესძახა:

– უიმე, ეს ყვავილი მეც მაქვს, მაგრამ კოკრები ვერ გამოვალებინე!

დაბნეულმა მივიხედე, რაფაზე რაღაც ქოთნები ეწყო მცენარეებით. ასეთი რამეები არასოდეს მიზიდავდა, მაგრამ იმ წუთში სიყვარული „მომეძალა“.

– ამ ყვავილს, ქალბატონო მანანა, საკუთარი შვილივით ვუვლი! ბავშვობიდან ვგიჟდები ქოთნის მცენარეებზე და კვირაობითაც მოვდივარ სამსახურში, რომ მოვრწყა.

დადნა ქალი! რა არჩევნები, რის არჩევნები!

– მზე უფრო უყვარს თუ ჩრდილი? – გამიღიმა.

სიმწრის ოფლმა დამასხა!

– თანაბრად, – ძლივს ამოვღერღე, – ისე, დღისით ყოველ ერთ საათში ვატრიალებ, რომ მზის სხივი ფოთლებს თანაბრად მოხვდეს.

– რამდენჯერ რწყავ?

– ოთახის ტემპერატურას გააჩნია. – მოვნახე გამოსავალი.

– კარგი ბიჭია, – გახედა თავისიანებს. – ყვავილები ჰყვარებია და ცუდს არაფერს ჩაიდენს.

**„ლომები და ვეფხვები“**

1990 წლის არჩევნების წინა დღეს სამართალდამცავმა ორგანოებმა ოპერატიული ინფორმაცია მიიღეს, რომ ვილაცები არჩევნების ჩაშლის ოპერაციას ამზადებდნენ ყველაზე მზაკვრული მეთოდით – ზოოპარკიდან ლომებისა და ვეფხვების გაშვება ჰქონიათ დაგეგმილი.

უკვე შუაღამეა, რამდენიმე საათში საარჩევნო უბნები უნდა გაიხსნას. ცესკოს წარმომადგენლები, პროკურატურისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღალჩინოსნები შევიკრიბეთ და დავიწყეთ ფიქრი გამოსავალზე.



– გავაფრთხილოთ მოსახლეობა, რომ ცხოველების ქუჩაში გამოჩენა დეზინფორმაციაა, – დაასკვნა ერთმა.

– არ გამოვა, – იდეა დაუწუნეს, – ლომისა და ვეფხვის ხსენებაც კი პანიკას გამოიწვევს და ცხვირს აღარავინ გამოყოფს გარეთ.

ორსაათიანი სერიოზული თათბირის შემდეგ „გენიალური“ გადაწყვეტილება მიიღეს! თითო გალიას თითო მაღალჩინოსანი ოფიცერი მიამაგრეს, რომლებიც დიდი ბოქლომებით გაქანდნენ ზოოპარკისკენ, გალიები დამატებით გადარაზეს და გასაღების ერთადერთი ეგზემპლარი ღრმად შეინახეს ჯიბეში. ვისი ცხოველიც ქუჩაში აღმოჩნდებოდა, ტყავის გაძრობა არ ასცდებოდა და არჩევნების დამთავრებამდე საათში ერთხელ გულისხეთქებით გარბოდნენ „საკუთარი“ გალიისკენ“.

**ზვიად ძიძიგური — „ვილუპებით, ბატონო ზვიად!!!“**



1989 წელია და მწერალთა კავშირის სახლში შეიკრიბა მთელი დისიდენტური სამყარო. მიდის აქტიური მსჯელობა, კამათი – ხვალ რა იქნება, ზეგ რა იქნება, ეროვნული მოძრაობა რა გზით უნდა წავიდეს და უცებ დარბაზში ვიღაც თმაგაბურძგნული კაცი შემოვარდა, ხელში 20-ლიტრიანი კანისტრა უჭირავს.

– რა ხდება? – შეცბა ზვიად გამსახურდია.

– ვილუპებით, ბატონო ზვიად, – ამოიგმინა, – აზერბაიჯანელებს მიწისქვეშა გვირაბი გამოჰყავთ, თბილისი უნდა ააფეთქონ.

– რანაირად, კაცო?

– იმ გვირაბში რელსებს აგებენ და ასაფეთქებელი ნივთიერებით დატვირთული მატარებელი უნდა გამოუშვან. თუ სასწრაფოდ ავლაბრის მეტროსთან ხალხს არ მოაგროვებთ და არ გვიხსნით, აგერ, მოტანილ ბენზინს გადავისხამ და თავს დავიწვავ.

ყველა მივხვდით, არ იყო თავის ჭკუაზე, მაგრამ მართლა რომ თავი დაიწვას, სად მიდიხარ მერე? მოკლედ, გაუჩნდა საფიქრალი გამსახურდიას და ბოლოს სერიოზული სახით ეკითხება:

– ნუ გეშინია, მე მაგათ ვაჩვენებ სეირს! მარტო ეს მითხარი, ის რელსები განიერია თუ ვიწრო?

– რა მნიშვნელობა აქვს? – დაბნეული მიაჩერდა.

– ოჰ, ძალიან დიდი. შენ წადი, ეგ ამბავი გამირკვიე და მე ხალხის შეგროვებას დავიწყებ.

– აგაშენათ ღმერთმა! – გაუბრწყინდა თვალები, – ამ ბენზინს წავიღებ და მაშინისტს გადავასხამ, თქვენ სპიჩკა წამოიღეთ, ყიდვა დამავიწყდა“.

Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები



**ცოტნე გამსახურდია**

კი მოუხდება "ქართულ ოცნებას", ასეთები რომ დაიყენა ფრთებქვეშ თავის დროზე, მიიღო პასუხი...

მაგრამ არმაზ ახვლედიანისნაირი ტიპები რომ მორალზე და პრინცპებზე ლაპარაკობენ, რა საყვარლობაა :))))))) :-*** .

ესეც საინტერესო რეზიუმეა, წაიკითხეთ:

არმაზ ახვლედიანი ამჟამად არასამთავრობო სექტორში მოღვაწეობს და თუ იმ ადამიანების გარემოცვას გადავხედავთ, რომელთა შორისაც ის ამ ბოლო ათი წლის განმავლობაში ტრიალებდა, მათ შორის “ნაცების“ ლიდერებს და მათთან დაახლოებულ პირებს ძალიან ადვილად აღმოვაჩენთ.

არმაზ ახვლედიანი “თბილისის პოლიტიკური სწავლების სკოლის“ დამფუძნებელია. ეს არასამთავრობო ორგანიზაცია 1999 წელს დააფუძნა. მანამდე - 1995 წლიდან 1999 წლამდე საქართველოს პარლამენტის წევრი იყო, “აღორძინებიდან“, ხოლო 1999 წლიდან პარლამენტში “მოქკავშირის“ ერთ-ერთი წარმომადგენელი. ე.წ. ვარდების რევოლუციიდან დღემდე მისი პოლიტიკური აქტივობის შესახებ ინფორმაცია არ გავრცელებულა.

მართალია, არმაზ ახვლედიანს თუ არაფერი გაუკეთებია, არც არაფერი გაუფუჭებია, მაგრამ არც უბრძოლია, ქვეყნის უკეთესი მომავლისთვის - ის თავისი არასამთავრობო ორგანიზაციის განვითარებითა და პარტნიორების ძიებით იყო დაკავებული. პარალელურად, მონათესავე ორგანიზაციების (მაგალითად, “მოსკოვის პოლიტიკური კვლევის სკოლის“) ღონისძიებებში მონაწილეობდა კახა ბენდუქიძესთან (და სხვებთან) ერთად, რომელიც იმჟამად რუსეთში ცხოვრობდა და ნავთობსაინვესტიციო განვითარების ევრაზიული კორპორაცია “ნიპეკის” მთავარი მმართველი იყო.

კიდევ ერთი საინტერესო დეტალი ახვლედიანის ბიოგრაფიიდან - ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრთან არსებულ მეგობართა საზოგადოებაში, რომლის თავმჯდომარე პარლამენტის ყოფილი ვიცე-სპიკერი რუსუდან კერვალიშვილი გახლდათ, არმაზ ახვლედიანი გიული ალასანიასთან, ნიკოლოზ რურუასთან, აკაკი სეფერთელაძესთან, კობა სუბელიანთან, ნუგზარ წიკლაურთან და სხვებთან ერთად მოღვაწეობდა... ბოლოს ესეც ვთქვათ, რომ არმაზ ახვლედიანი გახლავთ აზიზ ახვლედიანის შვილი, რომელიც აჭარაში ეროვნულ მოძრაობას ებრძოდა, როგორც იდეურად, ისე ფიზიკურად - აქციების დარბევებითა და ხალხის ერთმანეთზე გადაკიდებით. ეს გახლდათ “აჭარის ხსნის კომიტეტი“.



**მერაბ შათირიშვილი**

მართლაცდა პარადოქსალური ქვეყანა ვართ, შტერობა გვჭირს, რაც თავის გასულელებას ნიშნავს... დღეს, 9 მაისს, ვაკის პარკში, ფაშიზმზე გამარჯვების აღსანიშნავად მისული პოლიტიკოსები, სამთავრობო პარტიის ლიდერები თუ ოპოზიციონერები - ახალგამოჩეკილებიც, დიდი პათოსით აღნიშნავდნენ კაცობრიობის ბოროტებაზე, ე. ი. ფაშიზმზე გამარჯვებას და „ქედს იხრიდნენ“ ამ ომში მონაწილეთა მიმართ; ასეთ კომენტარებს აკეთებდა უმრავლესთაგანი, სწორედ დასავლეთის ცივილიზაციისკენ სწრაფვას რომ გვიკიჟინებენ (რა თქმა უნდა, მე, არცერთი ცივილიზაციის წინააღმდეგი ვარ), ამავდროულად აღიარებენ ბოროტებაზე სიმართლის გამარჯვებას და არ აღნიშნავენ, ვინ იყო გამარჯვების ორგანიზატორი - ქვეყანა, რომელმაც, „კაცობრიობის ბოროტება„ დაამარცხა...

იქნებ გვიკარნახონ ე. წ. პროდასავლეთელებმა, ეს ბოროტება (ფაშიზმი) საიდან მოვიდა?..

იქნებ აგვიხსნან, თუკი მათი მტკიცებით, რუსეთი ბოროტების იმპერიაა და სტალინი ბოროტების მამამთავარი, ვის სცემენ თაყვანს და ვის წინაშე იხრიან ქედს კაცობრიობის დიდ ბოროტებაზე - ფაშიზმზე გამარჯვებისთვის?..

არა, ეს პარადოქსულიცაა და ფარისევლურიც, ეს არის ორმაგი სტანდარტი, რითაც ჩვენი ვაი-პოლიტიკოსები დაავადებულნი არიან.

ნამდვილად შტერობა გვჭირს და, რაც ხანი გადის, მით მეტად ვრწმუნდები, ჩვენ ნამდვილად ავად ვართ და თუ დროზე არ ვუშველეთ თავს - არ განიკურნა ქართველი ერი, ახალი ფაშიზტური იდეოლოგიის, დასავლეთიდან წამოსული ანტიტრადიციულისა და ანტიმართმადიდებლობის გამიზნულად წამლეკავი წეს-ჩვეულებათა დაკანონების მსხვერპლი გავხდებით.

ნამდვილად შტერობა გვჭირს!..



**ნიკა მემანიშვილი:**

იმდენად სწრაფად მიმდინარეობს ქართული ოცნების ხელისუფლების გაბოროტების პროცესი, რომ მალე ეს ალბათ უმართავი გახდება.

ყველას კარგად გვახსოვს ზიზღმა და სიძულვილმა რა შედეგებამდე მიგვიყვანა. ეტაპობრივად გახდა ნაციონალური მოძრაობა ისეთი, როგორიც გახდა და არა ერთბაშად. ნამდვილად არ მემეტება ქართული ოცნება ამისთვის და რაც მთავარია ქართველი ხალხი არ მემეტება. მრავალჯერ მოტყუებული, გასაცოდავებული ხალხი რომელსაც იმედი ვერავინ წაართვა, მაგრამ იმედები ყველამ გაუცრუა.

მეც ვგრძნობ ჩემს წილ პასუხისმგებლობას ქართული ოცნების ხელისუფლებაში მოყვანის გამო. არ მემეტებიან ჩემი მეგობრები და ის ადამიანები. რომელთან ერთადაც ვიბრძოდი იმისთვის, რომ ნაციონალების ბედი გაიზიარონ. თუმცა ყველა გზა აქეთ მიდის. მსგავსი რიტორიკა, სიძულვილის ენით საუბარი, ოპონენტების წინააღმდეგ ბინძური ხერხით ბრძოლა, შავი პიარი, პროპაგანდა, ჩვეულებრივი ამბავი ხდება.

ეს არ ყოფილა ჩვენი ოცნება! ეს არ არის ჩვენი მიზანი და ეს ვერ იქნება ჩვენი ნათელი მომავალი.

ღმერთმა სწორი გზით გვატაროს!

Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები

ნინო ლაზარტყავა
571 99-92-33



ე.წ. „ვარკეთილის ხიდებთან" ყოველთვის შესაძლებელია, დავინახოთ ერთად შეკრებილი რამდენიმე ათეული ადამიანი, რომლებიც ლამის, თითოეულ გამვლელ მანქანას მოლოდინის მზერით უყურებენ... ზუსტად იქვე დგას ტრანსპორტის რამდენიმე სახეობის საკმაოდ ბევრი მანქანა — თვითმცლელები, ტრაქტორები, „კამაზები", პატარა ტრაქტორები... მათი მფლობელებიც ასევე გაჰყურებენ ხოლმე გზას, კლიენტის მოლოდინში...

ჩვენი რუბრიკის დღევანდელი რესპონდენტი „ვარკეთილის ხიდებთან" მდგომი ერთ-ერთი „კამაზის" ახალგაზრდა მძღოლი, ლევანია. ინტერვიუზე უყოყმანოდ დამთანხმდა და ფაქტობრივად, მთელი ჩვენი საუბარი პოლიტიკის ფონზე წარიმართა — იმდენად არის გაბრაზებული დღეს არსებულ ვითარებაზე....

— ლევან, რამდენი ხანია, რაც აქ დგახარ და რამ გადაგაწყვეტინა ეს?

– აქ უკვე 15 წელია, რაც ვდგავარ. სხვა სამუშაოს არანაირი საშუალება არ იყო არც იქითა მთავრობაში და არც ამ მთავრობაშია. ხალხს გვეგონა, კარგი ხელისუფლება მოვიდოდა და ხალხს მიხედავდა, მაგრამ ყველა თავისთვისაა და ხალხი კიდევ დამშეულია. ყველას ოჯახები გვყავს და გვინდა, შევინახოთ, ხო? ამიტომ ვმუშაობ მძღოლად, მაგრამ აქ არის ერთი 50 კაცი, მუშები, რომლებიც „ლაფატკაზე" მუშაობენ დღეში 10-15 ლარად, რომ ოჯახები შეინახონ, გამიგე? ძალიან ბევრი შემთხვევაა, ადამიანები ნაგვის ურნებში იყურებიან, ვიღაცა რაღაცას რომ ჩააგდებს, ამოიღებენ და ჭამენ და მემგონი, ეს უნდა გაითვალისწინოს ამ მთავრობამაც და ვინც აწი მოვა, იმანაც, რადგან არ შეიძლება, ასეთი ბრმა იყო, ხალხს ყურადღება უნდა მიაქციო, რადგან სწორედ ამ ხალხით არის ეს მთავრობა მოსული.

— რამდენს შოულობ, მაგალითად, ერთ დღეში?

– არის ობიექტები, რომ მირეკავენ, მივდივარ და მყოფნის, იმიტომ, რომ მე, დედა და მამა ვართ ოჯახში, მაგრამ არის ხალხი, ზოგს ათსულიანი ოჯახი ჰყავს და ის რომ წავა სამუშაოდ კამაზით ან ტრაქტორით, მანქანას საწვავი უნდა, საბურავი უნდა, ის, ეს და რჩება 40-50 ლარი რეისზე. ეს არის კვირაში 2-3-ჯერ და 100-150 ლარით მთელი კვირა ათსულიანი ოჯახი რომ შეინახო, როგორია? ვერ გაიყვან მთელი თვე ამ თანხაზე ოჯახს, ხომ?

— პირადად შენი შემოსავალი როგორია?

– მაგალითად, თქვენ გაქვთ სამშენებლო კომპანია, ან ქვიშა გინდათ, ან ცემენტი და მირეკავთ, – ლევან, აი, ეს მჭირდებაო და მოგიტანთ. ყოფილა, 2-3 კვირა ისე ვმდგარვარ, თეთრიანი არ გამიკეთებია, გამიგე? ყოფილა, ერთი კვირა ზედიზედ მიმუშავია, პერიოდულად, რა. ერთ რეისზე, ყველა ხარჯის გათვალისწინებით, 50 ლარზე მეტი არ მრჩება, მანქანას ხომ თავის ხარჯი აქვს?

— ნავარჯიშები ტანი გაქვთ, სპორტსმენი ხართ?

– ძიუდოისტი ვარ, კინგ-ბოქსიორი, მაგრამ წელის ტრავმის გამო თავი დავანებე. ქუჩურ ჩხუბსაც ვჩხუბობდი ხოლმე სპორტის სასახლეში 1999-დან 2003 წლამდე. საქართველოს ჩემპიონი ვარ.

— რა მაგარია! გილოცავ! ისე, მუშაობის პერიოდში რამე გამორჩეული შემთხვევები თუ ყოფილა ხოლმე?

– რა ვიცი... ავარიაში ბევრჯერ მოვყოლილვარ, იმიტომ, რომ ძალიან რთულია ქალაქში მოძრაობა, მით უმეტეს, რუსთაველზე და მოკლედ, ცენტრში. იმდენი მანქანაა უკვე, რომ გზები ველარ იტევს... აქეთ შედარებით ადვილია, კი... ხო, კიდე ჯარიმების დაწერა ხდება ხოლმე ხშირად, არასწორად გვიდგას ხოლმე აქ მანქანა. აი, ნახე, რამდენი მანქანაა ჩამომწკრივებული (ხელს იშვერს, – ნ.ლ.)? არ არის საკმარისი გასაჩერებელი ადგილები, რომ ადამიანმა მანქანა გააჩეროს და შემოსავლის წყარო ჰქონდეს. აი, ზემოთ, გორაზეც რომ დგას მანქანები – იქ კლიენტი ვერ ადის, რადგან წესიერი ასასვლელი გზა არ არის. ამ ადგილების გამო გვაქვს მძღოლებს ხოცვა-ჟლეტა, რა (იღიმის)... ვერ ვისვენებ, რა, ისევ მთავრობაზე უნდა გელაპარაკო: ხალხს აქვს იმედი გაცრუებული, ნებისმიერი მოქალაქე გააჩერე და შეეკითხე ამ მთავრობაზე და ნახე, რას გიპასუხებენ, რა. ყველას ბიძინას იმედი ჰქონდა, რომ მოვიდოდა და, – ბიძინას ვენაცვალე, ბიძინას ფული აქვს, ხალხს დაეხმარებაო... ხალხს კი არ ეხმარებიან, აქეთ ართმევენ! ასეა, ჩემო დაიკო. შეხედე, რამდენი მანქანებია, ამდენი ხალხი უმუშევარია... პროდუქტები ავიღოთ, რომელიც ძალიან ძვირია: ხორცი 12 ლარი ღირს, კვირაში ერთხელ მაინც ხომ უნდა აჭამო ბავშვს ხორცი? ან კატლეტი გაუკეთო, ან გუფთა ან რაღაცა, ხო? არ შეიძლება ასე, რა. ამასობაში კი, ზოგ ოჯახს სამი-ოთხი მანქანა უდგას სახლში.

— ამდენი მანქანა თუ ჰყავს ზოგ ოჯახს, არ ყოფილა მთლად უიმედო მდგომარეობა, კაცო, აბა, თუ უჭირს, საიდან ჰყავს?

– ჩემო დაიკო, საქართველოში 100 პროცენტიდან 15 პროცენტს აქვს ფული, დანარჩენი ვართ დაბალი ფენა, გამიგე? აი, იმ 15 პროცენტს აქვს იმდენი, რომ ჩვენ გვაჭარბებენ. ეს ის კატეგორიაა, ერთ დღეს რომ კაზინოში შევა და „სტოპიისიატ ტიშჩის" წააგებს, ასეთს კიდე შეიძლება ოთხი კი არა, ოცი მანქანა ჰყავდეს. ამხელა ფულის წაგებას, ხომ შეგიძლია, ადგე და გაჭირვებულს დაეხმარო, არა? ან ერთი „მეშოკი" პურის ფქვილი უყიდო, ან ბოლო-ბოლო,

## » პროვინცია

შენს ახლობელს მაინც დაეხმარო, მაგრამ არა, კაზინოებში აგებენ ამხელა ფულს. იმიტომაც არის, რომ საქართველო უკან-უკან მიდის, გამიგე? ამერიკასა და ევროპული ქვეყნებთან შედარებით, ჩვენ 30 წლით უკან ვართ. ჩვენ ვერა, მაგრამ ჩვენი შვილთაშვილები თუ მოესწრებიან ნორმალურ ქვეყანას, კარგი იქნება, ეგრეა.

— ოფიციალური პროფესია თუ გაქვთ?

– იურიდიული მაქვს დამთავრებული, მაგრამ ჩემი პროფესიით არასდროს მიმუშავია, სპორტს მივყევი. მერე მამაჩემი თვითონ მძღოლი იყო, მასწავლა ყველაფერი და... ახლა მამა ცუდადაა, დედაც ავადმყოფი მყავს და მე ვუვლი ოჯახს, მამის მანქანაზე ვარ.

— აქ დგომისას რამე პრობლემები ხომ არ გექმნება? მაგალითად, ან პატრულის მხრიდან, ან რა ვიცი, რომელიმე სხვა უწყების მხრიდან...

– აქ დგომაში პრობლემა არ შევქმნია ჯერ, რადგან ყველამ იცის, მუშები არიან აქ, ჩემზე და ჩემნაირად მომუშავეებზეც იციან. ხალხს საკუთარი ოჯახების შენახვა უნდა. ეს მთავრობა კიდე გვაჯარიმებს მე, იმას, ამას... ახლა ესენი აქ რომ არ იდგნენ და არ იმუშაონ, მთავრობაში როგორ შეიტანონ ფული? ვიღას დააჯარიმებენ? ამიტომაც უშვებენ აქ დგომას, რომ მერე დააჯარიმონ ეს ხალხი და ფულები შევიდეს ბიუჯეტში. მერე კიდე – საქართველოში ადამიანი არ არსებობს, რომ ბანკის ვალი არ ჰქონდეს და თუ არ იმუშავებს, ბანკში რას შეიტანს? ამიტომ აქ ზოგი „ლაფატკაზე" მუშაობს, ზოგი მანქანაზე, ზოგს სანგრევი აპარატები აქვს და ასე შემდეგ. აქ ბევრი უფროსი ხალხია, ასაკოვნები, სოფლიდან ჩამოდიან, რომ ერთი-ორი კაპიკი გააკეთონ... ხელისუფლებამ ხალხს ყურადღება უნდა მიაქციოს, ასე არ შეიძლება, რა, თორემ ასე ეგენი წინ ვერ წავლენ!

# „ყველას ბიძინას იმედი ჰქონდა, რომ მოვიდოდა და, — ბიძინას ვენაცვალე, ბიძინას ფული აქვს, ხალხს დაეხმარებაო... ხალხს კი არ ეხმარებიან, აქეთ ართმევენ!"



**„მამაჩემი თვითონ მძღოლი იყო, მასწავლა ყველაფერი და... ახლა მამა ცუდადაა, დედაც ავადმყოფი მყავს და მე ვუვლი ოჯახს, მამის მანქანაზე ვარ"**



**„ამიტომაც უშვებენ აქ დგომას, რომ მერე დააჯარიმონ ეს ხალხი და ფულები შევიდეს ბიუჯეტში"**

---

● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook

## facebook

**მალხაზ თოფურია**



არავისთან არ ვარ ანგარიშვალდებული არც პოპულიზმით ვარ შეპყრობილი და არც შიში მაქ ვინმესი, არც პოლიტიკური შეხედულების გამო ვარჩევ ადამიანებს, ძალიან მიყვარს რესპუბლიკელი პაატა ზაქარეიშვილი (ასობით ქართველი მებრძოლის სიცოცხლე აქვს უანგაროდ გადარჩენილი და არა მარტო ქართველის და ეს არასდროს დასცდენია სათავისოდ) მაგრად ვაფასებ თავისუფალი დემოკრატების ზურა აბაშიძეს, არაერთგზის სადისტურად ნაცემი ნაცი ონალების მიერ და მაინც კაცურად მებრძოლს,, პირადად არ ვიცნობ, მაგრამ ძალიან მესიმპათიურება ვიქტორ დოლიძე, რომლის განცხადებები უმეტეს შემთხვევაში ვიწრო პარტიულ ინტერესებზე მაღლა დგას და სახელმწიფოებრივად მოაზროვნის შტაბეჭდილებას უფრო ტოვებს ვიდრე პარტიულ ნომენკლატურშიკის,, მაღალი ინტელექტის და ვაჟკაცობის მაგალითია ჩემთვის სახალხო კრებელი ირაკლი ბათიაშვილი( უკანასკნელი ღირსებაშენარჩუნებული მოხიკანი ეროვნული მოძრაობიდან)

დიდ პატივს ვცემ პატრიტთა ალიანსელ ირმა ინაშვილს იმ რუტინული ბრძოლისთვის რომელიც ბევრ მამაკაცზე ვაჟკაცურად გადაიტანა, ძალიან ვაფასებ დემოკრატიული მოძრაობის წევრ დიმა ლორთქიფანიძეს თავის ალალი ხშირ შემთხვევაში პოლიტიკას აცდენილი, მაგრამ გულწრფელი ზედმიწვენითი ქრისტიანულ-ტრადიციულ მორალით, მმართველ გუნდშიც არიან ჩემთვის ფრიად საპატივცემულო ადამიანები, მაგრამ დიდად არ მსიამოვნებს მმართველი გუნდის წევრების ლიად ქება კიდევ ბევრზე მინდა ვთქვა კარგი , რომ მათი არსებობა ასაბუთებს, პოლიტიკა არაა აუცილებლად სიბინძურე

თავიდან განვაცხადე პოლიტიკური ნიშნით არ ვყოფ ადამიანებს მეთქი და სრულიად ერთმანეთის გამომრიცხავი პოლიტ ჯგუფებიდან ჩამოვთვალე ადამიანები.... ვიღაცა მკითხავს ნაცებიო მათი სატელიტებიო......

ღმერთმა 2 რამ მოგვცა ასარჩევად, მეორე ნახევარი და მეგობარი. კაცმა უნდა ცადო და ბოზი მეორე ნახევარი და პროჭი მეგობარი არ უნდა შეარჩიო.....არ მწამს სიტყვების ზონდერია, ნაცისტია ლეიბია, თავად თვითონაა თუ პადოშვია.... მარა რა უყო მეგობარიაო.....რა უყო შეილება ნათესავი მეზობელი კლასელი იყოს და არა მეგობარი, პროჭს რომ აირჩევ მეგობრად, რა ვქნა უკვე თავად ხდები ტრაკის ცენტრალური ნაწილი....

სოც ქსელი რაღაც ახალი მოვლენაა ფრენდობ მეგობრობის, რაოდენ პარადოქსულადაც არ უნდა ჩანდეს ნაცებთან და მათ სატელიტებთან არ მაქვს პრობლემა ჯერ ერთი რომ ორიოდ გატრუნული ნასედკის მეტი არც მეკარებიან (ეტყობა არ სიამოვნებთ დედიკოების მოკითხვა) მეორეც ღირებულება არ არსებობს ამ პირუტყვებთან საერთო მქონდეს.... ბევრად რთულად მაქ საქმე ოცნების თავგადაკლულ ფანებთან უმეტესად ქალბატონებთან ძირითადად ამ პატივცემულ საზოგადოებას ან დაბლოკილი ვყევარ ან მე თავად დავბლოკე) არ ვიცი ალასანიას მომხრეთა ფეისბუქ პარტიულ ყრილობაზე გამაშავეს თუ რა ჯანდაბაა, მაგრამ მიუხედავად იმისა რომ ფაქტიურად აუგი არ დამცდენია ამ პარტიაზე აშკარად ანათემას გადამცემს მათმა ინტელექტ მპოსტავებმა....არ მბლოკავენ, ეტყობა ვერც მიბედავენ პირდაპირ რამის თქმას "ვეჩნი ნედავოლმი" ტიპები ყველაფერზე დედის გინებით რომ უნდათ თავი გამოიჩინონ კარგი კეთდება თუ ცუდი და ბევრი არ უკლიათ მიშა ჯობდა თქვან((( მოკლედ და კონკრეტულად არჩევნები მოდის პარტიული ტიპები მაგ დროს ხდებიან ყველაზე სახიფათოები და ..

თავში გარკვეული ჯობია ბოლოში გაოცებულს

მოსაწონი მომწონს და რაც არ მომწონს ვერავინ მომაწონებს....

სულ ეს იყო)



**ლეონიდ ჩერნოვეცკი**

ჩემს ცხოვრებაში ეს არაერთხელ დამტკიცებულა... ნამდვილად ასეა, როგორც კი სისუსტეს გამოიჩენ, ადამიანები თითქოს ცხოველური ინსტიქტის დონეზე გრძნობენ ამას და უფრო გიმძიმებენ ისედაც მძიმე მდგომარეობას...

მაგრამ ყველას არ შეუძლია, წინ აღუდგეს სირთულეებს და ეს ნორმალურია! იმათთვის, ვინც გასაჭირშია, აუცილებელია თანადგომის გაწევა, საიმედო დასაყრდენი. ეს თუ არ არის, ხდება უბედურებები, თვითმკვლელობები, ნარკომანია, ალკოჰოლიზმი...

მაგრამ არიან ისეთი ადამიანები, რომლებიც ბუნებამ მტკიცე ხასიათით დააჯილდოვა. პირადად მე, თავს ამ კეტეგორიას მივაკუთვნებ. უამრავი რამ გადამხდა თავს: მამის გარეშე გავიზარდე, ბავშვობა სიღარიბეში გავატარე, პროკურატურაში მიზერულ ხელფასზე ვმუშაობდი, იყო პერიოდები, როცა ბავშვებისთვის რძის საყიდელი ფულიც კი არ მქონდა. შემდეგ ბიზნესს რომ ვაწყობდი, იყო მუქარები, თავდასხმები; როცა კიევის მერი გავხდი, ხალხი ისე ამომიდგა მხარში, რომ უკრაინელი ოლიგარქებისთვის დიდ საფრთხეს წარმოვადგენდი და ჩემთვის ეს ყველაზე დიდი საშიშროება იყო! მე კი არ დავნებდი და არც არასდროს დავნებდები!

facebook

Facebook ამბები



**ს ა ნ დ რ ო ბრეგაძე**

ერთი სული მაქვს როდის მოვაშორებ ამ საქაჯეთს (საქაჯეთი საქართველოა) შვილებს და ამერიკაში გავგზავნი"--თ.ხიდაშელი." ჩვენ შვილებს არ ვეუბნებით, რომ დაიბადე იმისთვის, რომ სამშობლოს გმირულად შეეწირო"-დ.უსუფაშვილი. "აფხაზეთს საქართველოს ნაწილად არ განვიხილავ"-თ. ხიდაშელი. ამ საშინელი აზრების ავტორები არც რუსი ოკუპანტები არიან,არც თურქ-სელჩუკები, არც თემურ ლენგი,არც შახ აბასი,არც მე-11 არმიის წითელი გენერლები და არც სხვა დამპყრობლები, ჩვენდა სავალალოდ ამ აზრებს დამოუკიდებელი საქართველოს თავდაცვის მინისტრი და პარლამენტის თავმჯდომარე აფრქვევენ. ჩვენ კი იმ დამოუკიდებელი საქართველოს მოქალაქეები გახლავართ, რომლებსაც ეს არსაიდან მოსული ხალხი (მიუხედავად იმისა რომ ხმას არ ვაძლევთ) თავზე დაგვაჯდა და მათ ბატონობას ვითმენთ.საბჭოთა კგბ-ს და უშიშროების გენერალ ინაურის კაბინეტში გამოჩეკილი "ინაურის ბიჭებად" ცნობილი დამბეზღებლები მთელს ერს შეურაცხყოფას აყენებენ,საქართველოს გადაკეთებას და ქართველობის წაშლას ცდილობენ. ქალბატონმა თავდაცვის მინისტრმა რომელიც ჩემს სამშობლოს საქაჯეთს უწოდებს და პარლამენტის თავმჯდომარემ მინდა იცოდეს,რომ საქაჯეთიდან უცხოეთში შვილების გაშვებაზე არ ვოცნებობ,არც შვილებს ვზრდი იმ იდეოლოგიით რომ სამშობლოს არ შეეწირონ,პირიქით უცხოეთში სწავლაზე დიდი პატივი ის იქნება,რომ ჩემმა შვილმა ქართულ ჯარში იმსახუროს, სისხლხორცეულად გაითავისოს რომ სამშობლოსათვის თავის შეწირვა ყველაზე დიდი ღირებულებაა და ღმერთმა ნუ ქნას და მტერი შემოგვესია ჩემს შვილთან ერთად წავალ იქ სადაც წინა ხაზია,ხოლო თუ შევეწირებით ამ საქმეს ამითი ვიამაყებ და ჩავთვლი რომ ჩემი ცხოვრებისეული მისია შევასრულე,არც აფხაზეთს დავავიწყებ შვილებს და ყოველდღე შევახსენებ , რომ სანამ აფხაზეთი საქართველოში არ დაბრუნდება, მანამ საქართველო სრულყოფილი საქართველო არ იქნება ,ხოლო ხიდაშელის მსგავსად თუ ვინმე მანქურთი შეეცდება აფხაზეთი დაგვავიწყოს ჩვენს შვილებს ანდრძად დავუტოვებ,რომ საკადრისი პასუხი გაცენ,სამშობლოს სიყვარულით დაუმტკიცონ რომ საქართველოს მტრების მიერ მოფიქრებულ და მოღალატეების გახმოვანებულ აზრს პერსპექტივა არ აქვს.ხშირად მესმის კითხვა---გვეშველება რამე???ჩემო ძმებო და დებო, როგორ გვეშველება??როგორ შეიძლება გვეშველოს, როდესაც თავდაცვის მინისტრი აფხაზეთს სხვას ჩუქნის,ხოლო პარლამენტის თავმჯდომარე შვილებს უნერგავს რომ საქართველო არ უყვარდეს. პირდაპირ ვთქვათ,რომ სანამ ესეთი მოღალატეები არ მოცილდებიან ხელისუფლებას მანამ არაფერი გვეშველება!!!!!-------პ.ს. .კვლავ ვითხოვ მიიღოთ ლუსტრაციის კანონი, გახსნათ საბჭოთა უშიშროების აგენტების არქივი, გამოაქვეყნოთ ვინ ჩაუსვეს ე.წ. ნასედკებად თვითმფრინავის ბიჭებს,ვის ამუშავებდნენ დისიდენტების საფარქვეშ ჭეშმარიტი დისიდენტების წინააღმდეგ.მე ამ დოკუმენტების ნაწილი ჩემი პარლამენტარობისას ნანახი მაქვს და ეს მთელმა ქვეყანამ უნდა იცოდეს!!!!!!!

# ახალი ქართული გვარები სკანდალურ „პანამურ დოკუმენტებში“




ლევან ჯავახიშვილი
577 51-73-37


სკანდალურად გახმაურებულ „პანამურ დოკუმენტებთან“ დაკავშირებით ახალი სია გამოქვეყნდა, რომელშიც 85 ქართველის გვარ-სახელია. მათგან ზოგი კომპანიის მფლობელია, ზოგი კი ამ კომპანიის უფლებამოსილი პირი. ამ სიაში ბიძინა ივანიშვილის და დავით კეზერაშვილის გარდა, არის ვანო ჩხარტიშვილი, „ომეგას“, ტელეკომპანია „იბერიისა“ და სხვა მსხვილი ბიზნესსტრუქტურების მფლობელი, ზაზა ოქუაშვილი. ასევე, გიორგი კაპანაძე, რომელი ზესტაფონში ქარხანა „ფეროს“ და სხვა მსხვილი ბიზნესების მფლობელი იყო, მაგრამ სააკაშვილის რეჟიმმა შავ დღეში ჩააგდო, გუდაურში სასტუმრო და სხვა ობიექტები წართვა და ლამის გააკოტრეს. მკითხველს შევახსენებ, რომ გიორგი კაპანაძე, იგივე „რიჟა“, გავრცელებული ინფორმაციით, სწორედ ის ადამიანია, რომელმაც დავით კეზერაშვილის მიერ „ნაცმოძრაობის“ მიერ არალეგალურად, უკანონოდ, ნაღდი ფულით დაფინანსების სქემა გახსნა, კეზერაშვილი სწორედ კაპანაძის კუთვნილი კომპანიის ანგარიშზე რიცხავდა ფულს, მერე ამ თანხას ანგარიშიდან ხსნიდნენ და „ნაცმოძრაობას“ ახმარდნენ. ამ სიაშია დავით კეზერაშვილის ცოლისძმა, დიმიტრი ჩიქოვანი. აქ არის რევაზ შარანგიაც, „ბილაინის“ მეწილე, თბილისის სამარშრუტო ტაქსების ერთ-ერთი მფლობელი და მიხეილ სააკაშვილთან და დღევანდელ ხელისუფლებასთანაც საკმაოდ დაახლოებული ბიზნესმენი. „მადნეულის“ ყოფილი მეწილე და „ნაციონალთა“ დეპუტატი, კობა ნაყოფია. აქვე ფიგურირებს თამაზ ნიჟარაძე. ეს სწორედ ის თამაზ ნიჟარაძე უნდა იყოს, რომელსაც „ნაციონალებმა“ წაართვეს ათეულ თუ ასეულ მილიონად შეფასებული ბიზნესი, მათ შორის, ფოთის ნავთობტერმინალი. თამაზ ნიჟარაძის თქმით, მას დავით კეზერაშვილის ზეწოლით აიძულეს, საკუთარი ბიზნესები სხვისთვის გადაეფორმებინა, წინააღმდეგ შემთხვევაში, მას შუამავლის მეშვეობით, განადგურებით დაემუქრა. აქვეა კახაბერ ნინუა. ეს პიროვნება გიგა ბოკერიას ქვისლი კახა ნინუა უნდა იყოს, რომელიც კომპანია „აუთდორ ლიფტის“ მეწილეა. სიაში ნახსენებია კახა დამენია, რომელიც, სააკაშვილის დროს ეკონომიკის მინისტრის მოადგილე რომ იყო, სავარაუდოდ, სწორედ ის უნდა იყოს და არა სხვა.

„პანამურ დოკუმენტებში“, როგორც მოგახსენეთ, 85 ქართველი ბიზნესმენია. მათ შორის, ბევრი ისეთი გვარსახელიც შეგხვდებათ, რომელიც ფართო საზოგადოებისათვის უცნობია.

გასაგებია, რომ სააკაშვილის რეჟიმის დროს, ბიზნესმენთა ერთი ნაწილი ბიუჯეტიდან მოპარულ ფულს მალავდა ოფშორებში, მაგრამ სხვები, ეტყობა იმიტომ იმიტომ მიაწყდნენ ოფშორებს, რომ „ნაცებისგან“ წართმევას, რამე მაინც გადაერჩინათ. მაგრამ ისეთებიც იქნებიან, ვისაც არავინ არაფერს არ ერჩოდა და არც დღეს ერჩის.

მოკლედ, ოფშორების თემა ტელევიზიების „გამხსნელი ნიუსებიდან“ არ ჩამოდის, მაგრამ რიგით მოქალაქეებს დღემდე ნორმალურად ვერ გაუგიათ, რა არის ეს ოფშორები, ასეთი რა „თაფლი უსვია“, რომ ვინც ცოტა რამე იშოვა, ოფშორებისკენ მიაცუხცუხებს? რა სახის საგადასახადო თუ სხვა სახის შეღავათები აქვთ ოფშორში დარეგისტრირებულ კომპანიებს?







„ალიას“ ეკონომიკის ექსპერტი, **ემზარ ჯგერენაია** ესაუბრა:

**— ბატონო ემზარ, ბიზნესმენთათვის რა ეშხი აქვს კომპანიების ოფშორში დარეგისტრირებას?**

– პირველი, ეს არის, საგადასახადო ოაზისები... ანუ, ოფშორში დარეგისტრირებული ფირმები, საერთო ჯამში, ნაკლებ გადასახადებს იხდიან.

**— კონკრეტულად, რა სახის გადასახადებს არ იხდიან და რამდენად ნაკლებს იხდიან სხვებთან შედარებით?**

– მთავარი ის არის, რომ ოფშორში დარეგისტრირებულ ფირმებს, როცა სხვა ქვეყნებში აკეთებენ ბიზნესს, აქვთ უფლება, შესაბამის სამსახურებს არ უჩვენონ მოგების გადასახადი, ანუ, მოგების გადასახადს აფიქსირებენ ნაკლებს და მის გადასახადსაც ნაკლებს იხდიან. ფირმის მოგება არის საბოლოო შედეგი, დამდგარი გადასახადი და შემდეგ, აქედან ითვლება დივიდენდის, კაპიტალისა და სხვა გადასახადები. ლოგიკურად, თუ მოგების გადასახადი დაბალია, მისგან გამომდინარე სხვა გადასახადებიც შემცირებულია.

**— უფრო გასაგები რომ გახდეს, მაგალითი მოვიყვანოთ. დავუშვათ, ოფშორულმა კომპანიამ საქართველოში დაარეგისტრირა და აამუშავა ლუდის მწარმოებელი ქარხანა. ის ნაკლებ გადასახადს გადაიხდის, ვიდრე ლუდის სხვა მწარმოებელი, რომლის დამფუძნებელი კომპანიაც ოფშორში არ არის დარეგისტრირებული?**

– კი, რასაკვირველია, ოფშორში მყოფი კომპანიის მიერ დარეგისტრირებული კომპანია ნაკლებს იხდის, რადგან მას შეუძლია, ნაკლები მოგება უჩვენოს, ან საერთოდ არ დააფიქსიროს მოგება. ასეც ხდება ხოლმე და აქედან გამომდინარე, სხვადასხვა გადასახადებიც ნაკლები გადაიხადოს.

**— და ამის ნებას საგადასახადო სამსახური ოფიციალურად აძლევს მას?**

– რასაკვირველია, ეს ყველაფერი ოფიციალურად ხდება.

**— გამოდის, საქართველოში და სხვა ქვეყნებშიც ორმაგი დაბეგვრის რეჟიმია, ოფშორში რეგისტრირებული ფირმების შვილობილი კომპანიებისთვის სხვა და არაოფშორულ ქვეყნებში ან პირდაპირ საქართველოში დარეგისტრირებულთათვის სხვა.**

– კი, ზუსტი ფორმულირებაა, დიახ, დაბეგვრის ორმაგი რეჟიმია აქაც და სხვა ქვეყნებშიც.

**— კიდევ რით არის მიმზიდველი ოფშორული ზონები, გარდა იმისა, რომ საგადასახადო შეღავათს მოუტანს ბიზნესმენს?**

– თუ ოფშორში გაქვთ ფირმა დარეგისტრირებული და საქართველოში ლუდის ქარხანა გახსენით, თქვენი დაქირავებული წარმომადგენლები, ოფშორის ფირმის სახელით, აქ დაარეგისტრირებენ ფირმას, გახსნიან ამ ქარხანას, თავად არ გამოჩნდებით და იმ ქარხანას ისე ამუშავებთ, დაქირავებული ხალხით აკონტროლებთ ამ ბიზნესს და მოგებასაც ნახავთ. ეს „არგამოჩენა“ და ინკოგნიტოდ დარჩენაც დიდი ხიბლია ბიზნესმენთათვის.

ასევე, საკუთარი ბიზნესი, ფული, შენახული გაქვთ ბევრად უხიფათოდ, უსაფრთხოდ, ვიდრე ეს სხვა ქვეყანაში შეიძლება შეინახოთ. ფაქტობრივად, რისკის გარეშე. ყველა ოფშორული ზონის უკან დგანან დიდი ქვეყნები. მაგალითად, ჰონგკონგის უკან დგას ჩინეთი, მონაკოს ოფშორის უკან საფრანგეთი და ა.შ.

**— კი მაგრამ, იგივე საფრანგეთი ხომ უზარმაზარ შემოსავლებს კარგავს, როცა უამრავ ფრანგ ბიზნესმენს ოფშორში აქვს ფირმა გახსნილი, მერე კონკრეტული ფრანგი ბიზნესმენი ამ ფირმით შედის საფრანგეთში, იქ იწყებს ბიზნესს და შესაბამისად, საგადასახადო შეღავათებს იღებს. საფრანგეთის ბიუჯეტი ხომ უზარმაზარ თანხებს კარგავს ამით?**

– კი, ასეა, საფრანგეთის ბიუჯეტი დიდ თანხებს კარგავს, მაგრამ, სამაგიეროდ, ფრანგული კომპანიები კონკურენტუნარიანნი არიან მსოფლიო ბაზარზე. ცხადია, ეს ოფშორის ფირმები სხვებთან შედარებით მცირეს, მაგრამ საფრანგეთის ბიუჯეტში მაინც სოლიდურად იხდიან. სხვა საქმეა, ისინი ოფშორში რომ არ იყვნენ დარეგისტრირებულნი და ეს შეღავათები არ ჰქონდეთ. მერე საკითხავი ის იქნება, საერთოდ გაუძლებენ კონკურენციას და იარსებებენ თუ არა? უკვე წლებია, სხვადასხვა დიდი სახელმწიფოებში იმაზეა ლაპარაკი, რომ საერთოდ გაუქმდეს ოფშორული ზონები, რადგან ამის გამო კონკრეტული ქვეყნების ბიუჯეტები ბევრ ფულს კარგავენ. უკვე 4 ტრილიონ დოლარს გადააჭარბა ოფშორებში დაგროვილმა კაპიტალმა, მაგრამ ჯერ არავის არაფერი გაუუქმებია. როგორც ჩანს, ამ ქვეყნებს უღირთ ისე, როგორც არის.

**— სხვა რა შეღავათი აქვს ოფშორულ ზონას?**

– არსად არ აფიქსირებ იმ კომპანიის შემოსავალს, რომელიც ოფშორში გაქვთ დარეგისტრირებული. ახლა როგორ მოიპოვეს ის ინფორმაციე, რაზეც ამ ერთი თვის წინ სკანდალი ატყდა, არ ვიცი, მაგრამ თქვენი ნებართვის გარეშე, არავის მიუწვდება ხელი ამ ინფორმაციაზე.

**— ვთქვათ და სახელმწიფო მოხელე ვარ და კანონი მავალდებულებს ქონებრივი დეკლარაციის შევსებას. ოფშორში დარეგისტრირებული კომპანიის შემოსავლები კი დეკლარაციაში არ დავაფიქსირე. ეს ხომ კანონის დარღვევაა?**

– ზოგადად, რა თქმა უნდა, კანონის დარღვევაა დეკლარაციაში ქონების დამალვა, მაგრამ ოფშორის შემთხვევაში უკვე თქვენზეა დამოკიდებული, ოფშორული ფირმის შემოსავალს დააფიქსირებთ თუ არა დეკლარაციაში. თუ არ დააფიქსირეთ, მშვიდად იქნებით, მათ შესახებ, წესით, მაინც ვერაფერს გაიგებს ვინმე, რადგან ინფორმაცია კონფიდენციალურია. ამ ინფორმაციის დამალვის საშუალებასაც გაძლევთ ოფშორი.

**— დავუშვათ, გაზეთი „ალია“ შეგვიძლია, დავარეგისტრიროთ ოფშორულ ზონაში, თუ ამისთვის რამე განსაკუთრებულ პირობებს უნდა ვაკმაყოფილებდეთ?**

– არა, შეგიძლიათ, ოფშორში დაარეგისტრიროთ კომპანია, მისი პატრონაჟით გამოსცეთ „ალია“ და საგადასახადო შეღავათებით ისარგებლებთ. ისე კი, უფრო მეტად, ის კომპანიები რეგისტრირდებიან ოფშორში, ვისაც დიდი მოგება აქვს და მისი დამალვა უღირს.

## 16–22 მაისის ჰოროსკოპი

### ვერძი 21.03-21.04



**სიყვარული –** არ აქვს მნიშვნელობა, რამდენად ხანგრძლივია თქვენი ურთიერთობა, რადგან პარტნიორზე ზემოქმედებას აუცილებლად მოახდენთ – დიდი ალბათობით, მას გარკვეულ სისუსტეებს შეახსენებთ. ახალ ურთიერთობებში კი შესაბამისი შთაბეჭდილების მოხდენა არ გაგიჭირდებათ. გამონაკლისია ის შემთხვევა, თუ ინტერესის ობიექტთან წარსულში ნაცნობობა გაკავშირებდათ. მოცემული მომენტისთვის თქვენი პირადი ცხოვრება დიდწილად ოჯახურ პრობლემებზეა დამოკიდებული.

**სამსახური –** მოსალოდნელია დაწინაურება და მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება.

**სასიკეთო დღეები:** 19, 20 მაისი; **არახელსაყრელი დღეები:** 22 მაისი.

### კურო 22.04-21.05



**სიყვარული –** ოჯახური ურთიერთობა მოსალოდნელია, თუმცა მხოლოდ ზედაპირულ დონეზე. შენიშნავთ, რომ გეუბნებიან ერთს, მაგრამ აკეთებენ მეორეს. გაძლევენ ღიმილიან დაპირებას, შემდეგ კი დანაპირების შესრულებისთვის არაფერს აკეთებენ. დასკვნა: არავის იმედი არ გქონდეთ და გაითვალისწინეთ ის გამოცდილება, რომელიც წლების განმავლობაში დაგიგროვდათ. ისიც არ დაგავიწყდეთ, რომ ადამიანები არ იცვლებიან და რაც თქვენს თავს ხდება, ამის შესანიშნავი მტკიცებულებაა.

**სამსახური –** მივლინება ბრწყინვალე შესაძლებლობას მოგცემთ, წარმატებას უნდა ელოდეთ ბიზნესშიც.

**სასიკეთო დღეები:** 21, 22 მაისი; **არახელსაყრელი დღეები:** 17 მაისი.

### ტყუპები 22.05-21.06



**სიყვარული –** ახალ ურთიერთობებში ძალიან მომთხოვნი და მკაცრი ხართ, რის გამოც, სავსებით შესაძლებელია, ძალიან ცუდი შედეგები მიიღოთ და ყველაფერი საწყის ეტაპზევე ჩაიშალოს. ან თქვენ გვერდით აღმოჩნდება სულიერად იმდენად სუსტი ადამიანი, რომელიც როგორც ცხოვრების თანამგზავრი, არ დაგაკმაყოფილებთ. მიმდინარე კვირა დადებითი შედეგების მომტანი იქნება, თუ უფრო მეტ ყურადღებას სახლში კომფორტისა და სიმყუდროვის მოწყობას დაუთმობთ. სწორედ ასე ჩაუყრით საფუძველს მომავალ ბედნიერებას.

**სამსახური –** წარმატებული მომენტია კონტრაქტების გაფორმებისთვის და ფინანსური საკითხების მოგვარებისთვის.

**სასიკეთო დღეები:** 22 მაისი; **არახელსაყრელი დღეები:** 19 მაისი.

კვირის ჰოროსკოპი... კვირის ჰოროსკოპი...



მაია იასეშვილი
599 94-64-58



**„ალია“ აგრძელებს პარაფსიქოლოგისა და ნათელმხილველის თამარ კობახიძის ეზოთერული საუბრების ციკლს. იგი გაგვაცნობს სულიერი ჰიგიენის პოსტულატებს, რომელიც დაგვეხმარება ბედნიერებისა და მიზნების მიღწევაში.**

**— ქალბატონო თამარ, ყველა ადამიანს არ აქვს იმის ფუფუნება, რომ საკუთარი პარაფსიქოლოგი ჰყავდეს და გაიგოს თავისი კარმული მისია. რას ურჩევთ ადამიანებს ბედნიერების მისაღწევად?**

# როგორ უნდა მიაღწიოთ ბედნიერებას?

## სულიერი ჰიგიენის წესები



– ცნება „ბედნიერებას“ ყველა ადამიანი თავისებურად აღიქვამს, ჭეშმარიტი ბედნიერება კი ადამიანის სრულყოფილებისკენ სწრაფვაა. ადამიანის სრულყოფილებას მისი სულიერი ცნობიერების ამაღლების კოეფიციენტი განსაზღვრავს, ცნობიერების სრულქმნა, სრულყოფა ენერგიების მართვის ელემენტების განთავისუფლება-დაუფლების გარეშე წარმოუდგენელია. თავის მხრივ, ენერგია ორგვარია – თეთრი და შავი, ადამიანის მთელი ცხოვრება მათ შორის ერთგვარი ჭიდილია, ამიტომ პიროვნება ძლიერია, თუ სასარგებლო თეთრ ენერგიას მართავს, ანუ თუკი მას შეუძლია, ქვეცნობიერის დონეზე ფაქიზი ენერგიებისთვის მიმართულების განსაზღვრა, პოზიტიური კალაპოტის მიჩენა, დადგენილია, რომ ქვეცნობიერად შავი ენერგია იქ ძლიერდება, სადაც პიროვნება სუსტია, პიროვნული მოქმედებები არის გადასასინჯი და შესაცვლელი. შავი ენერგია მხოლოდ მაშინ ნეიტრალდება, როცა ადამიანი სრულყოფილებისთვის იბრძვის, თუ თვითონ ადამიანმა არ მოისურვა საკუთარი თავის შველა, რაც არ უნდა მაღალკვალიფიციური ექიმისა და პარაფსიქოლოგის ჩარევა მოხდეს მის ფსიქიკურ და ფიზიკურ ჯანმრთელობაში, წინსვლა და გამოჯანმრთელება არ მოხერხდება. ადამიანი ბედისწერის ტყვეა, თუმცა ამავდროულად არის მისი შემქმნელიც. ვისაც სჯერა კარმის, ბედისწერისაც უნდა სჯეროდეს და ისიც უნდა დაიჯეროს, რომ ბედისწერაში სცენარის შეცვლა ჩვენს ნებასა და მონდომებაზეცაა დამოკიდებული, თუ ადამიანმა აიკვიატა, რომ ის ჯადოს მსხვერპლია, მას მართლაც მოუღებს ბოლოს ჯადო. ნებისმიერმა ადამიანმა უნდა იფიქროს, რომ საშველი აუცილებლად არსებობს და გადადგას ნაბიჯები თავისი მდგომარეობის გამოსასწორებლად, ოღონდ თვითონაც უნდა მოინდომოს. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, მხოლოდ პარაფსიქოლოგის ჩარევა ვერაფერს შეცვლის. მე და ჩემი კოლეგები თუ გაგათავისუფლებთ სხვადასხვა ენერგეტიკული ზემოქმედებისგან, ჯადოსგან, გათვალვისგან და ნებისმიერი ნეგატიური პროგრამისგან და თუ თქვენ მაინც გააგრძელებთ თავდაუცველობას უარყოფითი აზროვნებით, ცუდზე ფიქრით, შურით, წუწუნითა და არაჯანსაღი ცხოვრების წესით, გასუფთავებული აურა ხელახლა დაგიბინძურდებათ და არაფერია იმაზე საშინელება, ვიდრე ადამიანის დამოკიდებულება სხვა ადამიანზე, არა აქვს მნიშვნელობა, ის პარაფსიქოლოგი იქნება თუ ნებისმიერი ვინმე – მეგობარი, ნათესავი, მეუღლე, შვილი... ადამიანი უნდა იყოს თავისუფალი, თავისუფლებაში ადამიანური ვალდებულებების მოხსნას არ ვგულისხმობ, არამედ საკუთარი თავის უფალი, რასაკვირველია, არავის ვუსურვებ, არ განთავისუფლდეს წარუმატებელი პერიოდებისგან, რაც შეიძლება თქვენდაუნებურად მოგაყენეს ავის მოსურნეებმა თავიანთი გათვალვით ან ნეგატიური პროგრამის განხორციელებით, რაც ძალიან არის გავრცელებული, მაგრამ იგივე ზიანის მოტანა შეუძლია თქვენთვის თქვენსავე აკვიატებულ ფიქრებს, თქვენს წარუმატებლობაზე, პესიმიზმს, უიმედობას, რომელსაც ყოველი ადამიანი ართავს თავის ირგვლივ, როგორც ობობა თავის ქსელს. ყველა ადამიანს აქვს თავისი წარმატებისა და წარუმატებლობის გარკვეული მიზეზი, მაგრამ რა მდგომარეობაშიც არ უნდა იყოთ, პარაფსიქოლოგის ეს რჩევები მხოლოდ სიკეთესა და ბედნიერებას მოგიტანთ. დაბანის დროს ავარჯიშეთ თქვენი ნებისყოფა, წარმოიდგინეთ, რომ ფიზიკურ უსუფთაობასთან ერთად ზნეობრივი ჩამობანაც აუცილებელია. გარშემომყოფებთან მიმართებაში დაიცავით შემდეგი წესები, არასოდეს გააკეთოთ ის, რაც არ არის თქვენი მოვალეობა. თუ ყველაფერში, რაც გეხებათ და არ გეხებათ, ცხვირს ჩაყოფთ, თქვენი კარმა დამძიმდება და ეს ტენდენცია კარგს არაფერს გპირდებათ. არასოდეს არ თქვათ სიტყვები, რომელიც არ არის საჭირო და ზედმეტია. არასდროს მისცეთ თავს უფლება, გარშემომყოფთა ზეწოლის გამო თქვენი პრინციპები დაარღვიოთ, არ მისცეთ უფლება ცარიელ და ზედმეტ ფიქრებს, დაიკავონ თქვენი ტვინი, დაძინებამდე ილოცეთ, როგორც გაღვიძებისას. გადაავლეთ თვალი თქვენს საქციელს დღის განმავლობაში. აღნიშნეთ შეცდომები და გადაწყვიტეთ, რომ მეტად არ გაიმეოროთ ისინი. როგორც კი მრისხანება მოგერევათ, ან სხვების ნაკლს განიკითხავთ, ან ვინმეს თქვენი პირფერობით შეიყვანთ შეცდომაში, აუცილებლად დაისჯებით. ამიტომაც არ დაიმძიმოთ თქვენი კარმა და გაითვალისწინეთ, რაც გითხარით. ნუ გექნებათ იმედი, რომ მხოლოდ ექიმები და ფსიქოლოგები გამოგაჯანმრთელებენ. საიმედოდ რომ იცხოვროთ, მხოლოდ საკუთარი თავის იმედი უნდა გქონდეთ. არანაირად არ ვაკნინებ მედიცინის სიძლიერეს, მაგრამ მაღალი რანგის ექიმებისგან ვიცი, რომ ისინი მკურნალობენ მხოლოდ დაავადებას, საკუთარი თავის წვრთნაში კი ვერავინ დაგეხმარებათ, ჯანმრთელობა კი სულიერ და ფიზიკურ ძალთა ერთობლიობაა. ეცადეთ, საკუთარი თავის მბრძანებელი თვითონ იყოთ. დასუსტებული ადამიანი აუცილებლად საჭიროებს სპეციალისტის დახმარებას, მაგრამ შემდგომ თქვენ თვითონ უნდა გაიძლიეროთ საკუთარი აურა და ბიოველი თქვენი საქციელით. ამისთვის საჭიროა „ხელების სისუფთავე“, ეს ნიშნავს სხვა ადამიანებთან ურთიერთობაში კეთილსინდისიერებას. ის ასევე გულისხმობს საკუთარი შემოსავლების რაღაც აუცილებელი ნაწილის გაღებას მათთვის, ვინც ამას საჭიროებს. არ უნდა გამდიდრდეთ ისეთი მეთოდით, რომელიც ზიანს აყენებს სხვა ადამიანს. თუ ფულს მოიპოვებთ სულიერი კანონების დარღვევით, ის დაავადებით დამძიმდება და სხვა კარმული სასჯელის მიზეზიც გახდება.



„ყურების სისუფთავე“ – ეს გულისხმობს ჩვენი სმენის კეთილხმოვანების ზონაში ყოფნას და ნეგატიური ზემოქმედების ზონიდან მის გამოსვლას. არ ღირს იქ ჩვენი ყოფნა, სადაც გაბოროტებული და შეშინებული, შურიანი და სხვათა გამკითხველი ადამიანების მოსმენა გვიწევს. ძალიან მნიშვნელოვანია, მოარიდოთ სმენა ნებისმიერ ჭორსა თუ ბოროტ საუბრებს, რომლებიც აუცილებლად გამოგფიტავენ და დაგასუსტებენ. ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობისთვის აუცილებელია „სუფთა თვალი“, ეს ითვალისწინებს ჩვენს გარშემო სუფთა სასიცოცხლო გარემოს შექმნას. ასეთი გარემო პირველ ყოვლისა ჩვენს საცხოვრებელ სახლში უნდა შევიქმნათ, ნუ დაიბინძურებთ მხედველობას ძალადობასა და სისასტიკეზე სატელევიზიო სცენებით, ის ინფორმაციული ვირუსებია, რომლებიც აუცილებლად გაგანადგურებენ. ამიტომაც მოერიდეთ ნეგატიური ინფორმაციებისგან დატვირთვას.

„პირის სისუფთავე“ – ეს გახლავთ ბილწსიტყვაობისა და ავსიტყვაობისგან თავის შეკავების აუცილებლობა, რომელიც საშინელ დისკომფორტს შეგიქმნით და უამრავი დაავადებით დაგხუნძლავთ.

„სუფთა სხეული“ – ეს გულისხმობს, რაოდენ მნიშვნელოვანია, შევინახოთ ჩვენი ფიზიკური მატერია, „ჩვენი ჭურჭელი“ ჯანმრთელ მდგომარეობაში. ეს კი ჰიგიენის დაცვის გარეშე შეუძლებელია. აუცილებელია, ყოველთვის სუფთა გარეგნული იერი გქონდეთ, ძალიან მნიშვნელოვანია, თავს მოუაროთ ისევე, როგორც ნებისმიერ სხვა საგანს, რომელიც გვეხმარება სულისა და სხეულის კომფორტულობაში. თუ ადამიანი ფორმაში არ არის, ენერგეტიკულადაც ადვილად სუსტდება. „აზრების სისუფთავე“ – ეს ისეთ სულიერ განწყობას გულისხმობს, რომელიც გვიცავს ნეგატიური პოზიციებისა და მავნე აზრების მოვლენებისგან, ეს კი, თავის მხრივ, გვიცავს არაკეთილსასურველი გარემოებებისგან. ცნობილია, რომ ფიქრს მატერიალიზება შეუძლია და ამიტომაც აუცილებელია „ექსპერტის ფილტრი“ ჩვენში, რომელიც შეაკავებს და უგულებელყოფს ნებისმიერ ნეგატიურ გამანადგურებელ აზრს და ჩვენს გულამდე მხოლოდ შემოქმედებითსა და პოზიტიურს გამოატარებს.

ასევე, ძალიან საჭიროა „სულის სისუფთავე“. ეს ღვთაებრივი ბუნებაა და არავის უნდა მივცეთ უფლება, რომ ჩვენი სული მარწუხებში მოაქციოს. თვითშთაგონებას უდიდესი ძალა აქვს. როდესაც ვლოცულობთ, საკუთარ თავს ამოუწურავ სასიცოცხლო ძალასთან ვაკავშირებთ, რასაც მთელი სამყარო მოჰყავს მოძრაობაში.

კვირის ჰოროსკოპი... კვირის ჰოროსკოპი...

## 16–22 მაისის ჰოროსკოპი

### კირჩხიბი 22.06-22.07



**სიყვარული –** პირად ცხოვრებაში მიიღებთ იმას, რისკენაც მიილტვით: განშორებას, პაემნებსა და ქორწინებასაც კი, თუმცა ჯერჯერობით ეს არცთუ რეალურად მიგაჩნიათ. თუკი თავს მოთოკავთ, განშორებას აიცილებთ, შემდეგ კი რკინის ლოგიკითა და თავდაჯერებულობით, პარტნიორს დაარწმუნებთ, რომ ქორწინება ურთიერთობის შემდგომი განვითარების საუკეთესო ვარიანტია. მოკლედ, ყველაფერი თქვენს ინიციატივებსა და სურვილებზეა დამოკიდებული.

**სამსახური –** აუცილებელია სამომავლო სტრატეგიისა და მიზნების დასახვა. ასეთ შემთხვევაში, წარმატებას სულ მალე მიაღწევთ.

**სასიკეთო დღეები:** 17, 18 მაისი; **არახელსაყრელი დღეები:** 22 მაისი.

### ლომი 23.07-22.08



**სიყვარული –** არ არის გამორიცხული, რომ არჩევანი იმედებს გაგიცრუებთ და შედეგი განშორება იქნება. სამწუხაროდ, ყველა საიდუმლო შესაძლოა, ერთბაშად გამოაშკარავდეს. მიმდინარე კვირა არც ისე კარგი დროა რომანტიკული თავგადასავლებისა და ნაცნობობისთვის. კონცენტრირება საკუთარ თავზე მოახდინეთ, გაერკვიეთ თქვენს სურვილებსა და მისწრაფებებში, რაც მომავალში დიდ დახმარებას აღმოგიჩენთ.

**სამსახური –** ბევრი პროექტის წინსვლა შეფერხდება. უმჯობესია, პროცესებს გაერიდოთ და ცოტა ხნით დაისვენოთ.

**სასიკეთო დღეები:** 19, 20 მაისი; **არახელსაყრელი დღეები:** 18 მაისი.

### ქალწული 23.08-22.09



**სიყვარული –** პირად ცხოვრებაში თავს მარტოსულად არ იგრძნობთ მანამ, სანამ ამას თავადვე არ მოისურვებთ. მოიძებნება კომპანიაც და საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენლებიც, რომლებიც თქვენთან დაახლოებას შეეცდებიან. სხვათა შორის, მათ ის ფაქტიც კი არ შეაჩერებთ, რომ დაოჯახებული ხართ. ასეთ შემთხვევაში, უმჯობესია, ხაზგასმით მეგობრული ურთიერთობა შეინარჩუნოთ, რათა არანაირ ზღვარს არ გასცდეთ.

**სამსახური –** თუკი სამსახურის შეცვლაზე ფიქრობთ, ახლა სწორედ შესაფერისი დროა.

**სასიკეთო დღეები:** 18, 22 მაისი; **არახელსაყრელი დღეები:** 19 მაისი.

## 16–22 მაისის ჰოროსკოპი

### სასწორი 23.09-22.10

**სიყვარული** – თუ მიმდინარე კვირაში რაიმე ურთიერთობას გააბამთ, შესაძლოა, ის არცთუ ჩვეულებრივი აღმოჩნდეს. ერთი მხრივ, თითქოსდა, ერთად იქნებით, მაგრამ მეორე მხრივ – თითოეული თქვენგანი საკუთარ ცხოვრებას გააგრძელებს. მიზეზი ის არის, რომ საკმაოდ მცირე შეხების წერტილი გაქვთ, ყოველ შემთხვევაში, ამ ეტაპზე ასეთი სიტუაციაა. სხვათა შორის, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ურთიერთობაზე ფსონის ჩასვლა არ ღირდეს. პირიქით, სავსებით შესაძლებელია, საქმე ძალიან პერსპექტიულ წამოწყებასთან გქონდეთ.

**სამსახური** – მოსალოდნელია გარკვეული დაწინაურება და კარიერული წინსვლა.

**სასიკეთო დღეები:** 19 მაისი; **არახელსაყრელი დღეები:** 22 მაისი.

### მორიელი 23.10-21.11

**სიყვარული** – გქონდეთ იმედი, რომ საწინააღმდეგო სქესთან წარმატებას მიაღწევთ და ზოგადად, პირად ცხოვრებაში ყველაფერი წარმოუდგენლად კარგად წარიმართება. ერთი კია, არ უნდა გახდეთ პარტნიორზე დამოკიდებული, რამდენად გამოცდილიც არ უნდა იყოს თქვენთან შედარებით. მით უმეტეს, თანაბარი ურთიერთობები ყოველთვის ბევრად პერსპექტიული და საინტერესოა.

**სამსახური** – თქვენი ნებისმიერი ინიციატივა დადებით გამოძახილსა და მხარდაჭერას ჰპოვებს.

**სასიკეთო დღეები:** 21, 22 მაისი; **არახელსაყრელი დღეები:** 17 მაისი.

### მშვილდოსანი 22.11-21.12

**სიყვარული** – მიდრეკილი იქნებით იქით იმ წესების დარღვევისკენ, რომლებიც თავადვე დაიწესეთ. მაგალითად, დაიწყებთ შეხვედრებს ადამიანთან, რომელიც ჯერ არ განქორწინებულა. თუ ეს მართლა ასე მოხდა, ის მაინც ეცადეთ, რომ რომანის შესახებ გარშემომყოფებმა არ გაიგონ. არ გაბედოთ მისი მეგობრების გაცნობა – კარგად დაფიქრდით, ნამდვილად ხართ ამ ადამიანით დაინტერესებული თუ უბრალო გატაცებასთან გაქვთ საქმე.

**სამსახური** – სამწუხაროდ, კარიერულ წინსვლაზე საუბარი ამ ეტაპზე დღის წესრიგიდან მოხსნილია. შეეცადეთ, შეინარჩუნოთ ის, რაც გაქვთ.

**სასიკეთო დღეები:** 18 მაისი; **არახელსაყრელი დღეები:** 17 მაისი.





**მაია იასეშვილი**

599 94-64-58



**რაც ჟამის დასაბამიდან გამორჩეულად აინტერესებს კაცობრიობას, ამოუცნობ მოვლენათა შორის, პირველობას არ თმობს სიზმარი, რის შესახებაც მედიცინას, მეცნიერებასა და რელიგიას ურთიერთსაწინააღმდეგო შეხედულებები აქვს.**

**„კვირის ალიამ“ პოპულარულ ქართველებს ერთი კითხვით მიმართა — როგორ რეაგირებენ სიზმრებზე და სთხოვა, გაიხსენონ ის სიზმარი, რომლის აცხადებითაც რადიკალურად შეიცვალა მათი ცხოვრება.**

# ცნობილი ადამიანების ყველაზე შოკისმომგვრელი, ახდენილი სიზმრები

**ლეო ანთაძე, მსახიობი:**



– სიზმრებზე ვრეაგირებ, თუმცა ყოველთვის არა, ხანდახან ისეთი სისულელე და უაზრობა დაგესიზმრება, რომ ნორმალური ადამიანისგან მის განმარტებაზე ფიქრი და გაანალიზება არასერიოზული საქციელია. თუმცა არსებობს წინასწარმეტყველური სიზმრები და მეც მინახავს ასეთი სიზმრები, რაც საოცარი სიზუსტით ამცხადებია, მაგრამ ერთი სიზმარი დღემდე გამორჩეულად მახსოვს. სიზმარში ვნახე დედაჩემი, ჩემკენ წამოვიდა ხელგაშლილი და მითხრა, – მოდი, შვილო, ჩამეხუტეო. ამ დროს გარდაცვლილი იყო და სიზმარში არ მახსოვდა. დედამ „ჩამიხუტა“, მაგრამ სითბოს ნაცვლად მისგან სიცივე წამოვიდა. სახეზე შევხედე და ეს ქალი დედაჩემი არ იყო, მისი გარეგნობა დამამახსოვრდა. ცოტა ხანში მამაჩემმა ჩემი სიზმარში ნანახი ქალი, რომელიც ცხადში არასდროს მინახავს, ცოლად მოიყვანა.

**მარინა კახიანი, მსახიობი:**

– არსებობს სიზმრები, რომლებიც წინასწარ გვაგებინებს არა მხოლოდ მოსალოდნელ ამბავს, არამედ ცხოვრების რადიკალურ ცვლილებასაც. ჩემი მეუღლის, გია მატარაძის გარდაცვალებამდე დამესიზმრა, რომ რუსთაველის პროსპექტზე მივდიოდი და უცებ, ზურგიდან დამჭრეს. დავიჩოქე და ფეხზე წამოდგომა გამიჭირდა. ეს სიზმარი ცუდად მენიშნა. მართლაც, გიას დაკარგვის მერე გამიჭირდა, მის გარეშე სიცოცხლეს შევჩვეოდი.

**ნიკა მემანიშვილი, დირიჟორი:**



– ჩემი სტუდენტობის დროს ჩემთვის უცნობმა ქალბატონმა გადაწყვიტა, ეზრუნა ჩემი სწავლის დაფინანსებაზე, ჩემთვის უცნობი იყო მისი გადაწყვეტილების საფუძველი. როგორც შემდეგ გავიგე, ეს ქალბატონი გახლდათ ევგენი მიქელაძის მეუღლე, რომელსაც გარდაცვლილმა ქმარმა სიზმარში სთხოვა, ჩემზე ეზრუნა, რადგან იცოდა, რომ წლების შემდეგ დავაარსებდი მისი სახელობის ორკესტრს. ეს მხოლოდ მაშინ გავიგე, როცა ევგენი მიქელაძის სიზმრისეული წინასწარმეტყველება აღსრულდა.

**ავთო ვარსიმაშვილი, რეჟისორი:**

– სიზმრები ჩემი ცხოვრების ძირითადი სახელმძღვანელოა, სიზმრის მიხედვით მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებებიც კი შემიცვლია, დაგეგმილი დღე სულ სხვაგვარად წარმიმართავს. სიზმარგანმარტების უნარიც ჩამომიყალიბა სიზმრებზე დაკვირვებამ, რა როგორ დავცადე, იმის მიხედვით.

**ია ხობუა, მსახიობი:**

– სიზმრებზე აღარ ვრეაგირებ, უფრო მართალი ვიქნები, თუ ვიტყვი, რომ წუთისოფლისგან ცუდს არაფერს ველოდები, მე დიდი სტრესი გადავიტანე ახალგაზრდობაში მეუღლის დაკარგვის და ვთვლი, რომ ღმერთი მაკმარებს ყველაფერს და ჩემს შვილებზე ცუდს აღარაფერს გავიგებ, ისე წავალ ამქვეყნიდან. სანამ რეზო გარდაიცვლებოდა, რამდენიმე დღით ადრე დამესიზმრა, რომ ზღვამ ცალი ფეხსაცმელი მომტაცა. ვინც მიცნობს, ყველამ იცის, რომ სიძუნწე და მატერიალურ დანაკარგზე ნერვიულობა არ მჩვევია, მაგრამ სიზმარში ისე განვიცდიდი ფეხსაცმლის დაკარგვას, როგორც ძალიან ფასეულსა და მნიშვნელოვანს. ცუდად მენიშნა ეს სიზმარი და ცუდადაც ამიხდა. რამდენიმე დღეში ახალგაზრდა ჯანმრთელი მეუღლე მოულოდნელად ხელიდან გამომეცალა.

**„სანამ რეზო გარდაიცვლებოდა, რამდენიმე დღით ადრე დამესიზმრა, რომ ზღვამ ცალი ფეხსაცმელი მომტაცა“**

**თამარ ბეჟუაშვილი, მსახიობი:**

– სიზმრებზე მეტ-ნაკლებად ყველა ადამიანი რეაგირებს, მე ვნახე საბედისწერო სიზმარი, რომელმაც მგონია, რომ შვილი გადამირჩინა. სიზმარში ვნახე, მივდიოდი პროსპექტზე, ჩემი შვილის სახელს ისტერიულად ვკიოდი და წვიმის ნიაღვარი მოდიოდა. მეორე დილით ექსკურსიაზე ვიყავი წასასვლელი, სიზმარში მივხვდი, რომ რაღაც მელოდა. ჩემი შვილი შეგნებულად არ გავაღვიძე და სახლში დავრჩით. მოხდა გამაოგნებელი უბედურება – ავარია და ჩემი შვილის ექვსი თანაკლასელი გარდაიცვალა. ამ ექვსი ბავშვიდან ერთი მეზობლად ცხოვრობდა, დაკრძალვიდან რამდენიმე დღეში დამესიზმრა, ვკითხე, ხომ არაფერი გინდა, მოგიტანო-მეთქი. მიპასუხა, – „პეჩენიაო“... გავაკეთე საკურთხი და მივიტანე „პეჩენია“. როცა ამ ბავშვის მამას ჩემი სიზმარი მოვუყევი, მითხრა, – რაც უყვარდა, ყველაფერი ვიყიდე საკურთხისთვის და მარტო „პეჩენია“ დამავიწყდაო და არსებობს მართლაც უხილავი კავშირი ჩვენსა და მათ შორის, ვინც ამსოფლად აღარ არიან.

**გიორგი შალუტაშვილი, რეჟისორი:**

– სიზმრებზე ხშირად ვრეაგირებ, თუმცა, არა ყოველთვის. სიზმარში ხშირად მინახავს ჩემი სპექტაკლების საფინალო ეპიზოდები. როცა ასეთი სურათი მაქვს მოსაფიქრებელი, სტუდენტები მეუბნებიან ხოლმე – ნახე სიზმარი და მიენდე, ბევრს ნუღარ იფიქრებთო. ამას მაინცდამაინც მისტიკით არ ვხსნი, ადამიანისთვის ძილშიც გრძელდება შემოქმედებითი პროცესი, აზროვნება და ფიქრი, თუმცა სიზმრის ფენომენი მაინც ამოუხსნელი და ამოუცნობია. არავინ იცის, დღემდე რამდენიმე თვით და წლით ადრე როგორ გელაპარაკება სამყარო მეტაფორებით და რას რატომ გაგებინებს.

**გიგი ხორნაული, მწერალი:**

– სიზმრების რეაგირების გარეშე დატოვება პირადად ჩემთვის უცხოა, ეს ეხება მკვეთრ და გამოკვეთილად ნანახ სიზმრებს, რომლის შინაარსიც ადამიანს ამახსოვრდება. ბევრი გამორჩეული სიზმარი მახსენდება, მაგრამ მირჩევნია სხვისი, უფრო მნიშვნელოვანი სიზმარი გავიხსენო. უკანა ფშავში, ჩარგალთან არსებობდა სოფელი ალიშურთა, აქ მცხოვრებ ერთ ახალგაზრდა კაცს მამაჩემის ახლო მეგობარს, ახალგაზრდა კაცს დაესიზმრა, რომ წმინდანის იერით თეთრებში ჩაცმულმა ქალმა (სავარაუდოდ, რომელიღაც წმინდანმა) გააფრთხილა, რომ სოფლისთვის ეთქვა, გადაეფიქრებინათ ბარში ჩასახლება. მამაჩემის მეგობარს გიორგი ერქვა. გიორგიმ გააფრთხილა თანასოფლელები გადაეფიქრებინათ ბარში ჩასახლება, მაგრამ რატომღაც ყური არ ათხოვეს. მხოლოდ გიორგიმ დაუჯერა თავის სიზმარს და მისი ოჯახი გადარჩა. ბარში, სადაც დასახლდნენ, მთიდან ზვავი წამოვიდა და მთელი სოფელი ცოცხლად დაიმარხა ზვავში. ეს არის ყველაზე გამაოგნებელი სიზმარი, რაც კი ვინმესგან მსმენია.

**„დედაჩემი ჩემკენ წამოვიდა ხელგაშლილი და მითხრა, — მოდი, შვილო, ჩამეხუტეო. ამ დროს გარდაცვლილი იყო და სიზმარში არ მახსოვდა. დედამ „ჩამიხუტა“, მაგრამ სითბოს ნაცვლად მისგან სიცივე წამოვიდა. სახეზე შევხედე და ეს ქალი დედაჩემი არ იყო, მისი გარეგნობა დამამახსოვრდა. ცოტა ხანში მამაჩემმა ჩემი სიზმარში ნანახი ქალი, რომელიც ცხადში არასდროს მინახავს, ცოლად მოიყვანა“**

## 16–22 მაისის ჰოროსკოპი

### თხის რქა 22.12-19.01

**სიყვარული** – ამბობენ, ერთ მდინარეში ორჯერ არ შედიანო, მაგრამ თქვენ ეს გამოგივათ! თქვენ შეძლებთ იმ ურთიერთობების აღდგენას, რომელიც შეწყდა სამუდამოდ და საკმაოდ დიდი ხნის წინათ. არ დაგავიწყდეთ, რომ სიტუაცია რაღაც დონით ხელოვნურია, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი გაკეთილშობილებისთვის ძალიან დიდი შრომა და ლოდინი მოგიწევთ.

**სამსახური** – სერიოზულად მოემზადეთ კონკურენტული ბრძოლისთვის და საკუთარი ინტერესების დაცვისთვის.

**სასიკეთო დღეები:** 17, 18 მაისი; **არახელსაყრელი დღეები:** 19 მაისი.

### მერწყული 20.01-18.02

**სიყვარული** – პირადი ცხოვრების მიმართულებით ეს კვირა მშვიდი იქნება. ძალიან მცირეა ალბათობა, რომ ჰორიზონტზე ახალი ადამიანი გამოჩნდეს, მიმდინარე ურთიერთობას კი ბევრად უკეთ აწონ-დაწონით. ის, რაც ადრე კალაპოტიდან იყო ამოვარდნილი, განერვიულებდათ, ახლა მხოლოდ მცირედით შეგაშფოთებთ, რასაც თქვენი პარტნიორიც შენიშნავს. სხვათა შორის, ახლობლებთან დაპირისპირება ამ კვირაში არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება.

**სამსახური** – ქაღალდებისა და ბუღალტერიის მოწესრიგება, დოკუმენტების გაფორმება – წინ დიდი შრომა გელით.

**სასიკეთო დღეები:** 19, 20 მაისი; **არახელსაყრელი დღეები:** 18 მაისი.

### თევზები 19.02-20.03

**სიყვარული** – ახალი ურთიერთობებისთვის ივლისი განსაკუთრებით წარმატებულია და ეს კვირაც გამონაკლისი არ იქნება. კურორტის რომანიც კი შესაძლოა, ძალიან საინტერესოდ გაგრძელდეს. ის ფაქტი, რომ სხვადასხვა ქალაქში ცხოვრობთ, არ უნდა გაფრთხობდეთ. სინამდვილეში ეს პრობლემა სულაც არ არის. გარდა ამისა, გქონდეთ იმის იმედი, რომ რომანს იმ ადამიანთან გააბამთ, რომელთანაც ადრე ურთიერთობა არ გამოგდიოდათ. ამჯერად მასზე ბევრად უკეთეს შთაბეჭდილებას მოახდენთ.

**სამსახური** – მშვენიერი მომენტია შემოქმედებითი ინიციატივებისთვის, მაგრამ ბევრად უკეთესი – დასვენებისთვის.

**სასიკეთო დღეები:** 17, 20 მაისი; **არახელსაყრელი დღეები:** 21 მაისი.

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00



1. ბიზეს ოპერა
2. მსახიობი ანტონიო ...
3. კონტინენტი სამხ. პოლუსზე
4. რენტგენით სურათის გადაღება
5. მონღოლეთის ფულის ერთეული
6. პერსონა ...-გრატა
7. თხის ძვირფასი ბეწვი
8. მხედართმთავარი პეტრე ...
9. მსახიობი იგორ ...
10. მსახიობი ... გიბსონი
11. რეჟისორი ... კუროსავა
12. რეჟისორი ... ჰოვარდი
13. ტუჩი
14. ჩონჩხის ნაწილი
15. ქმედება ალალბედზე
16. მდინარე აზიაში
17. ჩარხი
18. „ნატვრის ხე“ თაყაიშვილი
19. მომღერალი ... ტატიშვილი
20. მხატვარი ლუკას ...
21. ბისტი თვალზე
22. მწერალი სომერსეტ ...
23. ჩანთოსანი დათვი
24. ოლღას საზიარო ძროხა
25. დაბალფასიანი
26. მარჯნის კუნძული
27. საერთო ევროპ. ვალუტა
28. ფრინველი ეგვიპტ. მითებში
29. მსახ. ... მაკგრეგორი
30. მსახიობი ... ნოლტი
31. მეცნიერება თევზების შესახებ
32. კარტოფილ. მავნებელი ხოჭო
33. შრეკის სატრფო
34. მომღერალი ბობ ...
35. კატისებრი მაიმუნი
36. ფანქრის შავი გული
37. ვულკანის ყელი
38. კატის ნაშიერი
39. კონსტანტ. გამსახურდ. მოთხრობა
40. ... კუზანოვი
41. ფაღარათი
42. „... ჭკუისაგან“
43. ექსტრასენსი ... დავითაშვილი
44. ერთგვარი ხვლიკი
45. ძვირფასი ლითონი
46. მამათა დიდი მონასტერი
47. წყლის მოლუსკი
48. პურის სოკო
48ა. ძვ. ქართ. ცნენოსნობა
49. სახელმწიფო აზიაში
50. სტომატოლოგიური დაავადება
51. სასამართლოში ... მსაჯული
52. საწვავი აირი
53. მსახიობი ზინოვი ...
54. ცირკის მოედანი
55. „დროის მანქანა“ ანდრეი ...
56. „... მონტე-კრისტო“
57. მეჩეთის კოშკი
58. ქალაქი ინგლისში
59. ხუთკაციანი ანსამბლი
60. მსახიობი იულ ...
61. მომღერალი ... ბურჭულაძე
62. ლიმონის კანი
63. სოფელი რაჭაში
64. ყვავილი
65. მუსიკის მოყვარული
66. მიმართვა იაპონელი მამაკაცისადმი
67. გასამრავლებელი ხელსაწყო
68. მსახიობი ჟან-ლუი ...
69. მომღერალი ... ტერნერი
70. მხატვარი ... გრეკო
71. დესერტი
72. მულტფილმი „მონსტრების ...“
73. რეჟისორი ფრენსის ფორდ ..
74. ნაბიჯი ბალეტში
75. ძვ. ბერძენი მეიგავე
76. ფილმის ხელახალი გადაღება
77. მბრუნავი მანქანა. მექანიკურად ყოფს ნარევს
78. „მაწოვარი დედა“ - ... მატერი
79. ლიტვის ფულის ერთეული
80. ეთიოპიის ძველი სახელწ.
81. რეჟისორი დავით
82. ცის წვერო
83. ... ია
84. ჯოხი კაუჭითა და ძუით
85. მეფე-ლომი (მულტ.)
86. დადუღებული ყურძნის წვენი
87. ბზრიალა
88. ... ხეთაგუროვი
89. „ნაუტილუსის“ კაპიტანი
90. სპორტ. შეჯიბრის დასაწყისი
91. ძლიერი ქარი
92. ტყის მხალი
93. ერნესტო ... გევარა
94. პატარძლის თავსაბურავი
95. მიმართვა ინგლისელი მამაკაცისადმი
96. სტუმრის გამრთობი ქალი იაპონიაში
97. მომღერალი ჯონ ... ჯოვი
98. უტოტო ხე
99. თვალის ბუდე
100. უძველესი კოლხეთი
101. ნიანგის სახეობა
102. იაპონური ჭადრაკი
103. ... რუსთაველი
103ა. მზის ღმერთი ეგვიპტეში
104. დაბა ...-გრუზინსკაია
105. ჟაკ-... კუსტო
106. მომღერალი ... მეტონიძე
107. თმის წითელი საღებავი
108. ქალის სასიმღერო ხმა







პასუხები: 1. „კარმენი“; 2. ბანდერასი; 3. ანტარქტიდა; 4. რენტგენოგრაფია; 5. ტუგრიკი; 6. ნონ; 7. ანგორა; 8. ბაგრატიონი; 9. ილინსკი; 10. მელ; 11. აკირა; 12. რონ; 13. ბაგე; 14. ხერხემალი; 15. რისკი; 16. ამური; 17. დაზგა; 18. მარადია; 19. ნოდიკო; 20. კრანახი; 21. ლიბრი; 22. მოემი; 23. კოალა; 24. ფაქიზო; 25. იაფი; 26. ატოლი; 27. ევრო; 28. იბისი; 29. ევან; 30. ნიკ; 31. იქთიოლოგია; 32. კოლორადო; 33. ფიონა; 34. მარლი; 35. ლემური; 36. გრაფიტი; 37. კრატერი; 38. კნუტი; 39. „ლილ“; 40. ივა; 41. დიარეა; 42. ვაი; 43. ჯუნა; 44. გეკონი; 45. ოქრო; 46. ლავრა; 47. მიდია; 48. ობი; 48ა. ისინდი; 49. ნეპალი; 50. პარადონტოზი; 51. ნაფიცი; 52. პროპანი; 53. გერი; 54. არენა; 55. მაკარევიჩი; 56. გრაფი; 57. მინარეთი; 58. ბრისტოლი; 59. კვინტეტი; 60. ბრინერი; 61. პაატა; 62. ცედრა; 63. ირი; 64. ვარდი; 65. მელომანი; 66. სან; 67. როტატორი; 68. ტრენტინიანი; 69. ტინა; 70. ელ; 71. ჩაროზი; 72. კორპორაცია; 73. კოპოლა; 74. პა; 75. ეზოპე; 76. რიმეიქი; 77. ცენტრიფუგა; 78. ალმა; 79. ლიტი; 80. აბისინია; 81. რონდელი; 82. პროპოლისი; 83. აი; 84. ანკესი; 85. სიმბა; 86. ბადაგი; 87. ჩიკორი; 88. კოსტა; 89. ნემო; 90. სტარტი; 91. გრიგალი; 92. პანტა; 93. ჩე; 94. ფატა; 95. სერ; 96. გეიშა; 97. ბონ; 98. ტლუ; 99. ფოსო; 100. აია; 101. ალიგატორი; 102. გო; 103. შოთა; 103ა. რა; 104. ნია; 105. ივ; 106. ნატო; 107. ინა; 108. ალტი. იკითხება: მედუზა გორგონა. კენტავრი. მინოტავრი. ციკლოპი.

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00




კოშკის არქიტექტორი

1. ილუზიონისტი დევიდ ...
2. თბილი დინება ატლანტის ოკეანეში
3. მალაიზიის დედაქალაქი
4. რუსი ილუზიონისტი
5. მწვრთნელი პეპ ...
6. მიშენება ოთახზე
7. ბიზეს ოპერა
8. ბერძ. ანბანის პირველი ასო
9. ყაიმი
10. ბურთის თამაში ჯოხებით
11. ჭრილობა
12. ჩანთოსანი ცხოველი სამხ. ამერიკაში
13. ქვეყნიერების დასასრული
14. ... გათეთრდების ყორანი
15. რიცხვი 3,14
16. იალქანი
17. ექსკურსიამძღოლი
18. შიიზმის მიმდევარი
19. ბედისწერის რწმენა
20. რუკების კრებული
21. მხ/ფ „რომა-ული ...“
22. მსახიობი ... გარდნერი
23. დასარტყამი საკრავი
24. სოფელი სურამთან
25. ინტერნეტით პირდაპირ ყურება
26. დიდი ქვა
27. ყვავილი
28. მწერალი ... კონან დოილი
29. მსახიობი ... არტმანე
30. სამშენებლო მასალა
31. ქარბორბალა
32. მსახიობი არკადი ...
33. მუსიკალ. ტემპი
34. მსახიობი პენელოპა ...
35. შხამიანი მწერი
36. ... კუზანოვი
37. მწვავე ტონზილიტი
38. დიდი საჯარისო შენაერთი
39. მსახიობი ... რაიანი
40. ქართ. ფულის ერთეული
41. აფროდიტეს სატრფო
42. წელიწადი 366 დღით
43. მსახიობი ... ელიავა
44. კონტინენტი
45. ქინქლა
46. „იმერული ესკიზები“ მათხოვარი
47. ფირმა „...-პარი“
48. დიეგო არმანდო ...
49. მსახიობი ... ჰაიეკი
50. სირაქლემას სახეობა
51. მსახიობი ... ვენტურა
52. მხ/ფ „... და შვილიშვილები“
53. გენური ორეულის გამოყვანა
54. „პრინცესა ... მარცვალზე“
55. ოლქის მმართველი ძველ პოლონეთში
56. მდინარე იტალიაში
57. პირველი ოთხნიშნა რიცხვი
58. ძვირფასბეწვიანი ცხოველი
59. რუსი ქიმიკოსი
60. ძვირფასი ლითონი
61. ... და ანტონიმი
62. ნაბიჯი ბალეტში
63. ქანდაკება პირამიდებთან
64. იტალიელი კომპოზიტორი
65. სახოტბო ლექსი
65ა. დათვი რომ მოგერევა ... დაუძახეო
66. მსახიობი ... დიზელი
67. მზის ღმერთი ...-რა
68. მხ/ფ „ჩარლის ...“
69. ძვირფასი ქვა
70. ცირკის მოედანი
71. სახლის გადასახურავი კერამიკა
72. მისი დედაქალაქია ტოკიო
73. ... კიხოტ ლამანჩელი
74. მოწონების შეძახილი შრომაში
75. დიდი ქონების პატრონი
76. მწერალი ... ტოლსტოი
77. ამერიკული თოჯინა
78. მწერალი ... როდარი
79. ვარამი, კაეშანი
80. ქვეითი ჯარისკაცი ოსმალეთში
81. თქმულება ღმერთებზე
82. მაჟორი და ...
83. ნიშნავს ცივს
84. სულების გამოძახება
85. ქალაქი სამეგრელოში
86. მხატვარი დიეგო ...
87. ცხენის ნაშიერი
88. ბოსტნეული
89. საქმეში ჩადებული წილი
90. სინთეზური ვანილი
91. გრძელი კბილი
92. გულის დაავადება
93. იუპიტერის თანამგზავრი
94. კიმონოს აქსესუარი
95. ფლიდი, ეშმაკი
96. გემის ზურგის ნაწილი
97. მსახიობი ... გარბო
98. მსახიობი ... ჩურიკოვა
99. მსახიობი ... ჰეჩი
100. სპორტის სახეობა
101. მოდელი ... კროუფორდი
102. გულსაბნევი
103. ხელის საგრილებელი
104. ქალაქი საფრანგეთში
105. მდ. სანკტ-პეტერბურგში
106. უძველესი კოლხეთი
107. მამალი კვიცი
108. ხორბლით დათესილი ადგილი
109. ერთაოზის მამა
110. მხატვარი ამედეო ...
111. ... ცეცხლს შუა
112. წყლის მოლუსკი
113. ჩანთოსანი დათვი
114. მსახიობი ... მონტანი







პასუხები: 1. კოპერფილდი; 2. გოლფსტრიმი; 3. კუალა-ლუმპური; 4. კიო; 5. გვარდიოლა; 6. ერკერი; 7. „კარმენი“; 8. ალფა; 9. ფრე; 10. კრიკეტი; 11. იარა; 12. ოპოსუმი; 13. აპოკალიფსი; 14. არ; 15. პი; 16. აფრა; 17. გიდი; 18. შიიტი; 19. ფატალიზმი; 20. ატლასი; 21. არდადეგები; 22. ავა; 23. დოლი; 24. იტრია; 25. ონლაინი; 26. ლოდი; 27. ია; 28. არტურ; 29. ვია; 30. კირი; 31. ტორნადო; 32. რაიკინი; 33. მოდერატო; 34. კრუსი; 35. კრაზანა; 36. ივა; 37. ანგინა; 38. არმია; 39. მეგ; 40. ლარი; 41. ადონისი; 42. ნაკიანი; 43. ლია; 44. აზია; 45. მუმლი; 46. ოლია; 47. ისი; 48. მარადონა; 49. სალმა; 50. ემუ; 51. ლინო; 52. დიდედები; 53. კლონირება; 54. ცერცვის; 55. ვოევოდა; 56. პო; 57. ათასი; 58. სიასამური; 59. მენდელეევი; 60. ოქრო; 61. სინონიმი; 62. პა; 63. სფინქსი; 64. დონიცეტი; 65. ოდა; 65ა. ბაბა; 66. ვინ; 67. ამონ; 68. დეიდა; 69. ამეთვისტო; 70. არენა; 71. კრამიტი; 72. იაპონია; 73. დონ; 74. ბარაქალა; 75. მდიდარი; 76. ლევ; 77. ბარბი; 78. ჯანი; 79. დარდი; 80. იანიჩარი; 81. მითი; 82. მინორი; 83. კრიო; 84. სპირიტიზმი; 85. სენაკი; 86. ველასკესი; 87. კვიცი; 88. ნიორი; 89. პაი; 90. ვანილინი; 91. ეშვი; 92. მანკი; 93. იო; 94. ქამარი; 95. ცბიერი; 96. კიჩო; 97. გრეტა; 98. ინა; 99. ენ; 100. კრივი; 101. სინდი; 102. ბროში; 103. მარაო; 104. კანი; 105. ნევა; 106. აია; 107. ურა; 108. ყანა; 109. მიზანა; 110. მოდილიანი; 111. ორ; 112. მიდია; 113. კოალა; 114. ივ. იკითხება: ეიფელი. კოლიზეუმი. თავისუფლების ქანდაკება. ნარიყალა.

Facebook ამბები



**ნიკა გვარამია**

მას შემდეგ რაც ინგა გრიგოლიამ კაჭრეთის ამბასადორში ყოფნისას „ფეისბუქზე" დაწერა: კაჭრეთში რომ ხარ კარგ, გემრიელ საჭმელებში და შენ რომ გრეჩიხას შეუკვეთავ, თან უმარილოს..." ნიკა გვარამიამ მას თავისი აპრობირებული დიეტა შესთავაზა:

აჰა შენ დიეტა:

- პირველი ხუთი დღე მარტო ცილები - ხორცი, თევზი, ქათამი, ყველი, კვერცხი (მაქსიმუმ 2 დღეში), რძის პროდუქტები - ყველაფერი რაც ნაკლებად ცხიმიანი, უკეთესი. პლიუს თხილეული (თხილი, ნიგოზი, მიწის თხილი, მზესუმზირა და ა.შ.)

ჭამე როცა გინდა, მათ შორის, ღამე. რაც ნაკლები უკეთესი. თუმცა ნუ იშიმშილებ. მარილი, წიწაკა, მდოგვი და ა.შ შეიძლება, ზომიერად. წყალს გაურიე ლიმონის ფრეში და ისე სვი, გაგიმარტივებს დიეტას. 2 ლიტრი წყალი დღეში. ყავა და ჩაი შეუზღუდავად, ცხადია, უშაქროდ.

სრულიად გამორიცხულია ყველაფერი დანარჩენი.

- შემდეგი ეტაპი, სანამ სასურველ წონამდე არ მიხვალ. ერთი დღე ზემოთ დაწერილი დიეტა, მეორე დღე, ცილებს პლიუს ბოსტნეული. ოღონდ, შერეულ დღეებში რვის მერე აღარ ჭამო.

სრულიად გამორიცხულია მთელი დიეტის განმავლობაში: შაქარი, ცომეული, ბურღულეული, კარტოფილი, მარცვლოვანი ბოსტნეული (ბარდა, ლობიო, სიმინდი) და ხილი. თუ ძალიან მოგინდება ხილი, გააკეთე განტვირთვის დღე და მარტო ხილი ჭამე მთელი დღე.

როცა მიაღწევ სასურველ წონას, მომაკითხე და დანარჩენს მერე მოგიყვები...



**ცოტნე გამსახურდია:**

მოკლედ, ქრისტეს მოციქულად სამოცდაათ ადამიანსა თვლიან და ყოველ მათგანს თითო დასვენების დღე უძღვენით ქართველებმაო, ემატება საახალწლო, საშობაო არდადეგები - ძველი და ახალი სტილით, იასნია - "აღდგომები", წმინდანების მოხსენების დღეები, ორი დამოუკიდებლობის დღე, შაბათ-კვირეები და მერე უკვირთ, ღარიბი ქვეყანა რატომ ვართო...

**ნათია ფანჯიკიძე** : - )))))))))) ხო, მართალი ხარ, მაგრამ მაინც მთავარი სამუშაო დროის რაციონალური გადანაწილებაა და როცა მუშაობ, რას აკეთებ, ამის ცოდნა. ამერიკელებიც იმდენს ისვენებენ, გადაირევი, ყველა რელიგიის დღესასწაულს, დამოუკიდებლობის დღეს თავისთავად, შობა-აღდგომას მითუმეტეს და ჩვენსავით სამთვიანი სასწავლო არდადეგები იციან, მაგრამ ყველაზე მაგარი ქვეყანა აქვთ დოვლათის და არამხოლოდ მხრივ, მარტივი მიზეზის გამო, - მუშაობა იციან.

**ცოტნე გამსახურდია** - როგორ გეკადრება... რამდენი დასვენების დღე აქვთ აბა, ამერიკელებს?

**ნათია ფანჯიკიძე** - ასე რიცხვი არ ვიცი, მაგრამ ძალიან ბევრი. ხომ ვცხოვრობდი იქ და სულ რაღაც უქმე ჰქონდათ ჩემს შვილებს.

საინტერესო ამბები...

## მიირთვით არაქისი და მოიმატეთ ძალები



სიმართლე გითხრათ, არსად გვინახავს კუნთიანი ციყვები, რომელთა ერთ-ერთი საყვარელი სასუსნავი მიწის თხილია, თუმცა როგორც სპეციალისტები ამბობენ, ეს პროდუქტი ადამიანზე ნამდვილად შესანიშნავ გავლენას ახდენს.

როგორც ირკვევა, ანტიოქსიდანტებითა და პოლიფენოლებით არაქისი იმდენად მდიდარია, რომ კონკურენცია შესაძლოა, ვაშლსა და სტაფილოსაც კი გაუწიოს.

აღნიშნული დასკვნის ავტორები ინდოელი სპეციალისტები არიან, რომლებიც განმარტავენ, რომ განსაკუთრებით დიდი რაოდენობით ანტიოქსიდანტები და პოლიფენლოები არაქისის კარაქში მოიპოვება. გარდა ამისა, უმარილო მიწის თხილი სავსეა ცხიმებით, რომელთაც ქოლესტერინის კონტროლი შეუძლიათ და მას მომატების საშუალებას არ აძლევენ. ასევე, არაქისი შეიცავს ნიკოტინის მჟავას, რომელიც დაზიანებული უჯრედების აღდგენაზეა პასუხისმგებელი და ადამიანს ალცჰეიმერის დაავადებისგან იცავს.

ჩამოთვლილი ნივთიერებების გარდა, არაქისი შეიცავს კალციუმს, რომელიც აუცილებელია ძვლების სიძლიერისთვის, ასევე, სხვადასხვა ბოჭკოს, რითიც ის ნაწლავების პრობლემების მოგვარებას ახერხებს და ე ვიტამინს, რომელიც გულის დაავადებათა გაჩენის რისკს ამცირებს.

*doctor-prof.ru*

საინტერესო ამბები...

## რას შეუძლია მშობიარობის პროცესის გართულება?



ბედნიერ ადამიანებს მართლაც ყველაფერი ადვილად გამოსდით და ეს რომ ასეა, ნორვეგიაში ჩატარებულმა კვლევამ კიდევ ერთხელ დაადასტურა - აღმოჩნდა, რომ მშობიარობის პროცესი დამოკიდებულია იმაზე, რამდენად ბედნიერია ფეხმძიმე ქალი.

მათთვის, ვინც ამ მოსაზრებას არ დაიჯერებს, კვლევის ავტორები თავიანთი აღმოჩენის ნამდვილობას ციფრებით ასაბუთებენ. კერძოდ, 12 წლის მანძილზე დაკვირვება 50 ათას ქალზე ხორციელდებოდა. შედეგად დადგინდა, რომ მთავარი პირობა, რომელიც ქალის ფსიქოლოგიურ წონასწორობასა და მდგომარეობას განსაზღვრავს, ბავშვის მამასთან მისი ურთიერთობაა.

გარდა ამისა, კვლევის დახმარებით ნათელი მოეფინა იმ ფაქტსაც, რომ, რაც უფრო ბედნიერია მომავალი დედიკო, მით ადვილად მიმდინარეობს ფეხმძიმობა და მშობიარობასაც განსაკუთრებული გართულებების გარეშე აღწევს თავს.

მოკლედ, მამაკაცებო, რაც უფრო ბევრს მოეფერებით, მეტ ყურადღებას მიაქცევთ მეუღლეებს და ზრუნვას არ მოაკლებთ, მით უკეთეს შედეგს მიიღებთ.

*myjane.ru*

საინტერესო ამბები...

## ბრიტანელებმა რობოტს ტუალეტში შესული ადამიანების დახატვა ასწავლეს



ყველაფერში ლოგიკური აზრის მოძიებაზე ფიქრი აშკარად შეუსაბამოა, მით უმეტეს, რომ 21-ე საუკუნეში ძალიან, ძალიან ბევრი წვეტიანი აზრის მქონე ადამიანი ცხოვრობს.

რატომ შექმნეს ბრიტანელებმა რობოტი, რომელიც ტუალეტში შესულ ადამიანებს ხატავს, შემდეგ ისევ შლის, ხატავს-შლის, ხატავს-შლის?

– შნო გვქონდა და ასეც მოვიქეცითო, – ამბობენ ისინი.

როგორც ირკვევა, მხატვარი რობოტი ლონდონის უოტერმანსის სამხატვრო ცენტრში დგას და ტუალეტში შესულებს დაუზარებლად პოზა-პოზა ხატავს. კერძოდ, რობოტი ხატავს ადამიანის სილუეტს, შემდეგ კი სპეციალური პროგრამა მას პროპორციებს უსწორებს, რისი მიზანიც ტუალეტის გრაფიტების გამოსახულების მიღებაა.

როგორც კი ერთი ხელით რობოტი ადამიანს დახატავს, მეორე მას ავტომატურად შლის, თუმცა მეხსიერებაში იმახსოვრებს და გამოსახულებას სამხატვრო ცენტრის საიტზე ავტომატურად ტვირთავს.

*mignews.com*

საინტერესო ამბები...

## ყველი იმუნურ სისტემას მოდუნების საშუალებას არ აძლევსო



განსაკუთრებით სასურველია, თუკი ყველს საკუთარ რაციონში ხანშიშესული ადამიანები ჩართავენ და ამ უგემრიელეს საკვებს რეგულარულად მიიღებენ. რატომ? ახლავე ყველაფერში გაგარკვევთ:

ფინელი სპეციალისტების განმარტებით, წლების მატებასთან ერთად, ხდება ტიმუსის ინვოლუცია, ანუ ე.წ. იმუნური სისტემის დაბერება, როცა მას უკვე აღარ ძალუძს წინააღმდეგობა გაუწიოს კიბოს უჯრედებს, ინფექციას და რეაქცია გამოავლინოს ვაქცინებზე, როგორც ეს ახალგაზრდობისას ხდებოდა.

იმის გათვალისწინებით, რომ თანამედროვე მსოფლიოში საკმაოდ მძაფრად დგას სიმსივნური, ინფექციური და ქრონიკული ანთებითი დაავადებების განკურნების საკითხი, იმუნური სისტემის დაბერება მასობრივი პრობლემის მასშტაბებს იძენს, თუმცა გაგახარებთ და გეტყვით, რომ გამოსავალი გამოიძებნა – ფინელმა მეცნიერებმა აღმოაჩინეს, რომ ყველის რეგულარულ მიღებას იმუნური სისტემის ცვლილებების თავიდან აცილება შეუძლია.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ექსპერიმენტი ზუსტად 4 კვირის მანძილზე გრძელდებოდა, რომელშიც 72-დან 103 წლის ასაკის ადამიანები მონაწილეობდნენ – ერთი ჯგუფი ყველით ყოველდღიურად იკვებებოდა, მეორე კი შიმშილს სხვა კერძებით იკლავდა. დასასრულ, სპეციალისტებმა დაადგინეს, რომ პირველ ჯგუფში მოხვედრილი მოხუცების იმუნური სისტემა მნიშვნელოვნად მოძლიერებული აღმოჩნდა, ვიდრე ეს მეორე ჯგუფის შემთხვევაში გამოვლინდა.

მოკლედ, ჩვენ მოგიყევით, შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება კი თქვენზეა...

*infoblik.ru*

საინტერესო ამბები...

## ადამიანის ინტელექტუალური შესაძლებლობების პიკი 50-70 წელია?



ბევრი ამტკიცებს, რომ ადამიანი მაქსიმუმ 30 წლამდე ვითარდება, შემდეგ კი უკან-უკან მიდის, თუმცა მეცნიერებს რომ ვკითხოთ, მათი პასუხი ამ კითხვაზე რადიკალურად განსხვავებულია და ახლავე გეტყვით, რა ხდება:

როგორც ირკვევა, მრავალწლიანი კვლევის შედეგად, ამერიკელმა სწავლულებმა დაადგინეს, რომ წლების მატებასთან ერთად ადამიანის ინტელექტუალური შესაძლებლობებიც იზრდება, პიკს კი თავის ტვინის აქტიურობა 50-70 წლის ასაკში აღწევს.

აქვე იმასაც შეგახსენებთ, რომ წარსულში მართლაც არსებობდა მოსაზრება, თითქოს, წლების მატებასთან ერთად ადამიანის გონებრივი შესაძლებლობები კი არ მატულობდა, პირიქით, კლებისკენ მიდიოდა, რის მიზეზადაც თავის ტვინის უჯრედების, ნეირონების გარდაცვალება სახელდებოდა, თუმცა ახალმა და უფრო ღრმა კვლევამ ასეთი წარმოდგენა საბოლოოდ გააბათილა.

აღმოჩნდა, რომ ნეირონი წლების გასვლის პარალელურად სულაც არ კვდება, თუმცა მათთან კავშირი შესაძლოა, დაიკარგოს, თუკი ადამიანი გონებრივად არ იტვირთება. გარდა ამისა, ასაკის მატებასთან ერთად, ტვინში იზრდება განსაკუთრებული ნივთიერების, მიელინის რაოდენობა, რომელიც ნეირონებს შორის სიგნალების გავრცელებას უფრო აჩქარებს, რაც, თავის მხრივ, ტვინის ინტელექტუალურ სიმძლავრეს მთელი 3 ათასი პროცენტით ზრდის, თანაც ეს მხოლოდ საშუალო მაჩვენებელია.

*newsru.co.il*

საინტერესო ამბები...

## დამბლადაცემულმა ქალმა 7500 აჭიმვა გააკეთა



მისი ისტორია ძალიან ახლოსაა ფანტასტიკასთან – რუსეთის მოქალაქე ანიტა სიჩევა ავტომრბოლელი გახლდათ და უამრავ შეჯიბრშიც მონაწილეობდა, თუმცა 1998 წელს ის ავარიაში მოყვა და მისი ტრავმები იმდენად სერიოზული აღმოჩნდა, რომ სპორტსმენს დამბლა დაეცა, დაკარგა მეტყველების, სმენისა და მხედველობის უნარი. ექიმები იმასაც კი ამბობდნენ, რომ პაციენტისთვის სიცოცხლის შენარჩუნების შანსები პრაქტიკულად, არ არსებობდა.

გადიოდა დრო და ანიტა სიჩევა ცხოვრების ჩვეულ რიტმს ძალიან ნელა, მაგრამ სტაბილურად უბრუნდებოდა. მთელი 10 წლის მანძილზე მან მხოლოდ მარცხენა ხელის ოთხი თითის ამოძრავება შეძლო, შემდეგ კი უკვე მეტყველებაც აღუდგა, სმენაც და მხედველობაც.

დღეს ანიტა სიჩევა ნამდვილი ვარსკვლავია, რადგან სიცოცხლის სიყვარულით გაძლიერებულმა მან ჩვეულ ფორმაში ჩადგომა მოახერხა. მეტიც, სპორტსმენმა გასულ დღეებში საკუთარი ძალის დემონსტრირება მოახდინა და 7500 აჭიმვა გააკეთა.

ექიმები ვერაფრით ხსნიან, როგორ შეძლო ანიტა სიჩევამ თითქმის დაუძლეველი პრობლემის მოგვარება, მაგრამ ფაქტი ერთია – რუსი სპორტსმენი ცოცხალიცაა და ძლიერიც.

*glamur.ucoz.net*

გვერდი მოამზადა დარინა ქამადაძე 593 19-85-99

## ჩინელი მილიარდერი თავისი კომპანიის 2500 თანამშრომელს დასასვენებლად ესპანეთში უშვებს




ჩინური კომპანია Tiens Group თავისი 2,500 თანამშრომლისთვის ესპანეთში 5-დღიან საგზურს უზრუნველყოფს.

გადაწყვეტილება კომპანიის მილიარდერმა მფლობელმა, ლი ჯენუანმა მიიღო, რომელმაც გასულ წელს Tiens Group-ის 6,400 თანამშრომლის მონაკოსა და საფრანგეთში დასვენება დააფინანსა.

კომპანია თავისი არსებობის 21-ე წლის იუბილეს აღნიშნავს. მოგზაურების ჯგუფი 5 მაისს ჩავიდა ესპანეთში, ისინი მოინახულებენ მადრიდს, ბარსელონასა და ტოლედოს. წინასწარი მონაცემებით, საგზურის საფასური 7 მილიონი ევროა.

*goodnews.on.ge*

## სასამართლოზე წარმოთქმული კურიოზული ფრაზები



1. იურისტი: „მაშ ასე, ბავშვის ჩასახვა 8 აგვისტოს დილით მოხდა?“

მოწმე: „დიახ“. იურისტი: „რას აკეთებდით მაგ დროს?“ მოწმე: „ვტყ...ბდი“.

2. ბრალდებული: „ჩემი ცოლი გარეთ შიშველი კი არ გამიგდია, უბრალოდ, მინდოდა მოვხვეოდი და მეკოცნა. მან კი ეს ვერ გაიგო და ყვირილი ატეხა. ნაჯახით კი კოლოებს დავდევდი. ჩვენ ძალიან კარგი ოჯახი გვაქვს“.

3. ადვოკატი: „ეს ცხვირი გაიტეხეთ ბავშვობაში?“ მოწმე: „დიახ, მე მარტო ეს ერთი ცხვირი მაქვს“.

4. ბრალდებული: „პლაჟზე ქალებს საცურაო ტრუსს იმიტომ ვხდიდი, რომ მათ სხეულებს თავისუფლად ესუნთქათ“.

5. იურისტი: „მას სამი ბავშვი ჰყავდა, ასეა?“ ბრალდებული: „დიახ“.

იურისტი: „რამდენია ამათგან ბიჭი?“ ბრალდებული: „არც ერთი“.

იურისტი: „რამდენი იყო ამათგან გოგო?“ ბრალდებული: „ბატონო მოსამართლევ, ვინაა ეს კრეტინი? მომაშორეთ, არ შეიძლება სხვა ადვოკატი ავიყვანო?“

6. ადვოკატი: „რომელ რიცხვში ხართ დაბადებული?“ მოწმე: „15 ივლისს“. ადვოკატი: „რომელ წელს?“ მოწმე: „ყოველ წელს“.

7. იურისტი: „თქვენ ესწრებოდით პროცესს, როდესაც სურათი გადაგიღეს?“ მოწმე: „თქვენ რა, დამცინით?“

8. ადვოკატი: „რამდენი წლისაა თქვენი შვილი, რომელიც თქვენთან ცხოვრობს?“ მოწმე: „35-ის ან 38-ის, არ მახსოვს ზუსტად“.

ადვოკატი: „რამდენი წელია შვილი თქვენთან ცხოვრობს?“ მოწმე: 45.

9. ბრალდებული: „დაშავებულს რომ მივუახლოვდი ფეხი ქვას წამოვკარი და თავის დაჭერის მიზნით მის ჩანთას მოვკიდე ხელი, ინერციით 150 მეტრი გავირბინე, რამაც გააჩინა ქურდობის მცდელობის ილუზია“.

10. ადვოკატი: „შემდეგ რა მოხდა?“ მოწმე: „მან მითხრა, რომ უნდა მოგკლა, რადგან ვიცანი“. ადვოკატი: „მერე მოგკლათ?“ მოწმე: „არა“...

*interemdia.ge*

## ინდოელი ქალი 70 წლის ასაკში პირველად გახდა დედა



ინდოეთის შტატ ხარიანას მცხოვრები, 70 წლის დალჯინდერ კაური დედა გახდა. როგორი დასაჯერებელია, მაგრამ ფაქტია. დალჯინდერი 2 წლის განმავლობაში სპეციალურ ინ ვიტრო განაყოფიერების კურსებს გადიოდა. მართალია, არც ექიმს და არც არავის ძეხორციელთაგან არ სჯეროდა, მაგრამ ყველანაირმა შემოწმებამ და ტესტმა აჩვენა, რომ ქალს დაფეხმძიმების უნარი ჰქონდა. ჰოდა, აკი გახდა კიდეც დედა. ბავშვის ბიოლოგიური მამა 79 წლისაა და სიხარულით ციდან აღარ ჩამოდის.

მსგავსი შემთხვევა თურმე 2008 წელს ისევ ინდოეთში დაფიქსირებულა და მაშინაც 70 წლის ქალმა გააჩინა ბავშვი. ნუ იტყვით და ისიც ინ ვიტრო განაყოფიერებას უმადლის, რომ დღეს, 78 წლის ასაკში პატარას დედაა.

*lenta.ru*

## მსოფლიოსთვის ყველაზე პატივსაცემი კაცი — ბილ გეითსი, ქალი — ანჯელინა ჯოლი



მსოფლიოში ყველაზე პატივსაცემი ადამიანი ბილ გეითსია, ამის შესახებ საერთაშორისო მარკეტინგული კვლევის კომპანიის YouGov-ის კვლევაშია ნათქვამი.

გამოკითხვის შედეგების მიხედვით, გეითსს მოჰყვებიან ბარაკ ობამა, სი ძინპინი, ჯეკი ჩანი და სტივენ ჰოუკინგი.



ამავე გამოკითხვის შედეგებით, ვლადიმერ პუტინი რომის პაპ ფრანცისკეზე და დალაი ლამაზე მეტად პატივსაცემი ადამიანია. 2016 წლის ყველაზე პატივსაცემ ადამიანებს შორის, გამოკითხვის შედეგებით, რუსეთის პრეზიდენტი მეექვსე ადგილზეა, დალაი ლამა – მერვეზე, პაპი ფრიანცისკე კი – მეცამეტეზე.

მსოფლიოს ყველაზე პატივსაცემი ქალი კი ანჯელინა ჯოლია. დედოფალი ელისაბედ მეორე, ჰილარი კლინტონი, ოპრა უინფრი და მიშელ ობამა პირველ ხუთეულში არიან.

მსოფლიოს ყველაზე პატივსაცემი 10 მამაკაცი:

ბილ გეითსი; ბარაკ ობამა; სი ძინპინი (ჩინეთის პრეზიდენტი); ჯეკი ჩანი; სტივენ ჰოუკინგი; ვლადიმერ პუტინი; მარკ ცუკერბერგი; დალაი ლამა; ნარენდრა მოდი (ინდოეთის პრემიერ-მინისტრი); ჯეკ მა (ჩინელი ბიზნესმენი, ქველმოქმედი)

მსოფლიოს ყველაზე პატივსაცემი 10 ქალი:

ანჯელინა ჯოლი; დედოფალი ელისაბედი; ჰილარი კლინტონი; ოპრა უინფრი; მიშელ ობამა; სელინ დიონი; მალალა იუსაფზაი; ანგელა მერკელი; აუნგ სან სუ ჩი (ბირმელი პოლიტიკოსი); სანდრა ბალოკი.

*daijesti.pia.ge*

## ყველაზე ტკბილი სამსახური — ნაყინების დამგემოვნებელი



39 წლის ბრიტანელი ლუიზა ბემბერის საქმიანობა ყველაზე გემრიელ სამსახურთა რიცხვში მთლად პირველ ადგილს თუ ვერ დაიკავებს, პირველ ხუთეულში მაინც მოხვდება. ლუიზა ყოველ თვე სხვადასხვა სახის 460 ულუფა ნაყინს მიირთმევს. გარდა ამისა, საზღვარგარეთ დადის, რომ იმ ქარხნებს დაუკავშირდეს, რომლებიც ნაყინისთვის აუცილებელ მცენარეებს ამუშავებენ.

დღეში, საშუალოდ, 23 სახის ნაყინს აგემოვნებს და ალბათ, მსოფლიოში ყველაზე ტკბილი ქალია. ის პასუხისმგებელია, რომ ნაყინი ყველა მოთხოვნასა და სტანდარტს აკმაყოფილებდეს.

*anekdot-dnya.ru*

## მუხლებზე დაჩოქილი ჰიტლერი 17,2 მლნ დოლარად გაიყიდა



„კრისტის“ აუქციონზე ცნობილი იტალიელი მოქანდაკე მაურიციო კატელანის ქანდაკება – მუხლებზე დაჩოქილი ადოლფ ჰიტლერი – „ის“ (He), 17,2 მილიონ დოლარად გაიყიდა.

101 სანტიმეტრის სიმაღლის ქანდაკება მაურიციომ 15 წლის წინათ, ცვილისა და ფისისგან შექმნა. როგორც მხატვარმა განაცხადა, მან რამდენჯერმე სცადა ქანდაკების განადგურება, რადგან ეს ბოროტების განსახიერებაა.

*newposts.ge*

გვერდი მოამზადა **დარინა ქამადაძე** 593 19-85-99

## Facebook ამბები



**შორენა ბეგაშვილი**

შორენა ბეგაშვილი ჟურნალ „რეიტინგში“ ევას მამის მოსიყვარულე მამად მოხსენიებას სტამბულიდან (სადაც ევას ხერხემალზე ოპერაციას უკეთებენ) ასე გამოეხმაურა:

მოსიყვარულე მამა? ? ორ კვირაში პირველი ოპერაციიდან კიევში რომ გაიქცა, საქმე მიფუჭდებაო, ერთადერთი საჩუქარი პლანშეტი წაართვა მწოლიარე ბავშვს და შემოგვითვალა, რომც მოკვდეს არ დამირეკოთო?? ეს მოსიყვარულე მამა ელოდება? ევას მამა არ ყავს!



**შალვა რამიშვილი**

მეგობრებო! ჩვენს ქვეყანაში ისეთი ვითრებაა რომ კაი "რადიო 105" -ს მოსცხებდა კაცი.

მინდა ძველი გუნდი აღვადგინო (შეძლებისდაგვარად) და შევუზერო

დღეს ბევრი რადიოა ეფემზე. ზოგი წამგებიანიც იქნება.

თუ იცით ვინმე აქირავებს ან ყიდის რადიოს?

იქნებ მომწეროთ ინბოქსში.

ისე როგორ უყურებთ ამ იდეას ჰა?

**ქეთი ლაგვილავა** - კარგი იდეაა, მარა ქალებს არ ენდო...



**გოგი ლორთქიფანიძე:**

სასწრაფოს გზის დათმობის არ იყოს, ეხლა ნაგავი უნდა გადავყარო ბუნკერში, მერე მწვანეზე გადავიდე შუქნიშანზე, მერე მანქანა არ გავაჩერო ტროტუარზე, მერე ზებრაზე ფეხით მოსიარულეს დავუთმო გზა და თან ეს ყველაფერი გადავიღო და გავაფეისბუკო პატივცემულებო...

პ.ს.

ჩემს მძიმე ბავშვობაში ავტობუსში უფროსებს ადგილსაც კი ვუთმობდით...

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00







1. ბრტყელი თევზი
2. სრუტე პა-დე-...
3. შხამიანი მწერი
4. უკანონოდ მონადირე
5. მინდვრის ყვავილი
6. გაზვია-დება, გაბუქება
7. მათემატი-კური გამოსა-ხულება
8. ჩილეში: ავგუსტო ...
9. სომ-ხური გვარის ნაწილაკი
10. კურორტი თურქეთში
11. კუს ჯავშანი
12. მომ-ღერალი ... მეფარიძე
13. მდიდ-რული აგარაკი
14. „ბეჭ-დების მბრძან" ჰობიტი
15. იაპონური მულტი-პლიკაცია
16. მსახ. ... მაკგრე-გორი
17. მომ-ღერალი ... ვაიკულე
18. იოჰან სებასტიან ...
19. მსახიობი ანჯელინა ...
20. ერთნახადი არაყი
21. თოვლის კრისტალი
22. მწერალი ჭაბუა ...
23. ხერხემლის ბოლო ნაწილი
24. ნაცია
25. მწერალი ... აბე
26. ქელეხი
27. ... ხაიამი
28. მოგზაური ... პოლო
29. ნუშის ლიქიორი
30. ჩოხის ქვეშ ჩასაცმელი
31. მსახიობი ჟერარ ...
32. რუსული ავტომო-ბილი
33. მდ. სანქტ-პეტერ-ბურგში
34. ... შრომა, მერე ხტომა
35. სიმაღლის მიხედვით დგომა
36. მაყუ-რებლის ადგილი თეატრში
37. „მამელუკი" ავტორი კონ-დრატე თათარა-შვილი(ფსევდო-ნიმი)
38. შხამიანი გველი
39. ვულკანის ყელი
40. მსახიობი ჩარლი ...
41. ალკოჰო-ლური სითხე
42. კარტო-ფილის ნოჟო
43. ბაში აჩუკის ქუდი
44. ეთიო-პიის დედაქა-ლაქი
45. მსახიობი სიუზენ ...
46. ქალაქი დახრილი კოშკით
47. ... დაკიდე-ბული ბაღები
48. რუსი ილუზიო-ნისტი
49. დათვის ნაშიერი
50. ღორის ნაშიერი
51. კოს-მოსური კვლევის ცენტრი აშშ-ში
52. მხ/ფ „მიდიოდა ..."
53. პატარა მდინარე
54. ზღვის დიდი კიბორ-ჩხალა
55. მდინარე აღმ. საქართ.
56. სახის ნაწილი
57. ექიმი. იკვლევს შინაგანი სეკრეციის ჯირკვ-ლების ფუნქციას
58. ქალაქი კახეთში
59. მომ-ღერალი ... რიდი
60. რეჟისორი ... დე ბონტი
61. კატხა
62. ძიძა
63. ძვირფასი ქვა
64. ქალის სამოსი
65. მწერალი მაქსიმ ...
66. დიამე-ტრის ნახევარი
67. მსახიობი ... კახიანი
68. მსახიობი ვიტორიო ...
69. დაბა სვანეთში
70. ქალაქი ვოლგაზე
71. სტადიონი რიოში
72. სანოტო სისტემის ფრჩხილი
73. ... ფიტცჯე-რალდი
74. ქართუ-ლი ანბანის ბოლო ასო
75. ... ნასრედინი
76. ქართ. ხალხური ზღაპარი
77. ფარაონის სხეული
78. კონტი-ნენტი
79. მომ-ღერალი ... ბურჭულაძე
80. თბილისის უბანი
81. რუსი მხატვარი
82. ხმადა-ბალი ჟღერა-დობა
83. ზღაპ-რული კაციჭამია
84. მხატვარი ... ახვლე-დიანი
85. ნიადაგის სახეობა
86. სისხლის მიმოქ-ცევის ორგანო
87. საომარი ნადავლი
88. ქეიფი, ანუ ...
89. ... პოპესკუ გოპო
90. მსახიობი ... ლიოტა
91. „წითელი" პლანეტა
92. ფილმი, ანუ ...
93. მომ-ღერალი ... ტატიშ-ვილი
94. გამის ნოტი
95. მსახიობი ... პარიიო
96. ყვავი-ლების კონა
97. ინერ-ტული აირი
98. რეჟისორი ფრენსის ფორდ ...
99. რბილი ლითონი
100. ბათუმის გარეუბანი
101. ზანდუკი
102. საბაგო აჭარაში
103. მსახიობი ... დავოლი
104. თეფში
105. თვით-მფრი-ნავების სადგომი
105ა. მწერალი ... დე მოპასანი
106. ვარ-სკვლავ-თშორისი სივრცე
107. აჟურული საყელო
108. მონღოლი დიდე-ბული
109. მხატვარი კამილ ...
110. ნამი
111. მსახიობი ... წულაძე
112. ... კიხოტ ლამანჩელი
113. ქმრის და
114. ბრინჯაო
115. ბერძ. ანბანის პირველი ასო
116. ქურდის ... ცხონდაო
117. რძის პრო-დუქტი
118. ჟამი
119. ... შვარცე-ნეგერი
120. სიმებიანი საკრავი
121. უძველესი კოლხეთი

პასუხები: 1. ბასტილია; 2. ბაზალეთი; 3. ლიხტენშტაინი; 4. არია; 5. ბარაქალა; 6. ბარბეკიუ; 7. ეკიუ; 8. კამიკაძე; 9. ბახალა; 10. ვაშინგტონი; 11. კვახი; 12. მაკოლეი; 13. კორონაცია; 13ა. დონა; 14. ინდონეზია; 15. მალტა; 16. იანიჩარი; 17. მარტო; 18. მაკარონი; 19. მარადია; 20. შუ; 21. მუქარა; 22. კაბუკი; 23. რულეტი; 24. ოდინი; 25. ძონძი; 26. მეგა; 27. ქაბული; 28. ფრონტი; 29. ალაო; 30. დეა; 31. ნიშა; 32. პო; 33. რეკეტი; 34. ენდრო; 35. იენა; 36. იაქე; 37. ქურქი; 38. რევანში; 39. ორპირი; 40. ენ; 41. ირაო; 42. პაპარაცი; 43. არნივი; 44. გორიო; 45. იინ; 46. „სნიკერსი"; 47. „ავატარი"; 48. კასტრო; 49. ბიათლონი; 50. სპა; 51. სენეკა; 52. ოკინავა; 53. ენდი; 54. ღუდუხანა; 55. ქაფი; 56. ფაფანაკი; 57. „ივერია"; 58. იმპრესიონიზმი; 59. კეფა; 60. შუა; 61. რიკი-ტიკი-ტავი; 62. მახო; 63. ალიზი; 64. მანონ; 65. „ორერა"; 66. ალა; 67. ოფელია; 68. აგრა; 69. ბარაკ; 70. ევან; 71. ფალავანი; 72. გალიონი; 73. მედინა; 74. დიურერი; 75. პი; 76. ონი; 77. რაც; 78. ნარგილე; 79. ვისკოზა; 80. ლელო; 81. რენე; 82. კამელიებით; 83. მილა; 84. ლუარსაბ; 85. რასელ; 86. ლაბრადორი; 87. ოხრა; 88. ტიხონ; 89. კროლი; 90. ბურნუთი; 91. დავოსი; 92. ენა; 93. ექო; 94. ლუის; 95. აბოვიანი; 96. ეიფელი; 97. ლაზარეთი; 98. „მარაკანა"; 99. კვირცხალია; 100. ალენ; 101. ბურუსი; 102. ტვიდი; 103. გიზო; 104. პიურე; 105. სი; 106. იანუსი; 107. შიიტი; 108. ვარდი; 109. „აბბა"; 110. კალენდულა; 111. ბელი; 112. დრაფი; 113. შამა; 114. ავი; 115. ნია; 116. ტრაპი; 117. ფინია; 118. არნი; 119. აფიშა. იკითხება: სირაქლემა. პინგვინი. კივი.

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00



1. გერმანული ავტომობილი
2. კუნძული აფრიკასთან
3. ნიდერლანდის დედაქალაქი
4. მ/ფ „პირველი მერცხალი“ დოდო აბაშიძე
5. მსახიობი დენიელ ...
6. ცირკის ტანმოვარჯიშე
7. მსახიობი ... პიტი
8. მდინარე გერმანიაში
9. შალის საპალტოე ქსოვილი
10. ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავი
11. დაავადება: შაქრიანი ...
12. მ/ფ „ჩვენი ეზო“ ... ვასასი
13. ქარიშხალი ზღვაზე
14. აგენტი 007
15. პატარა არხი
16. ზევსის მერიქიფე
17. ვაზის საყრდენი ჯოხი
18. სინ- დიოფალა
19. მომღერალი ... სუმბაკი
20. მოსამართლის მოსასხამი
21. ბედი
22. მისი დედაქალაქია პარიზი
23. ... სუხიშვილი
24. ძვირფასი ქვა
25. სპექტაკლის-მელი
26. პატარა სასაცილო ამბავი
27. ალპური ყვავილი
28. მწერალი ჭაბუა ...
29. მეგობრული შარჟი
30. ტიბეტური ხარი
31. ღრმული წყნარ ოკეანეში
32. ინის საპირისპირო
33. რეჟისორი ... ღოღობერიძე
34. კლავიშებიანი ინსტრუმენტი
35. სომხეთის დედაქალაქი
36. მოხარშული ზეთი
37. გოგირდის შემცველი მინერალი
38. ბანდეროლი
39. მდინარე თერგის ხეობა
40. ნაჭრის მრგვალი ქუდი
41. თავადის ტიტული ინგლისში
42. ახალი ზელანდიის მკვიდრი
43. ქართ. საესტრადო ანსამბლი
44. ადამის მეუღლე
45. ქალაქი საფრანგეთში
46. რომენ როლანი. „... ბრუნიონი“
47. ფეხბურთელი რობერტ ...
48. მამის ფულადი დახმარება შვილზე
49. კომპოზიტორი ნინო ...
50. ელ. განმუხტვა ღრუბლებში
51. ტარზანის როლში ჯონი ...
52. თოვლის კაცი
53. თევზის ჯიში
54. ... კუზანოვი
55. ტბა ლოხ-...
56. შესვენება თეატრში
57. ტაილანდის ძველი სახელწ.
58. პოპოვის გამოგონება
59. ... მეფობენ და არა მეფენი
60. წყლის მოლუსკი
61. მსახიობი ... ლიოტა
62. ლითონი
63. შუადღის პურისჭამა
64. მთამსვლელი
65. სიყვარულის ღმერთი ბიჭუნა
66. ... აარონ პრესლი
67. თვალის ფერადი გარსის ანთება
68. მსახიობი დუეინ ... ჯონსონი
69. ზღვრული ნორმა
70. ერთყურიანი სათვალე
71. ბუნებისმეტყველი კარლ ...
72. იუდა ...
73. ლუდის მასალა
74. მომავლის რწმენა
75. ... ევდოშვილი
76. ... მარაბდელი
77. შიიზმის მიმდევარი
78. პირის ნაცვალსახელი
79. საკანი
80. გამჭოლი ქარი
81. ...-დე-ჟანეირო
82. ცეცხლგამძლე კარადა
83. მდინარე კახეთში
84. მაიმუნის სახეობა
85. მსახიობი ... პაჩინო
86. პიპინიას ძაღლი
87. ქალაქი იმერეთში
88. ეთერზეთოვანი მცენარე
89. მზის ღმერთი ბერძ.მით.
90. რაჯ კაპური ფილმში
91. აორტის ანთება
92. ვიეტნამის დედაქალაქი
93. მწერალი ... დე მოპასანი
94. მსახიობი ... მიდლერი
95. მსახიობი ჟან ...
96. მსახ. ... ბეგაშვილი
97. გადაშენებული ფრინველი
98. ვაშლის ღვინო
99. ბრინჯის კერძი
100. გედის ყელის ბუმბული
101. ბოსტნეული
102. აირი დედამიწის ირგვლივ
103. მომღერალი ... ჯორჯი
104. ქალაქი ნიდერლანდში
105. რეჟისორი ალფონსო ...
106. მსახიობი ... ჰეპბერნი
107. მომღერალი ... მარტინი
108. მუხის ნაყოფი
109. გიორგი სააკაძის ვაჟი
110. რაიმეს სახელური
111. ... ცეცხლს მუა
112. ესტონეთის მესამე უდიდესი ქალაქი
113. მტაცებელი ფრინველი





facebook

Facebook ამბები




თამაზ ჭეიშვილი:

პასუხი,ღრმად პატივცემულ შალვა რამიშვილს , ამ რეპლიკაზე: ,,,,ბიძინას მაგრად ჰკიდია ყველა ... და ჩვენ რა ვქნათ... ჩვენ???“ - შალვა რამიშვილი

ბატონო შალვა!... მოდი, ბატონობის გარეშე მოგმართავ, რა! ასი წელია გიცნობ! შალვა, აბა ერთი წუთით წარმოიდგინე შენი თავი ბიძინა ივანიშვილის ადგილას! ამის წარმოდგენაც კი ძნელია,ხომ? შენ,კაცი,რომელიც მთელი ცხოვრება ხელფასით და ჰონორარით ცხოვრობ,უცბად ხდები რამოდენიმე მილიარდის პატრონი! ასეთ კაცს ფსიქიკა, დამოკიდებულება, შეხედულებები რადიკალურად სხვანაირად აქვს ,,მოწყობილი,, ,ვიდრე შენ,მე და კიდევ ბევრ ჩვენისთანა მოკვდავს გვაქვს. კითხვა სწორად არის დასმული -,,ჩვენ რა ვქნათ,ჩვენ?,, ... ამ შეკითხვას ივანიშვილი ვერ გასცემს პასუხს,ერთი უბრალო მიზეზის გამო-ივანიშვილი იმ განზომილებაში ცხოვრობს სადაც მე და შენ ვერასდროს მოვხვდებით და ის პრობლემები,რაც შენ და მე გვახვევია,იმ ,,განზომილებაში,, საერთოდ არ არსებობს! აქ არ არის საუბარი იმაზე,კარგია , თუ ცუდი ,,ივანიშვილის განზომილება,,! არ ვიცი,ყვეაფერი შედარებითია! ,,ის რაც გერმანელისთვის ნეტარებაა, ქართველისთის ტნჯვა გამოდის,, ..იცი შენ, ძველი ფრთიანი, გამონათქვამია! ამიტომ, მილიარდერის მენატალობიდან და ფსიქიკიდან გამომდინარე ისეთ ,,რაღაცეებს,, ნუ მოვთხოვთ,რაც მისთვის საერთოდ უცხო და გაუგებარია! აბა ,რა უნდოდა პოლიტიკაში რომ მოდიოდაო, იკითხავ! რა ვიცი? ვერ გიპასუხებ, იმიტომ,რომ ჩემი და მილიარდერის მენტალობა და შეხედულებები პლანეტა მარსსა და დედამიწასავით რადიკალურად სხვადასხვაა! ჩვენ იმაშიც კი არ ვართ დარწებული,რომ ბიძინას ,,მაგრად ჰკიდია ყველა,, ...ის ცნება . ,,ჰკიდია,, .,მისთვის საერთოდ გაუგებარია! წარმოიდგინე,შალვა,ამ კაცისთვის პრინციპში ,წინააღმდეგობა არ არსებობს! პლანეტზე არ არსებობს,მთელ პლანეტაზე,არამც თუ ერთი ციცქნა ქვეყანაში! რასაც უნდა იმას შეიძენს...მაგალითად კუნძულს იყიდის,თავისი აბორიგენებით და მთელი წელი აძახებინებს. ქართულად ,,მიშას დედაც... ბიძო მაგარიაო!,, ...ან,რა ვიცი, შეიძლება უფრო ორგინალური რამ მოიფიქროს.ხედავ რა ქნა,მთელი სოფელი,მისი მშობლიური სოფელი შვეიცარიად აქცია, აღარაფერს ვამბობ მის მიერ აშენებულ სახელმწიფო სტრუქტურებსა თუ რეალურ ნაგებობებზე! რა არის ეს მისთვის, გაცნობიერებული ქველმოქმედება ,თუ ,,ქველმოქმედებებით ,გართობა,,? არც ამაზე მაქვს კონკრეტული პასუხი! თუ ,,თამაში და გართობა,, მაინც კარგია! სოროსი, მაგალითად, ომებით და რევოლუციებით ,,ერთობა,,... ეს ამას არ აკეთებს! ესეიგი, გულით ბოროტი არ უნდა იყოს! მხოლოდ ერთი რამ ვერ გაითვალისწინა ქართველმა მილიარდერმა, რომ არსებობენ გაცილებით ძლიერი და გავლენიანი მულტი მილიარდერები, რომლებიც ბიძოს,ჯიბეში ჩაისვამენ! აი ეს ვერ გათვალა და გაზომა ,,კეთილი თამაშით გართულმა,, თორემ, რატომაც არა, დაიმკვიდრებდა სათნო და პატრიოტი მილიარდერის სახელს, ისტორიაში შევიდოდა! არაო! თითი დაუქნიეს დასავლეთიდან, შენ,ჩვენო ,,კეთილო,, სტრატეგიული გეგმების განხორციელებაში გვიშლი ხელს და თუ არ დაეტევი ბოტანიკურ ბარში, ბოტანიკოსად გაქცევთ! ბოლო ცენტამდე გაგაკოტრებთ და ,,მშრალ ხიდზე,, გაგატნინებთ ვერცხლის დანა ჩანგალს გასაყიდათო! ესეც ადგა და დაახვია პოლიტიკიდან, აღარ მინდა თქვენთან თამაშიო! ——— შალვა,მეც შენსავით მიყვარს საქართველო. შენსავით მტკივა ქართული პრობლემები, თუმცა გამოსავალი ვერ მიპოვია... ვერ მიპოვია იმიტომ, რომ არსებობს ამერიკის, რუსეთის, ევროპის ფაქტორი და მაგის გარდა,,ქრისტე ღმერთი კი არა ვარ,სამჭკუაშვილი ვაარ,,... პატივისცემით თამაზ ჭეიშვილი !

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო

## თურმე, როგორი მარტივია ქალისთვის თავის შეყვარება...



ქალებს რომ ყურებით უყვარდებათ და კაცებს თვალებით, რად უნდოდა ამ საჯაროდ ცნობილ ფაქტს, ამხელა ხალხის, ბრიტანელი მეცნიერების შეწუხება და კვლევა, მაგრამ ადამიანებს ხომ სიტყვები – კვლევა და ექსპერტი ძალიან მოგვწონს და პირდაპირ უსიტყვო ნდობას ვუცხადებთ. ამიტომაც, შეიწუხეს ბრიტანელებმა თავი და ექსპერიმენტი ჩაატარეს.

რას მიქვიან ფულის, გარეგნობისა და სტატუსის ძალა ენის ძალასთან.

კაცების ერთი ნაწილი ქალებს საკუთარ თავზე, უბრალოდ, ფაქტებს უყვებოდნენ, სად მუშაობდნენ, თავისუფალ დროს რას აკეთებდნენ, რა მოსწონდათ და ა.შ. მეორე ნაწილი კი ენაწყლიანობდა, თავის ცხოვრებას იუმორისტულ საბურველში ხვევდა და ფაქტებს მხატვრულად ყვებოდა. აბა, თუ გამოიცნობთ, რომელმა კატეგორიამ დაიმსახურა ქალების სიყვარული? აბსოლუტურად მართალი ხართ.

რა თქმა უნდა, მოსაწყენთან და მონოტონურთან პაემანი არავის სურს.

*myjane.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო

## ყოფილ პარტნიორთან მეგობრობა არანორმალურია



მართალია, თანამედროვე მსოფლიოსთვის ყოფილ პარტნიორთან მეგობრობა ჩვეულებრივი მოვლენაა და რაღაცით მოდურიც, მაგრამ ვშიშობ, ოკლენდის უნივერსიტეტის მეცნიერები ცივ წყალს გადაასხამენ და მსგავს მეგობრებს ფსიქოპათებადაც შერაცხავენ.

კვლევაში 900 ადამიანი მონაწილეობდა, რომელთა წყალობითაც მეცნიერებმა არაჯანსაღი ტენდენცია გამოავლინეს. მათი თქმით, ყოფილ პარტნიორთა ურთიერთობის შენარჩუნებას ცდილობენ ან ნარცისები, ან ფსიქოპათები, ან უსინდისოები, რომლებიც ყოფილ სიყვარულს საკუთარი მიზნებისთვის იყენებენ და როგორც წესი, ეს მიზნები გარკვეულ ინტრიგას შეიცავს. რაც შეეხება ნარცისებსა და ფსიქოპათებს, მათ არ შეუძლიათ ძველი ურთიერთობის დამთავრება და დღევანდელ დღესთან შეგუება. კაცები ურთიერთობას სექსის გამო ინარჩუნებენ, ქალები კი, ემოციურ დამოკიდებულებას განიცდიან.

ასე რომ, ნურც თავს მოვიტყუებთ და ნურც სხვისთვის გავიმეტებთ უხვად ნაცარს.

*myjane.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო

## ნავიგატორის რჩევით, გერმანელმა მანქანა მდინარეში ჩააგდო

მაშ როგორ, კაცოო, ნავიგატორი რისთვისაა, რაღაში მჭირდება, თუ კიდევ მე ვარკვიე, სადაა გზა და სად წყალიო. ავარდა და დავარდა ერთი გერმანელი მძღოლი, მაგრამ აქეთ ადგილობრივი სახანძრო სამსახურის თანამშრომლები არ ცხრებიან, ყველაფერი გარკვევით ეწერა და წყალში თუ უნდოდა მანქანის გამოცდა, მაგდენი აღარ ვიცითო.



რა მოხდა და ეს პატიოსანი გერმანელი ჰამბურგში მიდიოდა, მაგრამ ელბაში ამოყვინთა. უნდოდა, მდინარეზე საბორნე გზით გასულიყო, მაგრამ აღმოჩნდა, რომ გზა ბოლომდე გაკეთებული არ იყო და შუა მდინარეში წყდებოდა. ნავიგატორმა არ გააფრთხილა, თავად აღარ დააკვირდა და პირდაპირ შეცურა.

„სიბნელე იყო, თანაც წვიმდა და ვერ გავარჩიე, თორემ ძალიან ყურადღებით ვატარებ ხოლმე მანქანას“, – თავის მხრივ მარცხი არ შეიმჩნია მძღოლმა.

ასეა თუ ისე, მგზავრები საავადმყოფოში გადაიყვანეს, ე მანდ ცივი წყლის გამო, ჰიპერტონია არ აიკიდონო.

*anekdot-dnya.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## ჩინელი პოლიციის თანამშრომელი უშარვლოდ გადაღებული ფოტოს გამო სამსახურიდან გაუშვეს



ზოგადად, სამსახურებრივი ფორმა იმისთვის არსებობს, რომ პიროვნება, რომელსაც ფორმა აცვია, ავტომატურად გაიგივებულია რომელიმე კონკრეტულ დაწესებულებასთან. როცა, მაგალითად, ადამიანს აცვია თეთრი ხალათი და კისერზე ფონენდოსკოპი აქვს, ესე იგი ექიმია და მასში პირველ რიგში ექიმს ხედავენ, მერე კონკრეტულ პიროვნებას. ამიტომ სამსახურის ფორმა პირადი და მით უმეტეს გასართობი მიზნებისთვის არ უნდა გამოვიყენოთ.

ჩინეთში, ქალაქ დანდაიში პოლიციის ერთ-ერთი თანამშრომელი სამსახურიდან იმიტომ გაათავისუფლეს, რომ პოლიციის ფორმის პერანგსა და მოკლე შორტებში სელფი გადაიღო და სოციალურ ქსელში განათავსა.

მსგავსი მიზეზით ერთ-ერთი შვეიცარიელიც დაემშვიდობა სამსახურს. ანდრეს შობლუმს არ მოსწონდა, თავისი გრძელი შარვალი და ისე იკეცავდა, რომ ნახევარი ფეხები უჩანდა. ხელმძღვანელობამ ცოტა ხანს ითმინა ანდრესგან სამუშაო ფორმის თვითნებური გადაკეთება და ერთ მშვენიერ დღეს სამსახურის კართან თანამშრომელმა შარვლის გადაკეთება რომ დააპირა, მივიდნენ და განუცხადეს, რომ ფაბრიკაში აღარ მუშაობდა და ამიერიდან შეეძლო, სულაც შორტებით ევლო.

*lenta.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## ,,ფეისბუკ“ მომხმარებლები სამსახურში ქუსლიანი ფეხსაცმლით სიარულის წინააღმდეგ

კანადის პროვინცია ალბერტაში „ფეისბუკ“ მომხმარებლები ოფიციანტების მხარდასაჭერ კამპანიას სოციალური ქსელით ეწევიან.



საქმე ისაა, რომ პროვინციის ერთ-ერთ კაფეში მიმტანებს აიძულებენ, ქუსლიანი ფეხსაცმლით იმუშაონ. მრავალსაათიანი სამუშაო დღის შემდეგ კი, გოგონებს ფეხები სისხლში აქვთ ამოსვრილი. ფოტოზე, რომელიც „ფეისბუკით“ გავრცელდა, ჩანს, როგორ ტანჯვას უძლებენ მიმტანები.

ფოტო ერთ-ერთი მიმტანის მეგობარმა განათავსა და ისიც დაწერა, რომ მიუხედავად იმისა, რომ მის მეგობარს ასეთი აუტანელი მდგომარეობა ჰქონდა, მეორე დღეს უფროსმა უფლება არ მისცა, უფრო მოხერხებული ფეხსაცმელი ჩაეცვა.

დაახლოებით, იმავე მიზეზით გაათავისუფლეს ლონდონში ერთ-ერთი ფირმის თანამშრომელი. მას შემდეგ, რაც ნიკოლ ტორპმა განაცხადა, რომ დისკრიმინაცია იყო, მისგან ქუსლიანი ფეხსაცმლით სამსახურში სიარულის მოთხოვნა, ხელმძღვანელმა სამსახურიდან გაათავისუფლა.

მარტივი კანონები აქვთ ხოლმე – არ მოგწონს? წადი.

*lenta.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## მსოფლიოში ყველაზე შეუხედავმა ძაღლმა გმირის ტიტული დაიმსახურა




ალბათ, ბევრჯერ მოგისმენიათ და თავადაც ბევრჯერ გითქვამთ – გარეგნობა მთავარი არ არის, მთავარია, როგორია შინაგანად. ეს ფრაზა ცხოველებზეც ვრცელდება. ჩინური ჯიშის ძაღლი, სახელად მაგლი, პატრონმა დაბადებისთანავე უარყო. მიტოვებული მაგლი ბრიტანულმა ორგანიზაციამ შეიფარა, სადაც თერაპევტი ძაღლის ფუნქცია შეითავსა. მაგლი ეხმარებოდა რთულ სიტუაციაში ჩავარდნილ ბავშვებს, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს და ყველას, ვისაც თანადგომა სჭირდებოდა.

12 წლის ასაკში მაგლი პენსიაზე გავიდა. მისი ახალი პატრონი და საქველმოქმედო ორგანიზაციის წევრი, ბევ ნიკოლსონი აღფრთოვანებულია ძაღლით.

„იგი ყველასთან მიდის, ბრმებს ეხმარება და გაღიზიანებულებს ეფერება“, – განაცხადა ნიკოლსონმა.

2012 წელს მაგლიმ ამერიკაში ჩატარებულ კონკურსში გაიმარჯვა და გმირის წოდება დაიმსახურა. მანამდე კი მსგავსი პრიზი ლონდონის კონკურსზე მოიგო.

სანამ შინაურ ცხოველს გარეგნობის გამო გაწირავთ, დაფიქრდით, იქნებ მომავალ გმირზე ამბობთ უარს.

*lenta.ru*

გვერდი მოამზადა დარინა ქამადაძემ 593 19-85-99

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო

## ბატმა შვილების გადარჩენა... პოლიციას სთხოვა



თუ ფიქრობთ, რომ პოლიციის დახმარებით სარგებლობა მხოლოდ ადამიანებს შეუძლიათ, ცდებით. ამერიკელმა ბატმა დაამტკიცა, რომ პოლიციის მზრუნველობა ყველაზე და ყველაფერზე ერთნაირად ვრცელდება.

ოჰაიოში, პოლიციის გაჩერებულ მანქანას ბატი მიუახლოვდა და ცდილობდა, კარს შეხებოდა.

„კარზე კაკუნი დაიწყო. როცა გავხსენი, შემომხედა და იმ ადგილისკენ წავიდა, სადაც თოკში გახლართული მისი შვილები თავის დახსნას ცდილობდნენ. როგორც წესი, ბატები ადამიანთან ასე ახლოს არ მიდიან“, – განაცხადა პოლიციელმა ჯეიმს ჯივენსმა.

მეორე პოლიციელი, სესილია ჩერონი კი ბატის სიმშვიდით გაოცებული იყო.

„ყოველთვის მეგონა, რომ ბატებს ადამიანის ეშინიათ და თუ ადამიანები მიუახლოვდებიან, თავდასხმაზე გადადიან. ის კი მშვიდად იყო“, – აღნიშნა პოლიციელმა.

ცოტა ხნით ადრე, სამხრეთ კაროლინაში ალიგატორი ერთ-ერთი სახლის კარს მიუახლოვდა, უკანა ფეხებზე აიწია და ზარი დარეკა.

ამ მხარეში ალიგატორები არავის უკვირს, მაგრამ სახლში ზრდილობიანად შესვლის მსურველი რეპტილია პირველი იყო.

*lenta.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო

## ტყუპების დედაქალაქი უკრაინაში



უკრაინული სოფელი ველიკაია კოპანია ერთი შეხედვით სხვა სოფლებისგან არაფრით განსხვავდება, თუმცა მას ადგილობრივი და მსოფლიო მედია ხშირად ახსენებს. საქმე ისაა, რომ სოფელი ტყუპების განსაკუთრებული სიმრავლით გამოირჩევა, ყოველ მეხუთე ოჯახში ტყუპი ცხოვრობს. სწორედ ამიტომ, ამ ადგილს „ტყუპების დედაქალაქს“ უწოდებენ, 4000 მოსახლეზე 122 ტყუპი მოდის. ტყუპების მასობრივი გაჩენა 1940 წლიდან დაიწყო, ამიტომ აქ შეხვდებით, როგორც ერთნაირი გარეგნობის მოხუცებს ასევე, ახალშობილ ტყუპებსაც.

ადგილობრივები ამ მოვლენას არა მოსახლეობის განსაკუთრებულ გენეტიკას, არამედ სოფელში არსებულ წყაროს უკავშირებენ, რომლის წყლის შემადგენლობაც მათი თქმით შობადობის სტიმულირებას ახდენს. მათ მაგალითად მოჰყავთ ერთი უშვილო ქალი, რომელიც მათ სოფელში ჩამოვიდა, აღნიშნული წყალი დალია და გარკვეული ხნის შემდეგ მანაც ტყუპები გააჩინა. სწორედ ამიტომ, ამ სოფლის წყარო განსაკუთრებულად პოპულარულია უშვილო წყვილებში.

მეცნიერებმა აღნიშნული წყლის ექსპერტიზა ჩაატარეს და აღმოაჩინეს, რომ მასში სელენიუმის ჭარბი შემადგენლობაა. წყაროს „სასწაულმოქმედებაში“ დარწმუნებულია ადგილობრივი ეკლესიაც.

*newposts.ge*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო

## გენიალური მოფიქრება ბავშვის გასართობად



ყველა მშობელმა იცის, რომ ბავშვებს დიდხანს ერთ რამეზე კონცენტრირება არ შეუძლიათ. როცა ბავშვს ისეთ რამეს მიუტან, რომელზეც დიდი ხნის განმავლობაში ოცნებობდა, ისიც კი მალევე ბეზრდება და ყველას გასაკვირად, თამაშს იმ ყუთით იწყებს, რომელშიც საჩუქარი იდო.

ერთმა ყურადღებიანმა მამამ კი შენიშნა, რომ მის შვილს ყველაზე მეტად, საყოფაცხოვრებო ნივთები იზიდავდა და გადაწყვიტა, შვილისთვის მთელი სათამაშო ცენტრი საკუთარი ხელით შეექმნა. სახლში სხვადასხვა ნივთები მოაგროვა – ტუალეტის სამაგრით დაწყებული, ტელეფონით დამთავრებული. ყველაფერი ეს დაფაზე მიამაგრა. აი, ამ სათამაშოს კი, ბავშვი ველარ მოსცილდა.

ამ ინოვაციურ გამოგონებას – საკეტების დაფა, განსავითარებელი პანელი, ან რაც გსურთ, ის დაარქვათ. არსი ასეთია: მყარ ზედაპირზე მაგრდება სხვადასხვა საკეტები, ღილაკები, მაგნიტები და ა.შ. დაფა შესაძლებელია, ფერადი ქაღალდებითა და ნახატებით მორთოთ. მთავარია, რომ ბავშვი ამ გამოგონებით დიდხანს ერთობა და თქვენ საშუალება გაქვთ საქმე მშვიდად აკეთოთ.

*postalioni.com*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## 3-დოლარიანი ფიალის მოტანილი სიმდიდრე



ცოლ-ქმარი ისე გახდნენ უძვირფასესი საგანძურის მფლობელი, რომ თავადაც ვერ წარმოედგინათ. ნიუ-იორკში წლების წინათ ისინი თავიანთ საცხოვრებელ რაიონში სეირნობისას სახლს გადააწყდნენ, რომლის პატრონიც სხვა ქალაქში გადადიოდა საცხოვრებლად, ხოლო ყველა ის ნივთი, რომელსაც საჭიროდ აღარ თვლიდნენ, გასაყიდად გამოეტანათ.

სხვადასხვა ნივთებს შორის, ცოლ-ქმრის ყურადღება საინტერესო ორნამენტებით გაფორმებულმა არასტანდარტულმა ფიალამ მიიქცია. საბოლოო ჯამში, ფაიფურის ნივთი მათ 3 დოლარად შეიძინეს.

ცოლ-ქმარი ფიალას არავითარ მნიშვნელობას არ ანიჭებდა და მხოლოდ თაროზე ჰქონდათ შემოდებული. ვინ იცის, კიდევ რამდენი ხანი იდებოდა ასე, რომ არა ერთ-ერთი სატელევიზიო გადაცემა, სადაც კოლექციონერებზე იყო საუბარი, კერძოდ კი, ფაიფურის ვაზებსა და ფიალებზე. სწორედ ამ მომენტში გაახსენდათ ცოლ-ქმარს, რომ მათ ოჯახშიც ინახებოდა ფაიფურის ნივთი.

განსაკუთრებული მოლოდინის გარეშე მათ ფიალის თვალიერება დაიწყეს და უკანა მხარეს ბრენდირების ნიშანს გულდასმით აკვირდებოდნენ. ფიალაზე ამოტვიფრული ნიშანი კი სწორედ იმ დეტალს ჰგავდა, რაზეც გადაცემაში საუბრობდნენ. ცოლ-ქმარმა ამჯერად უკვე ნამდვილად გადაწყვიტეს, ნივთი ანტიკვარიატის სპეციალისტებთან შეემოწმებინათ. განაჩენი სრულიად მოულოდნელი იყო – ფიალა იყო არა მხოლოდ ძვირფასი, არამედ ძალიან ძვირფასი! ის ეკუთვნოდა სუნის დინასტიის ეპოქას, რომელიც ჩინეთის იმპერიას დაახლოებით ათასი წლის წინათ მართავდა.

წინასწარი შეფასებით მისი ღირებულება 300 ათას დოლარზე მეტი იყო. თუმცა უფრო ღრმა ანალიზი ცხადყოფდა, რომ ამ ნივთის ფასი ბევრად უფრო სერიოზული იყო. ფიალა „სოტბის“ ცნობილ აუქციონზე გაიტანეს და ფანტასტიკურ ფასად – 2 225 000 დოლარად გაიყიდა.

დაუჯერებელი იყო, როგორ შეიძლებოდა ერთ უბრალო ბაზრობაზე ასეთი ღირებული ნივთის შეძენა. ვინ იცის, რამდენი თაობის ხელში გამოიარა და ვერავინ ხვდებოდა, რა საგანძური ედო სახლში.

*newposts.ge*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## 5 ყველაზე სახიფათო პროფესია, სადაც სიკვდილიანობის ალბათობა მაღალია



თანამედროვეობამ ბევრად გაგვიმარტივა ესა თუ ის საქმიანობა, თუმცა ადამიანი 100 პროცენტით დაცული ვერ გახდა, ამის ნათელი დადასტურება სტატიაში წარმოდგენილი ის 5 პროფესიაა, რომელმაც ადამიანები იმსხვერპლა.

1) მექანიკი – ადამიანი, რომლის საქმიანობა ავტომობილების შეკეთებაა – ეს სახიფათო საქმიანობად ითვლება იქიდან გამომდინარე, რომ მათ უხდებათ შხამქიმიკატებთან და სახიფათო ხელსაწყოებთან ურთიერთობა, ასევე დიდია ალბათობა იმისა, რომ პროფესიული საქმიანობის შესრულების დროს მძიმედ დაშავდნენ.

2) მჭედელი – მათ ხშირი ურთიერთობა უწევთ ლითონთან, ეს კმარა მხოლოდ, რომ ეს პროფესია ვაღიაროთ, როგორც სახიფათო – მაღალი სიცხე, მძიმე ინსტრუმენტები და ტოქსიკური ნივთიერებები.

3) საძიებო და სამაშველო მომსახურების პერსონალი – ეს არის პროფესია, სადაც ადამიანს ყოველთვის უწევს განსხვავებულ სახიფათო სიტუაციებში მოხვედრა, ისინი ყოველთვის უნდა იდგნენ ხალხის სამსახურში, არ აქვს მნიშვნელობა, მიწისძვრა იქნება თუ ხანძარი.

4) სანიტარიულ-ტექნიკური მომსახურების თანამშრომელი – ეს არის ადამიანი, რომელსაც ყოველთვის უწევს ტოქსიკურ ნივთიერებებთან შეხება, აქედან გამომდინარე, ის ყოველთვის საფრთხეში აგდებს თავის ჯანმრთელობას.

5) გამნაღმველები – გამნაღმველები არა მარტო ადამიანები, არამედ რიგითი ჯარისკაცები არიან, რომლებსაც უწევთ ასაფეთქებელი მოწყობილობების გაუვნებელყოფა, ეს დიდ რისკებთან არის დაკავშირებული, რომელიც დიდ ცოდნასა და სიფრთხილეს მოითხოვს.

*intermedia.ge*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## სიყვარულო, ძალსა შენსა!



თურმე ეს ფრაზა ყველაზე ერთნაირად ჭრის. არ აქვს მნიშვნელობა, ადამიანია, ცხოველია, ფრინველია, თუ მწერია. ურთიერთობის განცდა ყველას აქვს. ვისაც არ სჯერა, დასტურად ჩინეთის ქალაქ ჰანჩჟოუს ზოოპარკის ამბავს მოვიყვანთ. ტერარიუმში ჩაყარეს თაგვები – დედალი და მამალი. თურმე, ეს თაგვები ცოლ-ქმრის წყვილი იყო. გველი პირველად ქმარს დაესხა თავს. რა უნდა ექნა სასოწარკვეთილ ცოლს, როცა ავი გველი ქმარს თვალწინ უჭამდა. მივიდა და გველს თავისი მღრღნელი კბილებით ჩაავლო. მართალია, თავდამსხმელს ბევრი ვერაფერი დააკლო, მაგრამ ქმრის გადარჩენის მცდელობა ხომ ჰქონდა?

*facebook*

გვერდი მოამზადა **დარინა ქამადაძე** 593 19-85-99

Facebook ამბები



**ნანუკა ჟორჟოლიანი:**

ზარი ტელეფონი.

- ნანუკა გამარჯობა, მე თქვენ არ მიცნობთ, ფბ-ზე მოგწერეთ და მგონი ვერ წაიკითხეთ.

მე- რა მომწერეთ.

- შემოთავაზება გვქონდა.

მე- რა შემოთავაზება?

-თქვენ თმებს აფრიკული ნაწნავები მოუხდება და ჩვენ ვაკეთებთ მაგრად.

მე- ბატონო?

- აფრიკული ნაწნავები გვინდა გაგიკეთოთ.

მეტის ღირსი ვარ:) რა მეგონა თმებს რომ მალინისფრად ვიღებავდი. ხალხს გონია გავგიჟდი:)



**ცოტნე გამსახურდია**

წეღან ვათვალიერებდი ჩემ ძველ წიგნებს, ერთი ძველი, ნაჩუქარი წიგნი შემხვდა რელიგიურ ტექსტებსა და სწავლებებზე. გადავწყვიტე ამოვწერო და შემოგთავაზოთ წმინდა მამების, ქრისტიანობის ფუძემდებლების ნააზრევი, რასაც ეკლესია უმალავს ადამიანებს... ნეტა ბრმევლი რას უზამდა ამ სიტყვების ავტორებს, დღეს რომ ეცხოვრათ...?

"ადამიანის გონებას არ ძალუძს გაიაზროს ღმერთი, რადგან მასზე, მის გონებაზე უარყოფითად მოქმედებენ ვნებები, წარმოდგენები, ოცნებები. ღმერთის შესახებ სწავლებებში შეცდომა არის ის, რომ მასზე ფიქრობენ სხეულის ანალოგიების მოხედვით და მიაწერენ მას თვისებებს, რომლებიც ახასიათებს სხეულს, ან მიაწერენ ფსიქიურ თვისებებს, რაც დამახასიათებელია ინდივიდუალური სულისთვის, ან გამოხატავენ მას რაიმე საზღვრებში, რაც არ შეესაბამება სინამდვილეს"

ნეტარი ავგუსტინე

"ჩვენი სულები ამჟამინდელ მდგომარეობიდან უნდა გადავიდნენ სხვა მდგომარეობაში და იცვალონ ფერი ღვთაებრივ ბუნებაში. ამ მდგომარეობის მიღწევის შემდეგ ისინი გახდებიან ძენი, უფალნი და ღმერთნი, იქცევიან უპირატეს პირველ ადამიანზე, რამეთუ ხდებიან განღმრთევებულნი."

წმინდა მაკარი ეგვიპტელი.

**ბესიკი ადამია** -სხვისი არ ვიცი, მაგრამ საპატრიარქოს მდივანი,ქ-ნი შორენა თეთრუაშვილი რომ პატრიარქთან მისასვლელ გზას მალავს,ეს თავად ვიცი და ის კი არ იციან,რომ მათი ნება უფლის ნება არ არის,საქმე მაინც წინ წავიდა !

**მარინა სულხანიშვილი** - რა მოხდა მერე? )) მთავარია ღმერთთან მისასვლელ გზას ვერ დამალავს.

## ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები

მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);

გაზეთი „ალია“ იზიარებს თქვენს მწუხარებას



# მანანა გაბუნიას გამოსათხოვარი

ეს გაზაფხული უკანასკნელი გამოდგა მანანა გაბუნიასთვის...

12 მაისის დილას ჩვენმა სათნო, ლამაზმა მეგობარმა სამუდამოდ მიატოვა ეს წუთისოფელი და მარადიულ სამყოფელში გადაინაცვლა.

ბავშვობიდანვე ნიჭიერებითა და სიბეჯითით გამოირჩეოდა – სკოლა ოქროს მედალზე დაამთავრა და მრავალმხრივი ინტერესის მიუხედავად, ურთულესი და უკეთილშობილესი პროფესია – ექიმობა აირჩია. ეს არჩევანი ზუსტი და გამართლებული აღმოჩნდა. ამის დასტურია სამედიცინო ინსტიტუტის წითელი დიპლომი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი, კარდიოლოგიის პროფესორის საპატიო წოდება... ის თითქმის ორი ათეული წლის განმავლობაში მუშაობდა მაღალი პრესტიჟის მქონე სეჩენოვის სახელობის პირველ სამედიცინო უნივერსიტეტში – დაუღალავად, ერთგულად და უპრეტენზიოდ ემსახურებოდა საყვარელ საქმეს.

მანანას ნატიფი სული მუდმივად მშვენიერებას მიელტვოდა. მუდამ ცდილობდა, ყოველდღიურობის უსახურობანი პოეზიის, მუსიკის, ხელოვნების მომხიბლავი ფერებით გადაეფარა. გატაცებით შეეძლო საუბარი საყვარელ წიგნზე, ლექსზე, ახალ თეატრალურ შთაბეჭდილებებზე. ის მხოლოდ სხეულის კი არა, სულის მკურნალიც იყო!

სხვების ჯანმრთელობაზე მზრუნველს, სრულიად მოულოდნელად, უკურნებელი დაავადება დაუდგინეს. წლების მანძილზე გასაოცარი მოთმინებითა და ნებისყოფით ებრძოდა შიშსა და ტკივილს, მხნეობასა და იმედს არ კარგავდა, მეტიც – სხვებს იქით ამხნევებდა და ამშვიდებდა. ბოლო დღეებამდე ზრუნავდა და ფიქრობდა ოჯახზე – საყვარელ მეუღლესა და შვილზე.

გვჯერა, ამ ქვეყნიდან ნათელ შუქად გაჰყვა ერთადერთი ვაჟის – ჩვენი საამაყო ირაკლის ბედნიერება, მაგრამ გრძნობდა და ძალიან წუხდა, რომ შვილიშვილების დაბადების სიხარულს ველარ მოესწრებოდა.

მანანა გაბუნიას წასვლით ოჯახმა შესანიშნავი მეუღლე და დედა დაკარგა, მეგობრებმა – ფაქიზი, სანდო და ერთგული ადამიანი, ხოლო ქვეყანამ – მაღალი შეგნების მქონე პიროვნება და მოქალაქე, თავისი საქმის პროფესიონალი.

ალბათ, სიმბოლურია, რომ მანანას გარდაცვალება ერთ-ერთ უდიდეს მართლმადიდებლურ დღესასწაულს – საქართველოში ქრისტიანობის შემოსვლის დღეს დაემთხვა.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სული, უფალმა დაგიმკვიდროს ადგილი ცათა სასუფეველში!

ჩვენ მუდამ გვემახსოვრები, წუთისოფლიდან ნაადრევად წასულო მეგობარო!

თენგიზ ცერცვაძე, ნოდარ ემუხვარი, რეზო გაგუა, ნათელა მითაიშვილი, ცისანა შარტავა, მერცია ბოსტოღანაშვილი, მანანა მალანია, ლალი ჭილაია, ლარისა ჩხაიძე, დალი ბედია, ნუგზარ კუჭავა, ანა თოფურია, სვეტა მარკოზაშვილი, ნუნუკა ალასანია, მაია ბოკუჩავა, მანანა ზოდელავა, ნინო ცხოვრებაშვილი, გულიკო ასათიანი, ზიზი ცაგარეიშვილი, ნანა შველიძე, მზია ასათაშვილი, მანანა გამგონეიშვილი.

---

### მანანა

მედეას, კოლხი მეფის ასულის,
მე დამყვა სიბრძნე — კურნების ნიჭით
და ამაღლება იმ მოვლენებზე,
რასაც სხვა ვერ თმობს, შიშობს განიცდის...
ფილოსოფიურ სიღრმეთა წვდომით,
ვარ ქალი, დედა, და მიჯნური იმ იდეალთა
რითაც შეგიტკბეთ, მეუღლევ ჩემო, რითაც მომწონდით...
მინდობილი, ჩემს არჩევანს ვაწესებ წესებს
და ვფიქრობ თქვენზეც სიყვარულით, და სიცოცხლეზეც.
გააზრებულს, ვუსწორებ თვალს, აწმყოს-წარსულით...
ყოველი ესე, ტრადიციით სუნთქავს ქართულით!

*ნატა დევიძე 2005 წ.*

## მოსწავლემ მაიას ტომის დაკარგული ქალაქი აღმოაჩინა



მაიას ტომი ჯერ კიდევ ამოუწურავი თემაა. სწორედ, ამაზე მეტყველებს 15 წლის კვებეკელი მოსწავლის უილიამ გადურის აღმოჩენა. სატელიტური ფოტოების დახმარებით, უილიამმა მაიას ერთ-ერთი ქალაქი აღმოაჩინა.

გადურიმ მაიას ტომის უდიდესი დასახლების რუკის მიხედვით ვარსკვლავური რუკა შექმნა. გარდა ამისა, აღმოაჩინა ციური სფეროს ახალი ნაწილი, რომელიც სამი ვარსკვლავისგან შედგება, ორი მათგანი კი ქალაქს შეესაბამება.

გადურიმ იფიქრა, რომ მესამე ვარსკვლავიც შესაძლებელი იყო, რომ ქალაქის აღმნიშვნელი ყოფილიყო, ამიტომ კანადის კოსმოსურ სააგენტოს სატელიტური ფოტოების ჩვენება სთხოვა. შედეგად კი, მოსწავლემ ფოტოებზე რელიეფის ანთროპოლოგიური ხასიათის ელემენტები აღმოაჩინა, რომელიც უძველესი ქალაქის ნარჩენებს შეესაბამება. აღმოჩენილ ქალაქს „ცეცხლის პირი“ დაარქვეს.

ახალი ქალაქი მაიას ტომის უკვე აღმოჩენილ ქალაქებს შორის, სიდიდით მეოთხეა და დაახლოებით 100 კვადრატულ კილომეტრს მოიცავს. ქალაქში კი 86 მეტრი სიმაღლის პირამიდა და სხვა ნაგებობების ნარჩენებია.

მაიას ქალაქი იუკატანის, ფაქტობრივად, გაუვალ ჯუნგლებში მდებარეობს.

*lenta.ru*

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

## მზე სიკვდილის ვარსკვლავი გახდება?

კოსმიური კვლევების ინსტიტუტის მეცნიერებმა ჯუჯა ვარსკვლავების მძიმე ელემენტებზე ზეგავლენა შეისწავლეს. აღნიშნული ელემენტები ატმოსფეროს ფენებს შეიცავს. აღმოჩნდა, რომ დროთა განმავლობაში ეს ელემენტები ვარსკვლავებად გარდაიქმნება, რომლებიც თითქმის მთლიანად მზის გამეორებაა, როგორც შინაგანი, ისე გარეგანი აგებულებით.

კვლევის შედეგად დამტკიცდა, რომ ვარსკვლავების მეოთხედი ნაწილი მოძრავი პლანეტებისგან გამოსროლილი ნარჩენებითაა დაბინძურებული. სამყაროს დაახლოებით, 10 მილიონი წელი სჭირდება იმისთვის, რომ დამოუკიდებლად შეძლოს გაწმენდა და ახალი მნათობების შექმნის უნარი აღიდგინოს.

მეცნიერების თქმით, გარკვეული ზომების მიღებაა საჭირო, წინააღმდეგ შემთხვევაში მზე ჯერ მთვარეს დაწვავს, შემდეგ კი დედამიწას გაანადგურებს, რა თქმა უნდა, თავის მოსახლეობიანად.

*globalscience.ru*

## თვითმფრინავის მკვდარი მგზავრები

ეს ამბავი არც საშინელებათა ფილმის სცენარია და არც წიგნის სიუჟეტი. ეს რეალური ამბავია, როგორ მოსპო სიკვდილმა 3 წუთში 301 სიცოცხლე. მიუხედავად იმისა, რომ თვითმფრინავი უსაფრთხოდ დაეშვა, როცა კარი გახსნეს, საშინელი სურათი დახვდათ – ყველა მგზავრი მკვდარი იყო.

1980 წლის 19 აგვისტოს ერ-რიადის აეროპორტიდან რეისი 163-ე გავიდა. როგორც კი თვითმფრინავი აფრინდა, ბორტს ცეცხლი გაუჩნდა. მართალია, პილოტებმა მაშინვე შეძლეს უახლოეს ტერიტორიაზე უსაფრთხო დაშვება, მაგრამ შედეგი მაინც გარდაუვალი აღმოჩნდა.

დაშვების შემდეგ, რომელიც 3 წუთში მოხერხდა, ხანძრის არანაირი კვალი არ ჩანდა, მაგრამ ფაქტი ჯიუტი იყო – არც ერთი მგზავრი ცოცხალი აღარ იყო. 287 მგზავრი და ეკიპაჟის 14 წევრი ცეცხლისა და კვამლისგან დაიღუპნენ. ექსპერტიზამ აჩვენა, რომ ყველა მათგანი თვითმფრინავის დაშვებამდე გარდაიცვალა.

საუდის არაბეთში ეს კატასტროფა ყველაზე საშინელ შემთხვევადაა მიჩნეული.

*globalscience.ru*

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

## თავის ტვინში მოწევის სურვილის აღმძვრელ ნაწილებს მიაგნეს

– ადამიანის თავის ტვინში არსებობს ისეთი ადგილები, რომლებიც კონკრეტული მოვლენების თუ ჩვევების მიმართ ერთგვარი ბიძგის მიმცემია, – ასეთი დასკვნა ამერიკელმა მეცნიერებმა იელის უნივერსიტეტიდან გამოიტანეს.

სპეციალისტების ინფორმაციით, აღმოჩენის გაკეთება ნეირობიოლოგიურ საფუძველზე მავნე ჩვევების მიმართ ე.წ. კოგნიტიურ-მოქმედებითი სტრატეგიის კვლევის შედეგად მოხერხდა. უფრო ადამიანურ ენაზე რომ ვთქვათ, ამერიკელები იმის დადგენას ცდილობდნენ, როგორ შეიძლება ადამიანს მავნე ჩვევებზე უარი ათქმევინონ და მგონი, საკმაოდ საინტერესო შედეგიც მიიღეს.

– რადგან შევიტყვეთ, ტვინის რომელი მონაკვეთები უბიძგებს ადამიანს მავნე ჩვევებისკენ, ვფიქრობთ, მათი დაბლოკვაც უნდა იყოს შესაძლებელი, – ამბობენ ამერიკელი სპეციალისტები.

ზუსტად როგორი იქნება სტრატეგია ამ ახალი აღმოჩენის გათვალისწინებით, წინასწარ თავად მეცნიერებიც ვერ ამბობენ, თუმცა, თუკი ძალიან მოინდომებენ, ალბათ, ყველაფერი სასურველი შედეგებით დასრულდება და სიგარეტის გადაგდების ეფექტურ მეთოდს ერთხელ და სამუდამოდ მივიღებთ.

*medkarta.com*

## ცელულიტის გაჩენაში მთავარი ეჭვმიტანილი ნაპოვნია

დაჯერებაც კი რთულია, მაგრამ ფრანგმა დიეტოლოგებმა შეძლეს ცელულიტის გაჩენაში მთავარი ეჭვმიტანილის გამოვლენა, რომელსაც „სახელად“... დიეტა ეწოდება.

როგორც აღმოჩნდა, ცელულიტის ჩამოყალიბების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი სწორედ დაუსრულებელი დიეტებია, რის გამოც ორგანიზმიდან აუცილებელი ცილების გამოდევნა ხდება.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩატარებულ კვლევაში მშვენიერი სქესის ასობით წარმომადგენელი მონაწილეობდა და ფაქტობრივად ყველა შემთხვევაში ცელულიტის წარმოქმნის მიზეზად სწორედ დიეტა დასახელდა. სპეციალისტების აზრით, ასეთი ურთიერთკავშირი სავსებით კანონზომიერია იმდენად, რამდენადაც სხვადასხვა სახის საკვებზე უარის თქმას ორგანიზმის სტრესი მოსდევს, პროცესი, რომელიც, თავის მხრივ, სისხლში გლუკოკორტიკოიდების გამოყოფას განაპირობებს, რასაც ცილების განადგურება და ცელულიტის ჩამოყალიბება მოსდევს.

ერთადერთი გონიერი ხერხი, რომელიც ცელულიტისგან განთავისუფლებაში დაგეხმარებათ, დატვირთვა და ჯანსაღი კვებაა.

*myjane.ru*

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*


**სარეკლამო სამსახური**

☎ 2-333-170

**577-444-442**

მიხეილ სახვაძე

21 21 80

(შიდა ნომერი 110)

E-mail: reklama@alia.ge

®-ით, D-ით, ან ⬭-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.



**გაზეთი „ყოველკვირეული ალია“**

გამოდის ორშაბათობით

გამომცემელი
გიორგი ბრეგვაძე

რედაქტორი: მანანა გიორგაძე
(577-43 55 53) 2212180 პირადი (☎106)

საინფორმაციო განყოფილების რედაქტორი – მიხეილ სახვაძე
599 93 28 03; 2-21-21-80 (110)

Facebook - ამბები – ლაურა აბრამია
574 41-16-95

ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე
(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96

გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი
ილია ჭაქვაძე (599 55-45-22)

კომპიუტერული ცენტრის დირექტორი
ლევან ბანეთიშვილი



**გაზეთ „ყოველკვირეულ ალიაში“** გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.**



ISSN 2346-8424

9 772346 842002

UDC (UAK) 070.4 (479.22) Q-754

რედაქციის მისამართია: აკადემქალაქი, I კვარტალი მე-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა) ☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail: qronika@alia.ge

გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 03.03